

644
1960

ՀԱՄԱԵՐԱՆ
ԵՐԵՎԱՆ

Օրվա շուն

10

ცოდნა

ლიტერატურულ-მეცნიერული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შუქნალი
საპარტიოელის ალკა ბ. კ-სა და
მწიგნალთა კანფერის (რგბანო)

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ. ანისულაშვილი — ლექსები	2
ბ. ძნელაძე — კაკლის აკვანში ელურტულებს ტკბილად... (ლექსი)	5
პრ. მინდვაში — მშვიდობით, იარაღის (რომანი. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ვ. კელიძემ)	7
ბ. შინაძე — ჩიწა (ხალადა. თარგმნა რ. შარ- ვიანმა)	65
ნ. მუხარბია — ლექსები	72
ბ. რჩეულიშვილი — მოთხრობები	78
*	
✓ ო. პაპაძე — გურამ რჩეულიშვილი	81

მომონახანი

ნ. აბიასვილი — უბუკები დარჩნენ მარადი (გაგრძელება)	85
---	----

მომწიგნარის დღიური

ბ. ბახტაძე — ლილისფერ გუნებზე	102
---	-----

პირიბიბა და კუპალიციბიბიბა

ბ. შატბერაშვილი — ღვარძლის მთიბავე	112
ბ. ლომიძე — გოგებაშვილია გვარის ისტორიი- სათვის	117
ბ. ხაჩიასვილი — იაკობ გოგებაშვილი და ...ქართველია შორის... თვის ვამაქრ- ცილებელი საზოგადოება...	118

10

1960

ოქტომბერი

სახელმწიფო
ბეზომცემლობა
„საზოგადოებრივ-
საპარტიოელ“

5508



შადვა ამისუღაშვილი

ცის გახსნა

— ცა გაიხსნაო! — იტყოდნენ და
 რწმენით საესენი
 ალტაცებაში პოულობდნენ
 თაედაეიწყებას...
 ცა არასოდეს არ გახსნილა,
 ის ჩვენ გაეხსენით, —
 და ალტაცებაც ჭეშმარიტად
 ახლა იწყება!..

ლტოლვა ლტოლვაა,
 მაგრამ დღემდე სად გაგონილა —
 მთვარეზე ღერბი
 აეტანოს რაკეტით ვინმეს?!
 ცხარე ბრძოლებში
 თავს არ ჩაეთვლით
 ცასთან მოღლილად,
 ცხელ საგულეში
 ცხელი გული გვიფეთქავს ვიდრე!

ზედიზედ
 რკინის მზეერაეები
 ილტვიან ზეეით
 და გარს უვლიან დედამიწას,
 მთვარეს და მზესა,
 რომ ხვალ
 მათ კვალზე
 ადეენებულ ადამიანებს
 უიმედობის
 არ აღმოხდეთ გულიდან კენესა!..

დღეს ბედისა და
 უბედობის ვარსკვლავებისა
 რა დაეიჯერო?
 დასაჯერი არა ვიცი რა...

მე იმ კაშკაშა
 ვარსკვლავების
 მწამს ყველაფერი
 ჩვენ რომ სივრცეში
 შევისროლეთ მშობელ მიწიდან!

იმ ვარსკვლავებმა განა მარტო
 ცის ჭერზე გასჭრეს,
 ახალ ორბიტზე გაიტანეს
 თვით ხალხთა ბედიც...
 კაცობრიობა
 დღეს თავისი შთამომავლობით
 ჯერ არგაგონილ,
 არგაგონილ მყობადში შედის!

ჩვენი თაობა
 სულ სხვა მოდგმის არის თაობა,
 „აერორის“ ქუხილს
 მოპყვა ჩვენი თვალის ახელა;
 ო, დედამიწავ,
 დაგვილოცე გამბედაობა,
 მთელ სამყაროში
 გვიმშუქაროს შენმა სახელმა!..

— ცა გაიხსნაო! — იტყოდნენ და
 რწმენით საესენი
 ალტაცებაში პოულობდნენ
 თაედაეიწყებას...

ცა არასოდეს არ გახსნილა,
 ის ჩვენ გაეხსენით, —
 და ალტაცებაც ჭეშმარიტად
 ახლა იწყება!..

ქველი წიგნები

არც ჩეწისქვილე მყავს,
არც კიდე მემინდე,
სულ მარტობაში
ღამდება ჩემი ღღე...

საფქველის მომტანიც
არ მიცდის დაფქვამდის,
მის დაბრუნებამდე
გფქვავ გულის ფართქალით.
მტრედილა შემხარის
ქორისგან დამფრთხალი.

ქება და დიდება
ახოვან წისქვილებს!
იბრუნონ, იხარონ,
მაგრამ მეც მისმინე:

თუ ქრეოლა არ დამკრავს
ელექტრო-დენისა,
რა ჩემი ბრალია,
რაც ბედად მეღირსა?!
შენ ფქვილი მომთხოვე
ბაჯადლო ფერისა!

შამბი რომ შემზრდია
დაღარულ მკერდამდის,
დრო იყო, დრო იყო,
ნოულ სოფელს ვკვებავდი...

სოფელი გადიდდა?
ცხოვრებაც გადიდდა?
კიდეცაღ გადიდდეს,
შეკე და, რა გინდა?
ღმერთი ხომ არა ხარ,
დამყურებ მაღლიდან?!

მე განა საფლავის
მღუმარე ლოდი ვარ,
ბრუნვა და ბაასი
მჩვევია ოდიდან!..

მოდო და, ნუ გეტყვი,
როდესაც ჩამივლი:
— ხელებს ნუ დაიბჯენ
ცხელ გულზე ჯვარივით,
გჯეროდეს, საწუთრო
არ გაგიჯავრდება!...

მემინდე არა მყავს?
შენ გაძლევე მთელ დოვლას;
აიღე ნამგალი,
რა უნდა ჩემს მოვლას?!

აიღე ნამგალი,
პატარა ნამგალი,
ჩათიბე ჩემს ირგვლივ
აყრილი შამბნარი,
სამშობლოს ტრფივლით
მეც ხომ ვარ დამდნარი...

მე ჯანი არა მშურს,
ვიბრუნებ მანამდის,
სანამდის ბორბალზე
ჩქერალი გადამდის,

და რადგან აქამდის
ჯანმავრად გადავრჩი,
შემყარე ქვეყანას
ხლაბრულად გადაშლილს,
მიწა ნუმც გენახოს
ჩემს ვიწრო ალატში!...

გინი ძნელაძე



კაკლის აკვანში ეღურტულეხს ტკბილად. —
 უმანკო სხივი უბრწყინავს თვალში;
 ჯერ ლაფაროში გაივლის ფრთხილად,
 მერე ეზოში გამოვა ბავშვი.
 დახედავს მიწას, ახედავს ზეცას, —
 მოეწონება ღიმილი მზისი...
 თვალს გააყოლებს გულთეთრა მერცხალს,
 აუმღერდება ძარღვებში სისხლი.
 აგერ პეპელას ხითხითით მისდევს...
 აგერ ხელის გულს ულოკავს ძაღლი,
 ერთხელ თვალს მოჰკრავს ქათმის სისხლს ჯირკვებ
 და გულში უცებ ჩასწყდება ძარღვი.
 მოუშწიფდება თანდათან აზრი, —
 დღეს—თეთრად ჩასთვლის და ღამეს—შავად.
 მერე ეზოდან გადავა გზაზე,
 გზიდან — ცხოვრების გრიალში გავა...
 ღიმილი,
 ცრემლი,
 ნაღველი,
 თქეში,
 მზე,
 სისხლი,
 ყინვა,
 ქარები მკაცრი, —
 აითქვიფება ერთმანეთში და...
 გაოცებული დარჩება კაცი!
 დიდხანს იფიქრებს ეშმაკზეც,
 ღმერთზეც,
 თეთრად გაათევს უამრავ ღამეს;
 ვერ შეძლებს?
 შეძლებს?
 ვერ შეძლებს?
 შეძლებს?
 — ო, უპასუხეთ,
 უთხარით რამე! —
 ვინ შეიყვაროს,

ვინ შეიძულოს,
ვის მორჩილებდეს,
ან რომელ ადათს,
ვის შეეგუოს,
ვინ შეითვისოს, —
გამოსავალი სად არი,
სადა!

...ეს კითხვა დიდხანს ექნება დარდად. —
გზა ხსნისა — ერთი დარჩება მხოლოდ:
აწონ-დაწონის ყველაფერს კარგად
და... ადამიანს იწამებს ბოლოს!..





მუვილოებით, იარაღო!

წიგნი მეორე

თავი XIII

ადრე დილა იყო, მილანში რომ ჩავედით. საბარგო სადგურზე გადმოვტვირთეთ. მე სანიტარულმა მანქანამ წამოიყვანა ამერიკელების ჰოსპიტალში. ჯალამბერზე ვიწვექი, მანქანაში, და ვერ გამეგო, ქალაქის რომელ ნაწილში მივდიოდით, მაგრამ ჯალამბერი რომ გადმოვიდეს, საბაზრო მოედანი შევნიშნე და იქვე ღვინის დუქანიც დავინახე — კარი გაეღოთ და ვიდაც გოგო შტვერსა ჰკვიდა გარეთ. ქუჩას წყლითა რწყავდნენ და ადრიაინი დილის სუნი იღგა. ჯალამბერი მიწაზე დადეს და ჰოსპიტალში შევიდნენ. შევიცარი გამოიყვანეს. ჰალარაულვაშეზიანი კაცი იყო, მეკარის ჭუდი ეხურა და მოკლესახელოიანი კურტაკა ეცვა. ჯალამბერი ლიფტში არ ეტეოდა და ბუბა შეექნათ — გადმოვსვით ჯალამბრიდან და ისე ავიყვანოთ ლიფტით თუ ჯალამბრიდან კიბეებზე ავატაროთო. მე ვისმენდი მათ დაეას. ლიფტით აყვანა გადაწყვიტეს. გადმოვიყვანეს ჯალამბრიდან.

— ფრთხილად, — შევძახე მე, — ფრთხილად მომკიდეთ ხელი.

ლიფტში ბევრნი შევჭურხდით ერთად და ფეხი რომ მოვხარე, საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

— გამიმართეთ ფეხი, — ვთქვი მე.

— რანაირად, Signor Tenente, ადგილი არ არის.

ამისმთქმელ კაცს ხელით ევჭირე და მე კისერზე მჭონდა მისთვის, ვკლავდი შემოხვეული. ნივრისა და წითელი ღვინის სუნი ასდიოდა და მისი სუნთქვა ხეში მცემდა.

— წყნარად! — უთხრა მეორემ.

— წყნარად არა ვარ, ძალიწვილო?!

— წყნარად—მეთქი, — ჩემი ფეხები რომ ეჭირა, იმ კაცმა გაუმეორა.

ლიფტის კარები დაიკეტა, და შევიცარმა მეოთხე სართულის ღილაკს და აკირა თითი. გატანჯული სახე მჭონდა ამ შევიცარს. ლიფტი მიიმედ დაიძრა.

— გაგიჭირდათ? — ვკითხე ნივრისსუნთან კაცს.

— არაფერია, — თქვა მან. სახეზე ოფლმა დაასხა და ღრუტუნებდა. ლიფტი ავიდა და გაჩერდა. ფეხები რომ ეჭირა ჩემი, იმ კაცმა კარები გააღო და გავიდა. ავიანზე გამოვედი. აქ იყო სპილენძისსახელურიანი რამდენიმე კარი. ფეხები რომ ეჭირა ჩემი, იმ კაცმა ღილაკს დააკირა თითი. შიგნით ზარის ხმა გაისმო. არავის არ გამოუხედავს. კიბეზე შევიცარი ამოვიდა.

— სად არიან? — ჰკითხეს მეჯალამბრეებმა.

— არ ვიცი, — მიუგო შევიცარმა, — მაგათ დაბლა სძინავთ ხოლმე.

— ამოიყვანე ვინმე.

შევიცარმა ზარი დარეკა, დააკაუნა. მერე კარი გააღო და შევიდა. როცა გამოვიდა. ერთი ხანშიშესული სათვალეებიანი ქალოც გამოჰყვა. გაწეწილი თმა თითქმის ჩამოშლოდა, მედდის ფორმა ეცვა.

— არ მესმის, — თქვა ქალმა, — იტალიური არ მესმის.

— მე ვიცი ინგლისური, — ეთქვა მე, — უნდათ, რომ სადმე აქ მომათავსონ.

— არც ერთი ოთახი არა გვაქვს შხად. ჯერ არავის არ მოველოდით.

თმები აიკეცა და ბეციანივით შემოშაშტერდა.

— აჩვენეთ რომელიმე ოთახი, სადმე დამაწვინონ.

— არ ვიცი, — თქვა მან, — ჯერ ავადმყოფებს არ მოველოდით. როგორ უნდა შევირჩიოთ ოთახი, ისე — ალაღბედზე!

— სულ ერთია, რა ოთახიც არ უნდა იყოს, — ვუთხარი მე. მერე შევიცარს მივუბრუნდი იტალიურად, — ცარიელი ოთახი გამოძებნეთ.

— სულ ცარიელი არ არის! — თქვა შევიცარმა, — თქვენ პირველი ავადმყოფი ხართ. — ქუდი ხელში ეჭირა და ხანშიშესულ ქალს შესცქეროდა.

— იწამეთ ღმერთი და სადმე დამაწვინეთ! — მოხრილ ფეხებში სულ უფრო და უფრო მივლიდა ტკივილი, და ვგრძნობდი, როგორ მიხრავდა ძვალს. შევიცარი ოთახში შევიდა, ჰალარა ჰალის თანხლებით, და მალევე გამობრუნდა. — გამომყევით, — თქვა მან. გამატარეს გრძელი დერეფანი და ფარდებჩამოშვებულ ოთახში შემოყვანეს. ახალი ავეჯის სუნი მეცა. აქ ედგათ საწოლი და დიდი, სარკიანი კარადა. ლოგინზე დამაწვინეს.

— ზეწრებს ვერ გაგიფნეთ, — თქვა ქალმა, — ზეწრები ჩაეკტილია.

მე ხმა არ გამოვიცა.

— ჯიბეში ფული მაქვს, — მივმართე შევიცარს, — დილით შეკრულ ჯიბეში. შევიცარმა ამოიღო ფული. მეჯალამბრეები საწოლთან იდგნენ. ქუდით ხელში.

— ხუთ-ხუთი ლირა მაგათ მიეცით, ხუთიც თქვენ აიღეთ. საბუთები მეორე ჯიბეში მაქვს. შეგიძლიათ, მედდას გადასცეთ.

მეჯალამბრეებმა სამხედრო სალაში მომცეს და მადლობა მითხრეს.

— მშვიდობით, — ვუთხარი მე, — დიდი მადლობელი ვარ. — კიდევ მომცეს სამხედრო სალაში და გავიდინე.

— ეს ჩემი საბუთებია, — ეუთხარი მედდას. — ავადმყოფობის ისტორიას ნანდ არის.

მედდამ აიღო ქაღალდები და გადაათვალიერა. სულ სამი საბუთი იყო, ერთად დაეცილი.

— აღარ ვიცი, რა ექნა, — თქვა მან. — იტალიურს ვერ ვკითხულობ, ექიმის განკარგულებაც თუ არ იქნა, ვერაფერს ვერ გვაკეთებ. — ზღუქუნს მოჰყვია და ქაღალდები წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო. — ამერიკელი ხართ? — ტირილით მკითხა მან.

— დიას. ეგ საბუთები მაგიდაზე დადეთ, საწოლთან.

ოთახი ჩაბნელებული იყო და გრილოდა. ლოგინზე დაწოლილმა, იქითა მხარეს დიდი სარკე დაეინახე, მაგრამ რა ირგვლებოდა ამ სარკეში, ეგ კი ვეღარ გავარჩიე. შვეიცარი საწოლთან იდგა. სასიამოვნო სახე ჰქონდა და ძალიან კეთილი ჩანდა.

— წაბრძანდით. — ეუთხარი მას. — თქვენც შეგიძლიათ წაბრძანდეთ. — მიემართე მედდას, — თქვენი სახელი?

— მისის უოკერ.

— წაბრძანდით, მისის უოკერ. მგონი დამეძინოს.

მარტო დავრჩი ოთახში. გრილოდა და პოსპიტლის სუნე სულაც არ იგრძნობოდა. ნაალი მაგრად გატენილი და სასიამოვნო დასაწოლი იყო, არც კი გავნძრტულვარ, მშვიდად ვსუნთქავდი, ბედნიერი ვიყავი, რომ ტკივილმა მიკლო. ცოტა ხნის შემდეგ მომწყურდა. საწოლთან ზარი შეენიშნე და თითი დაგაჭირე. მაგრამ არაფერს შემოსულა. დამეძინა.

როცა გამოვიღვიძე, მივიხედ-მოვიხედე. დარაბების კუჭკუტანებში მზე ტანდა. დაეინახე დიდი კარადა, შიშველი კედლები და ორი სკამი. გაკუჭყიანებულ სახვევებში გახეული ფეხები საბნიდან გამოჩრილიყო. ეცდილობდი არ გამენძრია. მწყუროდა და ზარის დილაკს მიეწედი. კარი გაიღო, გავიხედე და მოწყალების და დაეინახე. ახალგაზრდა და ლამაზი ჩანდა.

— დილა მშვიდობისა, — ეთქვი მე.

— დილა მშვიდობისა, — მითხრა მან და ლოგინთან მოვიდა, — ექიმის გამოძახება ვერ მოვახერხეთ. კომოს ტბაზე წასულა. არაფერს არ ელოდა ავადმყოფს დღეს. რა გაწუხებთ?

— დაჭრილი ვარ. მუხლებსა და ტერფებში. თავის არემიაც მაქვს ტრილობა.

— თქვენი სახელი?

— ჰენრი, ფრედერიკ ჰენრი.

— ახლავე დაგმანთ. შეხვევით კი ექიმის მოსულამდე ვერ შეგიხვევით.

— აქ მისს ბარკლი ხომ არ არის?

— არა. მავისთანა გვარი არ გამოგონია აქ.

— ის ქალი ვინდა იყო, ჩემს მოყვანაზე რომ ატირდა?

მედდას გაეცინა.

— მისის უოკერი ღამის მორიგე იყო და ჩასძინებოდა. არაფერს არ მოელოდა თან ვლაპარაკობდით და თან ტანთ მხდოდა. როცა სულ გამხალა—სახვევებზე ხელი არ უხლია — დამბანა, ძალიან ნაზად და ფაქიზად. ერთბაშად ვიგრძენი შეება. თავი შეხვეული მქონდა, მაგრამ სახვევს ირგვლივ სულ მომბანა ყველაფერი.

— სად დაგჭრეს?

— იზონცოში, პლაეას ჩრდილოეთით.

— სად არის ეგ?

— გორიციის ჩრდილოეთით.

მივხვდი, რომ ეს სახელწოდებები არაფრისმეტყველი არ იყო მისთვის.

— ძალიან გტკივთ?

— არა. ახლა არც ისე.

თერმომეტრი ჩამიღო პირში.

— იტალიელები იღლიაში იდებენ ხოლმე. — ვთქვი მე.

— ნუ ლაპარაკობთ.

თერმომეტრი რომ ამოიღო, დახედა და დაბერტყა.

— რამდენი მაქვს?

— ავადმყოფს არ ეუბნებიან.

— მითხარით.

— თითქმის ნორმალურია.

— ერთხელაც არ ამწევია სიცხე. ფეხები კი ეანგიანი რყინებითა მაქვს

გამოტენილი.

— როგორ თუ გამოტენილი?

— რა არ არის შიგ — ნაღმის ნამსხვრევები, ძველი ლურსმნები, საწოლის ზამბირები და ათასი ჯანდაბა.

თავი გააქნია და გაიღიმა.

— ერთი ნამცეციც რომ გქონდეთ რამე, მაშინვე ანთებითი პროცესი დაგეწყებოდათ და სიცხეც აიწვედა.

— კარგი, თქვენ თვითონვე ნახავთ, რა აღმოჩნდება, — ვუთხარი მე.

ოთახიდან გავიდა და დილინდელი მოხუცი მედლა შემოიყვანა. ამწიეს და ისე მარჯვედ გამოშალეს ლოგინი, რომ აღფრთოვანებული დავრჩი. პირველად ვნახე ასეთი რამ.

— ჰოსპიტალს ვინ განაგებს?

— მისს ვან კამპენი.

— რამდენი მედლა გყავთ?

— ჩვენ ორნი ვართ.

— სხვას არ ელოდებით?

— კიდევ უნდა ჩამოვიდნენ.

— როდის ჩამოვლენ?

— არ ვიცი. ამდენი შეკითხვები არ შეიძლება ავადმყოფისთვის.

— მე ხომ ავადმყოფი არა ვარ. — ვთქვი მე, — დაჭრილი ვარ.

ლოგინის გასწორებას მორჩინე. ახლა ქვეშაც სუფთა გაქათქათებული ზეწარი მეგო და ზემოდანაც მესურა მეორე ასეთი ზეწარი. მისის უოკერი გავიდა და პიყამა შემომიტანა. ჩამაცვეს და ძალიან მესიამოვნა სუფთა ჩასაცმელი.

— დიდი სიკეთე მიყავით, — ვთქვი მე. მედლამ, რომელსაც მისს გეიჯს ეძახდნენ, გადიკისკისა. — წყალს ვერ დამალევივინებ?

— რატომაც არა. მერე შეგიძლიათ ისაუზმოთ კიდევ.

— საუზმე არ მინდა. არ შეიძლება ფარდები გადახსნათ?

ოთახი ჩაბნელებული იყო და ფარდები რომ გადასწიეს, ერთბაშად თვალისმომჭრელი მზის სინათლე დადგა, დაფინახე აივანი, აივნის იქით კი კრამიტის სახურავები და ბუხრის მილები. სახურავებს მიღმა მოსჩანდა თეთრი ღრუბლები და ძალიან ლურჯი ცა.

— არ იცით, როდის ჩამოვლენ სხვა მედლები?

— რას კითხულობთ? ჩვენ კარგად ვერ ვივლით?



- თქვენ დიდი სიყვითე მიყავით.
- ღამის ჭურჭელი ხომ არ გინდათ?
- ვცდი მაინც.

ამწიეს და დამსვეს, მაგრამ თქვენც არ მომიყვდეთ! მერე ვიწეკი და აივანს გაგპყურებდი.

- ექიმი როდის უნდა მოვიდეს?
- როცა დაბრუნდება. ჩვენ უკვე დაეურეკეთ კომოს ტბაზე.
- სხვა ექიმი არ არის?
- ჩვენი ჰოსპიტლის ექიმი ის არის.

მისს გეიჯმა წყლით სავსე სურა და ჭიქა შემოიტანა. სამი ჭიქა დავლიე ზედიზედ, მერე ისინი წავიდნენ, ერთხანს ჟანჯარაში ვიყურებოდი, მერე კი ისევ ჩამეძინა. ცოტა წავეისაუზმე, ხოლო ნაშუადღევს ჩემს სანახავად მოვიდა მისს ვან კამპენი, ჰოსპიტლის გამგებელი. არ მოვეწონე და არც მე მომეწონა. ტანმორჩილი ქალი იყო და გაფაციცებულად ექვიანი, თავი ისე მაღლა ეჭირა, რომ მის მდგომარეობას სულაც არ შეეფერებოდა. კითხვა კითხვაზე დამაყარა და, ეტყობოდა, სამარცხვინოდ თვლიდა, რომ მე იტალიის არმიამი ვმსახურობდი.

- სადილზე ცოტა ღვინო არ შეიძლება? — ვკითხე მე.
- თუ ექიმი გამოგიწერთ, კი.
- ექიმის მოსვლამდე?
- არც ერთი წვეთი.
- როგორ გგონიათ, ნამდვილად მოვა?
- ჩვენ დაეურეკეთ კომოს ტბაზე.

ის წავიდა და ოთახში მისს გეიჯი შემობრუნდა.

— უხეშად რატომ ელაპარაკეთ მისს ვან კამპენს? — მკითხა მან, როცა ყველაფერი ძალიან მარჯვედ გამიკეთა.

- განგებ არ მიქნია. მაგრამ ძალიან გაბლიძული ჩანს.
- ძალიან თავგასული და ტლანჭიანო, თქვენზე თქვა.
- სულაც არა. მაგრამ უექიმო ჰოსპიტალი რის მაქნისია?
- მოვა. უკვე დაეურეკეს კომოს ტბაზე.
- იქ რას აკეთებს? ცურავს?
- არა. კლინიკა აქვს.
- რატომ სხვა ექიმს არ აიყვანენ?
- ჩუ, ჩუმად. ჭკუით იყავით და მალე მოვა.

შვეიცარი მოვახმობინე, და როცა მოვიდა, იტალიურად ვუთხარი — ეყიდნა ჩემთვის ერთი ბოთლი ჩინცანო, ღვინის ღუქანში, მათარიო ქიანტი და სალამოს გაზეთები. წავიდა და გაზეთში შეხვეული მომიტანა, რაც დაეაბარე, გაეახსნევიანე, საცობები ამოეაძრობინე და ღვინო და ვერმუთი საწოლქვეშ შევადგმევიანე. მარტო დავრჩი, აღარაეინ შემოსულა. ვიწეკი ლოგინში და გაზეთებს ვათვალიერებდი — ფრონტის ამბებს, მოკლული ოფიცრების სიას და მათივე ჯილდოებს, მერე ხელი დაბლა ჩაეაცურე და ჩინცანოს ბოთლი ამოვიღე, ცივი ფსკერით მუცელზე დავიდე, ცოტას მოესვამდი და ისევ ისე დავიდებდი, ბოთლისაგან წრეები დამაჩნდა მუცელზე, გაგპყურებდი სახურავებს და ვხედავდი, როგორ თანდათანობით დამდებოდა. ვხედავდი როგორ წრეულად დასრიალებდნენ მერცხლები, როგორ დანაგარდობდნენ სახურავებს ზემოთ მესკიეები, და ნელ-ნელა ეწრუბავდი ჩინცანოს. მისს გეიჯმა ჭიქით გოგლი-მოგლი მომიტანა. ის რომ შემოვიდა, ვერმუთის ბოთლი საწოლს უკან გადავდე.

— მისს ვან კამპენმა ცოტაოდენი ხერხის ჩაგვასხმევინა შიგ, — მითხრა მან, — ნუ მოეკცევით ტლანქად. ახალგაზრდა აღარ არის და პოსპიტლის განგებლობა დიდი საპასუხისმგებლო საქმეა. მისის უოკერიც მოხუცებულია და ვერაფერს ეხმარება.

— დიდებული ქალია, — ვთქვი მე, — დიდი მადლობა გადაეცით ჩემგან.

— ახლა წავალ და ვახშამს მოგიტანთ.

— არ გინდათ, — ვუთხარი მე, — არა მშია.

სინი შემომიტანა და საწოლის მაგიდაზე დასდო. მადლობა ვუთხარი და ვახშამი ცოტა მოვციკენე. მერე სულ ჩამობნელდა გარეთ და ვხედავდი, როგორ მოძრაობდნენ ცაზე პროექტორების სხივები. კარგა ხანს ვადევნებდი თვალს. მერე კი ჩამეძინა. მაგრამ მეძინა, მხოლოდ ერთხელ გამომეღვიძა შიშისაგან ოფელში გაღვრილს, ისევ დავიძინე და ვცადე, აღარ დავბრუნებოდი ნახულ სიზმარს. გათენებამდე კარგა ხნით აღრე გამეღვიძა. მესმოდა მამლების ყვილი და მანამ გათენდებოდა, აღარც დამიძინია. საშინლად დავიქანცე და როცა კარგად გათენდა, ისევ დამეძინა.

თაზი XIV

ოთახში მაგრად აპერდა შუე, როცა გამოვიღვიძე. მომეჩვენა, თითქოს ისევ ფრონტზე ვიყავი და ლოგინში გავიზმორე. ფეხები მეტყინა, დახედე გაქუშვიანებულ სახევეებს და მაშინვე გამახსენდა, სად ვიყავი. ზარის ღილაკს მიეწედი. დერეფანში ზარის წკრიალი გაისმა, მერე გავიგონე როგორ წამოვიდა ვიღაც რეზინისლანჩიანი. ეს იყო მისს გეიჯი, მზის სინათლეზე უფრო ხანში შესული ჩანდა და აღარც ისეთი ღამაზი მომეჩვენა.

— დილა მშვიდობისა, — თქვა მან, — წუხელ კარგად გეძინათ?

— დიახ. მადლობელი ვარ, — ვუთხარი მე, — პარიკმახერს ვერ დაუძახებთ?

— წელან შემოვედი თქვენს სანახავად და, მძინარეს აი ეს გვექირათ ხელში. კარადა გამოაღო და ვერმუთის ბოთლი გამოიტანა. თითქმის ცარიელი იყო. — მეორე ბოთლიც აქ შევიანახე, საწოლქვეშ რომ გქონდათ, — თქვა მან, — ჭიქა რატომ არ მომატანინეთ?

— ვაითუ, დალევა არ დამანებოს-მეთქი.

— ის კი არა და, მეც დავლევედი თქვენთან ერთად.

— კაი გოგო ყოფილხართ.

— მარტო სმა გაწყენთ, — თქვა მან, — ნულარ დალეეთ მარტო.

— აღარ დავლეე.

— თქვენი მეგობარი მისს ბარკლი ჩამოვიდა, — მითხრა მან.

— მართლა?

— ჰო. მე არ მომწონს.

— მოგეწონებათ. მშვენიერი ქალია.

თავი გააქნია. — დარწმუნებული ვარ, კარგი იქნება. ცოტათი ვერ ვადმოიწევით აქეთ? ასე. საუზმისათვის მოგამზადებთ. — ჩერით, საპნითა და თბილი წყლით დამბანა. — მხარი წამოსწიეთ, — მითხრა მან, — ასე.

— პარიკმახერს საუზმემდე ვერ დაუძახებთ?

— ახლავე გავუგზავნი შეეიცარს. — გავიდა და ისევ შემობრუნდა. — მოსაყვანად წავიდა. — თქვა მან და ჩვარი წყლიან ჯამში ჩაავლო.

შვეიცარმა პარიკმახერი მომიყვანა. ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, უღვაშებამზეცილი. მისს გეიჯი მორჩა საქმეს და წავიდა. პარიკმახერმა გამსაპნა

და პარსეა დაიწყო. იღვა გაბღენილი და მპარსაედა, ლაპარაკისგან თავს იკავებდა.

— რატომ ხმას არ ამოიღებთ, ახალი ამბები არ იცით? — ვკითხე მე.

— რა ამბები?

— რაც არ უნდა იყოს. ქალაქში რა ამბავია?

— ომია, — თქვა მან, — ყველგან მტრის ყურია.

მე ავხედე. — თავს ნუ აქნევთ, — თქვა მან და პარსეა განაგრძო. — მაინც არაფერს ვიტყვი.

— რა მოგივიდათ? — ვკითხე მე.

— მე იტალიელი ვარ. მტერთან ლაპარაკს ვერ ვეწყობი.

მეც მოვეშვი. თუ გიყია, რაც ადრე დავალწეე თავს მის სამართებელს, მით უკეთესი. ერთხელ დავაპირე, კარგად შემეთვალყურებინა.

— ფრთხილად, — მითხრა მან, — ბასრი სამართებელი მაქვს.

საქმეს რომ მორჩა, გადავუხადე რაც ეკუთვნოდა და ნახევარი ლირა ზედმეტი ვაჩუქე. უკანვე დამიბრუნა ფული.

— არ ავიღებ. მართალია ფრთხილად არ ვიმყოფები, მაგრამ იტალიელი ვარ.

— ჯანდაბას შენი თავი!

— თქვენის ნებართვით, — თქვა მან და სამართებელი გაზეთში შეახვია.

წავიდა და სპილენძის ხელი მონეტა პატარა მაგიდაზე დამიტოვა. ზარი დავრეკე. მისს გეიჯი შემოვიდა. — შევიცარს დაუძახეთ, თუ არ დაიზარებთ.

— ახლავე.

მოვიდა შევიცარი. სიცილს ძლივს იკავებდა.

— ეს პარიკმახერი გიყი ხომ არ არის?

— არა, სინიორინო, შეცდომა მოსვლია, კარგად ვერ გაუგონია — თქვენზე რომ ვუთხარი, ავსტრიელი ოფიცერი მოჰყურებია.

— ოჰ! — წამოვიძახე მე.

— ჰა, ჰა, ჰა, — გადაიხარხარა შევიცარმა, — კაი სეირი იყო! ერთი კიდევ რომ გავნძრია თავით... — სალოკი თითი ყელზე გამოისვა.

— ჰა, ჰა, ჰა, — ველარ იკავებდა სიცილს, — ავსტრიელი არ არის-მეთქი, რომ ვუთხარი... ჰა, ჰა, ჰა...

— ჰა, ჰა, ჰა, — დაეუცაცხანე მე, — კაი სეირი კი იქნებოდა, ყელი რომ გამოელადრა. ჰა, ჰა, ჰა.

— აჰ, სინიორინო, რასა ბრძანებთ. ისე შეეშინდა ავსტრიელებსა, რომ... ჰა, ჰა, ჰა.

— ჰა, ჰა, ჰა, — გამოვაჯავრე მე, — წადით ახლა აქედან.

გავიდა და დერეფნიდან მესმოდა მისი სიცილი. მერე ვილაცის ფეხის ხმა გავიგონე დერეფანში. კარებისაკენ გავიხედე. ქეთრინ ბარელი იყო.

ოთახში შემოვიდა და ჩემს ლოგინთან გაჩერდა.

— გამარჯობა, გენაცვალე! — თქვა მან. ძალიან ქორთა, ახალგაზრდა და ლამაზი ჩანდა. ამისთანა ლამაზს ჯერაც არავის შევხვედრივარ-მეთქი, გავიფიქრე.

— გამარჯობა! — ეთქვი მე. დავინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ მიყვარდა. გული გადამიქანდა. კარებისაკენ გაიხედა, და როცა დარწმუნდა, არაფერი, ლოგინზე ჩამოვიჯდა, გადმოიხარა და ნაკოცა. მკერდზე მივიკარი, ვაკოცე და ვიგრძენი, როგორ უცემდა გული.

— ჩემო საყვარელო, — ვუთხარი მე, — ხომ ძალიან კარგი ქენი, რომ ჩამოხვედი?

— ჩამოსვლა არ ყოფილა მაინცდამაინც ძნელი, შენ აქ დარჩენა იკითხე.

— უნდა დარჩე, — ვუთხარი მე, — ო, რა კარგი ხარ! — გიყვით ვიყავი არა მგეროდა, რომ იგი ნამდვილად ჩემთან იყო და გულში მყავდა ჩაქრულად.

- ნუ, — მითხრა მან, — ჯერ კარგად არა ხარ.
- კარგადა ვარ. მოდი.
- არა. ჯერ ჯანზე არა ხარ.
- ვარ. როგორ არა ვარ. კარგადა ვარ. მოდი.
- გიყვარვარ?
- ნამდვილად მიყვარხარ. ლამის გამაგიყო. მოდი, მოდი.
- გესმის, როგორ ცემს ჩვენი გულები?
- გულებს რა თავში ვიხლი. შენ მინდიხარ. ლამის ჭკუიდან შემშალო!
- მართლა გიყვარვარ?
- რას დაგიყინია ეგ სიტყვები. მოდი. მოდი, ქეთრინ.
- კარგი, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით.
- ერთი წუთით იყოს, — ვუთხარი მე, — კარები დაკეტე.
- არ შეიძლება შეუძლებელია.
- მოდი. ნულარ მელაპარაკები. მოდი, ჩემთან მოდი.

ქეთრინი სასთუმალთან მეჯდა, სკამზე. დერეფნის კარები ღია იყო. სიგაყემ გაიარა და ისე კარგად ვგრძნობდი თავს, როგორც არასოდეს.

— ახლა ხომ გჯერა, რომ მიყვარხარ? — მკითხა მან.

— ო, ჩემო საყვარელო, — ვუთხარი მე, — უნდა დარჩე. ვერსადაც ვერ გადაგიყვანენ. გაგიყვებით მიყვარხარ.

— ძალიან უნდა გავფრთხილდე. ეს სიგაყე იყო. როგორ შეიძლება!

— ლამით შეგვიძლია.

— დიდი სიფრთხილე გვმართებს, სხვების დასანახად ფრთხილად უნდა იყო.

— კარგი, ფრთხილად ვიქნები.

— უსათუოდ. ჩემო საყვარელო, ხომ გიყვარვარ? გიყვარვარ?

— ნულარ გამიმეორებ. შენ არც კი იცი, რა მომდის, მაგას რომ მეტყვი.

— კარგი. აღარ გეტყვი, აღარ გაგაღიზიანებ. ახლა უნდა წავიდე, ჩემო საყვარელო, ნამდვილად უნდა წავიდე.

— მალე დაბრუნდი.

— როგორც კი მოვახელთებ, დავბრუნდები.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, საყვარელო.

წავიდა. ღმერთმა ხომ იცის, სულაც არ მიფიქრია მისი შეყვარება. საერთოდ არავისი შეყვარებაც არ მიფიქრია. მაგრამ ამასაც ხედავს ღმერთი, რომ შემოყვარდა. და ახლა ვიწეჩი მილანის ჰოსპიტალში, თავში ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა, მაგრამ დიდებულ გუნებაზე კი ვიყავი. ბოლოს ოთახში შემოვიდა მისს გეიჯი.

— ექიმო მოდის, — თქვა მან, — კომოს ტბიდან დარეკა.

— როდის მოვა?

— სალამო ხანს.

თავი XV

სალამომდე აღარაფერი მომხდარა. ექიმო ჩია, წყნარი კაცი იყო. ეტყობოდა ომს შეეწუხებინა. ფოლადის პატარა ნამსხვრევები თავშეკავებული ზიზღით

ამომაცალა ბარძაყებიდან. ადგილობრივი ანესთეზია გამოიყენა, რასაც „გაყინუ-
ვის“ ეძახიან ხოლმე — ერთიანად გაყინავეს ქსოვილებს და მანამ საექიმოს საცე-
ცი, ლანცეტი თუ სკალპელი გაყინულ ნაწილზე ღრმად არ წასულა, ტკივილი სუ-
ლაც არ გაწუხებს. ავადმყოფი აშკარად გრძნობს, სად თავდებდა ეს განაყინი
ფენა, და მალე ექიმს აღარ ეყო მოხდენილი თავშეკავება და თავაზიანობა.
სჯობს რენტგენი გამოვიყენოთო, განაცხადა. საცეცით ვერას გავხდებითო.

რენტგენის კაბინეტი Ospedale Maggiore-თან¹ ჰქონდათ მოწყობილი და
იქაური ექიმი მარჯვე, მკვირცხლი და გულმზიარული კაცი გამოდგა. ისე დავი-
ქვრდნენ მხრებით, რომ შენ თვითონვე შეგეძლო დაგენახა სხეულში შეჭრილი
მსხვილი ნაშხვრევეები, ანუ „უცხო სხეულები“. სურათებს მერე გამოგზავნი-
დნენ. ექიმმა მიხზოვა. უბის წიგნაკში თქვენი სახელი და გვარი, პოლკის ნომერი
და სხვა სამახსოვრო რამე ჩამიწერეო. ყოველგვარი „უცხო სხეული“ — სიმა-
ხინჯე, სისაძაგლე და მხეცობააო, განაცხადა მან. აესტრიელები ძალღიშეილები
არიანო. რამდენი გყავთ მოკლული? ერთიც არ მომეკლა, მაგრამ გულით მიწოდდა
მესიაშოვნებინა და, ვინ მოსთელის-მეთქი, ვუთხარი. მისს გეიჯი მახლდა თან,
ექიმმა ხელი შემოხვია და თქვა — კლეოპატრაჲ კი ვერ შოვა ამასთან სილამა-
ზითო. ვაიგო? კლეოპატრა ეგვიპტის დედოფალი იყო ძველად. ღმერთმანი, ნამ-
დვილად სჯობს კლეოპატრას. სანიტარული მანქანით დაგზარუნდით ჩვენს პატა-
რა პოსპიტალში და ბევრი აყვანა-გადაყვანის შემდეგ ისევ ზემოთ აღმოვჩნდი,
ჩემს ლოგინში. სურათები იმავე საღამოს გამოგზავნეს. ექიმი შეგვიპირდა, ღვთის
მადლმა, ამაღამვე გამოგზავნიო, და შეასრულა კიდევ. ქეთრინ ბარკლიმ მაჩვენა
ეს სურათები. წითელ კონვერტებში იყო ჩაწყობილი, კონვერტებიდან იღებდა
და ერთად ესინჯავდით სინათლზეუ.

— ეს შენი მარჯვენა ფეხია, — თქვა მან და სურათი ისევ კონვერტში ჩა-
დო. — ესეც — მარცხენა.

— ეს სურათები მომამორე და შენ მოდი ჩემთან, ლოგინში, — ეუთხარი მე.

— არ შემიძლია, — თქვა მან, — ერთის წუთით შემოვირბინე, სურათების
საჩვენებლად.

წავიდა და ნე ლოგინში დაერჩი. შეხუთული საღამო იყო და ამდენი წოლით
გული მერეოდა. შვეიცარი გავაგზავნე გაზეთებზე, რაც კი შეგხედეს, იყიდე-
მეთქი.

მანამ დაბრუნდებოდა, ოთახში სამი ექიმი შემოვიდა. დაკვირვებული ვარ,
როცა ექიმს სამედციკინო გამოცდილება არ ჰყოფნის, უსათუოდ სხვებთან მო-
თათბირებასა და კონსულტაციას არჩევს. აპენდიცისის ამოკვეთა თუ არ ძალუძს
ხეირიანად, ისეთ ექიმთან გაგაგზავნის, ვინც გლანდების ამოკვეთაში არ არის
გაწაფული. ამისთანა ექიმები იყვნენ ესენიც.

— ეს ყმაწვილი გახლავთ, — თქვა იმ თავაზიანმა პოსპიტლის ექიმმა.

— გამარჯობა, — მითხრა წვერმოშვებულმა წოწოლა ექიმმა. მესამე ექიმს
წითელ კონვერტებში ჩადებული რენტგენის სურათები ეპირა და ხმა არ გაუღია.

— მოეხსნათ? — იკითხა წვერებიანმა ექიმმა.

— რა თქმა უნდა. სახეევები მოხსენით, ვთაყვია, — უთხრა პოსპიტლის
ექიმმა მისს გეიჯს. მისს გეიჯმა მოხსნა სახეევები. ფეხებზე დავიხედე. საველე
პოსპიტალში რომ ვიწეკი, არცთუ მაინცდამაინც ახალ დაბეგვილ ჰამბურგულ
ბივშტექსსა ჰგავდა, ახლა კი ქერქი დასდებოდა, მუხლი შეშუპებულიყო და გა-
თეთრებულიყო, ნაკუთალები ჩამწყურტოდა, ოღონდ დანიჩქებით არ დამჩირ-
ქებოდა.

¹ შთავარი პოსპიტალი (იტალი).

- ძალიან სუფთაა, — თქვა ჰოსპიტლის ექიმმა, — სუფთა და კარგი.
- ჰემ, — თქვა წვერიანმა ექიმმა. მესამე ექიმმა ჰოსპიტლის ექიმის უკნიდან გადმოხედა.
- მუხლი მოხარეთ, გეთაყვა, — მითხრა წვერიანმა ექიმმა.
- ვერა ვხრი.
- არტიკულაცია გავსინჯოთ? — იკითხა წვერიანმა ექიმმა. სახელოზე მას, სამი ვარსკვლავის გვერდით, ზოლიც ეყერა. ეს იმას ნიშნავდა, რომ კაპიტანი იყო.
- რა თქმა უნდა, — თქვა ჰოსპიტლის ექიმმა. ორმა მათგანმა ფრთხილად აიღო ჩემი ფეხი და მოხრა სცადეს.
- მტკივა, — ვთქვი მე.
- ვიცი, ვიცი. ცოტა კიდევ, ექიმო.
- კმარა, მეტს აღარ იხრება, — ვთქვი მე.
- ნაწილობრივი არტიკულაცია, — თქვა კაპიტანმა. გაიჭიმა. — აბა ერთი კიდევ მიმოძეთ ეგ სურათები, ექიმო. — მესამე ექიმმა ერთი სურათი მიანიჩნა. — არა. მარცხენა ფეხისა.
- სწორედ მარცხენა ფეხია, ექიმო.
- მართალი ბრძანდებით. უკულმა შემოხედავს. — შეაბრუნა სურათი. მეორე სურათს დიდხანს ჩაშტერებოდა. — ხედავ, ექიმო? — ნამსხვრევი აჩვენა, რომელიც სინათლეზე მომრგვალებულად და მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, კარგახანს სინჯავდნენ.
- ერთი რამ კი შემოძლია ვთქვა. — განაცხადა წვერიანმა კაპიტანმა, — დროის საქმეა. სამი თვე. ეგებოს, ექვსიც.
- რა თქმა უნდა. სინოვიალური სითხე ზომ უნდა დაგროვდეს.
- რა თქმა უნდა, დროის საქმეა. მანამ ნამსხვრევის ირგვლივ კაფსული არ გაკეთდება, ამისთანა მუხლის გახსნას ვერ ვიკისრება.
- მეც გეთანხმებით, ექიმო.
- ექვსი თვე რა ამბავია? — ვთქვი მე.
- ექვს თვეში კაფსული გაკეთდება და მერე საშიში აღარ იქნება მუხლის გახსნა.
- არა მჯერა, — ვთქვი მე.
- არ გინდათ მუხლი შეინარჩუნოთ, ყმაწვილო?
- არა.
- რაო?
- მინდა რომ ახლავე მომკვეთოთ, — ვთქვი მე, — და ზედ კაუჭა გამოაბათ.
- ვერ გაგიგე, რას ამბობთ? კაუჭა?
- ხუმრობს, — თქვა ჰოსპიტლის ექიმმა, და მხარზე თაეზიანად დამკრა ხელი, — რასაკვირველია, ფეხის შენარჩუნება უნდა. ძალიან ყოჩაღი ყმაწვილი გახლავთ. სიმამაცისათვის ვერცხლის მედალზეა წარდგენილი.
- სულითა და გულით გილოცავთ, — მითხრა კაპიტანმა, ხელი ჩამომართვა, — მე ისღა შემოძლია ვთქვა, რომ, სააღალბედოდ თუ არ გვინდა გავიხადოთ საქმე, სულ ცოტა ექვსი თვე მაინც უნდა დაეცადოთ. მანამ ასეთ მუხლს გავხსნიდეთ. თქვენ რა თქმა უნდა, ნება გაკეთ, ჩვენი მოსაზრება არ გაიზიაროთ.
- მადლობას მოგახსენებთ, — ვუთხარი მე, — თქვენს მოსაზრებას დიდად ვაფასებ.
- კაპიტანმა საათს დახედა.
- წასვლის დროა, — თქვა მან, — ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ.

— მეც ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ და მადლობას მოგახსენებთ. —
 ჟღერს მე. მესამე ექიმს ჩამოვართვი ხელი, და სამივენი გავიდნენ ოთახიდან.

— მისს გვიჯ, — გაძახებ მე. იგი შემოვიდა. — ჰოსპიტლის ექიმსა სთხოვეთ ერთი წუთით.

შემოვიდა და ლოგინთან გაჩერდა, ხელში ქუდი ეჭირა.

— ჩემი ნახვა გინდათ?

— დიახ. არ შემოძლია, ექვსი თვე ვუცადო ოპერაციას. ღმერთო ჩემო, როდესმე წოლილხართ, ექიმო, ექვსი თვე ლოგინში?

— სულ ლოგინში არ იქნებით. პირველად მზეს მოუფიცებთ ზოლმე ჰრილობას. მერე ყავარჯენებზე შედგებით.

— ექვსი თვე ლოდინი, და მერე ოპერაცია?

— საალაბედოდ თუ არ გვინდა გავიხადოთ საქმე, ასე უნდა მოვიქცეთ. ნამსხერვეებმა კაფსულები უნდა გაიკეთონ, სინოვიალური სითხეც დაგროვდება. მერე საშიში აღარ იქნება მუხლის გახსნა.

— თქვენ თვითონ ნამდვილად გჯერათ, რომ ამდენი ხანი დამჭირდება ცდა?

— თუ გვინდა, რომ საალაბედოდ არ გავიხადოთ საქმე.

— ეს სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ვინ არის?

— გამორჩენილი მილანელი დოსტაქარია.

— კაპიტნის ხარისხი აქვს?

— ჰო, მაგრამ გამორჩენილი დოსტაქარია.

— სწორედ რომ ვერ ვანდობ მუხლს საჯიჯგნად ვილაყ კაპიტანს. ხეირიანი ვინმე რომ იყოს, აქამდე მთიორობას მისცემდნენ. კაპიტნობა არასაყ ნიშნავს, ვიცო, ექიმო.

— დიდებული დოსტაქარია, მაგასავით ვერავის ვერ ვენდობი.

— არ შეიძლება, სხვა დოსტაქარმაც ნახოს?

— თქვენი ნებაა. მე პირადად კი დოქტორ ვარულას მივენდობოდი.

— სხვა დოსტაქარს ვერ გამოიძახებთ?

— ვალენტინისა ვთხოვ.

— ეგ ვინაა არის?

— Ospedale Maggiore-ს დოსტაქარია.

— კეთილი. ძალიან დამავალებთ. ხომ გესმით, ექიმო, ექვსი თვე რა გამაძლებინებს ლოგინში!

— ლოგინში არ იქნებით. ჯერ მზის აბაზანებს მიიღებთ. მერე მსუბუქ ვარჯიშს დაიწყებთ. ამასობაში კაფსულიც გაიზრდება და ოპერაციას გაგიკეთებთ.

— ჰო მაგრამ, ექვს თვეს ვერ დავიცდი.

ექიმმა თავისი მოხდენილი თითები გაშალა და გაიღიმა.

— ფრონტზე დაბრუნება გეჩქარებათ?

— რატომაც არა!

— დიდებული საქმეა — თქვა მან. — კეთილშობილი კაცი ყოფილხართ. — დაიხარა და თავაზიანად მაკოცა შუბლზე. — ვალენტინის გამოვიძახებ. ნუ ინერვიულებთ. ჭკუით იყავით.

— ცოტას ხომ არ დალევდით? — მივმართე მე.


— არა, გმადლობთ. ალკოჰოლს ვერ ვეწყობი.

— ერთი ჭიქა! — შევიცარს დაუღრევე, ჭიქებს მოვატანიინებ-მეთქი.

— არა. გმადლობთ. მელოდებიან.

— ნახვამდის, — ვუთხარი მე.

5508





— ნახვამდის.

ორი საათის შემდეგ ოთახში შემოვიდა ექიმი ვალენტინი. ძალიან ჩქარობდა და უღვაშების ბოლოები ზემოთ აბზეკოდა. მაიორის ხარისხი ჰქონდა, მზებზე გარუჯულიყო და ერთთავად იცინოდა.

— რანაირად მოახერხეთ, როგორ შეგივიდათ ეს საძაგლობა? — მკითხა მან, — აბა სურათები ვნახო. აჰა. ვასაგებია. ისე, ჯანზე ვაცივითა ხართ! ეს ლამაზი ქალიშვილი ვინღაა? თქვენი გოგოა? მაშინვე მივხვდი. საძაგლობა არ არის ეს ომი?! აქა გტყვიათ? ყოჩაღ! დამაცათ — სულ ახალს დაგამსგავსებთ. აქ თუ გტყვიათ? მეც რომ გეკითხებით! რა ხალხია ეს ექიმები, არ იქნება, რომ არ გატყინონ! აქამდე რითი გმკურნალობდნენ? ამ გოგომ იცის იტალიური? უნდა ისწავლოს. მშვენიერი გოგოა. მე ვასწავლი. ნეტა მეც ავად გამხადა და აქ დამაწვიანა! მაგრამ არა, ყველ მშობიარობაზე უსასყიდლოდ მოვარჩენ. ესმის ჩემი ლაპარაკი? ისეთ კარგ ბიჭს გაგიჩენს! მასავით ქერა იქნება. მაშ ასე. ესეც ასე, რა დიდებული გოგოა! ჰკითხე ერთი, ვახშამზე არ დამეწვივა? არა, არ წაგართმევთ. გმადლობთ, დიდი მადლობელი ვარ, მისს. ესეც ასე!

— რაც მინდოდა, ყველაფერი გავიგე, — ბეჭებზე მოწითათუნა ხელი, — ნულარ შეიხვევთ.

— ცოტას არ დალევთ, ექიმო?

— ცოტასო? ბევრსაც დაეღვე. სადა გაქვთ?

— კარადაში. მისს ბარკლი გამოიღებს.

— თქვენი დღეგრძელობისა იყოს: თქვენ გავიმარჯოთ, მისს. რა მშვენიერი გოგოა! მე მოგიტანთ ამაზე კაი კონიაკს. — უღვაშები მოიწმინდა.

— როგორ ფიქრობთ, როდის შეიძლება ოპერაციის გაკეთება?

— ხვალ დილითვე. ხვალამდე არ იქნება. კუჭ-ნაწლავი უნდა გაისუფთაოთ. უნდა დაიბანოთ. თქვენს ბებრუხანას ვნახავ დაბლა და ყველაფერს ვეტყვი. ნახვამდის. ხვალ გნახავთ, ამაზე კაი კონიაკს მოგიტანთ. კარგად კი ხართ მოწყობილი. ნახვამდის. ხვალამდე. კარგად გამოიძინეთ. მე აღრიხანად მოვალ.

კარებში რომ გადიოდა, ხელი დამიჭინა, უღვაშები ზემოთ ჰქონდა აბზეკილი, გარუჯულ სახეზე ღიმილი გადაჰყენოდა. მკლავზე ქობაშემოვლებულა ვარსკვლავი ეკრა — მაიორი იყო.

თაზი XVI

იმ ღამით ღამურა შემოფრინდა ოთახში აივნის ღია კარებიდან, საიდანაც ჩვენ ქალაქის სახურავებზე ჩამოწოლილ ღამეს გაცეკვროდით. ოთახში ბნელოდა, მხოლოდ ღამის მკრთალი შუქი აღწევდა ქალაქიდან და ღამურა სულაც არ დამფრთხალა, ისე დასრიალებდა ჩვენს პალატაში, თითქოს გარეთ ყოფილიყოს. ვიწვექით და შევეყურებდით, ალბათ ვერ გვხვდავდა, რადგან გასუსული ვიყავით. როცა ისევე გაფრინდა გარეთ, პროექტორი აანთეს, ჩვენ შევეყურებდით პროექტორის სხივს, რომელიც ცასა სერავდა, მერე ჩააქრეს და ისევე სიბნელე ჩამოწვა. ღამით ქარი ამოიჭრა და მეზობელი სახლის სახურავიდან სახენიტო ზარბაზნების არტილერიისტა ლაპარაკი გაკვირვებდა. ციოდა და ლაბადები მოისხეს. უცებ ვიფიქრე, ამ შუალამეს არავინ შემოვიდეს-მეთქი, და ავწირილდი, მაგრამ ქეთრინმა მითხრა, ყველას სძინავსო. ერთი პირობა ჩაგვთვლიმა, და როცა გავიღვიძე, ქეთრინი აღარ იყო, დერეფანში გავიგონე მისი ფეხის ხმა. გააღო კარი, ლოგინში ჩამიწვა, და ფიქრი ნუ გაქვსო მითხრა — ქვემოთ ჩასულიყო, თურმე ყველას ეძინა. მისს ვან კამპენის კარებს მიაყურადა და გაიგონა, როგორ ფშვი-

ნაედა ძილში. ვალეტები ამოიტანა, ვილოღნებოდით და ვერმუსთ ვაყოლებდით. საშინლად გვემოდა, მაგრამ ქეთრინმა მითხრა, დილას მაინც ყველაფერი უნდა გამოგისუფთაოთო. რომ ინათლა, ისეე ჩამეძინა, ხოლო როცა გავიღვიძე, ქეთრინი უკვე წასულიყო. ჭორა და ლამაზი მეჩვენა, მოვიდა, ლოგინზე ჩამომიჯდა. მანამ მე თერომეტრი მქონდა გარკობილი პირში, მზეც ამოვიდა და ჩვენ ვიგრძენით სახურავეებზე დაფრქვეული ნამის სურნელი, მერე მეზობელი სახურავიდან არტილერისტთა ყავის სუნიც მოვიდა.

— ნეტა სასიეროდ გასელა შეგვეძლოს, — თქვა ქეთრინმა, — ბორბლებიანი სავარძელი რომ მოგვცა, მე თვითონ გაგიყვანდი.

— სკამზე როგორღა დაეჯდები?

— მოვახერხებდით როგორმე.

— პარკში გავიდოდით და სუფთა ჰაერზე ვისაუზნებდით, — შეღებული კარისკენ გავიხედე.

— მაგრამ ჯობს საქმეს მივხედოთ, — თქვა მან, — შენს მეგობარ ექიმ ვალენტინის მომზადებული უნდა დახედე.

— ხომ დიდებული კაცია?

— მე არ მომეწონა მაინცდამაინც. მაგრამ, ეტყობა, ძალიან კარგი ექიმი.

— კიდევ ჩამიწვი ლოგინში, ქეთრინ, გენაცვალე, — ვუთხარი მე.

— არ შემიძლია. ერთად არ ვიყავით მთელი ღამე?

— ამაღამაც შეგიძლია იმორიგო?

— ალბათ. ოღონდ შენ აღარ გეჭნება ჩემი თავი.

— კი მეჭნება.

— არა, არ გეჭნება. არ გამოგიცდია ოპერაცია და არ იცი, რა დღეში იქნები.

— მშვენივრად ვიქნები.

— გულის რევა დაგეწყება და აღარც გაგახსენდება.

— მაშ ახლა მოდი.

— არა, — თქვა მან, — ახლა შენს ტემპერატურას ჩაეხაზავ, გენაცვალე და ნერე უნდა მოგამზადო.

— ალბათ არ ვიყვარვარ, თორემ მოხვიდოდი.

— რა სულელი ხარ! — მაკოცა, — ჩახაზვასაც მოვრჩი. ერთხელაც არ აუწევია სიცხეს. მშვენიერი ტემპერატურა გაქვს.

— შენ კი ყველაფერი მშვენიერი გაქვს.

— ო რას ამბობ. მართლა მშვენიერი ტემპერატურა გაქვს. ვამაყოფ შენი ტემპერატურით.

— ალბათ ჩვენს შეილებსაც კარგი ტემპერატურა ექნებათ.

— მე კი მგონია, რომ საშინელი ტემპერატურა ექნებათ.

— მაინც, როგორ უნდა მომამზადო ვალენტინის დასახვედრად?

— ბევრი არაფერი უნდა, მაგრამ ძალიან უსიამოვნო საქმეა.

— ნეტა შენი ვასაკეთებელი არ იყოს!

— მე კიდევ პირიქით — არ მინდა, სხვამ დაგაკაროს ხელი. სულელი ვარ. გაეყოფდები, სხვა რომ შეგეხოს.

— ფერგიუსონსაც არ დაანებებ?

— ფერგიუსონს და გეიჯს მით უფრო, და იმას კიდევ, რა გვარია?

— უოკერი?

— ჰო. რაში სჭირდებათ ამდენი მოწყალეების და! დაჭრილები თუ არ მოიყვანეს, საღმე ვადაგვიყვანენ. უკვე ოთხი მეღდა ჰყავთ.

- ალბათ კიდეც მოიყვანენ. დიდი ჰოსპიტალია, მედღები სჭირდებათ.
 - ნეტა მართლა მოიყვანდნენ. რა მეშველება, აქედან რომ გადამიყვანონ.
- გადამიყვანენ კიდეც, დაჭრილები თუ არ მომემატნენ.
- მაშინ მეც წავალ.
 - რას სულელობ. შენი წასვლა როგორ იქნება. ოღონდ ჩქარა მორჩი, და ერთად წავიდეთ სადმე.
 - მერე?
 - მერე ომიც ვათავდება ალბათ. სულ ხომ არ იქნება?
 - მოვრჩები, — ვთქვი მე, — ვალენტინი მომარჩენს.
 - ამისთანა უღვაშა კაცი მოგარჩენს, აბა რას იზამს! ოღონდ, ეთერს რომ დაგაყნოსინებენ, გენაცვალე, ჩვენს სიყვარულზე არ იფიქრო, სხვა რამეზე იფიქრე. იმიტომ რომ, ათას რამეს წამოაბოლებენ ხოლმე ამ დროს.
 - მაშ რაზე ვიფიქრო?
 - რაზედაც გინდა. ოღონდ ჩვენზე ნუ იფიქრებ. შენს ახლობლებზე იფიქრე. თუნდაც ვინმე სხვა ვოგოზე.
 - არა.
 - თუ ეს არ გინდა, ილოცე. ყველას მოეწონება.
 - იქნებ სულაც არ წამოაბოდოს.
 - ვინ იცის, ზოგი სულაც არ აბოდებს.
 - მეც არ ვიბოდებ.
 - ნუ ტრაბახობ, გენაცვალე. შენი ჭირიმე, ნუ იტრაბახებ. ისეთი კარგი ხარ, რომ ტრაბახი არ გიხდება.
 - კრინტსაც არ დაეძრავ.
 - ისევ ტრაბახობ, გენაცვალე. ხომ იცი, რომ ტრაბახი არა გჭირდება, როცა გეტყვიან, ღრმად ისუნთქეო, მაშინვე ლოცვა წამოიწყე, ან ლექსი თქვი. ან სხვა რამე. კარგი ბიჭიც იქნები და მეც ვიამაყებ შენით, თუმცა, ისედაც ვამაყობ შენით. ისეთი მშვენიერი ტემპერატურა გაქვს და პატარა ბიჭოვით გძინავს, ბალიშზე გაქვს ხელი შემოხვეული და გგონია, რომ ეს ბალიში მე ვარ, თუ სხვა გგონია, ვინმე იტალიელი ეშხიანი ვოგო?
 - შენა მგონიხარ.
 - რა თქმა უნდა. ო, როგორ მიყვარხარ და ვალენტინიც ისე მოგიჩვენს მაგ ფეხს! კიდეც კარგი, რომ იმ დროს არ ვიქნები.
 - შენ ხომ ღამით იმორიგებ.
 - ჰო, მაგრამ შენთვის სულ ერთი იქნება.
 - აბა, ნახე.
 - აჰა, გენაცვალე. ახლა შიგნითაც და გარეთაც სულ გასუფთავებული ხარ. ერთი ეს მითხარი, სულ რამდენი ქალი გყვარებია?
 - არც ერთი.
 - არც მე?
 - შენ როგორ არა.
 - ჩემს გარდა კიდეც რამდენი?
 - არც ერთი.
 - ისე რამდენთან... როგორ ამბობთ ხოლმე?... რამდენთან ყოფილხარ?
 - არავისთანაც არა!
 - მატყუებ.
 - არა-მეთქი.



- კარგა შერები. მუდამ მომატყუე ხოლმე. ასე მირჩევნია. **ლამაზება იყვნენ?**
- არავისთანაც არ ვყოფილვარ.
 - აგრე. ძალიან მომხიბლავები იყვნენ?
 - არც კი ვიცი, რას მეკითხები.
 - სულ ჩემი ხარ. საკუთრივ ჩემი. და არავისი არ ყოფილხარ ჩემამდე. თუ-მცა რას დავეძებ, კიდევ რომ გყოლოდა ვინმე. არავისიც არ მეშინია. ოღონდ მე ნუ მიხსენებ. კაცი რომ ქალთან არის, როდის ეუბნება ის ქალი, რამდენი უნდა გადაიხადო?
 - არ ვიცი.
 - რა თქმა უნდა, არ იცი. მიყვარხარო არ ეფიცება? მითხარი, მაინტერესებს.
 - თუ კაცსაც ეამება, ეფიცება კიდევ.
 - კაცი თუ ეუბნება, მიყვარხარო? მითხარი, გენაცვალე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.
 - თუ მოეპრიანა, ეტყვის კიდევ.
 - შენ ხომ არასოდეს ვითქვამს? მართალი მითხარი.
 - არა.
 - მართლა არა? ნუ მომატყუებ.
 - არა, — ვიცრუე მე.
 - მართლაც არ იტყოდი, — თქვა მან, — ვიცი, რომ არ იტყოდი. ო, როგორ მიყვარხარ, გენაცვალე!
- შე უკვე ზემოდან დასცქეროდა სახურავეებს და მე დავინახე მზით გაბრწყინებული გუმბათები ტაძრისა. გასუფთავებული ვიყავი შიგნითაც და გარეთაც და ექიმს ველოდებოდი.
- მაშ ასე, არა? — თქვა ქეთრინმა, — რაც კაცს უნდა, ქალიც იმას ამბობს, არა?
- ყოველთვის არა.
 - მე კი მუდამ ასე ვიზამ. რაც შენ გაგიხარდება, იმას ვიტყვი, რაც შენ გესიამოვნება, იმას გავაკეთებ, და შენც სხვა აღარაფერს მოგინდება, ხომ? — გაბრწყინებული თვალებით შემომხედა. — რაც შენ მოგეგუნებება, იმას გავაკეთებ, რაც გენდომება, იმას ვიტყვი და მუდამ გეყვარები, ხომ?
 - ჰო.
 - ახლა ხომ მზად ხარ საოპერაციოდ, მითხარი, რა გესიამოვნება?
 - ისევ შოდი ჩემთან.
 - კარგი, მოვალ.
 - ო, ჩემო სიყვარულო, სიყვარულო, სიყვარულო, — ვთქვი მე.
 - ხომ ხედავ, რასაც კი მოისურვებ, ყველაფერს გავაკეთებ, — მითხრა მან.
 - შენ ჩემი ლამაზი გოგო ხარ.
 - ვაითუ არა ხარ ჯერ ჩემით კმაყოფილი!
 - ჩემი ლამაზი გოგო ხარ.
 - რასაც შენ მოისურვებ, მეც ის მინდა. მე უკვე აღარ ვარსებობ. რასაც შენ მოისურვებ!..
 - ჩემო საყვარელო.
 - მოგწონვარ? ხომ მოგწონვარ? სხვა ქალები ხომ აღარ გინდა?
 - არა.
 - ხომ ხედავ. მოგწონვარ. რაც კი მოგინდება, ყველაფერს გავაკეთებ.



თბერაციის შემდეგ რომ გავიღვიძე, ვნახე — არ გაემქრალვარ. საერთოდ არა ჰქრები თურმე ამ დროს. გახარობს მხოლოდ. სიკვდილს კი არა ჰგავს, გაზით დახარობასავით მოგდის, ისე რომ აღარაფერსა გრძნობ, მერე კი ასე გგონია ნამთვრალევი ვარო, ოღონდ ღებინების დროს ნალღველი ამოგდის ერთთავად, და შევბასაც არა გგვრის. საწოლის ბოლოში სილის პარკები დავინახე, რომლებიც თაბაშირაში გახვეულ ფეხებზე მქონდა მობჯენილი. რამდენიმე ხნის შემდეგ მისს გვიჯი შევნიშნე.

— როგორა ხართ? — მკითხა მან.

— უკეთ, — ვთქვი მე.

— პირდაპირ სასწაული დატრიალდა თქვენს მუხლზე.

— რამდენ ხანს მოუნდა?

— ორ საათ ნახევარს.

— რამე სისულელე ხომ არ წამომიროშავს?

— არაფერი. ნუ ლაპარაკობთ, წყნარად!

გული მერეოდა, ქეთრინი მართალი გამოდგა — ვისაც არ უნდა ემორიგნა ღამით, ჩემთვის სულ ერთი იყო.

ჩემს გარდა, კიდევ სამი ავადმყოფი იწვა ჰოსპიტალში. ერთი, წითელ ჯვარში მომუშავე, ციებიანი გაწლიკული ჯორჯიელი ბიჭი; ასევე გამხდარი ნიუიორელი კობტა ყმაწვილი, რომელსაც მალარიაც სჭირდა და სიყვითლაც, და, მესამე, მშვენიერი ჰაბუკი, რომელსაც ავსტრიული ყუმბარის საცობის სამახსოვროდ წაღება გადაეწყვიტა და თურმე მოძრაობა სცადა. ეს იყო შრანელი, რასაც ავსტრიელები მთებში ხმარობდნენ ხოლმე.

მოწყალეების დებს ძალიან შეუყვარდათ ქეთრინ ბარკლი, რადგან მზად იყო მთელი ღამეები ემორიგნა. მალარიან ხალხს ბევრი არა სჭირდებოდა რა, ყუმბარის ამფეთქებელი ყმაწვილი კი დაგვიმეგობრდა, და ძაან თუ არ გაუჭირდებოდა, ზარს არ დატეკავდა. ასე რომ, როგორც კი მოახელთებდა ქეთრინი, სულ ერთად ვიყავით. მეც ძალიან მიყვარდა და იმასაც ვუყვარდი. ვიძინებდი დღისით, ხოლო როცა არ გვეძინა, წერილებსა ვწერდით ერთმანეთს და ფერგიუსონის ვატანდით. მშვენიერი გოგო იყო ეს ფერგიუსონი. მისი თავგადასავლისა ბევრი არაფერი გამიგია — მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ერთი ძმა ორმოცდამეთორმეტე დივიზიაში ჰყავდა, მეორე — მესოპოტამიაში, და ქეთრინ ბარკლისთან ძალიან მეგობრულად იყო.

— ჩვენს ქორწილზე ხომ მოხვალთ, ფერგი? — ვკითხე ერთხელ.

— თქვენ არ დაქორწინდებით.

— დაგქორწინდებით.

— არა, არასოდეს.

— რატომ?

— დაქორწინებამდე იჩხუბებთ.

— ერთხელაც არ გვიჩხუბნია.

— მოესწრებით.

— არც ვიჩხუბებთ.

— მაშ მოკვდებით. ან იჩხუბებთ ან მოკვდებით. ყველას ასე მოსდის. და არავინ არ ქორწინდება.

ხელში ვწვდი.

— ხელი გამიშვით, — თქვა მან, — მე არა ვტირი. იქნებ კარგადაც დაგვირ-

გვინდეს თქვენი საქმე! ოღონდ გახსოვდეთ — ცუდი არაფერი შეამთხვიოთ. მას ვას რომ რამე მოუვიდეს, მოგვკლავთ.

— არაფერიც არ მოუვა.

— ვნახოთ. იმედი მაქვს ყველაფერი კარგად დატრიალდება. ახლა ხომ ტკბილადა ხართ?

— შესანიშნავად.

— ჰოდა ნურც წაიჩხუბებთ, ნურაფერ უსიამოვნებას ნუ მიაყენებთ.

— არასდიდებით.

— მაშ ესეც გახსოვდეთ — არ მინდა, რომ მერე ომის ბაღლები შეჩინეს ხელში.

— რა მშვენიერი გოგო ხართ, ფერგი!

— მშვენიერს რა მიგავს! ნუ მებირფერებთ. ფეხი როგორა გაქვთ?

— მშვენიერად.

— თავი? — ხელი დამადო კეთაზე. ასე გეგონებოდათ, დაბუყებულ ფეხზე შეგახეს ხელიო.

— თავს სულაც არ შევეუწუხებოვარ.

— ამისთანა კოპმა კაცი შეიძლება გამოათაყვანოს კიდევ. სულ არ გაწუხებთ?

— არა.

— იღბლიანი კაცი ხართ. წერილი მზადა გაქვთ? დაბლა ჩავდივარ.

— აჰა, წერილი.

— უთხარით, რომ ღამის მორიგეობას ცოტა ხანს თავი დაანებოს. ძალიან იჭანება.

— კარგი, ვეტყვი.

— შე ვიმორიგებდი, მაგრამ არ მანებებს. სხვებს უხარიათ, ეს რომ მორიგეობს იმათ მაგივრად, ცოტა ხანი უნდა დაასვენოთ.

— ძალიან კარგი.

— მისს ვან კამპენმა უკვე დაიწყო თქვენზე ჯუჯღუნის, შუადღემდე სძინავსო.

— მაგისგან არც მიკვირს.

— კარგი იქნება, როგორმე აიძულოთ და ამ ერთხანს არ ამორიგოთ დამლამობით.

— მეც ეს მინდა.

— რაში გეტყობათ. მაგრამ თუ მართლა დაიყოლიებთ, თქვენი პატივისმცემელი ვიქნები.

— უსათუოდ დავიყოლიებ.

— არა მჯერა. — ბარათი წაიღო და გავიდა. ხარი დავრეკე, მალე მისს გეოჯი შემოვიდა.

— რამე გინდოდათ?

— თქვენთან ლაპარაკი მინდოდა. როგორ გგონიათ, მისს ბარკლიმ ცოტა ხნით არ უნდა დაანებოს თავი ღამით მორიგეობას? ძალიან დაიღალა. მაინც რატომ შეხვდა ამდენი ხნით ღამის მორიგეობა?!

მისს გეიჯმა შემომხვდა.

— მე ხომ თქვენი მეგობარი ვარ, — მითხრა მან, — რაში გვირდებათ ჩემთან ამისთანა ლაპარაკი!

— ვერ გავიგე, რას ამბობთ.

— თავს ნუ ისუღელლებთ. განა თქვენ თვითონ არ გინდოდათ ეს?!



- ვერმუთს არ დალევეთ?
 - რატომაც არა. და წაველ კიდევ, — კარადიდან ბოთლი გამოიღო და ჭიქა მოიტანა.
 - თქვენ ჭიქა აიღეთ, — ეუთხარო მე, — მე კი ბოთლით მოვსვამ.
 - თქვენ გაგიმარჯოთ! — თქვა მისს გეოგმა.
 - რაო მისს ვან კამპენმა, დილით გვიან იღვიძებდნო?!
 - აღარ გაათავა ჯუჯღუნო. ჩვენს პრივილეგიურ პაციენტს გეძახით.
 - ჯანდაბამდის გზა ჰქონია!
 - ცული ქალი კი არ არის, — თქვა მისს გეიგმა, — ბებერია და ბუზღუნა. თქვენ თავიდანვე არ მოეწონეთ.
 - ჰო.
 - მე კი მომწონხართ. და მეგობრადაც მიგულეთ. არ დაგავიწყდეთ.
 - ძალიან კარგი გოგო ხართ.
 - არა. კარგი ვინც არის, ვიცი. მაგრამ მე თქვენი მეგობარი ვარ. ფეხი როგორა გაქვთ?
 - მშვენივრად.
 - მინერალურ წყალს მოვიტან და დაგასხამთ, ალბათ გექავებათ თაბაშირის ქვეშ. გარეთ ცხელა.
 - დიდებულნი გოგო ხართ.
 - ძალიან გექავებათ?
 - არა. მშვენივრად მაქვს.
 - სილის პარკებს გაგისწორებთ, — თქვა მან, — მე თქვენი მეგობარი ვარ.
 - ვიცი.
 - არაფერიც არ იცით. მაგრამ გაიგებთ, როცა იქნება.
- სამ ღამეს აღარ უშორიგნია ქეთრინ ბარკლის, და მერე ისევ მოვიდა. თითქოს დიდი მოგზაურობის შემდეგ შეეხვედროდეთ ერთმანეთს.

თავი XVIII

დიდებულნი იყო ის ზაფხული. ფეხზე წამოდგომა რომ შევიძელი, ჩავსხდებოდით ხოლმე ეტლში და ბაღში გავისეირნებდით. მახსოვს ის ეტლი, ზანტად მავალი ცხენი, კოფოზე წამომჯდარი მეეტლის ზურგი და პრიალა ცილინდრი. და ჩემს გვერდზე მჯდარი ქეთრინ ბარკლი. ხელი თუ მოგვიხდებოდა ერთმანეთისთვის. — ოღნავაც რომ გავკვროდა ჩემი ხელი მისას, — მაშინვე ვინთებოდით. მერე და მერე ყავარჯენზე რომ შევედექი, სადილად ბიფიში დავდიოდით ან გრან იტალიაში და გარეთ ვაშლეივნებდით სუფრას. ოფიციანტები შედიოდნენ და გამოდიოდნენ, გამელელებიც მიდი-მოდიოდნენ. სუფრაზე შეუქფარიანი სანთლები იდგა, ბოლოს გადავწყვიტეთ, ყველას გრან იტალია სჯობსო, და ჯორჯიც. — იქაური მეტროპოლიტი, — მუდამ გვინახავდა მაგიდას. კარგი ოფიციანტი იყო და კერძების შერჩევას მასვე ვანდობდით, ჩვენ კი ვისხედით და შევეყურებდით ხალხს, ბინდბუნდში ჩაძირულ გალერეას და ერთმანეთს. ესეამდით ყინულიან ვედროში ჩაციებულ მშრალ თეთრ კაპრის, თუმცა აღრე სხვაც ბევრი ღვინო გავსინჯეთ — ფრეზა, ბარბერა და ტუპილი თეთრი ღვინოები. ომიანობის გამო, ღვინოს ოფიციანტები არა ჰყოლიათ რესტორანში და ჯორჯი მორცხვად გაიღიმებდა ხოლმე, ფრეზისნაირ ღვინოს რომ მოვითხოვდით.

— აბა რა უნდა იყოს ის ქვეყანა, საცა ღვინოს ხენდროს გემო აქვს?! — თქვა მან.

— ვითომ რატომ არა? — იკითხა ქეთრინმა, — მშვენივრადა ეღერს.

— თქვენ თუ გნებავთ, გასინჯეთ, ქალბატონო, — უთხრა ჯორჯმა, რომ ნება მომეცით, ტენენტსთვის ერთი ბოთლი მარგო წამოვიღო.

— მეც გაესინჯავ, ჯორჯ.

— ვერ გირჩევთ, სერ. ხენდროს გემოც კი არა აქვს.

— იქნებ ჰქონდეს, — თქვა ქეთრინმა, — და დიდებულაც იქნება.

— მაშ მოვიტან, — გვითხრა ჯორჯმა, — და ქალბატონი რომ გასინჯავს, უკანვე წავიღებ.

ვერაფერიშვილი ღვინო გამოდგა. ჯორჯისა არ იყოს, ხენდროს გემოც კი არა ჰქონდა. ისევე კაპრის დაუფბრუნდით. ერთხელ ფული მიჭირდა და ქესატად ვიყავი და ჯორჯს ვესესხე ასი ლირა.

— მერე რა მოხდა, — თქვა ჯორჯმა, — ეგ რა გასაკვირია, ფული ვის არ შემოკლებია. თუ კი დაგჭირდეთ ან თქვენ, ან ქალბატონს, მე ყოველთვის გიშოვით...

ნასადილევს გაღერისას დაუწყებოდით, ჩაუვლიდით ხოლმე სხვა რესტორნებსა და რკინის ფარდანამოშვებულ მაღაზიებს და პატარა ფარდულთან შეეჩერდებოდით, საცა სენდვიჩებს ჰყიდდნენ — ლორისა და სალათის სენდვიჩი, თითის სიგრძე დაბრაწულ ფუნთუშებზე დაწყობილი სარდალა-პალუხი... თან მიგვექონდა და ღამით ექამდით ხოლმე, როცა მოგვევიდებოდა. მერე გაღერისას შესასვლელთან, ტაძრის პირდაპირ, ღია ეტლში ჩავსხდებოდით და ჰოსპიტლისკენ გავაწევდით. ჰოსპიტლის კარებთან შევიცარი გამოვიდოდა და ასვლას მშველოდა. მეეტლეს გასამრჯელოს გადავუხდადი და ლიფტით ავიდოდით. ქეთრინი ადრე გამოვიდოდა ლიფტიდან, საცა მედღები ცხოვრობდნენ, მე კი სულ მაღლა ავიდოდი და ჩემი ყავარჯნებით დერეფანს დაუწყებოდი. ხან მაშინვე გავიხდიდი და ლოგინში ჩაეწებოდი, ხანაც აივანზე გავიდოდი, ფეხს მეორე სკამზე ჩამოვდებდი და, ქეთრინის მოლოდინში, სახურავების თავზე მოსრიალე მერცხლებს შევეუბნებდი. ქეთრინი რომ მოვიდოდა, ასე მეგონა დიდი ხნია მგზავრობიდან დაბრუნდა-მეთქი, ყავარჯნებზე შეეღებოდი, ხელში ბადიებს დაეიჭერდი და დერეფანში გავაყვებოდი; მანამ ავადმყოფებთან მოითაყებდა თავის საქმეს, კარებთან ველოდებოდი, ზოგჯერ შიგაც შეეყვებოდი, — ეს იმანზე იყო დამოკიდებული, მეგობრობა გვექონდა ამ ავადმყოფთან თუ არა. საქმეს რომ მორჩებოდა, ჩემი ოთახის აივანზე დაესხდებოდით. მერე მე ლოგინში ჩაეწებოდი, ხოლო როცა ყველა დაიძინებდა და ქეთრინიც დარწმუნდებოდა, ადარავინ დამიძახებდესო, ისიც მოვიდოდა. თმის ჩამოშლა მიყვარდა მისთვის, ის კი გაუნძრევლად იჯდა ლოგინზე, ზოგჯერ გადმოიხრებოდა ხოლმე ერთბაშად, მანამ მისი თმების ჩამოშლაში ვიყავი გართული, და მაკოცებდა; მე თმის სარქებს დაეაძრობდი, ზეწარზე დავყრიდი, და შეეყურებდი წყნარად მჯდომარეს, თმა ჩამოშლაზე ჰქონდა; ბოლოს ორ უკანასკნელ სარქსაც გამოვადრობდი და სულ ჩამოიშლებოდა, მაშინ თავს დამადებდა და თმები ერთიანად დაგვფარავდა. თითქოს კარავში ვყოფილიყავით შეყუჟულნი, ან ჩანჩქერში მოვხვედრილიყავით.

საოცრად ღამაში თმა ჰქონდა. ზოგჯერ ვიწექი და თვალს ვერ ვამორებდი — როგორ იწნავდა გაღებულ კარებიდან შემოსულ სინათლეზე, და ღამი-თაც კი ისე უბრწყინავდა თმა, როგორც მდინარე აელეარდება განთიადის მოახლოებისას, დიდებული სახე და ტანი ჰქონდა და ასევე დიდებული და საოცრად რბილი კანი. ვიწექით ერთად და თითს ხან დაწვევსა და შებლზე ვუცაცუნებდი, ხან თვალის უბებზე, ხან ნიკაპსა და ყელზე, თანკი ვამბობდი — „ჭოი...

როგორ რომაელის კლავიშებივით სრიალებს!“ ახლა ისიც მომისვამდა ხელს ნიკაპზე და იტყოდა, „პირდაპირ ზუმიფარის ქაღალდით სრიალა, რომაელის კლავიშებზე თუ გადაატარებ“.

— გჩხვლეთაეს?

— არა გენაცვალე, ისე დაგცინე.

დიდებული იყო ის ღამეები, და ერთმანეთის უბრალო შეხებითაც კი ბედნიერები ვიყავით. ბეგრ დიდ სიხარულთან ერთად, მრავალი პატარა-პატარა ამბებით გამოვბატავდით სიყვარულს და სხვადასხვა ოთახში რომ ვიყავით, ვცდილობდით, ჩვენი ფიქრი შთაგვეგონებინა ერთმანეთისათვის. ზოგჯერ მართლაც აგვიხდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ერთნაირი საფიქრალი გვექონდა.

ერთმანეთს ვეტყოდით ხოლმე — ქეთრინი რომ მოვიდა, სწორედ იმ დღეს ვიქორწინეთო, და ვითვლიდით, რამდენი თვე გავიდა ჩვენი ჯვრისწერიდან. მართლაც მინდოდა ჯვარის დაწერა, მაგრამ ქეთრინი ამბობდა, ახლა ჩვენ რომ ვიქორწინოთ, აიღებენ და სადმე გადაიყვანენ; უბრალო ფორმალობას გამოვეკიდებით და ერთმანეთს კი დავშორდებითო. თუ ვიქორწინებდით, იტალიური კანონების მიხედვით უნდა გვექორწინა, ამას კი საშინელი ფორმალობა სჭირდებოდა. არადა, ბავშვზე ფიქრი მაწუხებდა და უმთავრესად სწორედ ამიტომ მინდოდა ჯვრის დაწერა; მაგრამ ჩვენ მაინც დაქორწინებულებად მიგვაჩნდა თავი და დიდად აღარც შეეწუხებულვართ, გულში მიხაროდა კიდევ, რომ ჯვარდანიწერები არ ვიყავით. მახსოვს, ერთხელ ღამით ამაზე ვლაპარაკობდით და ქეთრინმა მითხრა — „აქ აღარ გამაჩერებენ, გენაცვალე“.

— იქნებ გაგაჩერონ.

— არ გამაჩერებენ. შინ დამითხოვენ და ომის გათავებამდე ვეღარც ვნახავთ ერთმანეთს.

— შეებულებით ჩამოვალ.

— შეებულება შოტლანდიაში ჩასვლა-დაბრუნებას მოუწდება. ეგეც რომ არ იყოს, ვერ მიგატოვებ. რა ყრია მაგ ჯვრისწერაში? ისედაც ჯვარდაწერილები არა ვართ?! მეორედ ხომ არ უნდა მოგთხოვდე?!

— მე შენთვის მინდოდა.

— მორჩა, „მე“ და „შენ“ აღარ არსებობს. მე და შენ უკვე ერთი ვართ. რამ გაგვყო?

— მე მეგონა, ქალებს ყოველთვის დაქორწინება უნდოდათ!

— უნდათ კიდევ. მაგრამ ჩვენ ხომ დაქორწინებულები ვართ. მე შენი ცოლი ვარ. არა ვარ კარგი ცოლი?

— დიდებული ცოლი ხარ.

— ხომ ხედავ, გენაცვალე, მე ერთხელ უკვე გამოვცადე, რაც ყოფილა ჯვრისწერის ლოდინი.

— მაგას ნულარ გავიხსენებთ.

— ხომ იცი, რომ შენს მეტი არავინ მიყვარს. რაში გენაღვლება, ვინმეს თუ ვუყვარდი!

— თუკი შენაღვლება!

— ნეტა რა გაქვს საეჭიანო — შენ ყველაფერი მიიღე. ის კი მკვდარია.

— ჰო, მაგრამ მაინც არ მინდა გახსენება.

— საბრალო ბიჭი! მე ხომ ვიცი, რომ ყოველნაირ ქალთან ყოფილხარ. რატომ მე არ მაწუხებს.

— არ შეიძლება, საიდუმლოდ ვიქორწინოთ? ვაითუ რამე მომივიდეს, ან ბავშვი გაგინდეს...

— ან ეკლესიაში უნდა იქორწინო, ან სამოქალაქო კანონების მიხედვით. საიდუმლოდ ჩვენ უკვე ვიქორწინეთ. მორწმუნე რომ ვიყო, მაშინ რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამას ჩემთვის. მაგრამ მე ხომ მორწმუნე არა ვარ.

— წმიდა ანტონი შენ არ მომეცი!

— ეს ბედისწერის საქმე იყო. მეც ვილაცამ მომეცა.

— მაშ შენ არაფერი გაწუხებს?

— შენთან დამორების მეტი არაფერი. შენა ხარ ჩემი სარწმუნოება. შენა ხარ ჩემი ყველაფერი.

— ძალიან კარგი. როცა მეტყვი, მაშინ ვიქორწინოთ.

— ისე ლაპარაკობ, გენაცვალე, თითქოს ცდილობდე, პატიოსანი ქალი გამომიყვანო. მე პატიოსანი ქალი ვარ. თუკი მართლა ბედნიერი ხარ და ამჯობ ჩემით, ეს არაფერი საშარცხვინო არ არის. ხომ ბედნიერი ხარ?

— თუ არ მიმატოვებ და სხვას არ გაყვები.

— არა, გენაცვალე. არასოდეს არ მიგატოვებ და არც არავისთან წავალ. ასე მგონია, ყოველგვარი საშინელება დაგვატყდება—მეტი თავს, მაგრამ შენ ეს ნუ შეგაწუხებს.

— არც მაწუხებს. მაგრამ მე გაგიყვებით მიყვარხარ, შენ კი აღრე სხვა ვიყვარდა.

— მერე რა მოუვიდა იმას?

— მოკვდა.

— რომ არ მომკვდარიყო, შენ არც შეგხვდებოდი; მე მოლაღატე არა ვარ, გენაცვალე. ათასი ნაკლი მაქვს, მაგრამ ძალიან ერთგული ვარ, თავსაც კი მოგაბეზრებ ჩემი ერთგულებით.

— მალე ფრონტზე უნდა დადბრუნდე.

— რაღა წინასწარ მოვიწამლოთ ფიქრი! ხომ ხედავ, რა ბედნიერი ვარ, გენაცვალე, დროსაც დიდებულად ვატარებთ. დანატრულებული ვიყავი ბედნიერებას და შენ რომ შეგხვდი, ლამის ჭკუა დავეკარგე. ლამის კი არა, აღბათ მართლაც დავეკარგე ჭკუა. მაგრამ ახლა ხომ ბედნიერები ვართ და ერთმანეთი გვიყვარს. რაღას ვიშხამავთ ამ ბედნიერებას. ხომ ბედნიერი ხარ, ხომ? იქნებ რამე არ მოგწონს ჩემი? რითი გაგახარო? გინდა თმა ჩამოვიშალო? გინდა მეთამაშო?

— მინდა, და მოდი დაწეკი.

— ახლავე. ჯერ ავადმყოფები ვნახო.

თავი XIX

ასე გადიოდა საფხული. გამორჩეულად არ მახსოვს, რა დღეს რა მოხდა, საერთოდ კი ცხელოდა და გაზეთები გამარჯვებებით იყო გადაჭრელებული. ძალიან ჯანმრთელი ვიყავი და ჭრილობები მალე შემიხორცდა; ყავარჯენზე შედგომიდან დიდი ხანი არ გასულიყო, რომ ყავარჯენიც გადავაგდე და ჯოხი დავიჭირე. მერე მუხლის მოსაბრელად Ospedale Maggiore-ში დავიწყე მკურნალობა—მექანოთერაპია, იოსფერი სხივები, მასაჟი და აბაზანები. წასადილევს დავდიოდი ხოლმე, მერე კი კაფეში შევივლიდი, ესვამდი, და გაზეთებს ვკითხულობდი. ქალაქში არ დავებეტებოდი: კაფედან პირდაპირ ჰოსპიტლისკენ მიმიწევდა გული. ერთადერთი ჩემი სურვილი ქეთრინის ნახვა იყო. ვცდილობდი, როგორმე მომეკლა დანარჩენი დრო. დილით, უფრო ხშირად, მეძინა ხოლმე.

ნასადილევს კი, ზოგჯერ დოღზე წაეიდოდი და იქიდან მერე მექანოთერაპიაზე. ხანდახან ინგლისურ-ამერიკულ კლუბშიაც შეველოდი, ფანჯარასთან ტყავის დიდ სავარძელში ჩაჯდებოდი და ეურნალებს ვკითხულობდი. ყავარჯნები რომ გადავაგდე, მას შემდეგ ჩვენი ერთად გამოსვლა აღარ იქნებოდა: მელდისათვის უხერხული იყო მარტოდმარტო სიარული ისეთ ავადმყოფთან, ვისაც გარეგნულად არავითარი დახმარება არა სჭირდებოდა. ასე რომ ნაშუადღევს იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. თუმცა ხანდახან მაინც ვახერხებდით სადმე ერთად სადღის, როცა ფერგიუსონიც გამოგვეყვებოდა. მისს ვან კამპენი შეურთავდა იმას, რომ ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით, რადგან ქეთრინი ძალიან შეელოდა საქმეში. ვარაუდობდა, ძალიან კარგი ოჯახიშვილი არის ქეთრინო, და ამან მოუბრუნა მისკენ გული. ოჯახიშვილობას დიდ ყურადღებას აქცევდა, თვითონაც გამოჩენილი გვარიშვილი იყო. თანაც, იმდენი საქმე ჰქონდა ჰოსპიტალში, რომ ვეღარ იცლიდა. ცხელი ზაფხული იყო და ბევრი ნაცნობი იყავდა მილანში, მაგრამ შებინდებოდა თუ არა, ჰოსპიტლისკენ მივეშურებოდი. ფრონტი კარსოსკენ მიიწევდა, პლავის გაღმა კუკი აიღეს და ახლა ბაინზიცას პლატოს უტევდნენ. დასავლეთის ფრონტზე ასე კარგად ვერ იყო საქმე. ეტყობოდა, დიდხანს გაქიანურდებოდა ომი. ჩვენც ვიყავით უკვე ჩაბმული ომში, მაგრამ, ჩემის აზრით, კიდევ ერთი წელი იქნებოდა საქირო, მანამ საქმეო ჯარს გადმოვიყვანდით და საომრად გავწვრთნიდით. მომავალ წელს ცუდი პირი უჩანდა, თუნცა იქნებ კარგადაც დატრიალებულიყო საქმე. იტალიის არმიამ აურაცხელი ხალხი დაჰკარგა. ვერ წარმომედგინა — ასე როგორ უნდა ვაგრძელებულიყო. თუნდა სულ დაეპყროთ ბაინზიცის პლატო და მონტ სან გაბრიელი, იმათ უკან კიდევ რამდენი მთა რჩებოდათ ავსტრიელებს! მე ვხედავდი ამ მთებს. უმაღლესი მწვერვალები სულ იმათ ეპყრათ. კარსოს მიმართულებით, მართალია, წინ მიიწევდნენ, მაგრამ დაბლა, ზღვის გაყოლებაზე სულ ჭაობი და ჭყანტობი იყო. ნაპოლეონი ვაეზე ერთიანად გაანადგურებდა ავსტრიელებს, მთებში კი არასდიდებოდა არ გაუმართავდა ბრძოლას. დაბლა ჩამოიტყუებდა და ვერონასთან გაანადგურებდა. დასავლეთის ფრონტზე არავინ არავის არ ანადგურებდა. ეტყობა, არც ერთი მხარე არ გამოდის ომიდან გამარჯვებული. იქნებ სულაც არ გათავდეს. იქნებ ეს მეორე ასწლიანი ომი გამოდგეს. გაზეთი ისევე თაროზე დავდე და კლუბიდან გამოვედი. ფრთხილად დავეშვი კიბეებზე და ვია მანცონისკენ დავუყვები. გრან ოტელთან მოხუც მეიერსსა და მის ცოლს შევხვდი, დოლიდან დაბრუნებულები, ეტლიდან გადმოდიოდნენ. ქალს მკერდი გამომბერილი ჰქონდა და შავი სტავრის კაბა ეცვა. მოხუცი კაცი დაბალი იყო, უღვაშები გათვარებოდა და ძლივს დაცოცავდა ჯოხით.

- როგორა ხართ? როგორ გიკითხოთ? — ქალმა ხელი ჩამომართვა.
- ჰელო! — მომმართა მეიერსმა.
- როგორი დოღი იყო?
- მშვენიერი. მართლაც რომ დიდებული. სამჯერ მოვიგე.
- თქვენი საქმეები როგორაა? — ვკითხე მეიერსს.
- კარგად. ერთი მოვიგე.
- მაგის საქმეებისა მისდღემში არაფერი ვიცი, — თქვა მისის მეიერსმა, — ერთხელაც არ მეტყვის.
- კარგად არის, — თქვა მეიერსმა. ცდილობდა გულითადი ყოფილიყო. — თქვენც უნდა წამოხვიდეთ დოღზე. — ლაპარაკის დროს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თითქოს თქვენ არც გიყურებდათ, ანდა სხვა ვინმე ეგონეთ.
- უსათუოდ წამოვალ, — ვუთხარი მე.

— პოსპიტალში მოგინახულებთ, — მითხრა მისის მეიერსმა, — რაღაც უნდა მოვეტანო ჩემს ბიჭუნებს. თქვენ ხომ ჩემი ბიჭუნები ხართ. ჩემი კარგი ბიჭუნები.

— ძალიან გაეხარდებათ თქვენი ნახვა.

— კარგი ბიჭები არიან. თქვენც კარგი ხართ. თქვენც იმათსავეთ მიყვარხართ.

— ახლა უნდა დავბრუნდე, — ვთქვი მე.

— სიყვარულით მომიკითხე ჩემი ბიჭუნები. ბევრი რამეები მაქვს მოსატანი. საუცხოო მარსალა და ნამცხვრები.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ვთქვი მე, — ძალიან გაეხარდებათ თქვენი ნახვა.

— კარგად იყავით, — მითხრა მეიერსმა, — შემოიარეთ ხოლმე გალერიაში. ჩემი მავიდა იცით, სადაც დგას. მუდამდღე იქა ვართ. — ზევით აუყუციე ქუჩას. ქეთრინისთვის რამე მინდოდა მეყიდნა კოვაში. შოკოლადის კოლოფი ვიყიდე და მანამ გოგონა ქალაქში მიხვევდა, მე დახლს მივადექი, ორი ინგლისელი და რამდენიმე მფრინავი იჯდა იქა. მარტინი შევეცი, მარტოკამ, ფული გადავიხადე, კოლოფი გამოვართვი გოგონას, გამოვბრუნდი და პოსპიტლისკენ გამოვსწიე. ლა სკალას შესახვევთან, პატარა ბარის წინ ნაცნობები შევნიშნე — ვიციკონსული, ორი ყმაწვილი კაცი, რომლებიც სიმღერას სწავლობდნენ და ეტორე მორეტი, სან ფრანცისკოელი იტალიელი, რომელიც ახლა იტალიის არმი-აში მსახურობდა. მეც მათ შევეუბრთდი და დავლიეთ. ერთ-ერთ მომღერალს რაღვე სიმონსი ერქვა, მაგრამ სცენაზე ენრიკო დელ კრედოს გვართ გამოდიოდა. როგორ მღეროდა, არ ვიცი, მაგრამ მუდამ ფაციფუცობდა და რაღაც დიდი ამბების მოლოდინში იყო. მსუქანი ვახლდით და პირისახე მაღაზიაში ნადები საქონელივით გამოხუნებოდა, ასე გვეგონებოდა, თივის ციება სჭირსო. პიაჩენციდან ახლაზან დაბრუნებულნიყო. «ტოსკაში» ემღერა თურმე იქა და დიდებულადაც.

— თქვენ კი ერთხელაც არ მოგისმენიათ ჩემი სიმღერა.

— აქ როდის იმღერებთ?

— შემოდგომაზე ლა სკალაში გამოვალ.

— სანაძღვოს ჩამოვალ, რომ სკამებს ესვრიან, — თქვა ეტორემ, — არ გავივიათ, როგორ დაუშინეს მოდენაში სკამები?

— მტნარი სიცრუეა.

— დაუშინეს და დაუშინეს. იქ არ ვიყავი! მეც ვესროლე ბარე ექვსი სკამი.

— ფრისკოელი ვოპი ხარ!

— იტალიურს ამტერვებს, — განაგრძო ეტორემ, — საცა არ უნდა გამოვიდეს, ყველგან სკამებს ესვრიან.

— პიაჩენცის თეატრისთანა საძაგლობას მთელს ჩრდილო იტალიაში ვერაფერს ნახავ, — თქვა მეორე ტენორმა, — თუ დამიჯერებთ, ერთი უზადრუკი ქონია და მეტი არაფერი. — ამ ტენორს ედგარ საუნდერსი ერქვა, და სცენაზე ედუარდო ჯიოვანის გვართ გამოდიოდა.

— ნეტა იქ ვყოფილიყავი და მენახა, როგორ გესროდნენ სკამებს, — თქვა ეტორემ, — თქვენ ხომ იტალიურად ვერა მღერით.

— ჩერჩეტი არ არის! — თქვა ედგარ საუნდერსმა, — სკამების დაშენის მეტი ვედარაფერი მოუგონია.

— თქვენ რომ გამოიძახართ სცენაზე, ხალხს მეტი მართლაც ვედარაფერი მოუგონია, — თქვა ეტორემ, — მერე ჩახვალთ ამერიკაში და ყურებს უქედავთ

ყველას — ლა სკალაში ტრიუმფით მიგვიღესო. პირველივე ნოტის შემდეგ გამოგადგებენ ლა სკალადან.

— მე ვმღერი ლა სკალაში, — თქვა სიმონსმა, — ოქტომბერში „ტოსკაში“ გამოვდივარ.

— თუ ასეა, ჩვენც ხომ უნდა წავიდეთ, მა? — მიმართა ეტორემ ვიცი კონსულს, — დამცველები დასჭირდებათ.

— იქნებ ამერიკული არმია მივიდეს და დაიკვას, — თქვა ვიცეკონსულმა, — მეტს აღარ დაღვე, სიმონს? შენ არ დაღვე, საუნდერს?

— მოიტა, — უთხრა საუნდერსმა.

— თქვენზე ამბობენ, ვერცხლის მედალს აძლევენო, — მითხრა ეტორემ, — როგორ წარგადგინეს, რა დამსახურებისათვის?

— მე თვითონ არ ვიცი. არც ის ვიცი, მაძლევენ თუ არა.

— უსათუოდ მიიღებთ. ჰოი, ბიჭო, რა მამაიცი ეგონებით კოველ გოგონებს! იფიქრებენ, ორასი ავსტრიელი ეყოლება მოკლული, ან არა და მთელს სანგარს ტყვედ ჩაიგდებდაო. მართალი თუ გინდათ, ჩემი ჯილდოები ძალიან გამომადგა.

— რამდენი ჯილდო მიიღე, ეტორე? — ჰკითხა ვიცეკონსულმა.

— რაც კი ჯილდო არსებობს, — მიუგო სიმონსმა, — ომი მაგისთვის მოუგონიათ.

— ორჯერ ბრინჯაოზე წარმადგინეს და სამჯერ ვერცხლზე, — თქვა ეტორემ, — მიღებით კი მხოლოდ ერთი მივიღე.

— სხვები სადღა დაიკარგა? — ჰკითხა სიმონსმა.

— ოპერაცია ვერ დამთავრდა წარმატებით, — მიუგო ეტორემ, — ოპერაცია თუ ჩაიშალა, მეღლებს აღარ იმეტებენ.

— რამდენჯერ დაიჭერი, ეტორე?

— სამჯერ დავიჭერი მძიმედ. სამი ჭრილობის ზოლი მაქვს, ხედავთ? — სახელო მოატრიალა. შავ ფონზე ვერცხლისფერი პარალელური ზოლები ჰქონდა ამოჭარგული, მხრიდან რვა გოჯით დაბლა.

— შენც ხომ გაქვს ერთი — მომიბრუნდა ეტორე, — მართალი თუ გინდათ, ძალიან კაი საქმეა ეს ზოლები. მეღლებსაც მირჩვენია. რას ამბობ, ბიჭო, სამი ასეთი ზოლი. ხუმრობა საქმეა! ჯერ მართო ერთის მისაღებად ისეთი ჭრილობა უნდა გქონდეს, რომ სამი თვე ჰოსპიტალში იწვევ.

— ჭრილობა სადა გაქვს, ეტორე? — ჰკითხა ვიცეკონსულმა.

ეტორემ სახელო აიწია.

— აი, — ღრმა, წითელი ნაიარევი გვიჩვენა. — ერთიე ფეხზე, მაგრამ ახლა ვერ გაჩვენებთ, ჯერ არ შემისხნია. და ტერფში. ძვალი დამიღმა ფეხში და ახლაც ყარს. ყოველ დილას ვიჩიჩქნი და ამომაქვს ხოლმე ნამცეცები, და ერთ-თავად ყარს.

— რითი დაგჭრეს? — ჰკითხა სიმონსმა.

— ხელყუმბართ. კარტოფილის საბეგვავს რომ ჰვავს. ნახევარი ფეხი სულ ჩამომაკალა. კარტოფილის საბეგვავეი ხომ გინახავთ? — მე მომიბრუნდა. —

— რა თქმა უნდა.

— დავინახე კიდევ, როგორ ისროლა ძაღლიშვილმა, — თქვა ეტორემ, — მაშინვე დამანარტხა მიწაზე, და გავთავდი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი შეიღია ეს კარტოფილის საბეგვავეი. გადმოვიღე თოფი და იქვე გავავორე ის ძაღლისშვილი თოფი მუღამ თან დამაქვს, ოფიცერი არ გეგონო-მეთქი.



- შესახებდავად რა კაცი იყო? — ჰკითხა სიმონსმა.
- ეს ერთიდა ჰქონდა, — თქვა ეტორემ, — ვერ გამოვიცა, რატომ მესროლა. მგონი, ერთი სული ჰქონდა, მანამ ისროდა. ნამდვილი ბრძოლა ალბათ არც ეხება. იქვე გავაგორე ძაღლიშვილი.
- რომ ესროლე, მაშინ რა სახე ჰქონდა? — ჰკითხა სიმონსმა.
- საიდან მეტოდინება, — მიუგო ეტორემ, — მუცელში მოვარტყი. თავში რომ დაეშვინო, ვაითუ ვერ მოვახვედრო-მეთქი.
- რამდენი ხანია, ოფიცერი ხარ, ეტორე? — ვკითხე მე.
- ორი წელია. ახლა კაპიტნობას ველი. შენ კი რამდენი ხანია, ლეიტენანტი ხარ?
- მესამე წელიწადია.
- კაპიტნობას ვერც ეღირსები, იმიტომ რომ იტალიური არ იცი ხეირიანად, — თქვა ეტორემ, — ლაპარაკს კი ახერხებ, მაგრამ წერა და კითხვა არ იცი კარგად. კაპიტნობას განათლება სჭირდება. რატომ ამერიკულ არმიაში არ გადახვალ?
- იქნებ გადავიდე კიდევ.
- ნეტა, მეც გადამიყვანა! პოი, ბიჭო! ღმერთო. რამდენს იღებს, მაკ, ამერიკელი კაპიტანი?
- დანამდვილებით ვერ გეტყვი, ისე კი, მე მგონი, ორას ორმოცდაათ დოლარს.
- ო, იესო მაცხოვარო, ორას ორმოცდაათი დოლარით რას არ ვიზამ. ჩქარა გადადი, ფრედ, ამერიკულ არმიაში. იქნებ მეც მომიხერხოთ გადაყვანა.
- კეთილი.
- იტალიურად კარგად ვუძღვები ჯარს, ინგლისურადაც ადვილად შევჩვევი.
- გენერლობასაც მიაღწევ, — უთხრა სიმონსმა.
- არა, მაგდენი არ ვიცი. გენერალმა ქვეყნის რამე უნდა იცოდეს. თქვენისთანა ყაუბატონებისთვის ომი არაფერია, მაგრამ თქვენი ჭკუის პატრონი უბრალო კაპრალობასაც ვერ ეღირსება.
- მადლობა ღმერთს, არა მჭირდება, — თქვა სიმონსმა.
- იქნებ დაგჭირდეს, თქვენისთანა მუქთახორებიც თუ გაიწვიეს. ოი, ბიჭო, ჩემს ოცეულში მომცა თქვენი თავი! და მაიცი აგერ. შიკრიკად გავიხილდი. მაკ.
- კაი ბიჭი კი ხარ, ეტორე, — უთხრა მაკმა, — მაგრამ მე იმის მეშინია, რომ მილიტარისტიც იქნები.
- მანამ ომი დამთავრდებოდეს, პოლკოვნიკი გავხდები, — თქვა ეტორემ.
- თუ არ მოგკლეს.
- ვერ მომკლავენ, — ცერითა და სალოკი თითით საყულოზე ვარსკვლავებს მისწვდა, — ნახეთ, რა ვქენი? სიკვდილს რომ ახსენებს ვინმე, იმ წუთში ვარსკვლავზე უნდა იტაცო ხელი.
- წავსულვართ, სიმ, — თქვა საუნდერსმა და წამოდგა.
- წავიდეთ.
- ნახვამდის, — ეთქვი მე, — მეც უნდა წავიდე. — ბარის საათზე ექვსს თხუთმეტი აკლდა. — Ciao, ეტორე.
- Ciao, ფრედ, — მიპასუხა ეტორემ, — ძალიან სასიხარულოა, რომ ვერცხლის მედალს მიიღებთ.
- მივიღებ კი?
- უსათუოდ მიიღებ, ფრედ. ყური მოგკარი, უსათუოდ მიიღებსო.



— აბა, ნახვამდის, — ვთქვი მე, — არაფერ ფათერაკს არ გადაეყარო ეტორე.

— ჩემი დარდი ნუ შეგაწუხებს, არა ესვამ და არ დავწანწალებ. ღვინოს ვარ გადაყოლილი თუ ქალებს?! მშვენიერად ვიცი, რა არის ჩემთვის კარგი.

— ნახვამდის, — ვთქვი მე, — მიხარია, რომ კაპიტანად დავაწინაურებენ.

— დიდი ლოდინი არ დამჭირდება ბრძოლით დავიმსახურებ. ეს შენც კარგად იცი. სამი ვარსკვლავი, გადაჯვარედინებული ხმალი და ზედ გვირგვინი. აი, რა ბიჭი ვახლავართ.

— ბედნიერად.

— ბედნიერად. ფრონტზე როდის დაბრუნდები?

— მალე.

— გნახავ მანამდე.

— ნახვამდის.

— ნახვამდის. ყოჩაღად იყავი.

შესახვევს დავუყუცი: ასე მოკლედ გადავჭრიდი და ჰოსპიტალს მეორე მხრიდან მივადგებოდი. ოცდასამისა იყო ეტორე. ბიძა ზრდიდა სანფრანცისკოში და ომმა ტორინოში მოუსწრო, დედ-მამასთან სტუმრად ჩამოსულს. ჰყავდა ერთი და, რომელიც მასთან ერთად გაეგზავნათ ამერიკაში, ბიძასთან, და წელს პედაგოგიურ სასწავლებელს ამთავრებდა. ისეთი აღიარებული გმირი გახლდათ ეს ეტორე. რომელიც ყველას თავს აბეზრებს ხოლმე. ქეთრინი ვერ იტახდა.

— ჩვენცა გყავს გმირები, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ წყნარად არიან, თავისთვის.

— ნეტა რას გვიშლის.

— მართალი ხარ, თითქოს არაფერს გვიშლის, მაგრამ მეტისმეტად გაბლენძილია და თავს გვაბეზრებს, ყელში ამოგვდის, მეტი აღარ შეიძლება.

— მეც ვაბეზრებს თავს.

— მე მამშვიდებ მაგითი, გენაცვალე. მაგრამ რა საჭიროა! წარმომიდგენია, ფრონტზე რა იქნება, ალბათ სასარგებლო საქმესაც აკეთებს, მაგრამ მაგისთანა ბიჭბუჭებს ვერ ვიტან.

— ვიცი.

— შენ გინდა, დამამშვიდო, და ვცდილობ კიდევ, კარგად ვიყო განწყობილი, მაგრამ საზიზღარი ლაწირაკია, მართლაც რომ საზიზღარი.

— ამ საღამოს შეუბნებოდა, კაპიტანობას მივიღებო.

— სასიხარულოა, — თქვა ქეთრინმა, — კმაყოფილი იქნება.

— არ ვაგიხარდება, მე რომ დიდი ხარისხი მივიღო?

— არა, გენაცვალე. მე მხოლოდ იმისთანა ხარისხს ვინატრებ, რომ კარგ რესტორნებში შეგვიშვან. მეტი არ მინდა.

— მაგისთანა ხარისხი ხომ მაჭვს და ეგ არის!

— მშვენიერი ხარისხი გაქვს. მაგაზე მეტი არ მინდა, თავში ავივარდებ, ო, რა კარგია, რომ გაბლენძილი არა ხარ. ცოლად მაინც ვამოგყვებოდი, მაგრამ რა მოსვენებულაა ადამიანი, როცა გაბლენძილი ქმარი არა ჰყავს.

ავიანზე ვმუსაიფობდით. მთვარის ამოსვლის დრო იყო, მაგრამ ქალაქში ნისლი იდგა და მთვარე აღარ გამოჩენილა, ცოტა ხანში კი წამოყინებულა, და ოთახში შევედი. ნისლი წვიმად იქცა, მალე კი ისე წამოიშინა, რომ ჩვენ გვესმოდა წვიმის თქარათქუარი სახურავზე. წამოვდექი და კარებთან მივედი, ოთახში წვიმა ხომ არ შემოდის-მეთქი, არ შემოდისოდა და ღიადვე დაეტოვე კარი.

- კიდევ ვინ ნახე? — მკითხა ქეთრინმა.
- მისტერ და მისის მეიერსი.
- კაი ახირებულნი ხალხია.
- როგორც ამბობენ, მისტერ მეიერსი ციხეში მჯდარა. თავისუფლად მოკედესო, იმიტომ გამოუშვიათ.
- ეს კი ბედნიერად ცხოვრობს მილანში, არა?
- ბედნიერებისა რა მოგახსენო.
- ციხესთან შედარებით, რაც არ უნდა იყოს, ბედნიერებაა.
- მისის მეიერსი საჩუქრების მოტანას აპირებს.
- დიდებული საჩუქრები მოაქვს ხოლმე. შენც მისი კარგი ბიჭუნა ხარ?
- ჰო, ერთ-ერთი კარგი ბიჭუნა.
- შავისი კარგი ბიჭუნები ხართ ყველანი, — თქვა ქეთრინმა, — თავისი კარგი ბიჭუნები ყველაფერს ურჩვენია. წვიმს, გესმის?
- მაგრად წვიმს.
- ხომ მუდამ გეყვარები?
- მუდამ.
- წვიმა ხომ არ შეუშლის ხელს?
- არა.
- რა კარგია! მეშინია წვიმის.
- რატომ? — ჩამომეძინა. გარეთ მოდიოდა და მოდიოდა კოკისპირული წვიმა.
- არ ვიცი, გენაცვალე. მუდამ მეშინოდა წვიმისა.
- მე კიდე მიყვარს.
- წვიმაში სიარული მეც მიყვარს, მაგრამ სიყვარულისთვის ცუდის მომასწავებელია.
- მე მუდამ მეყვარები.
- მეც მეყვარები — წვიმაშიაც, თოვლშიაც... სეტყვაშიაც... რა არის ხოლმე კიდევ?
- არ ვიცი. თვალეები მელულებია.
- დაიძინე, გენაცვალე, მე შენ მუდამ მეყვარები, რაც უნდა მოხდეს.
- წვიმისა მართლა გეშინია?
- შენთან თუ ვარ, არა.
- მაინც რატომ გეშინია?
- არ ვიცი.
- მითხარი.
- ნუ ჩამაცვივდები.
- მითხარი.
- არა.
- მითხარი.
- კარგი, გეტყვი. იმიტომ მეშინია, რომ ზოგჯერ მკედარს წარმოვიდგენ ჩემს თავს წვიმაში.
- კარგი, ერთი!
- ხან შენც მომეჩვენები წვიმაში მკედარი.
- ეგ უფრო ახლოა ჭკუასთან.
- არაფერიც. მე მოგივლი და გაგიფრთხილდები. ნამდვილად! თავის თავს ვერაფერს უშველის კაცი, თორემ!..

— კარგი, ერთი, თუ ღმერთი გწამს! სულაც არ მინდა, გაგიყდე და შოტლანდიელი გახდე, ამალამ. ისედაც მალე უნდა დაგშორდეთ ერთმანეთს.

— რა გაეწყობა, თუკი მართლა გიყი და შოტლანდიელი ვარ. გაგზუმდები. ეგ სისულელეა და მეტი არაფერი.

— ნამდვილად სისულელეა.

— სისულელეა. ნამდვილი სისულელე. სულაც არ მეშინია წვიმის. არ მეშინია წვიმის. ო, ო, ღმერთო, ნეტა მართლა არ მეშინოდეს!

იგი ტირიდა. მე დავემშვიდე და გაჩუმდა. გარეთ კი წვიმდა და წვიმდა.

თავი XX

ერთ დღეს, ნასადილეგს, დოღზე წავედი. თან გამოგვევა ფერგიუსონი და კროუელ როჯერსი — აი ის ბიჭი, ყუმბარა რომ აუფეთქდა და თვალეში დაიჭრა. მანამ ქალები ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ, მე და კროუელი ლოჯინზე ვისხედით, მისივე ოთახში, სპორტული ფურცელი გვეჭირა და წარსული დოღის შედეგებსა და მომავალ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა სავარაუდო სიას ვათვლიერებდით. კროუელს თავი შეხვეული ჰქონდა და დოღისთვის მინცადამინც არა სცხელოდა, მაგრამ სადღოდე ფურცლებს მუდამ კითხულობდა და, უსაქმურობის გამო, ცხენებს ადევნებდა თვალს. სადაგელი ცხენები ყოფილათ, ამბობდა, მაგრამ უკეთესები იქ არა ჰყოლიათ. მოხუც მეიერსს შეუყვარდა ეს ჰაბუკი და რჩევას აძლევდა ხოლმე. მეიერსი თითქმის ყოველ დოღზე იგებდა, მაგრამ სხვისთვის რჩევის მიცემა არ უყვარდა, რადგან ეს ფასსა სცემდა. დიდი ყალთაბანდობა ხდებოდა დოღზე. სხვადასხვა ქვეყნების იპოდრომებიდან გამოპანდურებულ ხალხს იტალიაში მოეყარა თავი და ახლა აქ ლებულობდა მონაწილეობას. მეიერსმა კარგი რჩევა იცოდა, მაგრამ მე არ მიყვარდა კითხვა. რადგან ხშირად არ გვიპასუხებდა, აშკარად ეტყობოდა, უჭირდა თქმა, თუმცა თავს, რატომღაც, მოვალედ რაცხდა, ჩვენთვის ყველაფერი ეთქვა, მით უმეტეს, კროუელს უფრო ხალისიანად ეუბნებოდა. კროუელს თვალეში ჰქონდა დაზიანებული, განსაკუთრებით ცალი თვალი, მეიერსსაც აწუხებდა თვალეში და ამიტომ შეიყვარა ეს ჰაბუკი. ცოლს ერთხელაც არ ეტყოდა მეიერსი, სანაძლეოს რომელ ცხენზე ვდებო, და ქალიც ხან იგებდა და ხან აგებდა. უფრო ხშირად აგებდა და სულმოუთქმელად ტიტინებდა.

ღია ეტლით გავემგზავრეთ სან სიროსკენ. მშვენიერი დღე იყო, გადავპერით პარკი, გავსცდით ტრამვაის ხაზს, ქალაქი უკან მოვიტოვეთ და მტერიან გზაზე გავედით.

გზაში გვხვდებოდა რკინის ღობეშემოვლებული ვილები, მოუვლელი მისაგან გადაბარდული დიდი ბაღები, პატარა-პატარა არხები, რომლებშიაც წყალი მირაკრაკებდა, და მტერით დაფარული ვადამწვანებული ბოსტნები. მოშორებით ჩანდა ფერმერების სახლები, სარწყავი არხებით დასერილი აბინინებული ველები და ჩრდილოეთით აღმართული მთები. დოღის გზა ეტლებით იყო გაქედილი, კონტროლიორმა უბილეთოდ შეგვიშვა, რადგან სამხედრო ფორმა გვეცვა. ჩამოვედით ეტლიდან, პროგრამები ვიყიდეთ, წრე გადავქერით, რბილ მდელს გავჰყევით და პადდოკს მივადექით. ძველი, ხის ტრიბუნები იყო, ტრიბუნების ძირში და თვალეების გაყოლებაზე ბილეთების სალაროები ჰქონდათ მოწყობილი. ღობესთან ჯარისკაცებს მოეყარათ თავი. პადდოკი თითქმის გავესო ხალხს. დიდი ტრიბუნის უკან, ხეების ქვეშ, ცხენებს დაატარებდ-

ნენ. ნაცნობებს შევხვდით, ფერგიუსონსა და ქეთრინს სკამები ვუშოვეთ. ცხენების თვალურება დაიწყეთ.

მეჯინიბებს აღვირში ჩავვლოთ ხელი და თავდაბრილ ცხენებს დაწალიკებულად დაატარებდნენ. ერთი წაბლა ცხენი იყო, კროუელმა დაიჭინა, ნამდვილად შეღებილიაო. კარგად რომ დავაკვირდით, ჩვენც გვეჭამუნია მისი ახრი. გამოიყვანეს ეს ცხენი და შეკახმვის ხარიც დაირეკა. პროგრამას გადავხედეთ და, მეჯინიბეს რომ მკლავზე ნომერი ეწერა, იმის მიხედვით გავიგეთ, რომ ეს იყო შავი ლაფშა, სახელად — ჯაპალაკი. დოლი დანიშნული იყო ისეთი ცხენებისათვის, რომელთაც შეჯიბრებაში ათას ლირზე მეტი არასოდეს არ მოეგოთ. ქეთრინი დარწმუნებული იყო, რომ ცხენს ფერი შეცვლილი ჰქონდა. ფერგიუსონი ამბობდა, გადაჭრით ვერ ვიტყვი ამასო. მე საეჭვოდ მიმაჩნდა. გადავწყვიტეთ ამ ცხენზე გვეთამაშნა, და ას ლირას ჩამოვედით. კროუელი ბილეთების შესაძენად წავიდა, ჩვენ კი შევპყურებდით ქოკებს, რომელთაც ერთი წრე კიდევ დაარტყეს ხეებზევმ, მერე კი გამოვიდნენ და ნელი ჰენებით გაემართნენ სტარტისაკენ.

ჩვენ ტრიბუნაზე ავედით დოლის საყურებლად. მაშინ სან სიროში ზონარი არა ჰქონიათ სტარტზე — თვითონ სტარტერმა გაამწყრივა ცხენები, — შორიდან სულ მაწაწინები ჩანდნენ, — მერე თავისი გრძელი მათრახი გაატყლაშუნა და ცხენები ადგილს მოსწყდნენ. ჩაგვიქროლეს. წაბლა ცხენი დაწინაურდა, ხოლო მოსახვევში კარგა მანძილით მოიტოვა უკან დანარჩენები. მე ღურბინდით ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ გამწარებით ცდილობდა ქოკეი ცხენის შეკაეებას, მაგრამ ვერ დაუპირა თავი, და როცა მოსახვევს შემდეგ გაიპირდაპირეს, წაბლა ცხენმა ბარე თხუთმეტი ტანით გაუსწრო დანარჩენებს, მერე ფინიშის ხაზს რომ გასცდნენ, კიდევ მთელი ერთი წრით გაუსწრო.

— რა დიდებულაა, — თქვა ქეთრინმა, — სამი ათას ლირაზე მეტს მივიღებთ. ბრწყინვალე ცხენი ჩანს.

— იმედია, ფულის გაცემამდე არ გადაუვა სადგავი, — თქვა კროუელმა.

— მართლაც რომ მშვენიერი ცხენია, — თქვა ქეთრინმა, — ნეტა, მისტერ მეიერსიც მაგაზე ჩამოვიდა სანაძლეოს?

— მოიგეთ? — გავძახე მეიერსს. მან თავი დამიქნია.

— მე კი ვერა, — მითხრა მისის მეიერსმა, — თქვენ რომელზე ჩამოდიხართ სანაძლეოს, ბავშვებო?

— ჯაპალაკზე.

— მართლა? თითოში ოცდათხუთმეტს აძლევენ მაგაზე.

— ფერით მოგვეწონა.

— მე კიდევ არა. ძაან ბეხრეკი მომეჩვენა. არ მიჩიეს მაგაზე სანაძლეოს ჩამოსვლა.

— ბევრს ვერაფერს მიიღებთ, — თქვა მეიერსმა.

— ერთზე ოცდათხუთმეტია, — ვუთხარი მე.

— ბევრს არაფერს მოგცემენ, — გაიმეორა მეიერსმა, — ბოლო წუთში დიდ თანხას ჩამოვიდნენ მაგაზე.

— ვინ?

— კემპტონი და მისი ამფსონები. აბა ნახეთ! ორმაგსაც კი ვერ მიიღებთ.

— მაშ სამი ათასი ლირა ვერ მიგვიღია, — თქვა ქეთრინმა, — მიტომაყ არ მიყვარს ეგ ყალბაბანდური დოლი!

— ორას ლირას მივიღებთ.



— ორასი ლირა რა ბედენაა! რას წაგვადგება. მე სამი ათასის იმედოვნობოდა.

— ყალთაბანდობა და საზიზრობაა, — თქვა ფერგიუსონმა.

— რაღა თქმა უნდა, — თქვა ქეთრინმა, — ყალთაბანდობა რომ არ იყოს, მაგაზე არც ჩამოვიდოდით სანაძლეოს. მაგრამ ძაან კი შესიამოვნებოდა სამი ათასი ლირა.

— დაბლა ჩავიდეთ, წყალი დავლიოთ და გავიგოთ, რამდენს იძლევიან, — თქვა კროუელმა.

დავეშვით დაბლა, მივადექით იმ დაფას, საცა ნომრებს აკრავდნენ ხოლმე, ამ დროს ზარმაც დარეკა და ჯაბალაკზე 18.50 გამოაქრეს. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ ორმაგზე ნაკლებს იძლეოდნენ.

ბარში შევედით, დიდი ტრიბუნის ქვეშ, და თითო ჰიქა სოლიანი ვისკი დავლიეთ. აქ ორ ნაცნობ იტალიელსა და ვიცეკონსულ მაკ ადამს გადავეყარეთ. ისინიც გამოგვეყენენ ზემოთ. იტალიელები პირდაპირ თავაზიანობის განსახიერება იყვნენ. მაკ ადამსმა ქეთრინთან გააბა მუსაიფი, ჩვენ კი დაბლა ჩავედით სანაძლეოს დასადებად. სალაროსთან მისტერ მეიერსი იდგა.

— ჰკითხე ერთი, რომელზე თამაშობს, — ვუთხარი კროუელს.

— რომელზე ჩამოდიხართ, მისტერ მეიერს? — ჰკითხა კროუელმა. მეიერსმა პროგრამა ამოიღო და ფანქრით აჩვენა ნომერი ხუთი.

— ჩვენც რომ მაგაზე ჩამოვიდეთ, ხომ არ გეწყინებათ? — ჰკითხა კროუელმა.

— მიდით, მიდით. ოღონდ ჩემს ცოლს ნუ ეტყვი, მე რომ გასწავლეთ.

— ცოტას არ დალევთ? — ვკითხე მე.

— არა, გმადლობთ. არა ვსვამ.

ჩვენ ასი ლირა ხუთ ნომერზე დავდეთ, მეორე ასი — ორმაგ მოსაგებზე და თითო ჰიქა სოლიანი ვისკი კიდევ დავლიეთ. ძალიან კარგ გუნებაზე ვიყავი და ორი იტალიელი კიდევ შემოვიერთეთ, მათთანაც დავლიეთ და ისევე ქალებთან დავბრუნდით. ეს იტალიელებიც ძალიან თავაზიანები აღმოჩნდნენ, წინათ შეხვედრილ იმ ორ იტალიელს არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ. მათი თავაზიანობის გამო ერთ ხანს ადგილზე დაჯდომაც ვერ მოვახერხეთ. ბილეთები ქეთრინს გადავეცი.

— რომელი ცხენია?

— არ ვიცი, მისტერ მეიერსის ამორჩეულია.

— სახელიც არ იცით?

— არა. პროგრამაში ნახე. მეხუთე ნომერი უნდა იყოს.

— საოცარია — როგორ მიენდობი ხოლმე კაცს, — მითხრა მან. მეხუთე ნომერმა მოიგო, მაგრამ ფული არაფერი შეგვბვედრია. მისტერ მეიერსი გაბრაზდა.

— ორას ლირას უნდა ჩამოხვიდე, რომ ოცი მოიგო, — თქვა მან, — ათში თორმეტი ლირა. წვალეზადაც არ ღირს. ჩემმა ცოლმა ოცი ლირა წააგო.

— მეც ჩამოგყვები დაბლა, — მითხრა ქეთრინმა. იტალიელები მაშინვე წამოდნენ. დაბლა დავეშვით და პადდოქტ გავედით.

— მოგწონს აქა? — მკითხა ქეთრინმა.

— კი, მგონი, მომწონს.

— არა უშავს რა, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ ამდენ ნაცნობს ვერ ვიტან, გენაცვალე.

- არც იმდენია.
- პო მაგრამ, ეს მეიერსები, ეს ბანკის მოხელეც, თავისი ცოლ-შვილით...
- ეგ მინაღლებს ხოლმე ჩემს წარდგინებითს ჩეკებს, — ვუთხარი მე.
- ეგ რომ არ იყოს, სხვა გაგინაღლებდა. ეს ოთხი ბიჭი ხომ აუტანელია.
- ჩვენც აქ დავდგეთ და ღობიდან ვუყუროთ დოღს.
- ძალიან კარგი იქნება. და ისეთ ცხენზე ჩამოვიდეთ სანაძლევოს, სუ-
- ლაც რომ არ ვიცოდეთ, რას წარმოადგენს და მისტერ მეიერსიც არ ჩამოდი-
- ოდეს იმაზე.

— აგრე იყოს.

ავირჩიეთ ცხენი, რომელსაც „ჩემი სინათლე“ ერქვა და ხუთში მეოთხე მოვიდა. მივაწეკით ღობეს და შევპყურებდით ცხენების ქროლვას, ყრუ ზეპარათქური გაჰქონდათ, როცა ჩაგვივლიდნენ. შორს მთები მოჩანდა, ხოლო ზეებსა და მინდვრებს მიღმა — მილანი.

— გაცილებით უფრო წმინდადა ვგრძნობ აქ თავს, — თქვა ქეთრინმა. ცხენები უკანვე ბრუნდებოდნენ, სველი და გაქაფულები. მხედრები უალერსებდნენ და ხეებისაყენ მიჰყავდათ.

— არ გინდა, დავლიოთ? ოღონდ აქვე, თან ცხენებსაც ვუცქიროთ.

— ახლავე მოვიტან, — ვუთხარი მე.

— ბიჭი მოგვიტანს, — თქვა ქეთრინმა. ხელი ასწია და თავლებს გვერდით რომ ბარი იყო, „პაგოდა“, იქიდან მაშინვე მოიჩინა ბიჭმა. მრგვალ რკინის მაგიდას მოვესხედით.

— არ გირჩევნია, მარტო რომ ვართ?

— როგორ არა, — ვუთხარი მე.

— ერთად რომ ვიყავით ყველანი, საშინელ მარტოობასა ვგრძნობდი.

— აქ დიდებულა, — ვთქვი მე.

— ძალიან. მართლაც მშვენიერი გასართობია.

— ლამაზია.

— გუნება კი არ გაგიფუჰო, გენაცვალე, როგორც კი მოგინდება, მაშინვე წავიდეთ ზევით.

— რას ამბობ? — ვუთხარი მე. — აქ ვისხდეთ და ესვათ. მერე ქვევით დაფუყვეთ, დაბრკოლებათა გადალახვას ვუყუროთ.

— რა კარგი ხარ! — მითხრა მან.

ერთ ხანს მარტო ვიყავით, მერე კი სხვებთან შეხვედრა გვესიამოვნა კიდევ. დიდებული დრო გავატარეთ.

თავი XXI

სექტემბერში პირველი გრილი ღამეები დაიჭირა, მერე დღისითაც აგრილდა. ბაღში ფოთლებს სიყვითლე შეეპარათ, და მივხვდით, რომ ზაფხული გასულიყო. ფრონტზე ძალიან ცუდად მიდიოდა საქმე, სან გაბრიელის აღებაც ვერ მოახერხეს. ბაინზიციას პლატოზე უკვე შეეწყვიტათ ბრძოლა და თვის შუა რიცხვებში სან გაბრიელის მისადგომებზედაც შესწყვიტეს. ვერა და ვერ აიღეს. ეტორე ფრონტზე დაბრუნდა. ცხენები რომში წაასხეს და დოღი მორჩა. კროლელიც რომში წავიდა, იქიდან ამერიკაში უნდა გაეზავნათ. ქალაქში ორჯერ მოაწყვეს ომის საწინააღმდეგო აჯანყება, ტურინშიაც მაგარი აჯანყებები იყო. ვიდაც ინგლისელმა მაიორმა მითხრა კლუბში, ბაინზიციას პლატოზე და სან გაბრიელთან იტალიელებმა ას ორმოცდაათი ათასი კაცი დაჰკარგესო. ამას გარ-

და, კარსოშიაც დაჰკარგეს ორმოცი ათასიო. ვსვამდით და ის მელაპარაკებოდა წელს მორჩა ბრძოლები და იტალიელებმა იმოდენა მოკბინეს, რომ დაღუპვას ვერ მოახერხებენო. ფლანდრიაში შეტევის საქმე ცუდად დატრიალდა. თუ ასე აქლქინეს ხალხი, როგორც ახლა, ამ შემოდგომაზე, გაისისთვის მოკავშირეებს ქანცი გასწყდებათო. ქანცი უკვე გაწყვეტილი გეჰქვს, მაგრამ მანამ ამას შევიგნებდეთ, კიდევ არა უშავს რა. ქანცი უკვე ყველასა გეჰქვს გაწყვეტილი. საქმე ის არის, არ უნდა გამოტყდეს ამასი. გამარჯვებულიც ის ქვეყანა დარჩება, ვინც ყველაზე გვიან გამოტყდებაო. კიდევ დავლიეთ. რომელიმე შტაბში ხომ არ მუშაობთ? არა. ის თურმე შტაბში მუშაობდა. სისულელეა ყველაფერიო. ორნი ვისხედით კლუბში, ტყავის დიდ სავარძელში გადაწოლილნი. ჩექმები საგულდაგულოდ ჰქონდა გაწმენდილი. კოხტა ჩექმები ეცვა. ყველაფერი სისულელეაო, თქვა. დივიზიებისა და ცოცხალი ძალის მეტი არაფერი ახსოვთ. თავს იკლავენ დივიზიების შეგნებისათვის, და როგორც კი შეაგსებენ, მაშინვე ჭლებენ. ყველა ქანცაწყვეტილია. ბრძოლებს გერმანელები იგებენ. ჯარი მყავსო, მაგათ უნდა თქვან! ძველ ჰუნებს ვინ შეედრება ომში. მაგრამ იმათაც გასწყდა ქანცი, ყველასაც გაგვიწყდა ქანცი. რუსებზე ვკითხე. იმათაც გასწყდაო. ამას თქვენ თვითონვე ნახავთ მალეო. აესტრიელებსაც გასწყდათ ქანცი. ჰუნების რამდენიმე დივიზია თუ მიიღეს, კიდევ არა უშავთ. როგორა გგონიათ, ამ შემოდგომაზე შეტევას ხომ არ დაიწყებენ-მეთქი. უსათუოდ დაიწყებენო. იტალიელებს ქანცი გასწყდათ. ეს უკვე ყველამ იცის. ძველი ჰუნი გადასერავს ტრენტინოს, ვინცესთან რკინიგზას გადაგვიჭრის, და მერე უყაროს იტალიამ კაკალი. ეს ხომ თეჰესმეტშიაც სცადეს-მეთქი. მაშინ გერმანელები არ ახლდნენო. ეგ კია-მეთქი. მაგრამ მაინც არა მგონია ასე მოიქცნენ, ეს მეტისმეტად მარტივი ხერხია, უფრო რთულს რასმე მოვიგონებენ და საბოლოოდ გასწყდებათ კიდევ ქანციო. უნდა წავიდეთ, ჰოსპიტალში უნდა დავბრუნდეთ-მეთქი. „ნახვამდის, — ვუთხარი მე და მხიარულად დავუმატე, — ყოველივე კარგს გისურვებთ“. — მისი პესიმისტური შეხედულებანი საცხებით ეწინააღმდეგებოდნენ მისსავე მხიარულ ბუნებას.

საპარიკმახეროში შევიარე; გავიპარსე და მერე ჰოსპიტლისაკენ გავსწიე. ფეხი უკვე ისე კარგად მქონდა, თითქოს დიდი ხნის ნამკურნალევი ყოფილიყოს. სამი დღის წინათ შემოწმებაზე ვიყავი. სულ რამდენიმე პროცედურა დამრჩა Ospedale Maggiore-ში და მოვრჩებოდი კიდევ მკურნალობას. მივკვეებოდი გვერდის ქუჩას და ვედილობდი არ მეკოჭლა. საჩრდილობელს შეფარებული მოხუცი კაცი სილუეტებსა სჭრიდა. შევჩერდი და ცქერა დავუწყე. ორი გოგონა ედგა და იმათი სილუეტები გამოჰყავდა, თავი გვერდზე გადაეღრია გოგონებს გადახედავდა და სწრაფად ამოძრავებდა ხოლმე მაკრატელს. გოგონები კისკისებდნენ. მანამ თეთრ ქაღალდზე დააწებებდა, ჯერ მე მაჩვენა სილუეტები და მერე ქალიშვილებს გადასცა.

— ხომ კარგია, — მე მომმართა, — თქვენც ხომ არ ისურვებდით, Tenente? გოგონები წავიდნენ, ათვალიერებდნენ თავიანთ სილუეტებს და იცინოდნენ. ეშხიანები იყვნენ. ერთი მათგანი ღვინის ღუქანში მუშაობდა, ჰოსპიტლის მახლობლად.

- აგრე იყოს, — ვუთხარი მე.
- ქული მოიხადეთ.
- არა. ქუდიანად.

— ისე ლამაზი აღარ გამოვა, — მითხრა მოხუცმა, — თუმცა, — სახე გაეზადრა, — უფრო მხედრული კი იქნება.

სკრიდა შავ ქალღმერთს, მერე შუაზე გახლიჩა, შავი პროფილები მუყაოზე დააწება და გადმოშვდა.

— რამდენი მოგართვით?

— არაფერი, — ხელი გააქნია, — ეს ისე გაგიკეთეთ.

— თუ ღმერთი გწამთ, — სპილენძის ფულები ამოვიღე, — გამეხარდება.

— რასა ბრძანებთ. ვგ მე ჩემი გულის გასახარად გავაკეთე. თქვენს გოგოს აჩუქეთ.

— დიდი მადლობელი ვარ, ნახვამდის.

— ნახვამდის.

პოსპიტალში დაებრუნდი. წერილები დამახვედრეს — ერთი ოფიციალური, და სხვები ისე. სამი კვირის შევებულებას მაძლევდნენ გამოსაჯანსაღებლად, და მერე ფრონტზე უნდა დაებრუნებულიყავი. კიდევ გადავიკითხე ყურადღებით. ნამდვილად ასე იყო. შევებულება ოთხი ოქტომბრიდან ჩამეთვლებოდა, იმ დღეს მიმოთვრდებოდა მკურნალობა. სამი კვირა — ოცდაერთი დღეა. ესე იგი, ოცდახუთი ოქტომბერი გამოდის. პოსპიტალში დავიბარე, კონტას გავივლი-მეთქი, და საეპიშოდ რესტორანისკენ გავსწიე, იქვე პოსპიტალთან ახლოს. წერილები გადავიკითხე და „Corriere Della Sera“ გადავთვალე ერთი წერილი პაპაჩემისაგან იყო. შინაურობის ამბებსა მწერდა, პატრიოტული დარიგებებით მაძინებდა და ორასი დოლარის ჩეკსა და გაზეთის ამონაჭრებს მიგზავნიდა. მეორე ჩვენი მღვდლისა იყო — ძალიან მოსაწყენი წერილი; შემდეგ ერთი ნაცნობი მფრინავისა, რომელიც საფრანგეთის ავიაციის მსახურობდა და თურმე ძალიან მხიარულ წრეში მოხვდა, სწორედ თავიანთი დროსტარების ამბებსა მწერდა; რინალისაგანაც მივიღე პატარა ბარათი — კიდევ რამდენ ხანს უნდა იყო მილანში დაბუდებული, ახალი რა ამბებიაო? გრამფონის ფირფიტები წამომიღო, მთხოვდა და სიასაც მიგზავნიდა. ვახშაზე პატარა ბოთლი ქიანთი გამოვცალე, მერე ყვეც დავაყოლე ერთი ქიქა კონიაკით, გაზეთი გადავიკითხე, წერილები ჯიბეში ჩაიწყვე, გაზეთი მაგიდაზე დაეტოვე და გამოვედი. პოსპიტალში რომ დაებრუნდი, ჩემს ოთახში ტანსაცმელი გავიხადე, პიჯამა და ხალათი ჩავიცვი, აივნის ღია კარებზე ფარდა ჩამოვუსვი, ლოგინზე ჩამოვჯექი და ბოსტონური გაზეთების კითხვას შევუდექი, რომლებიც მისის შეიერსმა მოუტანა პოსპიტალში თავის ბიჭუნებს. ჩიკაგო-უაით-სოკის გუნდმა ამერიკული ლიგის პრიზი მიიღო. ხოლო ეროვნულ ლიგაში ნიუ-იორკ-ჯაიანტის მიდიოდა წინ. ბეიბრუთი ახლა ბოსტონის გუნდში თამაშობდა. გაზეთები მოსაწყენი იყო, ამბებო ძალიან ვიწრო და გადაქვევებული, საომარი ინფორმაციები — ერთიანად მოქველებული. ამერიკული ამბები სულ საწერტენელ ბანაკებს შეეხებოდა. კიდევ კარგი, საწერტენელ ბანაკში არ ვყოფილვარ. ბენსბოლის ამბების მეტი არაფერი წაიკითხებოდა გაზეთებში, ხოლო ეს მე ოდნავაც არ მაინტერესებდა. როცა ერთბაშად ბევრი გაზეთი გაქვს, ვერანაირად ვერ წაიკითხავ ინტერესით. მაინც დამაინც ახალი გაზეთები არ მოგვდიოდა, მაგრამ მაინც ვკითხულობდი. ამერიკა თუ მართლა ჩაება ომში, ნეტა მთავარ სპორტულ საზოგადოებებს თუ დახურავენ-მეთქი, გავფიქრე. ალბათ, არა. აგერ ომია, და მილანში მაინც გახურებული დოღი აქვთ. საფრანგეთში აღარ ატარებენ დოღს. ჩვენი ჯაპალაკი სწორედ იქიდან ჩამოიყვანეს. ქეთრინი ცხრა საათამდე არ გამოვიდოდა სამორიგეოდ. როცა მოვიდა, მისი ფეხის ხმა გავიგონე, თვლიც კი შევაველე დერეფანში. სხვა ოთახები შემოიარა და ბოლოს ჩემთან შემოვიდა.

— დღეს დავიგვიანე, გენაცვალე, — მითხრა მან, — იმდენი საქმე გამომიჩნდა როგორა ხარ?

- ვუამბე გაზეთებში წაკითხულა და ჩემი შვებულების ამბავიც.
- რა კარგია! — თქვა მან, — სად უნდა წახვიდე?
- არსადაც არ წავალ. აქვე მინდა დავრჩე.
- რა სისულელეა! აირჩიე რამე ადგილი და მეც წამოვალ.
- როგორ მოახერხებ?
- არ ვიცი. როგორმე მოვახერხებ.
- რა კარგი გოგო ხარ!
- სულაც არა! მაგრამ როცა არაფერს კარგავ, ცხოვრება არც თუ ისე ძნელი მოსაწყობია.
- ვერ გავიგე, რას ამბობ.
- არაფერს. იმას ვფიქრობდი, რა პატარა ჩანს-მეთქი ახლა ის დაბრკოლებანი, რაც ადრე გადაულახავი გვეგონა.
- მე მინც მგონია, რომ ძნელი მოსაგვარებელი იქნება.
- არა, გენაცვალე. თუ საჭირო შეიქნა, სულაც მივატოვებ ყველაფერს. მაგრამ საამისოდ არ გავგინდება საქმე.
- საით გავემგზავროთ?
- რას დავეძებ, საცა შენ გინდოდეს. საცა არავის ვიცნობთ.
- შენთვის სულ ერთია?
- სულ ერთი. არაფერს არ დავიწუნებ.
- დაძაბული და შეწუხებული ჩანდა.
- რა მოგივიდა, ქეთრინ?
- არაფერი. არაფერიც არ მომსვლია.
- რაღაც მოგივიდა.
- არა-მეთქი. ნამდვილად არაფერი.
- ვიცი, რომ რაღაც მოგივიდა. შითხარი, გენაცვალე. ჩემთან ყველაფერი ითქმება.
- არაფერი.
- შითხარი.
- არ მინდა. ვაითუ შეგაწუხოს და გაწყენინოს.
- სულაც არა.
- დარწმუნებული ხარ? მე ვი არა ვწყინს, მაგრამ შენ რომ გეწყინოს!
- შენ თუ არა ვწყინს, არც მე ვეწყინება.
- მაინც ვერ გეტყვი.
- შითხარი.
- უსათუოდ უნდა გითხრა?
- უსათუოდ.
- ბავშვი უნდა გამიჩნდეს. გენაცვალე. თოქმის სამი თვეა. ხომ არ გეწყინა? ჰა, ხომ არა? ნუ გეწყინება, გენაცვალე. არ უნდა გეწყინოს.
- არც ვეწყენია.
- მართლა?
- რაღა თქმა უნდა.
- რა არ ვსცადე, რა არ ვიღონე, მაგრამ ვერაფერს გაეხდი.
- სულაც არ ვეწყენია.
- ვერაფერი ვერ მოვახერხებ. ჩემო კარგო, და აღარც შევეწუხებულვარ. ნურც შენ შეწუხდები, ნუ დაღონდები.
- მე მხოლოდ შენ გამო ვწუხვარ.

- მეც მაგას გულებები—ჩემზე ნუ შეწუხდები-მეთქი. ბავშვები მუდამ იბადებიან. ვის არა ჰყავს ბავშვი. ეს ჩვეულებრივი ამბავია.
- რა მშვენიერი ხარ!
- მშვენიერს რა მიგავს. მაგრამ ნუ შეგაშფოთებს ეს, გენაცვალე! ვეცდები, არ შეგაწუხო. განა არ ეცი, რომ აგაფორიაქე, მაგრამ აქამდე ხომ კარგი გოგო ვიყავი?! ხომ არაფრით შემიწუხებინარ?
- არა.
- არც ახლა შეგაწუხებ. შენ თვითონ ნუ შესწუხდები. თუმცა სწუხარ და ეგ არის. ნუ, ნუ დაღონდები. ცოტას არ დაღევ, გენაცვალე? მაშინვე გამხიარულდები.
- არა, ისედაც მხიარულად ვარ, შენ კი მშვენიერი გოგო ხარ.
- აბა, რა მშვენიერი ვარ! მაგრამ სადმე თუ წამიყვან, ყველაფერს მოვაგვარებ. ისეთი კარგი იქნება ოქტომბერი! დიდებულ დროს გავატარებთ, გენაცვალე და მუდამ დღე მოგწერ ხოლმე წერილს, ფრონტზე რომ წახვალ.
- შენ სად იქნები?
- ვერ გადამიწყვეტია. მაგრამ კარგ ადგილს შევარჩევ. ყველაფერზე ვიზრუნებ.
- დავჩუმიდით, ხმა აღარ ამოგვლია. ქეთრინი ლოგინზე მეჯდა, მე შევკაწურებდი, ერთმანეთს კი არ მივკარებდით. ჩვენ-ჩვენთვის ვისხედით, თითქოს ვინმე შემოსულიყოს ოთახში და შევეცებუნებინეთ. ხელი გამოსწია და ჩემი ხელი აიღო.
- ხომ არ გამიბრაზდი, გენაცვალე?
- არა.
- მახეში გაბმულად ხომ არა გრძნობ თავს?
- ცოტათი კი, მაგრამ შენს გამო — არა.
- ჩემს გამო ხარ-მეთქი, არც მიფიქრია. რამ გაგასულელა! საერთოდ ხომ არ გრძნობ-მეთქი მახეში თავს?
- ბიოლოგია ყოველთვის მახეა.
- უცებ სადღაც გადაიკარგა, ისე რომ არც განძრეულა და ხელიც არ წაუღია.
- არ არის კარგი სიტყვა — ეს „ყოველთვის“.
- მაპატიე.
- არაფერია! მაგრამ ჯერ ხომ არც ბავშვი მყოლია და არც არავინ მკვარება. სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორც შენ გესიამოვნებოდა, ისე გამეკეთებინა ყველაფერი... შენ კი „ყოველთვის“, მომახალე.
- მოდი სულ მოვიჭრი ენას, — შევთავაზე მე.
- ო, ჩემო ძვირფასო! — ისევ ისე დამიბრაუნდა, — ყურს ნუ ათხოვებ ჩემს სიტყვებს, — კვლავ ერთად ვიყავით და ის შეცბუნებაც გაქრა, — ჩვენ ხომ ერთი არსება ვართ, უკუღმართად რად უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს!
- მართალი ხარ.
- მაგრამ ასე მოსდით ხოლმე. ერთმანეთი უყვართ, უკუღმართ ლაპარაკს დაიწყებენ, წაიკიდებიან და უცებ აღარ არიან ერთი არსება.
- ჩვენ არ წავეკიდებით ერთმანეთს.
- არც უნდა წავეკიდოთ, რადგან ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ მთელი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენ რომ ერთმანეთში რამე მოგვივიდეს, დავიღუპებით, მაშინვე გაგვეჩავენ.
- ხელსაც ვერ გვახლებენ, — ვთქვი მე. — შენ ისეთი მამაცი ხარ! მამაცებს ცუდი არაფერი მოსდით.

- ზომ კვდებიან!
 - მხოლოდ ერთხელ.
 - ეგ არ ვიცოდი. შენ ვინ გითხრა?
 - ლაჩარი ათასჯერ მოკვდება, მამაცი კი მხოლოდ ერთჯერ!
 - რა თქმა უნდა. ვინ თქვა ეს?
 - არ ვიცი.
 - ალბათ, თვითონ ლაჩარი იყო, — თქვა მან, — ლაჩრების ამბავი კარგად იცოდა, მამაცებზე კი წარმოდგენაც არა ჰქონია. მამაცი ორი ათასჯერ მოკვდება, თუ განათლებულია, ოღონდ არ ამბობს ამას.
 - აბა რა გითხრა. მამაცი გულში არ ჩაგახედინებს.
 - მიტომაც არის მამაცი.
 - მცოდნე ადამიანით ლაპარაკობ.
 - მართალი ხარ, გენაცვალე. ახია ჩემზე.
 - შენ მამაცი ხარ.
 - არა, — თქვა მან, — ნეტა კი ვიყო!
 - მე არა ვარ მამაცი. განა არ ვიცი რაცა ვარ. დრო ბევრი მქონდა თავი შესაცნობად. მობურთაღივით მომდის — ორას ოცდაათჯერ დაარტყამს წელიწადში და იცის, რომ მეტი არ შეუძლია.
 - რა მობურთალია ასეთი, ორას ოცდაათჯერ რომ დაარტყამს? კარგი მოთამაშე ყოფილა!
 - პირიქით. ყოვლად საშუალო თავდამსხმელია, ბეისბოლში.
 - მაგრამ მაინც თავდამსხმელი ჰქვია, — მიჩხვლიტა ქეთრინმა.
 - ვატყობ, რომ სიამაყეში ერთმანეთს ვერ გავეშეცევი, — ვთქვი მე, — მაგრამ შენ მამაცი ხარ.
 - არა. მაგრამ იმედი კი მაქვს, ოდესმე გავხდები-მეთქი.
 - ჩვენ ორივენი მამაცები ვართ, — ვთქვი მე, — ცოტას დავლევ თუ არა, ძალიან მამაცი ვხდები.
 - ჩვენ დიდებული ხალხი ვართ, — თქვა ქეთრინმა. კარადიდან კონიაკი და ჭიქა ვამოიღო და მომიტანა, — დალიე, გენაცვალე, — მითხრა მან, — შენ ძალიან კარგად მოიქეცი.
 - რაღაც არ მინდა.
 - ერთი ჭიქა მაინც.
 - კარგი. — წყლის ჭიქაში ცოტა კონიაკი ჩაეასხი და დავლიე.
 - ასე, — თქვა მან, — მე ვიცი, რომ კონიაკი გმირების სასმელია. მაგრამ მეტიც არ უნდა მოგივიდეს.
 - ომი რომ დამთავრდება, სად ვიცხოვრებთ?
 - ალბათ მოხუცების თავშესაფარში, — თქვა მან, — მთელი სამი წელიწადი ბალღივით მიამიტი ვიყავი და მეგონა, ომი შობა დღეს დამთავრდებოდა. ახლა კი, ჩვენი შვილი რომ ლეიტენანტი გახდება, მაშინ დამთავრდება მეონია.
 - იქნებ გენერალი გახდეს.
 - ასწლიან ომად თუ იქცა, ლეიტენანტიც გახდება და გენერალიც.
 - შენ არ დალევ?
 - არა. შენ მუდამ გახალისებს სასმელი, მე კი თაბერუს მახვევს.
 - ჯერაც არ დაგიღევია კონიაკი?
 - არა, გენაცვალე. მე ძველებური ცოლი ვარ.
- იატაკისკენ დავიხარე ბოთლისათვის და კიდევ დავისხი.

— უნდა წავიდე და შენს თანამემამულეებს მივხედო, — თქვა ქეთრინმა მანამ დაებრუნდებოდე, ალბათ გაზეთებს წაიკითხავ.

- უსათუოდ უნდა წახვიდე?
- ან ახლა, ან მოგვიანებით.
- სჯობს ახლავე წახვიდე.
- მალე დაებრუნდები.
- გაზეთების წაკითხვას მოვასწრებ, — ვთქვი მე.

თავი XXII

ლამით აცივდა და მეორე დღეს წვიმა წამოვიდა. Ospedale Maggiore-დან წამოსული, მაგარ წვიმაში მოვხვდი და გალუმბული დაებრუნდი ჰოსპიტალში. ჩემი ოთახის აივანზე სულ წყალი იდგა და წვიმა კარის მინებსაც სცემდა. ტანსაცმელი გამოვიცვალე და კონიაკი მოვსვი, მაგრამ არ მესიამოვნა. მთელი ღამე ცუდად ვიყავი და დილით კი, ნასაუზმევს, გული ამერია.

— საექვო არაფერია. — თქვა ჰოსპიტლის დოსტაქარმა, — აბა ერთი თვალბში ჩახედეთ, მისს.

მისს გეიჯმა ჩამხედა თვალბში. მერე სარკეში ჩამახედეს. სულ გადაყვითლებული ვიყავი. სიყვითლე მჭირდა. ორი კვირა ვიავადმყოფე. ასე რომ, შვებულება ერთად ვეღარ გავატარეთ. პალანცაში ვაპირებდით წასვლას, ლაგო მაჯიორზე. მშვენიერი სამყოფია იქ შემოდგომით, როცა ფოთლებს სიყვითლე შეებარება. სასეირნო ადგილებიც ბევრია, და შეგიძლია კალმახიც დაიჭირო ტბაში. სტრეზას ისა სჯობია, რადგან ხალხი ნაკლები იცის პალანცაში. მილანიდან სტრეზას წასვლა ისე ადვილია, რომ, როცა არ უნდა ჩახვიდე, სულ ნაცნობებითაა სასე. ზედ პალანცასთან ერთი მშვენიერი სოფელია — მოუსვამ ნიჩბებს და მეთევზეთა კუნძულებს მოივლი, ყველაზე დიდ კუნძულზე რესტორანი აქვთ გამართული. მაგრამ ვერ წავედით.

ერთ დღეს, როცა მე სიყვითლით ვიყავი ავად, მისს ვან კამპენი შემოვიდა ოთახში, კარადა გამოადო და ცარიელი ბოთლები ნახა. ის წუთი იყო, შევიცარს გავატანე ბოთლები დაბლა, ალბათ მისს ვან კამპენმა თვალი მოჰკრა და სხვა ბოთლების სანახავად მოვიდა. უმთავრესად ვერმუთის ბოთლები იყო, აგრეთვე მარსალასი და კაპრისა, ქიანთის დაკლილი მათარები და რამდენიმე კონიაკის ბოთლი. შევიცარმა პირველად ვერმუთის უფრო დიდ-დიდი ბოთლები და ქიანთის შემოწნული მათარები შეარჩია, კონიაკის ბოთლები კი შემდეგისთვის მოიტოვა. სწორედ კონიაკის ბოთლები დახვდა მისს ვან კამპენს და აგრეთვე ქიუმელის ერთი ბოთლი, რომელსაც დათვის გამოსახულება ჰქონდა. განსაკუთრებით ამ დათვა-ბოთლმა გააცოფა. გამოიღო. დათვი უკანა ფეხებზე ჩაეხედა და წინა თათები მაღლა აეტატებინა. შუშის თავში საცობი ჰქონდა დამაგრებული, ხოლო ფსკერზე შუშის რამდენიმე სრიალა ღილი. გამეცინა.

— ქიუმელის ბოთლია, — ვთქვი მე, — ყველაზე საუკეთესო ქიუმელი ამ დათვა-ბოთლებში ასხია ხოლმე. რუსეთიდან მოაქვთ.

— სულ კონიაკის ბოთლებია, არა? — იკითხა მისს ვან კამპენმა.

— ყველას ვერა ზედავ, — ვუბასუხე მე, — კონიაკისა იქნება.

— რამდენი ზანია, ამას სჩადიხარ?

— მე თვითონ ვყიდულობდი და მომქონდა, — ვთქვი მე, — იტალიელი ოფიცრები მესტუმრებთან ხოლმე ხშირად და კონიაკით ვუმასპინძლდები.

— თქვენ თვითონ არ დაგიღევიათ? — მკითხა მან.

— მეც ვსვამდი.



- კონიაკი! — თქვა მან, — კონიაკის თერთმეტი დაკლილი ბოთლი დათვის წვენი.
- ჭიუშელი.
- ახლავე გამოვგზავნი ვინმეს და წავალეზინებ. მეტი აღარა გაქვთ ცარიელი ბოთლები?
- ამჯერად არა.
- შე კიდევ მეცოდებოდით, სიყვითლე შეეყარა-მეთქი, რა ღირსი ხართ შეცოდებისა!
- მაღლობელი ვარ.
- ფრონტზე წასვლა რომ არ გინდათ, ამისთვის ვერ დაგრძახავთ. მაგრამ უფრო ჭკვიანურ რამეს მოიფიქრებდით, ალკოჰოლით სიყვითლის შეყრა სად თქმულა!
- რითიო?
- ალკოჰოლით-მეთქი. მშვენივრად გაიგონეთ. — ხმა არ გამოიღია, — კიდევ თუ არ მოიგონეთ რამე, ვაითუ ისევ ფრონტზე გიკრან თავი, როცა სიყვითლე გაგივლით. არა მგონია, რომ ძალათი შეყრილ სიყვითლისათვის შევებულეზა მოგცენ.
- არა გგონიათ?
- არა.
- გჭონიათ ოდესმე სიყვითლე, მისს ვან კამპენ?
- შე თვითონ არა, მაგრამ ბევრი მინახავს.
- ხომ დაკვირვებინხართ, როგორი სასიამოვნოა ავადმყოფებისათვის?
- ფრონტს, ალბათ, მაინც სჯობია.
- მისს ვან კამპენ, — მიემართე შე, — გინახავთ ოდესმე კაცი, ჯარიდან გათავისუფლებისათვის მუცელში წიხლებს იზელდეს?!
- ვითომ არც გაეგონოს ჩემი შეკითხვა. ან ასე უნდა მოქცეულიყო, ან არა და ოთახიდან გასულიყო. ოთახიდან გასვლას კი არ ისურვებდა, რადგან თავიდანვე შემოიძულა და ახალა მიეცა ბოლშის გადმონთხევის საშუალება.
- ბევრი მინახავს, ფრონტის ასაცილებლად რომ დაუსახიჩრებია თავი.
- ეგ სხვა საქმეა. მაგისტანა ხალხს მეც შეეხედრია. მე თქვენ გკითხეთ — ისეთი კაცი თუ გინახავთ, რომელიც ჯარიდან გათავისუფლებისათვის მუცელში წიხლებს იზელდეს-მეთქი. ეს დაახლოვებით იგივეა, რაც სიყვითლე, და მჯერა, რომ ქალთაგან ცოტა ვინმეს თუ გამოუცდია ეს. ამიტომაც გკითხეთ, ოდესმე სიყვითლე თუ გკირვებიათ-მეთქი, მისს ვან კამპენ. მინდოდა... — მისს ვან კამპენი ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მისს გვიჯი შემოვიდა.
- რა უთხარით ასეთი მისს ვან კამპენს? გაცოფებულა.
- სხვადასხვა განცდები შევადარეთ ერთმანეთს. მე ვივარაუდებ, რომ მას თავის დღეში არ გამოუცდია მშობიარობა და...
- რამ გაგასულელათ! — მითხრა გვიჯმა, — ოთხში ამოვიღებს.
- უკვე გამაძრო ტყავი, — ვუთხარი მე, — შევებულეზა დამაკარგინა, თუ მოახერხა სავლელე სასამართლოსაც გადამცემს. ყველაფერს იკადრებს.
- თავიდანვე ავითვალწუნათ, — თქვა მისს გვიჯმა, — ახლა რა მოხდა?
- სიყვითლე განგებ შეიყარე ლოთობით, რომ ფრონტზე არ წასულა-ყავიო.
- ფუჰ! — შესძახა მისს გვიჯმა, — ხატზე დავიფიცებ, რომ წვეთიც არ ჩავიკარებიათ პირში. ამას ყველა დაიფიცებს.
- ბოთლები ნახა.

- ათსჯერ მიტყვამს, ბოთლები გადაეყაროთ-მეთქი. ახლა სადა ყრია?
- კარადაში.
- ჩემოდანი გაქვთ?
- არა. ზურგჩანთაში ჩადეთ.

მისს გეიჯმა ზურგჩანთაში ჩაალაგა ბოთლები. — შევიცარს გავატან, — თქვა მან და კარებისკენ გაემართა.

— მოითმინეთ — თქვა ოთახში შემოსულმა მისს კამპენმა, — მე თვითონ წავიღებ, — თან შევიცარი ახლდა, — ეს ბოთლები გაიტანეთ! ექიმს უნდა ვაჩვენო, როცა საქმის შინაარსს მოვახსენებ.

დერეფანში გავიდა. შევიცარმა ზურგჩანთა წაიღო. იცოდა, რაც იყო შიგ. შვებულება დავკარგე, მეტი არაფერი მომხდარა.

თამი XXIII

იმ დამეს, როცა მე ფრონტზე უნდა დავბრუნებულყავი, შევიცარი გავგზავნე, რათა ტურინიდან მომავალ მატარებელში ერთი ადგილი დაეჭირა ჩემთვის. მატარებელი შულამისას გადიოდა, მაგრამ მილანში თერთმეტის ნახევარისათვის უნდა შემოსულიყო და, ამერამდე, სადგურში მდგარიყო. შემოსულ მატარებელს სადგურშივე უნდა დახვედროდი, თორემ ისე ადგილს ვერ იშოვიდი. შევიცარმა თან წაიყვანა ერთი თავისი მეგობარი, შვებულებაში მყოფი მეტყვიამფრქვევე. რომელიც ახლა თერძთან მუშაობდა; იმედოვნებდა, რომ ორივენი როგორმე მიშოვნიდნენ ერთ ადგილს. საბაქნო ბილეთებისათვის ფული მივეცი და ბარგიც გავატანე: ერთი დიდი ზურგჩანთა და ორი საველე ჩანთა.

დაახლოებით ხუთ საათზე ჰოსპიტალში ხალხს გამოვეთხოვე და ქალაქში გავედი. ბარგი შევიცარმა ჩაიტანა თავის სადგომში. მე დავუბარე, სადგურში შულამზევე ცოტა ხნით ადრე ვიქნები-მეთქი. შევიცარის ცოლმა „Signiorino“ მიწორდა და ატირდა. მერე თვალეზი მოიწმინდა, ხელი ჩამომართვა და ხელახლა ატირდა. მხარზე ხელი მოვეუთათუნე და კიდევ ატირდა. ეს ქალი წინდებს მიკემსავდა ხოლმე. ჩამრგვალებული, დაბალი, ქალარა დედაკაცი იყო, ბედნიერი სახე ჰქონდა. როცა ატირდა, ასე გვეგონებოდათ, მთელი სახე დაეფუშათ. მოსახვევადი მივედი, ღვინის ბარში შევედი და იქ დავიწყე ლოდინი, ფანჯრიდან ვიყურებოდი. გარეთ ბნელოდა, ციოდა და ნისლი იდგა. ყავისა და გრაპის ფული გადავიხადე და, ფანჯრიდან გაკრილ შუქზე, ქუჩაში მიმავალ ხალხს დავუწყე ცქერა. ქეთრინი დავინახე და ფანჯარაზე დავაკაყუნე. შემოიხედა, დამინახა და გამიღიმა. შესაგებებლად წამოვედექი. ლურჯი ლაბადა ეცვა და ფაფუკი დეტრის ქუდი ეხურა. ერთად გამოვედით ტროტუარზე, ღვინის ღუქებს ჩავუარეთ, ბაზრის მოედანი გადავჭერით, ზევით ავუხვიეთ, თალი გავიარეთ და ტაძრის მოედანზე გამოვედით. მოედანს ტრამვაის ხაზი სერავდა, ხოლო გადაღმა ტაძარი იყო აღმართული, რომელიც ნისლში თეთრი და სველი ჩანდა. გადავჭერით ტრამვაის ხაზი. ხელმარცხნივ — მაღაზიების განათებული ვიტრინები და გალერიას შესასვლელი ჩანდა. მოედანზე სქლად იწვა ნისლი და ტაძარს რომ მივადექით, ახლოდან ძალიან დიდი გამოჩნდა, ქვის კედლები კი — სველი.

— გინდა, შევიდეთ?

— არა, — თქვა ქეთრინმა. გზა განვაგრძეთ. ერთ-ერთი დიდი კონტრსამაგრის ქვეშ ჯარისკაცს გოგო შეეყვანა, გვერდზე ჩავუარეთ. მჭიდროდ მიჰყვოდნენ კედელს და ჯარისკაცს თავისი ლაბადა შემოეხვია გოგოსათვის.

— ჩვენს დღეში არიან, — ვთქვი მე.

— არავინაც არ იქნება ჩვენს დღეში, — მიპასუხა ქეთრინმა.

- სადმე წასასვლელი მაინც ჰქონდეთ.
- თუნდა ჰქონდეთ, რა ბედენაა.
- არ ვიცი. ყველას უნდა ჰქონდეს თავშესაფარი.
- აგერ, ტაძარი აქვთ, — თქვა ქეთრინმა.

ის იყო ტაძარს ჩაუვარეთ. მოედნის ბოლოში გავედით და ტაძარს გამოვ-
ხედეთ. ლამაზი ჩანდა ნისლში. ტყავეულობის მადანაისთან ვიდექით. ვიტრი-
ნაში გამოეწყოთ საცხენოსნო ჩექმები, ზურგჩანთა და სათხილამურო ფეხსა-
ცმელები. ცალ-ცალკე ეწყო ყველაფერი: ზურგჩანთა შუაში, ჩექმები და ფეხ-
საცმელები კი — აქეთ-იქით. ტყავი შავი და გაპრიალებული ჩანდა, როგორც
ნახმარი უნაგირი. გაპრიალებულ ტყავზე ელექტრონის სინათლე მზინავდა.

- როცა იქნება, ჩვენც ვიცურავებთ თხილამურებით.
- კიდევ ორი თვე და მიტურენში სათხილამურო სეზონი გაიხსნება, —
თქვა ქეთრინმა.
- ჩვენც ავდგეთ და იქ წავიდეთ.
- წავიდეთ, — თქვა მან. სხვა ვიტრინებსაც ჩაუვარეთ და მოსახვევში
მოვბრუნდით.

— ერთხელაც არ მივლია აქეთ.
— მე კი სულ ამ გზით დავდიოდი მთავარ ჰოსპიტალში.
ვიწრო შუკა იყო და ჩვენ მარჯვენა მხარეს მივდიოდით. ბევრი ხალხი
გვხვდებოდა ამ ნისლში. მაღაზიების ვიტრინები ყველგან განათებული იყო.
ერთ ვიტრინაში დახვავებული ყველი დაფინახეთ. იარაღების მაღაზიასთან შევ-
დექი.

- ერთი წუთით შემყვები, იარაღი უნდა ვიყიდო.
- რა იარაღი?
- პისტოლეტი.

შევედით. ქამარი შევიხსენი და პისტოლეტის ცარიელ ბუდესთან ერთად
დახლზე დავედ. დახლში ორი ქალი იდგა. რამდენიმე პისტოლეტი გადმოიღეს.

— უნდა მოვარგო, ვთქვი მე და ბუდე გავხსენი. ნაცრისფერი ტყავის
ბუდე იყო, ხელზე მქონდა ნაყიდი, ქალაქში სატარებლად.

- კარგი პისტოლეტები აქვთ? — იკითხა ქეთრინმა.
- თითქმის ყველა ერთნაირია. შეიძლება ეს გავსინჯო? — ვკითხე გამ-
ყიდველ ქალს.

— აქ ადგილი არა მაქვს, რომ გავასროლინოთ, — მითხრა მან, — მაგრამ
ძალიან კარგია. არ წააგებთ.

ჩახმახი შევაყენე და ფეხი გამოვუშალე. ზამბარა მკვრივი იყო, მაგრამ
კარგად მუშაობდა. დავემიზნე და კიდევ გამოვუშალე ფეხი.

— ნახმარია, — თქვა ქალმა, — ერთ ოფიცერსა ჰქონდა, ბრწყინვალე
მსროლელი იყო.

- თქვენთან ჰქონდა ნაყიდი?
- დიახ.
- მეორედ როგორღა ჩაგივარდათ ხელში?
- იმ ოფიცერის აღიუტანტმა მოიტანა.
- იქნებ ჩემიც აქ იყოს, — ვთქვი მე, — რა ღირს?
- ორმოცდაათი ლირა. მუქთია.
- კარგი. ორი სათადარიგო მქიდე მომეცით და ერთი კოლოფი ვაზნებიც

გამოაყოლეთ.

დახლიდან გამოიღო მჭიდვებიცა და ვაზნებიც.

— ხმალი არ გქირდებათ? — მკითხა მან, — ნახმარი ხმლები მაქვს, ძალიან ან იაფად.

— ფრონტზე მივდივარ, — ვუთხარი მე.

— ჰოო, მაშინ რაღად გინდათ ხმალი, — თქვა მან.

ვაზნებისა და პისტოლეტის ფული გადავიხადე. მჭიდრები გავტენე და პისტოლეტი ცარიელ ბუდეში ჩაედე. მერე ქამარი შემოვიტყუი. პისტოლეტის სიმძიმემ ქამარი დასქიმა. რაც უნდა იყოს, სამხედრო პისტოლეტი მაინც სხვა არის-მეთქი, გავიფიქრე. ვაზნებს ყოველთვის იშოვის კაცი.

— ახლა თავითფეხებამდე შეიარაღებული ვარ, — ვთქვი მე, — წასვლამდე ეს ერთი საქმელა მჭონდა მოსაგვარებელი. ჰოსპიტალში რომ მოვდიოდი, მაშინ ამაცალა ვილაკამ ძველი პისტოლეტი.

— კარგი მაინც გამოდგებოდეს, — თქვა ქეთრინმა.

— სხვა არაფერი გნებათ? — მკითხა ქალმა.

— მგონი აღარაფერი.

— პისტოლეტს ზონარიც ახლავს, — თქვა ქალმა.

— ენახე. — ქალს უნდოდა, კიდევ რამე გაესაღებინა.

— სასტვენნი არა გნებათ?

— მგონი, არა.

ნახვამდისო, გვითხრა ქალმა და ჩვენც ქუჩაში გამოვედით. ქეთრინმა ვიტრინაში შეიქცია. ქალმა გამოგვხედა და თავი დაგვიქნია.

— ეს პატარა სარკეები რის მაქნისია, ხის ჩარჩოებში?

— ჩიტების მისატყუებლად ხმარობენ. მინდორში გაიტანენ და ატრიალებენ; როგორც კი დანახავენ ტოროლები, გამოეჭანებიან ხოლმე, და იტალიელები ხოცავენ.

— მოხერხებული ხალხია, — თქვა ქეთრინმა, — თქვენთან არ ხოცავენ ტოროლებს, ამერიკაში?

— შემთხვევით თუ მოახვედრებენ!

ქუჩა გადავქერით და მეორე მხარეს გადავედით.

— ცოტა მოვმჯობინდი, — თქვა ქეთრინმა, — როცა გამოვედით, ძალიან ცუდად ვიყავი.

— ერთად როცა ვართ, მუდამ კარგად ვართ ხოლმე.

— სულ ერთად ვიქნებით.

— ჰო, ოღონდ შუალამისას უნდა წავიდე.

— ამაზე ნუ ფიქრობ, გენაცვალე.

ალმა შევუყვებით ქუჩას. ნისლში სინათლეები ყვითელი ჩანდა.

— არ დაიღალე? — მკითხა ქეთრინმა.

— შენ?

— მე კარგად ვარ. სასიამოვნოა ასე სიარული.

— ოღონდ ძალიანაც ნუ გავაგრძელებთ.

— არა.

მოსახვევამდე მივედით და შევუხვიეთ. ამ შუკაში ბნელოდა. შევჩერდი და ვაკოცე, როცა ვაკონიდი, მხრებზე მისი ხელი ვიგრძენი, ჩემი ლაბადა გაშალა და თვითონაც შიგ შემოიყუთა. დიდ კედელს მივეყუდეთ ქუჩაში.

— სადმე წავიდეთ, — ვთქვი მე.

— წავიდეთ, — მითხრა ქეთრინმა. გაგყვებით შუკას და ფართო ქუჩაზე გავედით, რომელსაც გვერდზე არხი მისდევდა. გაღმა აგურის სახლები იდგა. ქუჩის ბოლოში ტრამვაი დაეინახე, რომელიც ხიდზე გადადიოდა.

— ხიდთან ეტლს შეგხვდებით, — ვთქვი მე. ვიდრეც ზიდზე, ნისლში გახეულები, და ეტლს ველოდით. ხალხით გაქედნილმა ტრამვაის ჩამდენმა გონმა გაიარა. მერე ეტლმაც ჩაგვიქროლა, მაგრამ ვილაც იჯდა შიგ. ნისლი თანდათანობით წვიმად იქცა.

- ბარემ წავიდეთ — ან ტრამვაით ან ფეხით, — თქვა ქეთრინმა.
- ახლავე გამოივლის, — ვუთხარი მე, — აქ ხშირად დადის.
- აჰა, მოდის კიდევ, — თქვა მან.

მეეტლემ ცხენი გააჩერა და საანგარიშო ლითონი გადასწია. ეტლი გადახურული იყო და მეეტლეს აწვიმდა. მისი გაბრიალებული ცილინდრი წვიმამილაპლაპებდა. უკანა სავარძელში ჩავსხედით, გადახურულ ეტლში ბნელოდა.

- რა უთხარი, სად წავიდეთო?
- სადგურზე, სადგურის პირდაპირ სასტუმროთა და იქ მივიდეთ.
- ასე მიგვიღებენ სასტუმროში? უბარგოდ და უყველაფროდ.
- მიგვიღებენ, — ვთქვი მე.

სადგურში მისვლამდე კარგა ხანს ვიარეთ შუკა-შუკა იმ წვიმაში.

- არ ვისადილოთ? — მკითხა ქეთრინმა, — თითქოს მშია ცოტათი.
- ნომერში ვისადილოთ.

- გამოსაცვლელი არაფერი მაქვს. ღამის პერანგიც კი არ წამომიღია.
- ვიყიდოთ, — ვუთხარი მე და მეეტლეს გავძახე:

— ვია მანცონიზე გავიყვანე. — მეეტლემ თავი დამიქნია, მოსახვევში მარცხნივ შეუხვია. დიდ ქუჩაზე რომ გავედით, ქეთრინმა მალაზიებს დაუწყოთვალაიერება.

— აი აქა, — თქვა ქეთრინმა. ეტლი გავაჩერებინე, ქეთრინი ჩამოხტა, ტროტუარი გადასჭრა და მალაზიაში შევიდა. მე ეტლში ვიჯექი და ველოდი. წვიმდა, და მე ვგრძნობდი სველი ქუჩისა და წვიმით გაწუწული ცხენის ორთქლის სუნს. მალე ქეთრინიც მოვიდა, — რალაც შეხვეული მოიტანა, — და გზა განვაგრძეთ.

— რა უყარათო ვარ, არა? — თქვა მან, — მაგრამ ძალიან კოხტა ღამის პერანგია.

სასტუმროსთან რომ მივედით, ქეთრინს ვთხოვე, ცოტა ხანს ეტლში დამელოდე-მეთქი, მე კი გამგესთან შევედი მოსალაპარაკებლად. ოთახები თავზესაყარი ჰქონდათ. გამოვბრუნდი, მეეტლე გავისტუმრე და მე და ქეთრინი ერთად შევედით სასტუმროში. ბრჭყვიალალილებიანმა პატარა ბიჭმა შეკრულა წაიღო. ლიფტთან გამგე დაგვხვდა და თავი დაგვიხარა. ლიფტი სულ წითელი პლუშითა და ბრონზითი იყო აჭრელებული. გამგეც ამოგვეყვა ზემოთ.

- მუსიოსა და მადამს სადილი არ მოვართვათ ნომერში?
- დიახ, იქნებ მენიუ გამოგვიგზავნოთ, — ვუთხარი მე.
- ალბათ რამეს დაუცვეთათ — ფრინველს ან სუფლეს, არა?

ლიფტმა ტაკუნ-ტაკუნით აიარა სამი სართული, კიდევ ერთხელ გაიტაკუნა და გაჩერდა.

- რა ფრინველი გექნებათ?
- ხოხობიცა გვაქვს, ტყის ქათამიც.

— ტყის ქათამი იყოს, — ვუთხარი მე. დერეფანში გამოვედით. ნოხი გაცვეთილი იყო. ჩავუარეთ მრავალ კარს. მერე გამგე შეჩერდა და ერთი ნომერი გააღო.

- ეს გახლავთ. მშვენიერი ოთახია.

ბრწყვილაღილებიანმა პატარა ბიჭმა შეერულა მაგიდაზე დაღო, შუაგულში. გამგემ ფარდები გადახსნა.

— ახლა მენიუს გამოგზავნით, — თქვა მან, თავი დაგვიკრა და გავიდა. ფანჯარასთან მივედი და გადავიხედე, მერე ზონარი ჩამოვწიე და სქელი პლუშის ფარდები ჩამოვაფარე. ქეთრინი ლოგინზე იჯდა, თვალი ბროლის შანდალისთვის გაეშტერებინა, ქუდი მოეხადა და სინათლეზე თმა უბრწყინავდა. ერთ-ერთ სარკეში თავისი თავი დაინახა და თმისკენ წაიღო ხელი. მე დანარჩენ სამ სარკეში შევუყურებდი მას. მოწყენილი ჩანდა. ლაბადა გაეძრო და პირდაპირ ლოგინზე დაეგდო.

— რა მოგივიდა, გენაცვალე?
— ჩემს დღეში არ გამიფიქრია, მეძავი ქალი ვარ-მეთქი. — თქვა მან. ფანჯარასთან მივედი, ფარდა გადავსწიე და გავიხედე. არ მეგონა, ასე თუ წავიდოდა საქმე.

— სადაური მეძავი შენა ხარ!
— ვიცი, გენაცვალე. მაგრამ მაინც არ არის კარგი, ამას რომ გაიფიქრებ. — მშრალი და სუსტი ხმა ჰქონდა.

— ამაზე უკეთეს სასტუმროს ვერ მოვძებნიდით, — ვთქვი მე. ფანჯარაში გადავიხედე. მოედანს სადგურის სინათლეები ეცემოდა. ქუჩაში ეტლები დაპქროდა, ბაღში ხეები დავინახე. სასტუმროდან გაქრილი შუქი ნაწვიმარ ტროტუარს ანათებდა. „შემაკმა დალახვროს!“. — გავიფიქრე მე, — ახლა ჩხუბი იქნება?!

— მოდი ჩემთან, გენაცვალე, — მითხრა ქეთრინმა. სიმშრალე უკვე გაპქრობოდა ხმაში, — მოდი, გენაცვალე. მე ისევ კარგი გოგო ვაგვხდი.

ლოგინს გავხედე. ქეთრინი იღიმებოდა. მივედი, გვერდზე მოუუჯექე და ვაკოცე.

— ჩემი კარგი გოგო!
— რა თქმა უნდა, შენი ვარ.

ნასაღილევს კიდევ უფრო გამოგვიკეთდა ხასიათი, მერე კი სულ კარგ გუნებაზე დავექმით და ცოტა ხანში სასტუმროს ნომერი ჩვენს ნამდვილ სახლად იქცა. ჩემი ოთახი, პოსპიტალში, ხომ ნამდვილი სახლი იყო ჩვენი, და ახლა ეს ნომერიც ჩვენი სახლი გახდა.

სადილობის დროს ქეთრინს ჩემი ტუნიკი ჰქონდა მოსხმული. ძალიან მოშვეებულები ვიყავით, სადილიც გემრიელი მოგვიტანეს და თითო ბოთლი კაპრი და სანტ ესტეფი დავლიეთ. თითქმის სულ მე შევსვი, ქეთრინმა ცოტა მოსვა და შესანიშნავ გუნებაზე დადგა. სადილად მოგვართვეს ტყის ქათამი, კარტოფილის სუფლეთი, წაბლის პიურე, სალათი და დესერტად საბაიონი.

— მშვენიერი ოთახია, — თქვა ქეთრინმა, — კოსტა და კარგი. თავიდანვე აქ უნდა აგველო ბინა.

— სასაცილო ოთახია, მაგრამ კარგია.

— დიდებული საქმეა გარყვნილება, — თქვა ქეთრინმა, — ვინც ამას მისდევს, ალბათ გემოსაც ატანს. წითელი პლუში მართლაც დიდებულია. უკეთესს ვერც ინატრებ. სარკეები ხომ პირდაპირ თვალს იტაცებს.

— შენ ჩემი მშვენიერი გოგონა ხარ!

— არ ვიცი, გამოვლიძება როგორი იქნება დილით ამისთანა ოთახში. ისე კი მართლაც რომ ბრწყინვალეა. — კიდევ დავისხი სანტ ესტეფი.

— ნეტა მართლა ჩაგვადენინა რამე დიდი ცოდვა. — თქვა ქეთრინმა, —



რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველაფერი უბრალო და უბიწო მეჩვენება. არა მჯე-
რა, ცუდს რასმე ვაკეთებდეთ!

— შენ დიდებული გოგო ხარ.

— მაგრამ მშობი, საშინლად მოშშივდა.

— რა მშვენიერი, უბრალო გოგონა ხარ! — ვუთხარი მე.

— უბრალო გოგო ვარ. შენს გარდა ვერაფერს მიხედა ამას.

— ერთხელ, პირველად რომ შეგხედით ერთმანეთს, მთელი დღე ვოცნე-
ბობდი — როგორ წავიდოდით ჩვენ ერთად სასტუმრო კაფურში და როგორ გა-
ეატარებდით იქ დროს.

— რა თავხედობაა! მაგრამ ეს ხომ კავური არ არის!

— არა. იქ ვინ მიგვიშვებდა.

— როცა იქნება, მიგვიშვებენ. აი რა განსხვავებაა ჩვენს შორის, გენა-
ცვალე. მე არაფერზე არ მიფიქრია, არასოდეს.

— სულ არაფერზე?

— ცოტა რამეზე, — თქვა მან.

— ოჰ, რა საყვარელი გოგონა ხარ!

კიდევ დაეისხი ერთი ჭიქა ღვინო.

— მე სულ უბრალო გოგო ვარ, — თქვა ქეთრინმა.

— პირველად ასე არ შეგონა. გიჟია-მეთქი, ვფიქრობდი.

— ცოტათი მართლაც ვიყავი გიჟი. მაგრამ სულ მთლად წყალწადებული
გიჟი კი არა. ხომ არ შეგაშინე მაშინ, გენაცვალე?

— დიდებულია ეს ღვინო, — ეთქვი მე, — ყოველგვარ სიგლახეს დაგაფი-
წყებს.

— მართლაც რომ მშვენიერია, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ მამაჩემს სა-
შინელი ნიკრისი შეჰყარა.

— გყავს მამა?

— ჰო, — თქვა ქეთრინმა, — ნიკრისი აქვს. შენ არასოდეს არ მოგიწევს
მასთან შეხვედრა. შენ არა გყავს მამა?

— არა, — ვუთხარი მე, — მამინაცვალი მყავს.

— მე მომეწონება?

— არც შენ მოგიწევს მასთან შეხვედრა.

— ჩვენ ისედაც კარგადა ვართ, — თქვა ქეთრინმა, — სხვა აღარაფერი
მინტერესებს. ისეთი ბედნიერი ცოლი ვარ!

ოფიციალტი შემოვიდა და სუფრა ააღაგა. ცოტა ხანში სულ გაეიტრუნეთ,
და წვიმის ხმა გვესმოდა. ქვევით, მოედანზე, მანქანამ დააყვირა:

ფხვდაფხვ მოგვდევს ეტლი დროისა,
ურში ჩაგვესმის მისი გრიალი.

ეთქვი მე.

— მახსოვს ეს ლექსი, — თქვა ქეთრინმა. — მარველისაა. მაგრამ გოგოზეა
დაწერილი, რომელიც კაცთან ცხოვრებას გაურბოდა.

გონება სავსებით ნათელი და დაწმენდილი მქონდა, და უბრალო, ყოველ-
დღიურ ამბებზე ლაპარაკი მომიწინდა.

— სად მოიმშობიარებ?

— არ ვიცი. ყველაზე უკეთეს ადგილს შევარჩევ.

— როგორ მოაწყობ ამას?

- ჩინებულად. შენ ფიქრი ნუ გაქვს, გენაცვალე. მანამ რომ გათავდებდნენ...
- დეს, ეინ იცის რამდენი ბავშვი გაგვიჩნდება!
- წასვლის დრო მოახლოვდა.
- ვიცი. შეგიძლია თქვა — უკვე დროაო.
- რას ამბობ?
- მამ ნულარ ცმუკავ. აქამდე კარგი იყავი, ახლა კი რაღაც აწრიალდი.
- აღარ ვიხამ. ხშირად მომწერ ხოლმე?
- ყოველდღე. თქვენს წერილებს ხომ არ კითხულობენ?
- ინგლისურისა ბევრი არა გაეგებათ რა და ვერაფერს დაგვიშაგებენ.
- არეულად დავწერ ხოლმე განგებ, — მითხრა ქეთრინმა.
- ძალიანაც ნუ აურევ.
- ცოტათი აურდავურევ.
- ვაი რომ წასვლის დროც მოვიდა.
- რა გაეწყობა, ჩემო ძვირფასო.
- მიმძიმს ჩვენი მშვენიერი სახლის დატოვება.
- მეც.
- მაგრამ უნდა წავიდეთ.
- წავიდეთ. ჩვენ ჯერ დიდი ხანი არ გავგიტარებია სახლში.
- გავატარებთ.
- როცა დაბრუნდები, კოსტა სახლს დაგახვედრებ.
- იქნებ ახლაც დაებრუნდე.
- ფეხი რომ გაგიკაწრონ ცოტათი!
- ან ყურის ბიბილო.
- არა, ყურს ხელს ნუ ახლებენ.
- ფეხმა რაღა დაგიშავა?
- ფეხში ხომ ისედაც დაგჭრეს ერთხელ!
- უნდა წავიდეთ, გენაცვალე.
- წავიდეთ. ჯერ შენ გადი.

თავი XXIV

ლიფტით აღარ დაშვებულვართ, კიბეებს დაუყუევით. ნოხი გაცვეთილი იყო კიბეზე. სადილის ფული მაშინვე გადავიხადე, როცა მოიტანეს, და ჩვენი ოფიციანტი ახლა კარებთან იჯდა, სკამზე. წამოხტა და თავი დაგვიკრა, მერე კანტორაში გამოიყვია და მე ნომრის ჭირა გადავიხადე. სასტუმროს გამგებელმა თავში ისე მიმიღო, როგორც კაი მეგობარი, და წინასწარ არასდიდებით არ აიღო ფული, ხოლო დაბლა რომ ჩავიდა, სიფრთხილე იხმარა და ოფიციანტი დასვა კარებში, ჭირის გადაუხდელად არ გაიბაროსო. ალბათ გაუკეთეს ასეთი ოინი მეგობრებმაც კი. ომის დროს რამდენ მეგობარს გაიჩენ კაცი!

ოფიციანტს ვთხოვე, ეტლი დაეჭირა ჩვენთვის. ქეთრინის შეკრულა გამომართვა, ქოლგა აიღო და წავიდა. ფანჯარაში დავინახეთ, როგორ გადასკრა ქუჩა ამ წვიმაში. ჩვენ კანტორაში ვიდექით და ფანჯარაში ვიყურებოდით.

- როგორა ხარ, ქეთ?
- მეძინება.
- მე კი გამოვლენიდი და მშია.
- საკმელი არაფერი გაქვს?
- მაქვს საველე ჩანთაში.



ეტლი ჩამოდგა. ცხენს თავი ჩაეჭინდრა წვიმაში. ოფიციალტი გადმოხტა, ქოლგა გასწია და სასტუმროსკენ გამოემართა. კარებში შევეგებეთ, ქოლგაში შევიყუყუეთ და სველ ტროტუარზე გავედით. არხში წყალი მიდიოდა.

— თქვენი შეკრულა ეტლის საფარქელში დევს, — გვითხრა ოფიციალტი. მანამ ჩავსხდებოდით, იგი ქოლგით იღგა იქვე, და მე ფული ვაჩუქე.

— დიდი მადლობელი ვარ, ბედნიერი მგზავრობა! — მოგვძახა მან.

მეეტლემ სადავეები აიღო და ცხენი დაიძრა. ქოლგას შეფარებული ოფიციალტი შეტრიალდა და სასტუმროსაკენ გაემართა. ჩვენ ქვევით ჩაუყუყუეთ ქუჩას. მერე მარცხნივ შევეუხეეთ, და მარჯვენა მხრიდან მივადექით სადგურს. ფანართან, ზედ წვიმაში, ორი კარაბინერი იღგა. სინათლე ქუდებზე ეცემოდათ. სადგურის სინათლეების შუქზე წვიმა წმინდა და გამჭვირვალე ჩანდა. უცებ, აბუზული მებარგე გამოძვრა.

— არ მინდა, — ვუთხარი მე, — გმადლობთ. არა მჭირდებათ.

ისევ შეაფარა თავი სადგურის თაღებს. ქეთრინისკენ მივბრუნდი. ეტლის ჩარდახი უჩრდილავედა სახეს.

— ჩვენც აქვე გამოვეთხოვოთ ერთმანეთს.

— არ შემოვიდეთ?

— არა.

— ნახვამდის, ქეთ.

— ჰოსპიტლის მისამართი უთხარი.

— ახლავე.

ნეტლეს ვუთხარი, სად უნდა მიეყვანა ქეთრინი. თავი დამიჭინა.

— ნახვამდის, — ვთქვი მე, — თავსაც გაუფრთხილდი და პატარა ქეთრინსაც.

— ნახვამდის, გენაცვალე.

— ნახვამდის, — ვუთხარი მე.

წვიმაში გადმოვედი და ეტლიც დაიძრა. ქეთრინმა გადმოიხედა და სინათლეში მისი სახე დავინახე. იღიმებოდა და ხელს მიქნევდა. ეტლი აღმა შეუყუდა ქუჩას. ქეთრინმა თაღებისაკენ მანიშნა ხელით. მივიხედე. ის ორი კარაბინერი იღგა. მივხვდი, ალბათ მანიშნა, წვიმაში ნუ დგებარო. შევედი თაღებში და თვალი ეტლს გადავყოლე, რომელმაც მოსახვევში შეუხვია. მერე გავიარე სადგურის შენობა და მატარებელს მივადექი.

შვეიცარი ბაქანზე წრიალებდა. და მეძებდა. ეაგონში შევპყუევი, ხალხი გავარდევ, გამოქვდილი კუბეს კარები შევალე და კუთხეში მიყუყუევი მეტყვიამტრქვევე დავინახე. ჩემი ჩანთები საბარგო ბაღეში ეწყო, კედელზე დერეფანიც ხალხით იყო გაქვდილი და კარები რომ შევალე, კუბეში მყოფებმა ჩვენ მოგვაშტერეს თვალი. ადგილები არა კმაროდა მატარებელში, და ყველა მტრულად იყო განწყობილი. მეტყვიამტრქვევე წამოდგა და ადგილი დამითმო. ვილაცამ მხარზე დამკრა ხელი. მოვიხედე. არტილერიის კაპიტანი იყო, წოწოლა კაცი, ლოყაზე წითელი ნაიარევი აჩნდა. მინის კარებში დაინახა ყველაფერი და ახლა კუბეში შემოვარდა.

— რა ამბავია? — გვითხე მე. მოვბრუნდი და სახეში მივაშტერდი. ჩემზე მაღალი იყო და, ჩაჩქანის ჩრდილი სახეს უწვრილებდა, ჭრილობა სულ ახალი იყო და პრიალებდა. კუბეში ვინც კი იყო, ყველა ჩვენ შემოგვაშტერდა.

— სადაური წესია. — თქვა მან, — ჯარისკაცს რომ ადგილს აჭვრინებთ. სად გავიწინა?

— ახლა გაიგონეთ!

ნერწყვი გადაყლაპა, შეენიშნე, როგორ აუთამამდა ხვანჩი. მეტყველებდა ქვევე იქვე იდგა. დერეფნიდანაც იყურებოდნენ მინის კარებში. კუბეში კონტი არავის დაუძრავს.

- რა უფლების ძალით?! თქვენზე ორი საათით აღრე ვარ მოსული!
- მაინც რა გინდათ?
- ადგილი.
- მეც მინდა.

სახეში მივშტერებოდი და ვგრძნობდი, რომ კუბეში ყველანი მე მიბღვერდნენ. არც დამიძრახავს. მართალი იყო ეს კაცი. მაგრამ მე დაჯდომა მინდოდა. კრინტსაც არავინ სძრავდა.

„ჯანდაბას“, გავიფიქრე გუნებაში.

— დაჯექით — ვუთხარი მე. მეტყვიამფრქვევე ჩამოეცალა და წოწოლა კაპიტანი დაჯდა. შემომხედა. გაწამებული სახე ჰქონდა. მაგრამ ადგილი მას დარჩა. „ჩემი ბარგი წამოიღეთ“, ვუთხარი მეტყვიამფრქვევეს. დერეფანში გამოვედი. მატარებელი გაჰყვდილი იყო და ვიცოდი, რომ ადგილის ძებნა წყლის ნაყვა იქნებოდა. შევიცარსა და მეტყვიამფრქვევეს ათ-ათი ლირა ვაჩუქე. დაბლა ჩავიდნენ და მატარებელს ჩაუარეს, ფანჯრებში იყურებოდნენ, მაგრამ ადგილი ვერსად ნახეს.

— იქნებ ბრეშიაში ჩავიდეს ვინმე, — თქვა შევიცარმა.

— უფრო მეტი ამოვა, — უბასუხა მეტყვიამფრქვევემ. გამოვემშვიდობე. ზელი ჩამოვართვი, და წავიდნენ. ორივეს გაუფუჭდა გუნება. ყველანი ფეხზე ეიდქით, დერეფანში, როცა მატარებელი დაიძრა. ფანჯრიდან ფანრებსა და ისრებს ვაეპყურებდი. ისევ წვიმდა, მალე ფანჯრები ერთიანად დასველდა და უკვე აღარათფერი ჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იატაკზე მოვიკეცე, დერეფანში, და დავიძინე. საფულე, რომელშიაც საბუთები და ფული მქონდა, წინასწარ ამოვიღე და შარვლისა და პერანგის ქვეშ შევიჩახე, ბარძაყთან. მთელი დამე შეძინა, მხოლოდ ბრეშიასა და ვერონაში გამომეღვიძა. ამ სადგურებში კიდევ ამოვიდა ხალხი, და მაშინვე დამეძინა. ერთ საველე ჩანთაზე თავი მედო, მეორეზე მკლავები მქონდა მოხვეული, ხალხი ადვილად გადამალაჯებდა, თუკი ვინმე საგანგებოდ არ მოინდომებდა ფეხის დაბიჯებას. მთელი დერეფანი ხალხით იყო მოფენილი, იატაკზე ეძინათ. დანარჩენები ფანჯრის ღვედებს ჩამოაკიდებოდნენ, ზოგიც კარებს მიჰყუდებოდა. მუდამ გაჰყვდილი იყო ეს მატარებელი.

წიგნი მესამე

თავი XXV

დადგა შემოდგომა, ხეები ერთიანად დატიტვლდა, გზები ატალახდა. მე უღინიდან საბარგო მანქანით მივედიოდი გორიკიაში. გზაში სხვა საბარგო მანქანებიც გვხვდებოდა, და მე მიდამოს ვათვალიერებდი. თუთის ხეები დატიტვლებულიყვნენ, მინდვრებს მურა ფერი დასდებოდა. გზაზე, ნაპირის გასწვრივ ჩამწყრივებულ განძარცულ ხეებიდან ჩამოცვენილი მკვდარი და სველი ფოთლები ეყარა. მუშებს გადმოჰქონდათ ხეების ქვეშ დაზვიანული ღორღი და დათხრილ ორმოებში ჰყრიდნენ, გზას ასწორებდნენ. გამოჩნდა ქალაქი, ქალაქს გადაღმა ნისლი ჩამოწოლილიყო და მთები გადაეპრა. მდინარეზე გადავედი და შეენიშნე, რომ წყალი ადიდებულიყო. წვიმდა მთაში. შევედი ქალაქში, ფაბრიკებს ჩავექროლეთ, მერე სახლებსა და ვილებს გავცდი და მე შეენიშნე, რომ

ჩემს შენდევ ბევრი სახლი დაენგრიათ. ვიწრო შუკაში ჩვენ შევხვდით ინგლისური წითელი ჯვრის მანქანას. შოფერს კეპი ეხურა, გაცქინტული და მზებზე გარუჯული სახე ჰქონდა. ვერ ვიცანი. დიდ მოედანზე რომ გავედით, მანქანიდან ჩამოვხტი ქალაქის მერის სახლის წინ. შოფერმა ზურგჩანთა მომაწოდა, ბეჭებზე მოვიგდე, საველე ჩანთები ზედ გამოვაბი და ჩვენი ვილისაყენ გავსწიე. ეს არ ჰგავდა შინ დაბრუნებას.

მივწყვებოდი ხეინჯამოყრილ სველ ბილიკს და ჩვენს ვილას გავცქეროდი, ხეებს იქით. ფანჯრები სულ დაეკეტათ, მხოლოდ კარი იყო ღია. შევედი. მაიორი მაგიდასთან იჯდა, ცარიელ ოთახში, კედლებზე რუკები და გადაბეჭდილი ქალაქდები იყო გაკრული.

— ჰელო! — მომმართა მან, — როგორა ხარ? — უფრო შებერებული და გამოფიტული ჩანდა.

— კარგადა ვარ, — ვუბასუხე მე, — აქ როგორ მიდის საქმეები?

— ყველაფერი გაათავდა, — თქვა მან, — ეგ ჩანთები მოიხსენი და დაჯექი. ჩანთები იატაკზე დაეყარე, ქული ზურგჩანთაზე დაედე. კედელთან სკამი ავიდე და მეც მაგიდასთან დაჯექი.

— საძაგელი ზაფხული იყო, — თქვა მაიორმა, — სულ გამომჯობინდი?

— სულ.

— ჯილდოები თუ მიიღე?

— მივიღე. კარგი ჯილდოებია, მადლობელი ვარ.

— აბა ენახოთ.

ღაბადა გადავიხსენი და ორი ლენტი ვაჩვენე.

— შედლები არ მიგიღია კოლოფებით?

— არა. მარტო საბუთები მომცეს.

— შედლებს უფრო მოგვიანებით მიიღებ. მეტი დრო სჭირდება.

— მე რა დავალებას მომცემთ?

— მანქანები წასულია. ექვსი მანქანა გავგზავნეთ ჩრდილოეთით, კაპორეტოში. კაპორეტო ხომ იცი?

— ვიცი, — ვუთხარი მე. მომაგონდა პატარა თეთრი ქალაქი, რომელსაც მინდორში ედგა სამრეკლო. სუფთა, კოპწია ქალაქი იყო, მოედანზე მშვენიერი შადრევანი ამოჩუხჩუხებდა.

— იქ მუშაობენ. ბევრი ავადმყოფი გვყავს იქა. ბრძოლები დამთავრდა.

— სხვები სადღა არიან?

— ორი — მთაშია, ოთხი კი ისევ ბაინზიცაში. დანარჩენი ორი სანშენაერთო კარსოშია, მესამე არმიას ახლავს.

— მე რა გავაკეთო?

— თუ ასე გულით გინდა, წადი და ის ოთხი მანქანა ჩაიბარე ბაინზიცაში, ჯინოს შეენაცვლე. დიდი ხანია იქ არის. მას უკან, მგონი, აღარც ყოფილხარ იქა.

— არა.

— ცული საქმე შეგვემთხვა. სამი მანქანა დაეკარგეთ.

— გავიგე.

— ჰო, რინალდომ მოგწერა.

— რინალდი სადღაა?

— აქვია, ჰოსპიტალში. დიდი ჯაფა დაადგა ზაფხულ-შემოდგომაზე.

— მჯერა.

— ძალიან გავვიჭირდა, — თქვა მაიორმა, — ვერც კი წარმოიდგენ, როგორ

გაგვიტყვი. ხშირად მიფქრია შენზე — იღბლიანი ყოფილა, რომ მაშინვე დაიწყე კრა-მეთქი.

— მართლაც.

— გაისად კიდევ უფრო უარესი იქნება, — თქვა მაიორმა, — იქნებ ახლაც კი ვადმოვიდნენ შეტევასზე. ასე ამბობენ, მაგრამ რაღაც არა მჯერა. რაღა დროსია. მდინარე ხომ ნახე?

— ჰო, აღიდებულა წყალი.

— არა მგონია, შეტევასზე ვადმოვიდნენ — უკვე წვიმები დაიწყო. მალე თოვლსაც დადებს. შენი თანამემამულეები როგორღა არიან? კიდევ ჩამოვლენ ამერიკელები?

— ათმილიონიან არმიას ამზადებენ.

— ნეტა, ცოტა მაინც მოხვდებოდეს ჩვენთან. მაგრამ ფრანგები რას დაგვანებებენ! აქამდე ვინ მოუშვებს. მაშ, ასე. ამაღამ აქ დარჩები, დილაზე კი პატარა მანქანას გაჰყვები და ჯინოს გამოგზავნი. ვინმე მეგზურსაც გაგაყოლებ. ჯინო ყველაფერს აგისხნის. კანტიკუნტი სროლა კიდევ არის იქ, მაგრამ საერთოდ უკვე დაცხრა. ბაიზინცაში გავლა მოგენატრებოდა.

— ძალიან. მიხარია, რომ ისევ თქვენთან ვარ.

გაეღიმა. — კარგი კაცი ხარ, მაგას რომ ამბობ. მომასავათა ამ ომმა. ერთი აქედან წამიყვანა, არა მგონია, დაბრუნება მომიენატროს.

— ნუთუ ასე გაგიტყირდათ?

— ძალიან. ვერც კი წარმოიდგენ, ისე გაგიტყირდა. წადი, დაიბანე, და შენი მეგობარი რინალდი ნახე.

ჩანთები წამოვიღე და მალა ავედი. რინალდი ოთახში არ დამიხვდა, მისი ნივთები კი იქ ელაგა. ლოგინზე ჩამოვეჯექი, ფეხსახვევი მოვიხსენი და მარჯვენა ფეხსაცმელი წავიძვრე. მერე წამოვეჯექი. დავიღალე და მარჯვენა ფეხი წამოძტივდა. სისულელე იყო ცალფეხგახდილი დაწოლა. ისევ წამოვეჯექი, მეორე ფეხსაცმელი შევიხსენი, ძირს დავაგდე და საბანზე გავიშხლართე. დახურულ ფანჯრებში სული მეხუთებოდა, მაგრამ ისე ვიყავი გასაჯათებული, რომ წამოდგომისა და გაღების თავი აღარა მქონდა. ჩემი ნივთები ერთ კუთხეში მივლაგებინათ. გარეთ ბნელდებოდა. ვიწექი ლოგინზე, ქეთრინზე ვფიქრობდი და რინალდის ველოდი. გადაწყვეტილი მქონდა, ლოგინში ჩაწოლამდე არ მეფიქრა ხოლმე ქეთრინზე, მაგრამ ახლა დაღლილი ვიყავი, საქმეც არაფერი მქონდა, ამიტომ ვიწექი და მასზე ვფიქრობდი. რინალდი რომ მოვიდა, მაშინაც ქეთრინზე ვფიქრობდი. ისევ ისეთი იყო რინალდი, ოღონდ ცოტათი გამხდარიყო.

— ო, ბები, — შესძახა მან, ლოგინზე წამოვეჯექი. მომეარდა, გვერდზე მომიჯდა და მკლავები მომხვია. — ჩემი კარგი ბები! — ბექებზე დამკრა ხელი, მე მკლავები დავეტყირე.

— ჩემი ბები, — თქვა მან, — აბა მაჩვენე მუხლი.

— შარვალი უნდა გავიხადო.

— გაიხადე, ბები. აქ სულ ჩვენი ხალხია. მაინტერესებს, რა გაგიკეთეს. წამოვდექი, შარვალი გავიხადე და სახვევი მოვიხსენი მუხლზე. რინალდი იატაკზე დაჯდა და ფრთხილად მომიხარა ფეხი. თითები იარაზე გადაუსვია, ცერები მუხლის თავზე შეაერთა და ნაზად დამაწვა.

— მეტს აღარ იხრება?

— არა.

— პირდაპირ ბოროტმოქმედებაა შენი აქ გამოგზავნა. მანამ სულ არ მოიხრებოდა, უნდა ემკურნალათ.

— ახლა გაცილებით უკეთესად მაქვს. კუნძოვით მქონდა გაშვებული ცოტათი კიდევ მოხარა რინალდომ. მე მის ხელებს დავეყურებოდი. ღმერთის მარჯვენ ხელები ჰქონდა. ზევიდან დაეხედე, თავის კორტოსზე. მზინავი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი. მეტისმეტი მოუვიდა მოხრა.

— უჰ! — შევძახე მე.

— მექანოთერაპიით მკურნალობა უნდა განაგრძო. — თქვა რინალდომ.

— გაცილებით უკეთა მაქვს.

— ვიცი, ბებიი, ამეუბნისა მე შენზე მეტი გამეგება. — წამოდგა და ლოგინზე დაჯდა. — ოპერაცია კარგად გაუკეთებიათ. — შორჩა ფეხის გასინჯვას. — ახლა მიაშბე.

— რა უნდა ვიამბო, — ვუპასუხე მე, — წყნარად ვიყავი.

— რა დაოჯახებული კაცივით ლაპარაკობ, — შითხრა მან, — რა მოგივიდა?

— არაფერი, — ვუთხარი მე, — შენ თვითონ რა მოგივიდა?

— მომსპო და გამათავა ამ ომმა, — თქვა რინალდომ, — გული მომიწურა. — ხელები მუხლზე შემოიქლო.

— ოჰო! — ეთქვი მე.

— ვითომ რაო, არ შეიძლება ადამიანური გრძნობები მომერიოს?

— არა. ვატყობ, კაი დრო გიტარებია. მიაშბე.

— მთელი ზაფხული და შემოდგომა მოცლა არა მქონია. ჩემი ხელი არ გაჩერებულა. სხვების საქმესაც მე ვაკეთებდი. რაც კი მძიმე საქმე გამოჩნდებოდა, სულ მე მომიგდებენ ხოლმე. ღმერთმანი. ბებიი, ჩინებული დოსტაქარი ვხდები.

— კარგადა ედერს.

— შენ გგონია, ბევრსა ვფიქრობ. არა, ღმერთმანი, არა, ისე ვაკეთებ ოპერაციებს.

— ასე სჯობს.

— მაგრამ ახლა ყველაფერი გათავდა, ბებიი. ოპერაციებს აღარ ვაკეთებ და, ასე მგონია, ჯოჯოხეთში ვარ-მეთქი. საშინელი ომია, ბებიი, უნდა დამიჯერო, მე რომ გეტყვი. ცოტათი მაინც გამამხიარულე. გრამაფონის ფირფიტები ჩამომიტანე?

— ჩამოგიტანე.

ყოფითი მქონდა ჩაწყობილი და ზურგჩანთაში მედო, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, რომ ამოღების თავი არა მქონდა.

— შენ ხომ კაი გუნებაზე ხარ, ბებიი?

— მეც ჯოჯოხეთი მიტრიალებს გულში.

— საშინელი ომია, — თქვა რინალდომ, — მაგრამ დავეხსნათ. დავლიოთ და ხელაღვე გავმხიარულდებით. ქარს გავატანოთ ფერფლი.

— მე სიყვითლე მჭირდა, ვერ დავლევ

— ო, ბებიი, რა იყავი და რა დამბრუნდი! სერიოზული გამხდარხარ, მტკივან დეიძლიანი, აკი ვითხარი, ომი საძაგლობაა-მეთქი. ნეტა რაში გეჭირდება, რას ავიხირებთ ხოლმე?!

— დავლიოთ, ჯანი გავარდეს. დათრობით არ დავთვრებები, მაგრამ ცოტა მაინც დავლიოთ.

რინალდი პირსაბანთან მივიდა და ორი ჭიქა და კონიაკი მოიტანა.

— ავსტრიული კონიაკია, — თქვა მან, — შეიდეგარსკვლავიანი. მეტი არც არაფერი დაგვხვედრია სან გაბრეილში.

— შენც იყავი იქა?

— არა, აქედან ფეხი არ მომიცვლია. სულ აქ ვიყავი, ოპერაციების კეტე-
ბაში გართული. შეხედე, ბები, შენი კბილისგამოსარტეტი ჭიქა. შენს მოსაგო-
ნებლად ვინახავდი.

— თუ იმისათვის, რომ კბილების გამოწმენდა გავხსენებოდა!

— არა, მე ჩემი მაქვს. ამ ჭიქით კი ვიხსენებდი, როგორა ცდილობდი შენ
დიდილობით კბილებიდან ვილა როზას მორცხვას, როგორ იკურთხებოდი და
ასპირინს როგორ ულაპავდი, კახბებს როგორ ავინებდი. რამდენს ამ ჭიქას და-
ვინახავ, იმდენი გამახსენდება, როგორ ცდილობდი შენ კბილის ჯაგრისით სინ-
დისის განწმენდას. — ლოგინს მიუახლოვდა, — აბა, მაკოცე და შემომფიცე,
რომ სერიოზული აღარ იქნები.

— ჩემს დღეში არ გაკოცებ. მაიმუნი ხარ.

— მე რას მომატუილებ, შენ ხომ კაი ანგლო-საქსონელი ბიჭი ხარ. მე რას
მომატუილებ, შენ ხომ სინდისის ქენჯნა გაწუხებს ხოლმე. კიდევ ვნახავ, ჩვენი
ანგლო-საქსონელი ბიჭი თავისი კბილის ჯაგრისით როგორ ჩამოირეცხავს
საროსკიპო სახლს.

— კონიაკი დამისხი.

ჭიქები მოეჯახუნეთ და შევსვით. რინალდი დამცინოდა.

— ახლა დაგათრობ, შენს ლეიძლს ამოგაცილი, საღ იტალიურ ლეიძლს
ჩაგისვამ და ისევ კაცად გაქცევ.

ჭიქა ვავუწოდე, რომ კიდევ ჩაესხა კონიაკი. გარეთ უყვე საესეებით ბნელო-
და. ჭიქით ხელში, თანჯარასთან მივედი და გამოვადე. წვიმას გადაეღო. გარეთ
ციოდა და ხეები ნისლში ვახვეუდიყო.

— კონიაკი არ გადაღეარო თანჯარაში, — მომამახა რინალდიმ, — შენ თუ
არ შეგიძლია დალევა, აგერ მომეცი.

— დაიკარგე, ერთი! — ვუთხარი მე. მესიამოვნა რინალდის ნახვა. მთელი
ორი წელი სულ ჩემს გამოჯაგრებაში იყო და ეს ძალიან მსიამოვნებდა. ძალიან
კარგად გვესმოდა ერთმანეთისა.

— დაქორწინდი? — გადმომამახა თავისი ლოგინიდან. მე თანჯარასთან ვი-
დექი. კედელს მიყრდნობილი.

— ჯერ არა.

— გიყვარს?

— ჰო.

— ის ინგლისელი გოგო?

— ჰო.

— საწყალი ბიჭი. მასაც ნამდვილად უყვარხარ?

— აბა რა!

— მე გეკითხები, სიყვარული თუ დაგიმტკიცა-მეთქი.

— მოკეტე!

— გაჩუმდები. თვითონვე ნახავ, რა თავაზიანი კაცი ვარ. მაინც როგორ
გამოგადგა?...

— რინან, — ვუთხარი მე, — თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი. — თუ გინდა,
რომ ჩემი მეგობარი იყო, გაჩუმდი.

— სულაც არ მინდა შენი მეგობარი ვიყო. მე უყვე ვარ შენი მეგო-
ბარი.

— მაშ გაჩუმდი.

— კარგი.



მივედი და გვერდზე მოვუჯექი რინალდის. ჰქვა ხელში ეპირა და ჩაშტერებოდა.

- ახლა ხომ გესმის, რინინ?
- ო, რა თქმა უნდა. რაც თავი მახსოვს, სულ წმიდა გრძნობებს ვეჯახები ხოლმე. შენთვის აქამდე მაინცდამაინც არ შემინიშნავს. ეტყობა, შენცა გქონია ეს წმინდა გრძნობები, — ისევ იატაკს ჩაშტერებოდა.
- შენ არა გაქვს?
- არა.
- სულ არა?
- არა.
- არც დედაშენისა და შენი დის მიმართ?
- არც შენი დის მიმართ, — უცებ მომახალა რინალდიმ, ორივეს გაგვე-

ცინა.

- ძველი ზეკაცი ყოფილხარ, — ვუთხარი მე.
- იქნებ ვეპვიანობდე! — თქვა რინალდიმ.
- სად შენ და სად ეპვიანობა!
- მე სულ სხვა რამეს გეუბნები. ცოლშვილიანი მეგობრები თუ გყავს?
- მყავს, — ვუპასუხე მე.
- მე არა მყავს, — თქვა რინალდიმ, — ისეთი არა მყავს, ერთმანეთი რომ უჯვარდეთ.

- რატომ?
- ვერ მიტანენ.
- რათა?
- მე ხომ გველი ვარ. ცნობადი გველი.
- ცოტა გერევა. ცნობადი ხე იყო.
- არაფერიც! გველი იყო. — ცოტათი გამზიარულდა.
- როცა ღრმა-ღრმა აზრებს არა ჰყევხარ შეპყრობილი, გაცილებით უკეთესი ხარ, — ვუთხარი მე.

— მე შენ მიყვარხარ, ბები, — თქვა მან, — ხელად მიჩხვლევ ხოლმე, როგორც კი დიდი იტალიელი მოაზროვნე გაეზღები. მაგრამ ბევრი რამე ვიცი და ვერ კი გამომიტყვამს. შენზე მეტი ვიცი.

- მართალი ხარ.
- მაგრამ უფრო კაი ცხოვრება შენ გექნება. სინდისის ქენჯნის მიუხედავად. უფრო ტკბილად იცხოვრებ.

- არა მგონია.
- ჰო. ნამდვილად ასეა. მე კი ახლაც ასე მომდის — როცა ვუშვამ მხოლოდ მაშინ ვარ კარგად, — ისევ იატაკს ჩაშტერდა.
- გაგივლის.
- არა. ორი რამე მიყვარს კიდევ: ერთი ჩემს საქმიანობასა ვნებს, მეორე კი — დიდი დიდი, თხუთმეტი-ოცდაათი წლთი მეყოს. ზოგჯერ ამდენიც არა.

- ზოგჯერ ამაზე გაცილებით ნაკლები.
- იქნებ წარმატებებსაც მივალწიე, ბები. შენ ხომ არ იცი. მაგრამ მაინც ეს ორი რამ, და ჩემი მუშაობა შემჩნა.
- სხვა რამეებსაც შეიძენ.
- არა. შეძენა არ იქნება. რაცა გვაქვს, სულ დაბადებიდან გვაქვს დაყოლილი, ახალს არაფერს ვსწავლობთ, არც არაფერს ვიძენთ. ცხოვრებას უკვე დასრულებულები ვიწყებთ. ბედი შენი, რომ ლათინად არ დაიბადე.

— „ლათინი“ არ არსებობს. არის მხოლოდ აზროვნება „ლათინური“ და ახლა კი მოგაქვს თავი შენი ნაკლოვანებებით. — რინალდიმ ამომხედა და გაიცინა.

— კმარა, გავათავოთ, ბები. დამქანცა ამდენმა ფიქრმა, — დაღლილი ჩანდა, როცა შემოვიდა, — სადილის დრო მოახლოვდა. ძალიან გამებარდა შენი დაბრუნება. შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი და ფრონტელი ძმა ხარ.

— ფრონტელი ძმები როდის სადილობენ? — ვკითხე მე.

— ახლავე წავიდეთ. ერთი კიდევ დავლიოთ შენი ღვიძლის სადღეგრძელო.

— წმიდა პავლესი არ იყოს.

— გეშლება. იქ ღვინო და კუჭია ნახსენები. კუჭის ხათრით ცოტა მოსვი.

— თუ კიდევ გაქვს ბოთლში, რისი ხათრისთვისაც გინდოდეს, დამალევიწე.

— შენს სატრფოს გაუმარჯოს, — თქვა რინალდიმ. ჭიქა ასწია.

— გაუმარჯოს.

— მორჩა, ცუდად აღარ ეახსენებ.

— თავს ძალას ნუ დაატან.

სულ გამოსცალა კონიაკი.

— სულთა გული მაქვს, — თქვა მან, — შენისთანა გული მაქვს, ბები. მეც გავიჩენ ერთ ინგლისელ გოგოს. მართალი თუ გინდა, პირველად მე გავიცანი შენი გოგო, მაგრამ ცოტათი ჩემზე მაღალი იყო. მაღალი გოგო დად უნდა გაიხადო, — წარმოთქვა მან.

— მართლაც წმინდა გული გაქვს.

— ხომ? მიტომაც მეძახიან Rinaldo Purissimo-ს.

— Rinaldo Sporchissimo!

— კარგი, ბები, წავიდეთ, ვისადილოთ, მანამ კიდევ შემრჩენია სიწმინდე. დავიბანე, თმა დადევარცხნე და დაბლა ჩავედი. რინალდი შემთვრალი იყო. სასადილოში კერძი ჯერ არა ჰქონდათ მზად.

— წავალ, კონიაკს ჩამოვიტან, — თქვა რინალდიმ. ზემოთ ავიდა. მე მაგიდას მივეჯექე, რინალდი შინვე დაბრუნდა და ბოთლი ჩამოიტანა. ნახევარ-ნახევარი ჭიქა კონიაკი დაასხა.

— ბევრი მოგვივა, — ვთქვი მე, ჭიქა ავიღე და მაგიდის ლამპაზე გავუხედე.

— ცარიელი კუჭისთვის სულაც არ არის ბევრი. დიდებული რამეა, სულ ამოსწავს გულ-ღვიძლს. ამაზე უარესს ვერაფერს მოიგონებ შენთვის.

— რა გავწყობა.

— თავის განადგურება ნელ-ნელა! — თქვა რინალდიმ, — კუჭ-ნაწლავს სულ დაგიშლის, და ხელების კანკალს დაგაწყებინებს. სწორედ რომ დოსტაქარის პაციენტი გახდები.

— მირჩევ?

— სულით და გულით. სხვა რამეს არც ეხმარობ. გადაჰკარი, ბები, და ელოდე ლოგინში ჩაწოლას.

ნახევარი დავლიე. დერეფანში მორიგის ხმა გაისმა: „სუპი! სუპი მოდის!“ მთიორი შემოვიდა, თავი დაგვივრა და დაჯდა. მაგიდასთან სულ დაღეული გამოჩნდა.

— მეტი აღარა ვართ? — ვკითხა მან. მორიგემ სუპის ბაღია დადგა მაგიდაზე და მთიორმაც, მაშინვე გაიხსო მათლაფა.

— ყველანი აქა ვართ, — უბასუხა რინალდიმ, — იქნებ მღვდელიც მოვიდეს. ფედერიკოს ჩამოსულა რომ იცოდეს, აქამდეც მოვიდოდა.

— სად არის? — ვკითხე მე.



— სამას შეიღწი, — მითხრა მაიორმა. სუპის ზვრეპით იყო გართულდა პირი მოიწმინდა. აბზეკილ ქალარა უღვაშებზე ფრთხილად გადაისვა ხელს. მე მგონი, მოვა. ვიყავი იქა და შენი ჩამოსვლის ამბავიც დავეუბარე.

— უჩვეულო სიწყნარება სასადილოში და ყურს ეროთიერება, — ვთქვი მე.

— ჰო, სიწყნარება, — თქვა მაიორმა.

— მე ეხმარებ, — განაცხადა რინალდომ.

— დალიე ღვინო, ენრიკო, — მითხრა მაიორმა. ჭიქა შემივსო. სპაგეტი შემოიტანეს და ჭამაში გავერთეთ. მღვდელი რომ მოვიდა, სპაგეტის ვათავებდით ისეთივე იყო — ჩია, შავგვრემანი, დაქიმული. წამოვდექი და ხელი ჩამოვართვი. მხარზე დამადო ხელი.

— როგორც კი გავიგე, გამოვექანე, — თქვა მან.

— დაბრძანდით, — უთხრა მაიორმა, — დაიგვიანეთ.

— საღამო მშვიდობისა, მამო, — ინგლისურად მიმართა რინალდომ, მღვდლის გამომჯავრებელ კაპიტანს ბაძავდენს, რომელიც ინგლისურს ამტკრევდა.

— საღამო მშვიდობისა, რინალდი, — მიუგო მღვდელმა. მორიგე მსუპი მოუტანა, მაგრამ მღვდელმა თქვა, პირდაპირ სპაგეტით დავიწყებო.

— როგორა ხართ? — მკითხა მან.

— მშვენივრად, — ვუბასუხე მე, — თქვენსკენ რა ამბებია?

— ღვინო დალიეთ, ხუცესო, — უთხრა რინალდომ, — ცოტა შესვით, თქვენი კუჭის გასახარად. პავლე მოციქულის სიტყვებია, ხომ იცით!

— ვიცი, — თავაზიანად მიუგო მღვდელმა. რინალდომ ჭიქა შეუვსო.

— ოჰ ეს პავლე მოციქული! — შესძახა რინალდომ, — მისგანა გვჭირს რაცა გვჭირს. — მღვდელმა გადმომხედა და გაელიმა. შეენიშნე, რომ დაცინვა სულაც აღარ აბრაზებდა.

— ოჰ, ეს პავლე მოციქული, — შესძახა რინალდომ, — თვითონ მესუსია იყო და ქალი არ გაუშვია, ხოლო სისხლი რომ გაუცივდა, ასე არ ვარგაო, გამოცხადა. როცა მოუსავათდა, მაშინ დაგვიწერა კანონები ჩვენ, ვისაც კიდევ შეგვრჩა ცხელი სისხლი. მართალს არ ვამბობ, ფედერიკო?

მაიორმა გაიღიმა. ჩაშუშულ ხორცსა ეჭამდით ამ დროს.

— შებინდების შემდეგ წმიდანებთან დავას ვერიდები, — ვუთხარი მე. მღვდელმა გადმომხედა და გამიღიმა.

— რაღა თქმა უნდა, ხუცესს აუბა მხარი, — თქვა რინალდომ, — სადა მყვანან ხუცესის ძველი მოქილიკეები?! სად არის კავალკანტი? ბრუნდი სად არის? ჩეზარე სად არის? სხვების დაუხმარებლად, მარტოკამ, როგორ ვაქილიკო მღვდელი?!

— კარგი მღვდელია, — თქვა მაიორმა.

— კარგი მღვდელია, — თქვა რინალდომ, — მაგრამ მაინც მღვდელია. როგორმე ძველებურად უნდა გამოვაცოცხლო ეს სასადილო. ფედერიკო უნდა გავამხიარულო. ჯანდაბამდის გზა გქონია, ხუცესო!

შეენიშნე, როგორ გადახედა მაიორმა და მიხედა, რომ რინალდი მთვრალი იყო. გაცქინტული სახე სულ გასთეთრებოდა. თეთრ შუბლს ზემოთ განსაკუთრებულად შავი მოუჩანდა თმა.

— არა უშავს რა, რინალდი, — უთხრა მღვდელმა. — არაფერია.

— ჯანდაბამდის გზა გქონია! — შესძახა რინალდომ, — ჯანდაბას ყველა და ყველაფერი! — სკამს გადააწევა.

— დაძაბული მუშაობა შეხედა და დაიქანცა, — მითხრა მაიორმა. *სერკოვსკი* შეტყა და ახლა პური ამოუწო საწებელში.

— ფეხებზე მკილია! — რინალდომ სუფრას გადახედა. — ჯანდაბას ყველა და ყველაფერი! — გამომწვევად გადახედა ყველას. თვალეზი გამოლენჩებულა ჰქონდა, სახე — გადატეტილი.

— აგრე იყოს, — ვთქვი მე, — ჯანდაბას ყველა და ყველაფერი!

— დამაცა, დამაცა, — თქვა რინალდომ, — ასე როგორ იქნება! როგორ იქნება! არ იქნება-მეთქი. გამომშრალი და გამოფიტული ხარ კაცი და მეტი არაფერი. მეტი არაფერი-მეთქი, გეუბნები. ერთი ნამცეციც არა. ეს მე მკითხე. უსაქმოდ რომ ვარ, მაშინ ვგრძნობ ამას.

მღვდელმა თავი გააქნია. მორიგე მხრის თეფშები ააღაგა.

— რატომ სკამ ხორცს? — მღვდელს მიუბრუნდა რინალდი, — არ იცი, რომ დღეს პარასკევია?

— ოთხშაბათია. — თქვა მღვდელმა.

— სტყუი. პარასკევია. შენ ჩვენი მაცხოვრის ხორცსა სკამ. ეს ღვთიერი ხორცია. მე მკითხეთ ეს. ავსტრიელის გეგმია. ავსტრიელის გეგმსა სკამთ.

— თეთრი ხორცი ოფიცრებისაა, — ვთქვი ძველი ზემრობა.

რინალდის გაეცინა. ჭიქა შეივსო.

— ყურადღებას ნუ მომაქცევთ, — თქვა მან, — მე ცოტათი ჭკუაზე შევიშალე.

— შევბუღებაში უნდა წახვიდე, — უთხრა მღვდელმა.

მაიორმა წყენით გააქნია თავი. რინალდომ მღვდელს გახედა.

— თქვენის აზრით, შევბუღება მჭირდება, არა?

მაიორმა მღვდელს შეხედა და თავი გააქნია. რინალდიც მღვდელს შეჰყურებდა.

— შენი ნებაა, — უთხრა მღვდელმა, — თუ არ გინდა, ნუ წახვალ.

— ჯანდაბამდის გზა გქონიათ, — შესძახა რინალდომ, — თავიდან მიშორებენ. ყოველ ღამეს იმას ცდილობენ, რომ როგორმე თავიდან მომიშორონ. მე კი ჯერჯერობით ვიგერიებ. რა ვუყოთ, რომ ესა მჭირს! აბა დამისახეღეთ, ვის არა სჭირს! მთელს ქვეყანას სჭირს. ჯერ, — განაგრძო მან ლექტორის კილოთი, — პატარა ბუსუსი გაგიჩინდება. მერე უცებ ბეჭებზე გამოგაყარის. მერე სულაც გაქრება. მთელს იმედებს სინდიყზე აყარებ...

— ან არა და სალვარასანზე, — დამწვიდებით შეაწყვეტინა მაიორმა.

— სინდიყის ნაწარმი, — თქვა რინალდომ. ახლა უკვე მგზნებარებით ლაპარაკობდა, — ორჯერ მაგაზე უკეთესს გეტყვით. ძვირფასო ხუცესო, — თქვა მან, — შენ არასოდეს არ შეგეყრება, ბეიბის შეეყრება, ეს ქარხნის ავარიია. უბრალო ავარიია.

მორიგე ტკბილეული და ყავა შემოიტანა. რაღაცნაირი პუდინგი იყო, შავ პურსა ჰგავდა, სქელ წვენიში ჩაედოთ. ლამაა ხრილოავდა. შუშას შავი ჭვარტილი დასდებოდა.

— ლამაა წაიღეთ და ორი სანთელი მოიტანეთ, — თქვა მაიორმა.

მორიგე ლამააზე დამატებული ორი ანთებული სანთელი შემოიტანა, ლამაა კი ჩააქრო და წაიღო. რინალდი დამშვიდდა. ეტყობოდა გონს მოვიდა. ჩვენ კიდევ ვილაპარაკეთ და, ყავას რომ მოვრჩით, ვესტიბიულში გავედით.

— შენ მღვდელთანა გაქვს სალაპარაკო, მე კი ქალაქში უნდა გავიდე, — მითხრა რინალდომ, — ღამე მშვიდობის, მამაო.

— ღამე მშვიდობის, რინალდი, — მიუგო მღვდელმა.



- ისევ გნახავ, ფრედი, — მითხრა რინალდმა.
- ჰო, მალე მოდი, — მიუვუგე მე.
- გაიჭყანა და გავიდა. მაიორი ჩვენთან იდგა.
- მეტიმეტად გადაიღალა და მოიშალა, — თქვა მან, — დაუვინია, სიფილისი მჭირსო. არა მგონია, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია. მკურნალობს კიდევ სიფილისს. ლამე მშვიდობისა. გათენებამდე უნდა გაემგზავრო, ენრიკო.
- ვიცი.
- მაშ, ლამე მშვიდობისა, — თქვა მან, — ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. პელუცი გაგაღვიძებს და გამოგყვება კიდევ.
- ნახვამდის, Signor Maggiore.
- ნახვამდის, აესტრეილები შემოტყევის აპირებენო, მაგრამ არა მგონია იმედი მაქვს არ გამართლდება. ყოველ შემთხვევაში, აქ არ შემოგვიტყვენ. ჯიწი გიამბობს ყველაფერს. ტელეფონი უკვე მუშაობს ახლა.
- ხშირხშირად დაგირეკავთ.
- შენ იცი. ლამე მშვიდობისა. რინალდის ნუ დაანებებ ამდენი კონიაკის სმას.
- ვეცდები.
- ლამე მშვიდობისა, მამაო.
- ლამე მშვიდობისა, Signor Maggiore.
- თავის კაბინეტისაკენ გაემართა.

თავი XXVI

კარებს მივაღებ და ქუჩაში გავიხედე. აღარ წვიმდა, მაგრამ ნისლი ჩამოწოლილიყო.


- ჩვენთან არ ავიდეთ? — ვკითხე მღვდელს.
- დიდხანს ვერ დავრჩები.
- ავიდეთ, არა უშავს.
- კარები ავიარეთ და ჩემს ოთახში შევედი. რინალდის ლოგინზე წამოეწევი. მღვდელი ჩემს გასაშლელ საწოლზე ჩამოჯდა, რომელიც მორიგე მშრომიტანა. ოთახში ბნელოდა.
- მართლა როგორა ხართ? — მკითხა მღვდელმა.
- კარგად. ოღონდ ამაღამ დავიღალე.
- მეც დავიღალე, თვითონ არ ვიცი, რატომ.
- ომისას რას იტყვით?
- მე მგონი მალე გათავდება. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ გული მეუბნება.
- მაინც როგორ გეუბნებათ გული?
- ჩვენი მაიორი ხომ ნახეთ, როგორ გამოიცვალა? როგორ მინაზდა? ბევრია ახლა ასე.
- მეც ასე არა ვარ! — ეუთხარი მე.
- საშინელი ზაფხული იყო, თქვა მღვდელმა. ჩემს არყოფნაში იგი უფრო მტკიცე და თვითდაჯერებული გამხდარიყო. — ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა. აქ უნდა ყოფილიყოვით და გენახათ. ბევრი მიხვდა ამ ზაფხულს, რაც არის ომი. მე რომ ზოგიერთ ოფიცერზე ვფიქრობდი, თავის დღეში ვერ მიხვდებამეთქი, ისინიც კი მიხვდნენ.
- რა მოხდება? — საბანს ხელი გადაეუსვი.

- მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ არა მგონია დიდხანს გასტანოს.
- მაინც რა მოხდება?
- ბრძოლას შეწყვეტენ.
- ვინ?
- ორივე მხარე.
- ნეტა მართლა, — ვთქვი მე.
- არა გჯერათ?
- არა მგონია, ორივე მხარემ ერთდროულად შეწყვეტოს ბრძოლა.
- რა თქმა უნდა. ეგ ისეთი კარგი საქმეა, რომ არც მოელი. მაგრამ როცა ვხედავ, როგორ იცვლება ხალხი, ვფიქრობ, რომ დიდხანს ვეღარ გასტანს.
- ამ ზაფხულს ვინ მოიგო ბრძოლა?
- არავინ.
- ავსტრიელებმა მოიგეს, — ვთქვი მე, — სან გაბრიელი არ დაანებეს იტალიელებს. იმათ მოიგეს. არც შეწყვეტენ ბრძოლას.
- ჩვენნაირ გუნებაზე თუ არიან, შეწყვეტენ. მაგათაც ჩვენნაირი განსაცდელი არ გადახდათ?!
- ვინც იგებს, ბრძოლა როდის შეუწყვეტია!
- თქვენ მე გულს შიტეხთ.
- რასაც ვფიქრობ, იმას გეუბნებით.
- მაშ, თქვენის აზრით, უნდა გაგრძელდეს და გაგრძელდეს, ხომ? არაფერა არ უნდა მოხდეს?
- რა ვიცი. ავსტრიელებმა გაიმარჯვეს და რატომღა შეწყვეტენ. ჩვენ დამარცხებამ გავაქრისტიანა.
- ავსტრიელებიც ხომ ქრისტიანები არიან, ზონიანების გამოკლებით.
- პირდაპირ კი ნუ გამიგებთ — მე ვლაპარაკობ ისეთ ქრისტიანობაზე, როგორიც ჩვენი მაცხოვარი იყო.
- ხმა არ გაუღია.
- ჩვენ დამარცხებამ გავგანაზა. როგორი იქნებოდა მაცხოვარი, პეტრეს რომ ეხსნა ზღში?
- როგორიც იყო, ისეთივე.
- არა მგონია, — ვუთხარი მე.
- თქვენ მე გულს შიტეხთ. — თქვა მან, — მე მჯერა, რომ რამე მოხდება და ვლოცულობ კიდევ ამისთვის. ეგრძნობ, როგორ ახლოვდება ეს დღე.
- იქნებ მართლაც მოხდეს რამე, — ვუთხარი მე, — მაგრამ ეს მართლ ჩვენ შეგვეხება. ისინიც რომ ჩვენნაირ გუნებაზე იყვნენ, მაშინ ჰო, მაგრამ კუდით ქვა გვასროლინეს. სად იმათი განწყობილება და სად ჩვენი.
- ეგ დამარცხებაზე არ არის დამოკიდებული: მეტ წილ ჯარისკაცებს სულ ასეთი განწყობილება ჰქონდათ.
- იმიტომ რომ თავიდანვე დამარცხეს — სახლ-კარს მოსწყვეტეს და ჯარში უკრეს თავი. მიტომაც გამოდის გლეხი ბრძენი — თავიდანვე დამარცხეს. აბა ერთი ძალაუფლება მიეცი — ნახავ რა ბრძენიც იქნება.
- ხმა არ გაუღია. ფიქრებში წავიდა.
- მე თვითონვე მეწურება გული, — ვთქვი მე, — იმიტომაც არ ვფიქრობ ასეთ რამეებზე. არასოდეს არ ვფიქრობ, მაგრამ დაიწყო თუ არა ლაპარაკს, თავისით მოდიან სიტყვები.
- შე კიდევ რაღაცის იმედი მქონდა.
- დამარცხებისა?

- არა. უფრო დიდი რამის.
- სხვა აბა არაფერია, გამარჯვების გარდა. გამარჯვება კი უარესია.
- დიდხანს მქონდა გამარჯვების იმედი.
- მეც.
- ახლა კი მე თვითონვე ვერა გამოვიდა რა.
- ან გამარჯვება უნდა იყოს, ან დამარცხება!
- გამარჯვების იმედი აღარა მაქვს.
- არც მე. მაგრამ არც დამარცხების იმედი მაქვს. თუმცა დამარცხება კაჯობებდა.
- მაშ რის იმედი გაქვთ?
- ძილისა, — ვთქვი მე. იგი წამოდგა.
- მბატოეთ, დიდხანს შეგაწყინეთ თავი. მაგრამ ძალიან მიყვარს თქვენთან ლაპარაკი.
- მეც მომენტრად თქვენთან მუსაიფი. ძილი ისე ვახსენე. უპროდ.
- მეც წამოვდექი და სიბნელეში ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.
- ახლა სამას შვიდში ვიძინებ. — თქვა მან.
- ხელ დილიდანვე მივდივარ საგუშაგოზე.
- როცა დაბრუნდებით, მოგინახულებთ.
- გავიარ-გამოვიაროთ ხოლმე, ვისაუბროთ, — კარებამდე მივაცილე.
- დაბლა ნულარ ჩამოხვალთ, — მითხრა მან, — ძალიან გამეხარდა თქვენო დაბრუნება. თუმცა თქვენთვის ვერაფერი სასიხარულოა ეს. — მხარზე დამადო ხელი.
- ჩემთვის სულ ერთია, — ვთქვი მე, — ღამე მშვიდობისა.
- ღამე მშვიდობისა.
- Ciao! — ვუთხარი მე. თვალები მებლიტებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ კელიძემ



ბაგრაჟ შინაუბა

608

ბ ა ლ ა დ ა

— ბიძიკო, მითხარ, სადაური ხარ?
შორს არის ალბათ შენი სოფელი!

— ბაჭოდან, — იყო პასუხი ვაჟის
მე თქვენი ახლო ვარ მეზობელი.

— შენ, ქალიშვილო, საიდან მოხველ,
სტუმრად ეწვიე ამ ჩვენს
მთაგორებს.

მეც შენნაირი მყავს შვილიშვილი,
სახის იერიით იმას მაგონებ!

— ყაზახეთიდან, აღმა-ატაში
მაქვს მყუდრო ბინა და
სამყოფელი,

იქ დავიბადე, იქ გავიზარდე,
ის არის ჩემი დედა — მშობელი.

— შენ კი, ლამაზო, ხმას რომ არ იღებ,
დამდგარხარ მორცხვად და
მოკრძალებით...

— ლენინგრადელი ვახლავართ, ძია,—
თქვა და დახარა ლურჯი თვალები!

— ლენინგრადს ამბობ, ვასაგებია,
მე კარგად ვიცნობ დიდიხანია,
იქ შვილიშვილი მუშაობს ჩემი,
დიდი ხომალდის კაპიტანია.

უხერხულია მისი შექება,
რაც უნდა იყოს შვილიშვილია,
მისი კაცობის მე არ შემრცხვება
და მისი ცუდის არ მეშინია.

დროა, გავიცნოთ ჩვენ ერთმანეთი,
რადგან სტუმრები ხართ
სასურველი,
აფხაზს საკუთარ თავს ურჩევნია
და და-ძმასავით უყვარს სტუმრები.

ყველანი ჩემთვის ხართ მშობლიური,
სხვადასხვა მხრიდან ჩვენთან,
მოსული,
თქვენ სტუმრები ხართ, ჩვენ —
მასპინძლები,
იქნებით ზრუნვით გარემოცული.

მიცნობდეთ, გვარად ვარ აკაუბა,
ყანსოუ არის ჩემი სახელი.
და ახლა თქვენთან ვიწყებ საუბარს
ბევრი ჭირის და ლბინის მნახველი.

ჩემს სოფელს სოუს ეძახის ხალხი,
მრჩება ისეთი შთაბეჭდილება,
რომ ჩემი სოფლის სახელი — სოუ,
სახელს — ყანსოუს ეხმატკებოდა.

ზღვის სანაპიროს სოუ ამშვენებს,
თავზე ევლება ლურჯი ტალღები.
ჩემი ვაჟები, შვილიშვილები,
მათი შვილები, მათი ბალები...

ხანდახან მიჭირს მათი ჩამოთვლა,
ისე ბევრია, ისე მრავალი...
ასე რომ თუჯახს, ყანსოუს თუჯახს
აწმყოც კარგი აქვს და მომავალიც.



მამა ეტლიხუ ას ოცს გადასცდა,
მე კი ოთხმოცის გავხდი მხედარი,
ახლაც მარდია მამა ხმატკბილი
და ბერეკაცო ახლაც მხნედ არი.

ო, როგორ უყვარს მამას სტუმარი
და როგორ ხარობს
გამასპინძლებით,
ღვინო კი ძველზე-ძველი თუ არა,
მაინც ექნება შარშანწინდელი.

სოფელს ფერმა აქვს ავადხარაზე,
სადაც მაღალი მწვანე მთებია,
სადაც ჯიხვები ფარეკაობენ,
ერთმანეთს რქებით ეჯახებიან.

იქ მიყვარს ყოფნა, ავადხარაზე,
სადაც ფარაა და საქოვრები.
ძველი მწვემსი ვარ, იქ გვატარე
მე ნახევარი ჩემი ცხოვრების.

ხომ არ დაგღალე ჩემი საუბრით,
ტრაბახს სრულიად არ ვარ ჩვეულო,
ვიცი რომ ყველას გაინტერესებთ
ჩიწის თქმულება ათასწლეული.

ვეცდები მოვყვე ძველი ამბავი,
კარგი მთხრობელი ვიყო
თქმულების,
და მოვყვე ისე, როგორც ჰყვებიან
აქ, აფხაზეთში ერთეულები.

რიწა რქმეგია ერთ ჭვრივს სახელად...
მერე გიამბობთ რიწაზე ზღაპარს,
თუ სურვილი გაქვთ ახლა მოვყვები
ორი აფხაზის, ორი ძმის ამბავს.

მიჭრის გლისერი ლურჯი, ცისფერი
და სერავს რიწის ელვარე სარკეს,
ყანსოუ ჰყვება ორი ძმის ამბავს
და წყლის შხეფები ეყრება სახეს.

ორი ძმის ამბავი

გამოჰყავდა ნიგუს ფარა,
ყოველ ზაფხულს საბალახოდ,
სადაც მთები გადმომდგარან
მოელვარე რიწის ახლოს.

შუადღისას მზე რომ ელავს
და აცხუნებს დედამიწას,
ნიგუს ფარა წყლის სასმელად
ეწვეოდა ხშირად რიწას.

უმცროსი ძმა ჰყავდა ნიგუს
მას სახელად ერქვა ნიზი,
ახარებდა ნიზი ძმის გულს,
სიხარული იყო მისი.

მამისეულ ღარიბ სახლში,
ნიზის თბილი ჰქონდა ბინა,
გაჭირვება-ობლობაში
ბევრმა წელმა გაიბინა.

სხვას დაუდგა ნიგუ მწყემსად
მდიდრის ფარა მიიბარა.
ბევრი ღარდი, ბევრი კენესა
ნიგუს სდევდა მთად და ბარად.

მაგრამ ნიგუს გაუმართლა,
მოუმრავლდა მასაც ცხვარი
და ზედავდა იგი ნათლად
ბედი იყო კარს მომდგარი.

აძოვებდა ფარას ფხიზლად
და არაფრის ჰქონდა შიში,
იფარავდა ყველაფრისგან
თვითონ ღმერთი აყვეიპში*.

მრავლდებოდა ნიგუს ფარა
ცხვარი ჰყავდა უკვე ბლომად,
ტყუილად არ ჩაუტარა
გაჭირვებამ, ტანჯვამ, შრომამ.

* აყვეიპში — ნადირთა მფარველი ღმერთი.

ზურგზე თოფით, მხნე და ფრთხილი,
 მაღალ მთებში ყოველ დილით,
 წვეტიანი წერაყინით
 მიაპობდა კლდეში ბილიც.

ხან ღრუბლებში იყო მაღლა,
 როგორც მზეა ხოლმე ხშირად,
 არ უგრძენია ნიგუს დაღლა,
 ბევრჯერ ნისლშიც ჩაიძირა.

დაჯდებოდა სადმე კლდესთან,
 სიო ჰქროდა საამური,
 უფანტავდა დაღლილს სევდას,
 მისი ტკბილი სალამური.

წინ ჩანჩქერი ქროდა მალი,
 ეშვებოდა კლდიდან თავჭვე
 და უფსკრულში მიმავალი
 იმსხვრეოდა, როგორც სარკე.

გვერდით ძალი ჰყავდა ფრთხილი
 მუდამ ნიგუს ახლოს იწვა;
 ქვემოთ მთებში ვადაშლილი
 ლივლივებდა ლურჯად რიწა.

რიწა ედგა ნიგუს სარკედ —
 ჩასცქეროდა ყოველ დილით,
 წვერიანი მისი სახე
 იყო მუდამ მოწმენდილი.

ხან კი ტბაზე ფარა ჩანდა,
 თეთრად იყო დაპენტილი,
 ხან მაღლიდან რიწის კალთას
 ეცემოდა ფარის ჩრდილი.

ხან კი როცა ქარიშხალი
 აუშლიდა რიწას ფაფარს,
 ნისლი ზღვიდან მომავალი,
 სქელდებოდა, როგორც ფაფა.

ეცვლებოდა სახე რიწას,
 და მზად იყო გასათქერად,
 შავ ბურუსში რიწა იწვა
 შედედებულ სისხლის ფერად.

ხან კი როცა ქარი მთაში
 ბასრი იყო როგორც ცელი,
 არ ყოფნიდა რიწას მაშინ
 მისი დიდი სარეველი.

მრისხანებით მშვიერ ტალღას
 მიაცრიდა კლდოვან ნაპირს
 და ლოშინდა კლდეებს მაღლა,
 როგორც შავი გველეშაპი!

ელვა კვეთდა ტბაზე წყვილადს,
 კლდეს ბზარავდა მეხის ძალა,
 რიწას ნისლი ვარს ეხვია,
 ვარს ეხვია ღრუბლის ფარა...

ხან კი რიწა მშვიდად იწვა
 ლივლივებდა მზეში ლალად,
 თითქოს ახლა გაეღვიძა
 ტბას — კი არა, მზეთუნახავს!

თენდებოდა ნაზი დილაც,
 მზეც ბრწყინავდა ოქროსთვალა
 და ტბის თავზე ღრუბლის ფთილა
 იჩქაროდა დასამალად.

დაიწყებდა ჩუმად შრიალს,
 ხეთა რიგი რიწის ირგვლივ,
 ტბაში ჩანდა ვით არშია
 ჩახატული ხე და ჩირგვი.

ქარიშხლისგან დაღლილ ტალღებს
 ბრძოლა ჰქონდათ გადახდილი
 რიწის ტალღებს, როგორც ბაღებს
 მორეოდან თითქოს ძილი.

ვინც ნახავდა მაშინ რიწას,
 მოლივლივეს მზეში, ლალად,
 იტყოდა, რომ გაეღვიძა,
 ტბას კი არა, მზეთუნახავს.

ერთხელ ტბასთან ნიგუ ისევ
 აძოვებდა თავის ფარას,
 გუდით მასთან გაჩნდა ნიზი
 და ძმამ ძლიერ გაიხარა.



ველარ გაძღნენ ძმები კოცნით,
მოჰყვენენ ბჭობას და ლაჰარაკს,
მაწონი და ბატყნის ხორცი
ამშვენებდა ნიგუჲს ტაბაკს.

ნიგუ ნიზის არ იშორებს
შეუყვარდა ძმა ძმას უფრო,
— ძმაო, ნიზი გამიგონე,
მინდა მარტო გესაუბრო!

— ბევრმა წყალმა ჩაიარა,
მთებში ცეზოვრობ ცხვართან ერთად,
ბევრი დარდი და იარა,
რა ხანია გამიმრთელდა.

წლები ჩემი გაზაფხულის
იწურება, ვატყობ უკვე,
უკან დამრჩა დაზაფრული
ჩემი მწარე სიკაბუკე.

ვერც დაღმართზე ვერსად მნახეს,
თუმც კლდეღრეში მქონდა ბინა
და არ მახსოვს ერთი ღამეც
ტბაზე გახდილს დამეძინა.

მიდიოდნენ წლები ავი
და ლოგინად ტყავი მეგო,
ღრუბლისფერი ვერძის ტყავი,
გათელილი საგანგებოდ.

გულქვა იყო ჩემთვის ღმერთიც,
ყველა ჩემთვის იყო გულქვა,
საალერსო სიტყვა ჩემთვის
არასოდეს არვის უთქვამს!

ტანზე მეცვა სტუმრად, სოფლად,
შეძენილი ჩუმი ოხერიით,
შინ ნაქსოვი შალის ჩოხა,
ხამის ხმელი ახალოხი.

ამ ბუნების მკაცრი ენა,
შევისწავლე გასაჭირში,
ენახე, კი არ მომეჩვენა,
თვალწინ მედგა აყვეიპში.

ცხოველთა და ფრინველთ ენა,
გასაგები გახდა უფრო,
მათი ჭიკრი, მათი ლხენა
მათი ყველა საიდუმლო.

თოფი მქონდა შემართული
და ძილშიაც ვიყავ ფზიზლად.
ფოთლის ჩუმი შარიშურიც
კმაროდა რომ გამეღვიძა.

როგორც ჩემი ხუთი თითი
მთის კანონი ვიცი ყველა,
როდის მღერის, ტირის ჩიტი,
რატომ ბრწყინავს ცისარტყელა!

მტაცებლები გვერდს მივლიან,
მიფრთხის ყველა მტაცებელი,
მთის მეუფეს მეძახიან
და ვარ მთების მბრძანებელი.

მაგრამ ძმაო, უნდა გითხრა,
გავველურდი მთაში მეტად,
გადვიღალე, ალბათ დიდხანს
ველარ ვაძღუებ ასე კენტად.

მომენატრა ყოფნა ბარში,
დავბრუნდები ისევე ჩქარა,
ჩემს მაგივრად ცხვარში დარჩი
უპატრონე ცხვრების ფარას.

— დად! მიმართა ნიგუმ ნიზის
სიყვარულით, მოფერებით,
მომენატრა კარგად იცი
ჩემი თანასოფლელები.

მომენატრა ხალხში გავლა,
საუბარი მზიარული,
მეზობელთან, ნათესავთან
სოფელ-სოფელ სიარული.

თანახმა დარჩეს ნიზი,
ცხვარს წაიყვანს საბალახოდ,
ოღონდ ნიგუმ ნახოს მისი
ძველისძველი სამოსახლო.

მაშინ ნიგუმ ძმას მიმართა:
— გეფიცები ნიზი ძმობას, —
ძმასთან უფრო ახლოს დაჯდლა,
საიდუმლოს გასანდობად.

როცა მოვა შემოდგომა
და ბატკნობის ყავლი დგება,
ენკენისთვე ყვითლად მოვა
და ფოთოლიც შეფითრდება.

სასწაული ხდება მაშინ,
თვალწინ ხედავ საოცრებას,
ტალღას ვაჭრის შუა ტბაში,
ორი ვერძი გამოჩნდება!

ორი ვერძი, ოქროს რქებით,
გაანათებს რიწის ტალღას,
შუქი რქიდან მონაფრქვევი
დაიყრება ტბაზე დაბლა.

ორი ვერძი ტბაზე ფარას
შეერევა მალზე-მალი,
და ხმაური ცას ვაბზარავს,
თითქოს გაჩნდა ქარიშხალი.

და დილამდე ეს ხმაური
შეაშფოთებს რიწის კალთას,
ამ საოცარ სასწაულით
ხედავ, ცხვარი მომიმრავლდა.

და რაც უნდა მოხდეს მაშინ,
ნუ მიხედავ ტბასთან ფარას,
გაეხვიე შავ ნაბადში
და დილამდე იწექ წყნარად.

მოთმინება გმართებს დიდი,
იყუჩე და იყავ ფრთხილად,
ორივე ძმას თუ არ გინდა,
გაგვითენდეს შავი დილა!

ძმა დალოცა. ძმამაც ძმური
დაპირების სიტყვა მისცა...
ვზას გაუდგა მზიარული,
და ქვემოთკენ ჩაჰყვა რიწას.

ზუსტად, სწორედ დათქმულ დამეს,
როცა თელემდა დედამიწა,
თავს დაადგა რიწას მთვარე,
ალოცილიცდა ლურჯი რიწა.

ხმა გაისმა შესაზარი,
შეზანზარდა თეთრი მთები,
ორი ვერძი ტბაზე მდგარი
ანათებდა ოქროს რქებით.

არ გახედა ფარას ნიზიმ,
დაპირების სიტყვამ სძლია,
შეასრულა სიტყვა მისი.
შავ ნაბადში გაეხვია.

დილით როცა გაიღვიძა,
უგნებელი დახედა ფარა,
ელვარებდა ლურჯი რიწა
ნიზის გულის გასაზარად.

მეორეჯერ ღამით, გვიან
გრგვინვის მომსწრე ვაბდა ნიზი,
შავ ნაბადში გაეხვია,
შეასრულა სიტყვა მისი.

მაგრამ როცა მესამეჯერ
ხმა გაისმა შესაზარი,
მალლა მთებმაც გრგვინვა შექმნეს,
ხეობებმა მისცეს ბანი.

გამოვარდა უცბათ გარეთ —
და კარვის წინ დადგა ჯმუხხად,
თითქოს ხანჯლით დაკრა ღამეს
ისე მძლავრად დაიჭუხა.

„ — იქნებ პირუტყვის რამე უჭირს,
კლდიდან თვალი შეაჩერა,
იქნებ მხეცი დახვდათ ურჩი,
მოუნდომა გადათქერა.“

ხედავს ნიზი ტბის ნაპირი,
ცხვართ თ არის მოფენილი,
ტრიალებენ ქარისაგან
ჩამოცვენილ ფოთლებივით.

ბლავის ცხვარი. უკან დასდევს
ორი ვერძი ოქროს რქება,
ზრიალის ხმა აღწევს ცამდე,
შემდეგ კლდეებს ენარცხება.

მოიხიბლა მათი ცქერით,
გაოცებით უცქერს ვერძებს:
„ვერ იხილოთ რიწის ფსკერი,
დამონებას თქვენსას შევძლებ“!

შედგნენ წამით. ვარსკვლავივით
უბრწყინავდათ თვალი ვერძებს,
ციმციმებდა ოქროს სხივი
ნამგალივით მოხრილ რქებზე.

— აქვეიშის მფარავს მადლი, —
ფიქრობს ნიზი გულის ძგერით.
უციმციმებთ ვერძებს მატყლი
საახალწლო თოვლის ფერი.

გამოუდგა დასაჭერად,
ყველაფერი დაივიწყა,
თავის ვერძებს გასათქერად
როდი მისცემს ნიზის რიწა.

შემოხვია მკლავი ტალღამ
ამოდუღდა, აქაფქაფდა.
აიწია მადლა-მადლა,
და მღვეარი დარჩა სახტად.

როგორც მადლა მთიდან ზეაგი
ისე მოწყდა ფარა ნაპირს,
ტბამ დაალო ხახა შაგი —
თითქოს გახდა გველეშაბი.

მთელი ფარა უცბათ შთანთქა,
შთანთქა სულის მოუთქმელად.
ყველაფერი სწრაფად გაქრა,
როგორც ქრება ცისარტყელა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ვქენი,
ძმას რა ვუთხრა, მომკლავს დარდი.
ღმერთო ჩემო, დამიხსენი,
ასე როგორ გავტიალდი!

ხეტილობს კლდეში, ღრეში,
ტირის, მოთქვამს მარტოდმარტო
მშობელივით კენესის, ხენეშის
თითქოს პირმშო დაეკარგოს.

მოიწყინა ნიგუმ სოფლად
ალარ უნდა გაჩერება,
მოენატრა მთაში ყოფნა,
ცხვარში, ძმასთან, ჩანჩქერებთან.

უშფოთველად ალარ ძინავს
და საშინელ სიზმრებს ხედავს,
დარდი ჰქონდა პაწაწინა
და აბა ვის გაუმხელდა!

მთაზე ნიგუმ დარჩა სახტად,
თითქოს გული გაეზხარა,
მისი ჯვარა ალარ დახვდა,
არსად იყო მისი ფარა!

ძმას შეჰყვირა, ძმას შებღველა,
რად დამლუბე, რად მომკალი,
ჩვენი ძმობა რად შებღველე,
რად დალუბე მომავალი!

მომწყდო, ალარ დამენახო,
ალარა ხარ ძმობის ღირსი...
მიიმალა შორი ახლოს,
მაგრამ სახლში წავა ნიზი?..

რიწის ტბასთან ნიგუმ დაჯდა,
ნიგუმ თვალეზდნამულო,
სევდიანად არაკრავდა
მწყემსის ძველი სალამური:

— ჩემო ცხვრებო, სად ხართ ახლა,
მოდით, გული გამიშუქეთ,
თქვენ შეგწირეთ, თქვენ თან წაგყვით
მთელი ჩემი სიკბატუე!

მოდით, გელით საბალახოდ,
მე არ მსურდა თქვენთვის ცული,
მინდა ისევ ჩემთან გნახოთ,
შემიბრალეთ! დამიბრუნდით!

შემიბრალებთ უბედური,
ამერია გზა და კვალი,
ნუ მიწყრებით, ნუ შემდურით,
თქვენ ხართ ჩემი მომავალი!

მე მცირე ხნით წაველ სოფლად,
ბარშიც თქვენი მქონდა დარდი,
მომენატრა თქვენთან ყოფნა,
უთქვენობით გავტიალდი!

სალამური ისევ კენესის
და ხმა სიოს მიაქვს ტბაზე:
— შეაღდინა ნიზი ვერძის
საოცარმა სილამაზემ!

ხმა ისმოდა გულსაკლავი
ყოველ მხარეს, კიდით კიდე,
მოეყარათ ჩიტებს თავი
და ისინიც ცრემლებს ღვრიდნენ...

და როცა მზემ დამის ბინდი
მთის კალთაზე გადაშალა,
აქღურტულდა ტბაზე ჩიტი,
გაქრა ხვეწნამ და მუდარამ.

ტბა გაიხსნა. რიწის ტალღამ
თითქოს განგებ გზა გაკვალა,
ერთი ცხვარი გაჩნდა მალღა —
და მას მოჰყვა მთელი ფარა.

აუთრთოლდა ნიგუს გული,
ზეცას მისწვდა ღზენა მისი,
დარდისაგან დადაგული,
საიდანღაც გაჩნდა ნიზი.

დაქრა ტაში, შეხტა ლაღად,
— ასსა! თქვა და მიწას ასხლტა,
უცბათ ცეკვა გააჩალა,
მოელვარე რიწის ტბასთან!

ფარას როცა შემოესმა
ნიზის ხმა და ნიზის ტაში,
შებრუნდა და გადაეშვა
სამუდამოდ რიწის ტბაში.

ნიგუ ამის შემხედვარე
გაშრა, კაცი იქცა ლანდად,
არ უჯერებს თავის თვალებს,
თითქოს გულიც გაუქვავდა...

დიდხანს იდგა ასე მუნჯად
ბედგამწყრალი, უბედური,
ლივლივებდა თვალწინ ლურჯად
რიწა აბუტბუტებული.

გაეხვია შავ ნაბადში,
ავი ფიქრი გაეღვიძა:
გადაეშვა კლდიდან ტბაში,
ჩაიხუტა ნიგუ რიწამ.


დაცხრა ტალღა, მიეძინა,
რიწამ თავი მოიმტკნარა
და მის ფსკერზე ჰპოვეს ბინა
მეცხვარემ და მისმა ფარამ.

და ხალხს თითქოს ახლაც სჯერა
ტბის ნაპირზე ყოველ დილით,
წყალს მოჰქონდა თოვლისფერი
თეთრი მატყლი დაპენტილი.

და ამასაც ამბობს ხალხი,
მომსწრე ბევრის კარვის, ავის,
რომ ისმენდნენ მწყემსის ძახილს.
რომ ისმენდნენ ფარის ბლავილს...

...ბრწყინავს, ელავს, მზეში რიწა,
ალივლივებს ცისფერ ტალღას,
თითქოს უცბათ გაეღვიძა,
ტბას კი არა, მზეთუნახავს!

თარგმნა რევაზ მარგვიანმა



ნაწელი ქეპუჩია


ღ ღ ე ს

ღღეს თითქოს ხე ვარ და, ვილაცამ დამარხია,
ღღეს თითქოს ტყე ვარ და, გული მაქვს კარლია,
ღღეს თითქოს ზღვა ვარ და, ქარი ვარ ანძებზე,
თითქოს კვარი ვარ და, ამანთეს ამ გზებზე;

ღღეს თითქოს ზარი ვარ და, ვილაცამ ჩამომკრა,
ღღეს მთვარეს ვგავარ, მთებშუა ჩამომდგარს,
ღღეს მზის სხივი ვარ, ვარდებში ვბალახობ,
ღღეს ფანჯარა ვარ და ვილაცამ გამალო.

მე ის წვეთი ვარ ზღვისა,
ის ნაბერწყალი ცეცხლის,
შენი ვარ განა სხვისა
და გული შენთვის მეწვის.
ხან ვარ ნაწილი ივრის,
ხან მტკვრის ნაწილი ციდა,
სითბო ვესესხე ივლისს,
სიწმინდე დამყვა ციდან.
ვარ ყაყაჩოთა ხალი,
შენს მთებზე ვერვინ მომღვეს,
ვარ ურმის ცალი ხარი
ალზევანიდან მოველ.

ვარ ყვავილების მიწა,
შენი ტაძრების ზეცა.
შენ ჩრდილს კაბეზად ვიცვამ,
შენს ბილიკს კოცნით ვკეცავ.
შენს ქართან ერთად მივქრი,
შენს მზესთან ერთად დავალ,
ხან ვარ სულ დიდი ფიქრი,
ხან სულ მიწამდე დავალ.
მე ის წვეთი ვარ ზღვისა,
ის ნაბერწყალი ცეცხლის,
შენი ვარ განა სხვისა
და გული შენთვის მეწვის.





ახალგაზრდა ქართველი მწერალია რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი, დიდი იმედის მომცემი პროზაიკოსი გურამ რჩულიანი. მისი შეოქმედება აღსაყვ ეყო დუცხრომელი ძიებითა, ცხოვრების უკეთ შეცნობის წუურულით. იგი ემზადებოდა დიდი სიმღერის სათქმელად, რათა შესაფერა მაღალმსატკრული სიტყვით გადმოეცა ჩვენი დიადი ვაჟის მკაცრმა; მაგრამ მრავალი მისი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

ქვემოთ ვბეჭდავთ გურამ რჩულიანის რამდენიმე ადრეულ მოთხრობას და ახალგაზრდა კრიტიკოსის ოტია პაჭკორიას წერილს უდროოდ დადუბული პროზაიკოსის შესახებ.

გურამ რჩულიანი

მუნჯი ახმედი ქ. სეცხელი

ზღვაზე უმოთვარო მოწმენდილი ცა იყო. წყნარი, პატარა ტალღების ხმა ძლივს ისმოდა ქვიშიან ნაპირზე, წყალში ვარსკვლავების სინათლე იდგა; იქ, მათ ბაც შუქში კატარღა მიცურავდა იმ ნაპირის გასწვრივ, სადაც სიბნელეში მოჩანდა მკრთალი მბეუტავი ნათურები. ზღვა წყნარი იყო, ნაპირზე სინათლეები ჩანდა და გემბანზე მშვიდად უკრავდა მეზღვაურის გარმონი. ასე იცურებდა კატარღა დილაშდე, მერე შევიდოდა ნავსადგურში, აიღებდა სანოვაგეს; შუა დღისთვის უკან დაბრუნდებოდა ზღვაში; ღამის სიწყნარეში ისევ გამოჩნდებოდნენ ნაპირის სინათლეები, ზოგი კაშკაშა, ზოგი მბეუტავი; სხვა სინათლე კი სულაც არ ჩანდა კატარღიდან, არ ჩანდა სანაპიროდან მოშორებული შუქი, არ ჩანდა ფარდაჩამოფარებული სახლებიდან ის სინათლე, რომელიც ძლივსლა ბეუტავდა კერაზე.

აქ, ნაპირზე, მიმქრალ ცეცხლთან იჯდა ბებერი მეთევზე, მუნჯი ახმედი,

გამხდარი ჩამოყრილი მხრებით და უძლური სხეულით სიცოცხლეს უნარჩუნებდა კერას; ნახევრად დამწვარ ფიჩხს შეწევდა ღრმად, ალი მადლა იწვევდა დროს კატარღიდან ჩანდა ეს შუქი სხვა სინათლეებთან ერთად, მერე ისევ ეფარებოდა ნაცარი ალს, ნაცრის ქვეშ ძლივსლა ცოცხლობდა ცეცხლი. მიმჭრალ ნაღვერდალს ზელახლა აღვივებდა ახმედი. ალი უნათებდა შეკრულ კრივის, დანაოკებულ სახეს და ბერვის დროს წინ გაშვერილ ტუჩებს. ძაღლის ლეკვი იწვა ცეცხლის პირას, პატრონის შიშველ, ცივ ფეხზე ედო თავი და თვლებდა. ძაღლის სითბო გადადიოდა პატრონში, ახმედი იყუდებდა თუნგს, დიდი, მძიმე ყლუპებით სვამდა წყალს. მერე შემოვიდოდა სედა, მოხუცებული ქალი, რომელიც სიბერისას შეიკვდლა შეთევვებ, ისიც დაჯდებოდა ცეცხლის პირას და ყვინთავდა. არც ერთს არ აგონდებოდა არაფერი, შავი გადაფარებოდა ახმედის მენსიერების, არც ჰქონდა ბევრი რამე გასახსენებელი, მაგრამ რომ შეძლებოდა, მოიგონებდა თავის დიდ ბარკასს, წყლით გაბერილ სახეებს, რომელთაც თავისი სიცოცხლის ფასად გამოსტაცებდა ზოლმე აღელვებულ ზღვას, მოიგონებდა მამას, რომელმაც ასწავლა თევზაობა. მაინც ახსოვდა რაღაც ახმედს, ეს უფრო ტკივილს გავდა ვიდრე მოგონებას — ეს იყო ლილი — „ზღვის საჩუქარი“, რომელიც შემდეგ მისი ცოლი გახდა.

ყველა ამ მოგონებიდან ახლა მხოლოდ ყრუ, უფერული შეგრძნება ჰქონდა მოხუცს გულში. წინათ, სულ წინათ, ამ ახმედისაგან შორს, რომელიც აქ იჯდა ბებერი და უძლური, იყო სხვა ახმედი, ღონიერი, ახალგაზრდა ახმედი, რომელსაც ჰყავდა ლილი.

ახმედი მიდიოდა ლილისთან ერთად ზღვის ნაპირზე, მერე მხარულით გაჭრიდა ტალღებს, ჩაყვინთავდა, დიდხანს არ ამოყოფდა თავს წყლიდან. შეშინებული გოგო მუხლამდე შედიოდა ზღვაში, ნაპირთან მიცურებელი ახმედს ფეხში სტაცებდა ხელს, წყალში ითრევდა.

შემდეგ ისევ მიდიოდნენ ნაპირის გასწვრივ. ნახევრად შიშველ ახმედს მხოლოდ ძველი დაკერებული შარვალი ეცვა. უზარმაზარ თითებს უხერხულად აქანავებდა, ხანდახან გოგოს დაადებდა მხარზე, მხარი ნებდებოდა ძალას და მორჩილად იხრებოდა მკლავის სიმძიმის ქვეშ. ქვიშიან ნაპირზე სხდებოდნენ, თრივენი უყურებდნენ ლელვის მატებას და ფიქრობდნენ ერთმანეთზე. ლილიმ იცოდა, რომ ახმედისთანა შეთევვე არაფერ იყო, არც ამისთანა მძლავრი მკლავები ჰქონდა ვინმეს; ლილიმ იცოდა, რომ ახმედი თითქმის ნავში გაიზარდა, ზღვის წყლით დასველებული თმა დიდ გაშლილ კულულებად ეყარა შუბლზე და ძალიან სასიამოვნო იყო ხელის მოსაკიდებლად. ლილი ხუთი წლის წინ მიატოვა ვიღაც კაცმა, მიატოვა იმის შემდეგ, რაც ის ქალი გარდაიცვალა, რომელსაც დეიდა იულოას ეძახდა. დეიდა იულოა ზღვაში მოკვდა, ღელვისას ბარკასს დაარტყა თავი. მაშინ ისინი შუა ზღვაში იყვნენ, იმ კაცმა ქალის ცხედარი ბრევენტის ტომარაში შეახვია და წყალში ჩაუშვა. ბევრი იტირა ლილიმ, როცა ნაპირზე გამოვიდნენ. ხუთი დღის შემდეგ, კაცი სწრაფად მიიშალა. შიმშილით გულშეწუხებული პატარა გოგო მარტო დარჩა ნავში. იმ ადგილებში თევზაობდა ახმედი მამასთან ერთად, მან პირველმა დაინახა ცარიელი ბარკასი, რომელიც ტალღებზე ქანაობდა: იქით გაცურა. ნავის ძირზე პატარა გოგოს უმოძრაო სხეული დახვდა. ნაპირზე ძლივს მოასულიერეს. ლილი ერქვა.

ახმედი გოგოზე საში-თხი წლით იყო უფროსი. მის პოვნამდე მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ჰყავდა მამა, ჰქონდა ქოხი და ზღვა. ზღვას მაშინ ეძახდა კარგს, როცა ბევრი თევზის დაჭერას შესძლებდა. ადრე დაეჯეკაცდა ფიზიკურად. თხუთმეტი წლისა ზღვაში ღრმად შესული ათენებდა ღამეს. მისთვის წყალი იგივე

იყო, რაც მიწა, უფრო მეტიც: ის აძლევდა თევზს, რითაც ცხოვრობდა. ზღვა მისთვის არც ლამაზი იყო და არც უშნო. ზღვა იყო ის, ურომლისოდ ცხოვრებამდე ვერ წარმოედგინა ახმედს. მისი სწორები ზღვისპირა ჯაგებში თამაშობდნენ, ის კი, თუ თევზაობის დრო არ იყო, შეცურდებოდა ნავით შორს, დაწვებოდა ძირზე, მზე უწყვედა დაქუთულ ბეჭებს, სიამოვნებისგან ინაბებოდა ბიჭი.

წინა შემოდგომის მიწურულს, სანამ ლილის იპოვიდნენ, ზღვაში ღელვამ მათი ბადეები დაწვიტა, დაუშხვრია ნავიც. გრძელი ზამთრის დამეებში იჯდა ცეცხლის პირას ახმედი და ახალ ბადეებსა ქსოვდა. მოიწყინა უხვლოდ, უნავოდ კი წყალი არ უყვარდა. საათობით დადიოდა ქსოვის შემდეგ ქვიშაან ნაპირზე მარტო, მოწყენილი. ერთხელ ზღვამ დამტვრეული ნავი გამოიჩია. ახმედმა ის სეზონის დაწყებამდე გააკეთა, მერე მარტო შეცურა ზღვაში ბადეების დასაგებად. ამდენი ხნის დაშორების შემდეგ წყალში შესვლას არ გამოუწვევია მის გულში დიდი სიხარული. ეს ამბავი მისმა სხეულმა მიიღო როგორც აუცალბებელი, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მისი არსებობა: პირველივე ბადეები თევზით სავსე ამოვიდა, სანაპიროზე კი თევზი იშვიათი საშოვნელი იყო. კარგ ფასში გაყიდეს ნანადირევი. ახმედის გულში იმედი შეიპარა, რომ მეორე სეზონისათვის ახალ დიდ იალქნიან ნავს იყიდდა. მას სჯეროდა ზღვის. ზღვა აძლევდა საკმელს, ზღვამ მისცა ძველი ნავი, იქ დაიჭირა ყველაზე მეტი თევზი და იქვე აყიდნებდა ახალ, დიდ, აფრებიან ნავს. ერთ დღეს, როდესაც ბადეები სავსე იყო თევზით, ზღვამ მოუტანა ახმედს ლილი. ის სუსტი იყო, სიცოცხლე ოდნავ ცხოვრობდა მის სხეულში და ახმედმა გააღვიძა იგი. თბილად დააწვინა თავის ქონში, შენახული ფულთი საკმელი მოჰქონდა, ძირითადად თევზი, რადგან სწამდა, რომ ზღვისა ყველაფერი კარგი და მარგებელი იქნებოდა; ლილიც ხომ ზღვამ მოუტანა ახმედს. გოგო ჩქარა წამოდგა ფეხზე, ის პატარა იყო, — სულ თორმეტი წლის. დახეული კაბა ეცვა, მხრებზე ხშირი კულულები ეყარა. დაამიჯებდა ახმედის გვერდით ზღვის ნაპირას. ბიჭის ფართე ნაფეხურები ღრმად აჩნდებოდა ქვიშას, გოგო კი თითქოს ფეხსაც არ აკარებდა მიწას, ისეთი მკრთალი იყო მისი ნატერფალი. ახმედთან ერთად დაიწყო ლილიმ თევზაობა; დაჯდებოდა ნავში, შიშველ ფეხებს წყალში ჩაყრიდა და მღეროდა. სიმღერა სულ ბუნდოვნად ახსოვდა, საღდაც გაგონილი. ხმა ზღვის ჰაერისგან აღრე გაუუხეშდა, მღეროდა უსწოროდ, უსმენოდ. ახმედი უსჯამდა ნიჩბებს, ზორბა მკლავებზე კუნთები ბორცვებად აჯდებოდა და თითონაც ჰყევებოდა სიმღერას სახის მოძრაობით. მერე გოგო ბადის ამოღებაში ეშველებოდა, ნაპირზე გამოტანილი ნადავლი ბაზარში მიჰქონდა გასაყიდად. ახმედი კი იჯდა ზღვის პირას და ძირს უცვლიდა ბარკასს, რომელმაც გამოიჩია ლილი. იჯდა მარტო, უყურებდა ზღვას. ზღვა არც უყვარდა, არც ეჯავრებოდა; ზღვა იყო აუცილებელი მისი არსებობისთვის, აძლევდა ყველაფერს. რაც სჭირდებოდა, ზღვამ მისცა პატარა ამხანაგი ლილი, რომელიც თევზაობაში ეშველებოდა, მღეროდა და დაჭერილ სტავრიდკას ყიდდა ბაზარში.

გადიოდა დრო და ახმედი გრძნობდა, რომ ზღვამ უფრო მეტი მისცა მას. ვიდრე თევზაობაში მომხმარებელი. ამას სულ ბუნდოვნად გრძნობდა და არ იცოდა ამ საჩუქრისთვის რა სახელი დაერქმია.

ახლა კი ისხდნენ ორივენი წყლის პირას, ღელვა მატულობდა, ახმედი მალულად უყურებდა ლილის მუცელს, უკვირდა, რომ ასე უცბად მოხდა ყველაფერი. ეს უცებ მოხდა, ერთი წლის წინ, წინა სეზონში. ლილი მღეროდა, შიშველი ფეხები წყალში ჰქონდა ჩაშვებული, ახმედი ბადეს ეზიდებოდა, მერე ლილიც ეზიდებოდა მასთან ერთად, გოგოს მკერდი ხვდებოდა ვაყის მკლავს ბადის

ქაჩვისას და სასიამოვნო სითბო ეღვრებოდა სხეულში. ახმედი დიდხანს აჭიანურებდა ბაღის ამოღებას, თევზი გარბოდა, მაგრამ ამას აღარ აქცევდა ყურადღებას, უნდოდა, ბაღე ძალიან გაგრძელებულიყო. ლილიც უფრო ახლოს იწვედა ნახევრადშიშველი ამობურცული მკერდით. თევზი კი გარბოდა. წინათაც ხდებოდა ასე. მაგრამ ახმედი ძლევდა თავს, ლილიც აშორებდა ხოლმე მკერდს მის მკლავს, ეზიდებოდნენ თევზით საგსე ბაღეს და ქალიც მხოლოდ მის დამხმარედ რჩებოდა.

დამხმარეზე მეტი ლილი მხოლოდ ახმედის გულში იყო, მაგრამ არ იცოდა ეყმა იმ მეტისთვის რა სახელი დაერქმეოდა.

ახლა განსაკუთრებით ნელა ქაჩავდნენ ბაღეს, მერე ახმედმა ხელი შეუშვა. ბაღე წყებ-წყებად ჩაიშალა წყალში და თევზი გაიქცა. „ოჰ თევზი“, დაიძახა ლილიმ და უკან გადაიწია, დაძინებულ კაბაში მზისგან დამწვარი კანკები გამოიწინდა. ახმედმა ბარძაყში მოკიდა ხელი, მაღლა აიყვანა და მიიკრა. გოგო თმებში ჩაეჭიბოდა, მაგრად მოქაჩა, მერე ძალაგამოლეულმა ჩატოვა შიგ სუსტი თითები; ნავი ქანობდა და შეიძლებოდა ორივე წყალში გადაეყარა. ახმედმა ფრთხილად დააწვინა ლილი ნავის ძირზე. დიდხანს იწვნენ ასე, ზევიდან ღრუბლებში გაჩხერილი მზე აცხუნებდათ, ნავი ირხეოდა ტალღებზე. როცა ლილი სკამზე დაჯდა, თვალები ცრემლიანი, მაგრამ მზიარული ჰქონდა და ზურგზე ნავის ძირს დაგებული სწორი, დატიხრული ფიკრის ანაბეჭდები ეტყობოდა. ახმედი მძიმედ უსვამდა ნიჩბებს, ახლა მან იცოდა, რომ ზღვამ თევზის ტერაში დამხმარესთან ერთად აჩუქა ცოლი, ისეთი როგორიც ჰყავდა მამამისს, მისი დედა. რომელიც კარგად ახსოვდა; დედა მას სცემდა ხოლმე ზოგჯერ, ზოგჯერ კალთაში ისევამა და ტბილელს აჭმევდა.

ყველაფერი ეს მოხდა ერთი წლის წინ.

ახლა იჯდა ახმედი ლილის გვერდზე, ზღვის დეღვას უყურებდა, რომელიც სულ უფრო მატულობდა. უყურებდა დიდ დატეხილ ტალღებს, ჰორიზონტზე გაწოლილ შავ ღრუბლებს, ზოგ ადგილას სხივებისგან დაწითლებულ წყალს და ძალიან უნდოდა ეთქვა რამე ლილისთვის: მას უყვარდა ზღვა, ზღვაზე მეტად მისი საჩუქარი — თავისი ცოლი, მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოეხატა ეს გრძნობა. მან არც ის იცოდა, რა ერქვა იმას, როცა რაიმე სიამოვნებდა, თანაც ყველაზე ძალიან. ყრუ ტკივილი იგრძნო, რომ ვერ გააგებინა ცოლს თავისი ფიქრი, წამოდგა, მძლავრი ბიძგით შეაკურა ნავი წყალში, პირველივე ნიჩბის მოსმით გადაახტუნა ერთ ტალღას, მერე მეორეს. ლილი ნაპირზე იდგა და ხელს უქნევდა, ის ხმამაღლა კისკისებდა, ახმედმა მარცხენა მაღლა აწია, თეთრი, მსხვილი კბილები გამოაჩინა გაცივნების მაგიერ. ის ბედნიერი იყო, ზღვაში შესული ახმედისა ესმოდა ცოლს.

სიღამოს ლილი მარტო იჯდა ქოხში. შუა ცეცხლზე წყალი დუღდა; აყრებდა ახმედის წითელ ხალათს, რომლის ჩაცმის დროსაც მისი ქმარი ყოველთვის კმაყოფილ სახეს იღებდა და კუნთებს ბერავდა.

შებინდებისას ბადეების დაგებას მორჩა მამა-შვილი, ახლა დიდხანს ზღვაში დარჩენა აღარ სიამოვნებდა ახმედს, თუ ლილი თან არა ჰყავდა წყყვანილი, თევზაობის მერე გამალებული უსვამდა ნიჩბებს ნაპირისაკენ. ამ დროს თვალები ებერებოდა, შეკრული კრიჭა უხრჭიალებდა, დაბერილი ნესტოებიდან მძიმედ უშვებდა ჰაერს. ძალიან ეჩქარებოდა უკან დაბრუნება ყოველთვის, როცა ლილი მარტო იყო სახლში. შიში რა იყო არ იცოდა, არც ის იცოდა თუ რა იყო უშიშრობა, მაგრამ მისთვის გამოუცნობი ძალა ეუბნებოდა, რომ საჩუქარი, რომელიც ზღვამ მოუტანა, შეიძლებოდა ისევე უკან წაეღო რამეს.

მთელი ქანით შეაგლო ნავი ნაპირზე. ლილი ქობის კარებში იდგა. ახმედმა თავი აწია, კბილები გამოაჩინა, მერე ზურგი შეაქცია და ნელა დაიწყო ნავის ნაპირზე გამოთრევა: ასაღლევებელი უკვე აღარ იყო არაფერი. ახმედის მამამ ჯანბეგმა გამოტოპა წყალში, მერე ქობში შევიდა და ბადეები დაყარა.

— ნახე რა დიღია და ხორციანი, — თქვა მან და ხელზე დადებული თევზი დაანახვა ლილის.

— ეგ ვიცი რა თევზიც არის, ახანში მოხვდა ალბათ — გაიცინა ქალმა.

— არა, ახმედმა დაიჭირა ანკესით, აპა, ბიჭო, ტყავი გააცალე. — გადაუგდო მამამ თევზი. ახმედმა დაიჭირა, ქამარზე ჩამოკიდებული პატარა დანა გაიძრო და თევზი მუცლიდან აფატრა.

— შენ დაიჭირე, არა, ახმედ? — მივიდა მასთან ლილი. ახმედმა თეთრა კბილები გამოაჩინა, ლილიმ თმებში ჩაჭიდა ხელი, თავისკენ მოიწია.

— გიყვარვარ, ახმედ?

— უყვარხარ, მერე როგორ — გაიშხლართა ჯანბეგი ტახტზე და კედლისკენ გადაბრუნდა. — წინათ სულ მოღუშული იყო, ახლა დაავიწყდა კიდევ, რომ ლაპარაკი არ შეუძლია.

ახმედი ილიმებოდა. თევზის ქერცლები ცეცხლის პირას ცვიოდა, ზოგ ახლადდაცემულს ალი იტაცებდა, ატყაცუნებდა. მან ჯობის შამფური გამოთალა, თევზი წამოაცვა, მერე ლილის დაანახვა.

— ჰო, შეწვი. — თქვა ქალმა.

ახმედი ჩაიუცქდა, ცეცხლი გაქექა და შამფური ნაკვერჩხალზე დადო, თან მხიარულად გაიქნია თავი.

— იცი რა გემრიელია შემწვარი, უ, რამდენი მიჭამია ეგ წინათ — თქვა კედლისკენ გადაბრუნებულმა ჯანბეგმა.

— ეტყობა, ახმედსაც უყვარს. — ლილიმ ისევ მოკიდა ქმარს თმებში ხელი.

— უყვარს, მამ, მაგ თევზით გავზარდე, იმიტომ არის ეგეთი ღონიერი.

— ღონიერი ხარ ახმედ, — მოქაჩა ქალმა თმები.

— ეგეთი ღონიერი, ტყუილია.

— ღონიერია, მაგრამ... ხო ახმედ. — ისევ მოქაჩა თმებზე.

ახმედმა შამფური გადააბრუნა.

— ვერ ლაპარაკობს, არა? — თქვა ლილიმ, თითქოს პირველად გაიგო და თმებზე ხელი შეუშვა.

ჯანბეგს ხმა არ ამოუღია, ახმედმა იგრძნო, რომ ლილი შეიცვალა, დანადგლიანდა, მორცხვი ღიმილით ახედა, ქალი დაიხარა და თავისი პატარა ცხვირი მოუსვა ლოყაზე.

— უნდა გაიპარსო, — თქვა მან.

— ხვალ მივცემ ფულს და წაყვები — წამოჯდა ჯანბეგი ტახტზე და მუგულზე მხედა და მსკდარ თევზს დააშტერდა, მერე მხერა ლილის წამოსულ მუცელზე გადაიტანა — თევზის ფულებიც ასაღები გვაქვს, თორე ჩქარა სტუმარი გვეყოლება, არა?

ახმედმა თავი აწია, ლილი კიდობნისკენ წავიდა, პატარა წითელი პერანგი ამოიღო და ქმარს დაანახვა. ახმედს თვალეები აუპრიბლდა, ჯანბეგმა კმაყოფილად ჩაიბუზღუნა:

— შენ შეკერე? ძალიან კარგია, ახლა შარვალი გააკეთე, ხო იცი, ბიჭი იქნება!

ლილიმ სკივრიდან მწვანე შარვალი ამოიღო.

— აი, — თქვა მან, — ესეც ..

ახმედს სიამოვნებისგან ტუჩები აეხა. გაუბედავად დაადო ლილის მუცელზე
 თითი.

— ჰო, ჰო — თავი დაუქნია ცოლმა.

ღამდებოდა და თენდებოდა.

კმაყოფილების რიტმით იესებოდა ახმედის გული. გრძნობდა ქარბ ძალას ხელეშში, რომლითაც უსვამდა ნიჩბებს და რომლითაც ბავშვივით აყვანილი ეჭირა ლილი. ახლა მისი ასე ტარება ყველაზე ძალიან შეუყვარდა ახმედს. დადიოდა ქვიშიან ნაპირზე. მკლავებზე გადაწვენილ ცოლს არწევდა, თან მის წამოსულ მუცელს უყურებდა. ახალი ძალა იღვრებოდა მის გულში, ებერებოდა ბიციბსებიც. ფიქრობდა, რომ ის თევზი, რომელსაც აქამდე იჭერდა, აღარ იქნებოდა საკმარისი, ის ქოხი, სადაც ის ცხოვრობდა, გაცილებით პატარა და უშნო იყო. ვიდრე მათი ქოხები, ვინც სოფელში ცხოვრობდნენ; იმ ქოხებში ყველგან დარბოდნენ პატარა ბავშვები, რომელთაც ლილის შეეკერილის მსგავსი პერანგები ეცვათ. ლილის სიარული აღარ შეეძლო, ის იწვა და ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა. ახმედის გული ვერ იტანდა ცოლის ტანჯვას. საღამო ხანს თვითონ მიდიოდა ბაზარში.

მიდიოდა ბაზრისკენ, რომელიც ამ დროისთვის უკვე დაკეტილი იყო; გზადაგზა გრძელ ხისფენებზე შესკუპულ ქოხებს ათვალიერებდა. ერთხელ, ასეთი სეირნობის დროს, დიდი ბარჯასის უფროსმა მეთევზემ შეიპატრჯა, მავდიასთან დასვა. აქ ღვინო დალია ახმედმა, სასმელი თბილ სითხედ ჩაიღვარა მის სხეულში, მგრძნობიარე და რბილი გახდა. შეუჩვეველი ჩქარა დაითრო, თვალეები გაუფართოვდა, ხარბად უყურებდა კედელზე ჩამოკიდებულ დიდ, ქრელ ფარდას და არშიებიან თეთრ პირსახოცს, მერე მზერა კარადაზე გადაიტანა, საიდანაც საკმეელი გამოიღო დიასახლისმა. მასპინძელი იცინოდა, მხარზე ხელს ურტყამდა, რაღაცას უსურვებდა. ახმედმა იცოდა, რომ ის სურვილი ეკუთვნოდა ლილის კარგად ყოფნას, რომელიც ავადმყოფი იწვა მის ძველ ტახტზე და ბავშვს ელოდებოდა. უცებ დაეპატრონა ახმედის გონებას ცოლის სახე, ავადმყოფურად მოუნდა მისი ნახვა, წამოდგა და გამოუშვიდობებლად დაეშვა კიბეებზე. მასპინძელი გარეთ გამოყვა.

— წავიდა? — ხმამალა იკითხა მეორე ოთახიდან მასპინძლის ცოლმა, როცა კაცი უკან შებრუნდა.

— წავიდა, ზღვასთან ყოფნა მოუნდა მუნჯს — თქვა ღიმილით ქმარმა.

ახმედი მირბოდა ზღვის გასწვრივ, წვრილი ქვიშა ეფრქვეოდა გვერდებზე. ხრაშუნობდა; ზღვის გულში მთვარის შუქი იყო ჩაღვრილი, გარემოში ტალღებზე ღრუბლის ჩრდილები დადიოდნენ, მერე მთვარე დაიმაღლა და შორს ზღვაში ნაპირისაკენ მომავალი გემის სინათლე გამოჩნდა. ახმედმა ზღვას გახედა და მოუმატა სირბილს. მის ქოხში სიბნელე იყო, შიგ შევარდნილ ახმედს ღრუბლებიდან გამოსული მთვარის სინათლე დაეცა ზურგზე. ლილის თავი უკან ჰქონდა გადავარდნილი, სხივები მის მოდუნებულ სახეს კიდევ უფრო აფერმკრთალებდნენ, ახმედი ჩამოჯდომას აპირებდა ტახტზე, მაგრამ ქალი უცებ გაიპართა, ხელი უღონოდ ჰკრა და საბნის ნაგლეჯში გახვეული რაღაც მიიხუტა. ახმედი სიბნელეში იდგა. მთვარე ანათებდა ლილის გრძელ, ჩამოყრილ თმებს, გაშტერებულ, უცრემლო თვალებს და იმ ნაგლეჯში გახვეულ რაღაცას, რომლისაც მხოლოდ დამანჭული სახე მოჩანდა. დიდხანს იჯდა ასე ქალი. თვალეები უფართოვდებოდა. გაშტერებული უყურებდა მრგვალ, წითელ დისკოს. ახმედი მიყუჟული იდგა. მისი სხეული გრძნობდა, რომ რაღაც ცუდი მოხდა. ზღვა კი ხმაურობდა, შავი ღრუბლები დადიოდნენ აპრილ წყალზე, მერე ღრუბლებმა მთვარე დაფა-

რეს და ახმედის ქოხში მთლიანად დაბნელდა. სიბნელეში ქვეთინის ხმა გაისმა. ქვეთინებდა ბავშვზე დამხობილი დედა, მერე საბანი გადააცალა, თავს უსვამდა მის სხეულს, თმებით ფარავდა ახლადგაჩენილის ერთი ბეწო ტანს. ახმედმა თავისდაუნებურად დაანთო ცეცხლი. ჯერ ცოტათი მოუკიდა ბეწაწს, მერე აღმა იმატა, ნელა გაანათა ოთახი. დედის სხეულის ქვეშ იწვა უმოძრაო ბავშვი კისერზე დახვეული ჰქონდა, რომელსაც ის დაბადებამდე დაეხრჩო.

გვიან შევიდა ქოხში მოხუცი ჯანბეგი, მდუმარედ მივიდა ცეცხლთან, რომლის ალიც ძლივსა ბუტყავდა, უმოძრაოდ მჯდარ ახმედს დაადო მხარზე ხელი. მას მამის შემოსვლა არ გაუგია, ოდნავ შეაკრთო ხელის შეხებამ. მოხუციც მის გვერდზე ჩამოჯდა. ლილი აღარ ქვეთინებდა, ის ბავშვზე დამხობილი უმოძრაოდ იწვა.

— ჯერ ახალგაზრდები ხართ, — ყრუდ თქვა ჯანბეგმა. ლილიმ ამოისლუქუნა, ახმედმა სიბნელეში გააჩნია, როგორ შეირხა მისი ცოლის მხრები და გული შეეკუმშა. მისი სხეული პაერში სიკვდილის, სიმარტოვის სუნსა გრძნობდა; პირველად თავის სიციცხლეში მოუნდა ტირილი, მაგრამ არც ლილისთან მისვლა შეეძლო, რომ მოფერებოდა.

— ჯერ... — დაიწყო ისევ ჯანბეგმა — რას იზამ, შვილო, ახალგაზრდები ხართ.

ქალი ნერვიულად იქნედა თავს, დიდ კურცხლებად ჩამოსდიოდნენ ცრემლები.

— ახმედ, ასეთი გაჩნდა, იცი? მკვდარი! — ქვეთინებდა ლილი. ახლა, როგორც არასოდეს, უნდოდა, რომ ქმარი მისულიყო და მოაღერებოდა. ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი მოახლოვებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი.

მეორე დღეს დაასაფლავეს ბავშვი ქოხის გვერდზე, ახმედმა ყვავილები დაკრიფა, ლილიმ მიიტანა და დააწყო. გადიოდა დრო.

აღარაღინ არ იგონებდა იმ სიკვდილს, მაგრამ ის ჩანდა ყველაფერში. ჩუმი გახდა ლილი, ახმედი უფრო მეტ ხანს რჩებოდა ზღვაში და თავის ცოლს დამნაშავესავით მორიდებულად უყურებდა. მხოლოდ ჯანბეგის ლაპარაკს შექონდა პატარა სიციცხლე ოჯახში. იტანჯებოდა ახმედის გული, მაგრამ არაფრის თქმა არ შეეძლო, მხოლოდ კუნთები ჰქონდა ძველებურად ძლიერი, უსვამდა ნიჩბებს, ექანებოდა უზარმაზარ ბადეებს. დამით ძველ ტახტზე იწვა, ზორბა მკლავებში მოჭკეულ ლილის კოცნიდა თვალეზზე, აწყენარებდა. ახმედს უნდოდა, რომ ცოლთან ერთად გატარებული ყოველი დამე უსასრულო გამხდარიყო. დილა კი აბოლოვებდა ამ უსასრულობას, ტოვებდა მას უცოლოდ. მთელი დღე, მის გონებაში იდგა ის დრო, როცა ლილი დაწვებოდა მასთან, წინათ არ იცოდა ახმედმა ეს დრო თუ უსასრულო არ იყო, ახლა კი ხვდებოდა და ეშინოდა შეუცნობლად. ამ აღმოჩენამ ააფორიაქა ის, აქამდე ეგონა, რომ დარდის მიზეზი მარტო ბავშვის სიკვდილიდან იწყებოდა, ნაწილობრივ ეს სწორეც იყო, მისი სიკვდილის შემდეგ დაებდა შეუცნობელი შიშის გრძნობა, რომლითაც ხვდებოდა ყოველ დილას.

სწორედ დილით ებადებოდა, ტახტიდან აღგომისას ეს აზრები, როდესაც მარტო რჩებოდა ლილი. ეს აზრები მიყვებოდნენ მთელი დღე თევზაობის თუ ბადეების ქსოვის დროს და კვდებოდნენ დაღამებასთან ერთად, როცა ცოლს თავის მძლავრ მკლავებში გრძნობდა.

მარტო ჯანბეგი იყო თავისთვის, შეუმჩნევლად, როცა ლილის ახმედთან ლაპარაკი უნდოდა, გაგებინებთ ისინი აგებინებდნენ ერთმანეთს, მაგრამ როცა ხმის გაცემა უნდოდა. მაშინ ელაპარაკებოდა მოხუცს, ისიც შეეჩ-

ვია ამ როლს. მათი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, ის გრძელდებოდა ვახშმისას, მის მერტე, როცა ლილი ახმედის გვერდზე იწვა, ჯანბეგი კი თვლემდა კუთხეში დაგებულ ტყავებზე, ამ დროს ახმედი თავს კარგადა გრძნობდა, მათ საუბარს თავის კუთვნილებად იღებდა. ლაპარაკი ქალს უჭრობდა შიშს, რომელიც სიჩუმეში იბადებოდა მეთევზის ფარდალალა ქოხში, შიში მიდიოდა ზღვიდან და ხმელეთის იქით გადაჰიმულ შრიალა ტყეებიდან. ასეთი შიშის დროს ღამე ჰუჭურუტანებიდან შემოდინოდნენ ეშმაკები, ან ორთავა დევები ხარხარით, ცეცხლი ლეივდებოდა კერაში, ნაქვერცხლდებოდა. მოჩვენებები ცეკვავდნენ ცეცხლის ენების გარშემო და ყელზე ჰიპნოზოზოზოვანი ბავშვის ხორცსა ჰამდნენ შეშინებული ახელდა თვალებს ქალი, ახმედის მკლავები მაგრად უჭერდნენ მის ტანს, მაგრამ მოჩვენებები უფრო გათამამებული ახტებოდნენ ნიჩბებს, არღვევდნენ ზღვას, მოათრევდნენ ნავეს, ძვირფას განძეულს და იტაცებდნენ მას ახმედის მკლავებიდან; კანკალეზდა ლილი.

— ჯანბეგ, ჯანბეგ თენდება არა?! — იძახდა ის.

— ჩქარა, ჩქარა ამოვა, — ბოხი, ჩახრეწილი ხმით პასუხობდა ბებერი მეთევზე.

ადამიანის ხმების ეშინოდით სულელებს და გარბოდნენ. ცარიელდებოდა ოთახი, გარეთ ზღვა ხმაურობდა, ხმელეთიდან ისმოდა ხეების შრიალი, ძაღლები ყფდნენ, ალიონზე ყიოდა მამალი. ახმედის მკლავები, რომლებიც ისევ მაგრა შემოხვეოდნენ მის სხეულს, კვლავ საიმედო საფარველი ხდებოდა.

აჲად გახდა ზამთარში ჯანბეგი. იწვა სიციხიანი და ბოდავდა. ბოდვის ხმები მთელი ღამე ებრძოდნენ სულელებს, ბოლოს ხმები იმარჯვებდნენ, ცარიელდებოდა ოთახი მოჩვენებებისაგან. ისვენებდა ლილი.

მომდევნო ღამეებში ხმები მისუსტდა; ერთხელ როცა მთვარეს ღრუბელი აფარა, სულ მისუსტდა ჯანბეგი.

სულელებს აღარ ეშინოდით მისი უაზრო ბეგრების და მოჩვენებებით აივსო ოთახი. ლილის ძახილზე მოხუცი იწვა ჩუმად, მას აღარ აწუხებდა სიციხე, აღარ აწუხებდა შვილიშვილის მკვდრად დაბადება და მუნჯი შვილის მარტო დატოვება ამ ქვეყანაზე.

დილითაც იწვა მოხუცი, მერე მთელი დღე იწვა კიდევ. ცხედრის დასაფლავება მესამე დღეს გადაწყვიტეს, როცა ახმედი ძველი ნავის ფიცრებით კუბოს გააკეთებდა. საღამომდის მორჩა დურგლობას, კუბო ქოხის კუთხეში ააყუდა. ლილი ტანტზე იჯდა მიყუჟული, მერე ფეხაკრეფით აღვა, მივიდა შუა-ცეცხლთან, რომელიც ოდნავ ბეუტავდა, გრძელი აღმოდებული ფიჩხი აიღო და პრაქს მოუკიდა; პრაქმა ჯერ პარპალი დაიწყო, მერე აინთო, ძველი ქოხის კედლები გამოაჩინა. ქერში თოკზე ასხმული გამოჩნმარი თევზები ეკიდა მძიმე ბადეების გვერდზე, ისინი საცობებით იყო მოკანძული წყალზე სატიკტივოდ, კოჭებში ორი მთელი ნიჩაბი ჩანდა პირდაპირ გარკობილი, რომელზედაც მეთევზის ფარცხები და დამტვრეული ნიჩბები ეყარა. პირდაპირ ეკიდა ახმედის დაკერებული ტანისამოსი. ახმედი კარებთან იჯდა ხის ურდულის ქვეშ. დროდადრო თავმომწვარ ფიჩხს უნთებდა ცეცხლს, ალი ცოტა ხნით ნელდებოდა ახალი შეშის მიმატებამდე.

ლილი გარეთ გავიდა. კარები პრიალით გაიღო, როცა შემოვიდა, კარებმა ისევ დაიპრიალა. ლილიმ ქვებით წყალი შემოიტანა, შუა ცეცხლის თავზე დაკიდებულ კავში ჩაკიდა, ახლა მან მიუმარჯვა ფიჩხი. აღმა ქოხის ძველი, სუფთა კედლები გაანათა. ლილიმ ცოცხს მოკიდა ხელი, სინათლეზე გამოჩენილი ახლაბუდა ჩამოწმინდა, შემდეგ თევზი გამოშიგნა. დაღლილი მიუჯდა ახმედს გვერდით.

ცეცხლმა იკლო. ახმედმა ხელი გადახვია, ქალი სუსტი მხრებით მიეკრა მის მკერდს. ის განკალგებდა, ეშინოდა ქოხის სიჩუმის და ცდილობდა ჭრაქის მხარეს არ გაეხედა. იქ, ჭრაქის ქვეშ ახმედის მკედარი მამა იწვა საბანჯადაფარებული. ერთხანს ასე ისხდნენ, შემდეგ ახმედი წამოდგა, ცუღს დაელო ხელი, თაროდან ლურსმნები ჩამოიღო. დილითვე დამზადებული ფიცრებით კუბოს თავსახურის კეთება დაიწყო. კაკუნის ხმამ ლილი გაამხნევა. მოუნდა ვინმეს დალაპარაკებოდა, მაგრამ ჯანბეგი უკვე მკედარი იყო, ნიშნებით კი არ შეეძლო ახმედისთვის ყველაფერი ეთქვა, თან ასეთი ლაპარაკი ღამით უფრო აშინებდა.

ახმედმა კუბოს თავი გააქეთა, ისევ მიუჯდა ლილის და ხელი გადახვია. კერაში ცეცხლი სულ მიქრა, ქვაბში ჩაყრილი თევზი მოიხარშა. აღარავის შეუქეთებია ფიჩხი, მარტო თაროზე მდგარი ჭრაქი ბუტბავდა, რომლის ქვევითაც საბანჯადაფარებული კაცის ცხედარი იყო. ქოხს შიში და სიცარიელე პატრონობდა. ახმედის მკლავები მას მანამდე იფარავდნენ, სანამ სინათლე ენათ. ჭრაქში კი საწვავი თავდებოდა. ახმედისთვის ამ წუთში არ იყო არც შიში, არც სიცარიელე. იყო მხოლოდ ლილი, რომლისთვისაც ხელი ჰქონდა გადახვეული და რომელიც თრთოდა მის მკლავებში.

მთელი ღამე მიდიოდნენ სულელები. ახლა დევები უფრო დიდები იყვნენ. პატარა ეშმაკებმა დაიკავეს ყველა კავეები ქოხში. ხითხითებდნენ, ენას ყოფდნენ, იმანებოდნენ. კუთხეში შავად მდგარ კუბოდან გამომჭერალი ვიღაც ასფეხა ცეცხლის ენებში ცეკავდა, გრძელი ხელები იგრისებოდნენ, თითქმის ზედმოდნენ ქალის სახეს, მერე ჯოჯოებმა ზურგით შემოათრიეს კიდობანი...

— ჯანბეგ, ჯანბეგ! — ყვიროდა ლილი.

ჯანბეგი დუმდა, დევები იქვე იყვნენ. მარტო ქალის ხმის არ ეშინოდათ. უპასუხოდ დარჩენილ ძახილისგან უფრო გათამამებული დარბოდნენ ეშმაკები.

— ჯანბეგ, ჯანბეგ! — ისევ ყვიროდა მთელი ხმით ის.

გაღვიძებული ახმედი კუნთებს ბერავდა, კბილებს ახრჭიალებდა. ახლა ისიც დევს გავდა, ქალს გადახტომა უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო, მკლავები არ უშვებდნენ.

— მიშველეთ, მიშველეთ! — განწირულად დაიწვილა მან და უცებ გაქრნენ სულელები. თვალზედაქყვტილი ლილი საწოლზე იჯდა, ახმედს კეტისთვის დაელო ხელი. ღია კარებში ცოცხალი კაცის სილუეტები ჩანდა, მის უკან კი ზღვა იყო წყნარი, თეთრი.

— შე ვარ, ახმედ. — თქვა სილუეტმა. ახმედმა იცნო ახალგაზრდა მეთევზე, — აქეთ მოვდიოდი და შენი ყვირილი შემომესმა...

ახმედმა ზურგი შეაქცია და ტახტზე დაწვა. ის კაცი წავიდა. ადამიანის ხმისაგან დამფრთხალი სულელები ღამე იმალებოდნენ.

დილა წყნარი იყო და მზიანი.

აფორიაქდა ახმედის გული. გათავდა ღამე, გათავდა ლილისთან ერთად წოლის კიდევ ერთი დღე. საღამომდე ვერ ნახავდა მას. უსვამდა ნიშნებს ზღვის სიღრმისკენ. ის არ ფიქრობდა არც შიშზე, არც ლილიზე, მხოლოდ შეუცნობელი, ცუღის რიტმი იყო მის გულში. გათავდა ღამე, რომელიც გაატარა ცოლთან ერთად და არ იცოდა მეორე ღამეს გაატარებდა თუ არა მასთან, რადგან გრძობდა, რომ ისევე როგორც ცვლიდა ღამეს განშორების დილა, შეიძლებოდა შეცვლილიყო ასეთი ცხოვრება ცოლთან ერთად სხვა ცხოვრებით.

მამის დასაფლავების შემდეგ უფრო დაეპატრონა ეს განცდა. ის ნაწილი,

რასაც ავსებდა ჯანბეგი თავისი ლაპარაკით ლილისთან, ცარიელი იყო. ამ სიტყვებისა ეწინააღმდეგებდა, ეს სიტყვებით ზღეს უშლიდა, რომ ძველგანაწილად ყოფილიყო ცოლთან. პირველად ეს სიმყუდროვე დაარღვია სიკვდილმა — ის სიკვდილი ეკუთვნოდა ბავშვს, მეორედ სიმყუდროვე ისევ სიკვდილმა დაარღვია — ქობის უკან დაასაფლავეს ჯანბეგი.

ამ ამბების მერე მოიწყინა ლილიმ, აღარ იყო მხიარული, აღარ ეალერსებოდა ახმედს, ღამე საშინელ სიზმრებს ხედავდა, თრთოდა, ყვიროდა... ერთხელ თევზაობიდან დაბრუნებულ ახმედს სახლი ცარიელი დაუხვდა.

აღარ იყო იქ ლილი. იჯდა ახმედი მარტო ცივ, პატარა ქოხში და გრძნობდა, რომ ის ვინც უკითხავად წავიდა, აღარასოდეს დაბრუნდებოდა. მხოლოდ ზღვა დარჩა მისი ერთგული. ღამე, დიდი ქარისა და ტალღების ხმაურის დროს, ეჩვენებოდა ქალის ყვირილი, დაფეთებული გარბოდა გარეთ, მერე ცურვით შედიოდა წყალში, თავისი სიცოცხლის საფრთხის ფასად გამოყავდა წყლით გაბერილი ადამიანი, წყალს წურავდა მისი სხეულიდან და სიცოცხლეს უბრუნებდა.

თევზაობის შემდეგ ხშირად ეგდო ნახევრად შიმშელი ზღვის ნაპირას და ელოდა დამტკრებული ბარკასის პოვნას, რომლის ძირზეც იწევებოდა ზღვის საჩუქარი. ყოველ ღამე ტკივილით ევსებოდა გული. იწვა მარტო და იმედად მხოლოდ დილა ჰქონდა. დილას შეეძლო მოეტანა ნავი, დაებრუნებინა ლილი. მისი ამოსვლამდე ჯდებოდა ახმედი ნავში, უსვამდა ნიჩბებს, შორს გადიოდა ზღვაში. ერთადერთი რაც დარჩა მას, იყო ძალა. ძალა უნაზღაურებდა ყველაფერს და უძალოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა მის სხეულს.

გადიოდა დრო.

ახმედის ძალა ეხმარებოდა თევზით ღარიბებს, იკვლევდა ღამის გასათევად მგზავრებს, არჩენდა ზღვის ტალღებიდან სხვის სიცოცხლეს. მისთვის სიცოცხლის გადასარჩენად არ არსებობდა წინააღმდეგობა, მან მარტო დარჩენილმა ყველაზე კარგად იცოდა რა იყო სიკვდილი. მას ხომ სიკვდილმა წაართვა ლილიც — ასე ფიქრობდა ის.

კიდევ გადიოდა დრო.

და დაბერდა ახმედი. ზღვის წყალმა მხედველობის ნაწილი დაუკარგა. ახლა კარგის და ცუდის შეგრძნება აღარ იღვიძებდა ისე ძლიერად მის გულში. მოდუნდა. დაივიწყა წინანდელი დარდი, დაივიწყა ის სიხარული, რასაც იწვევდა სხვისი შველა.

კიდევ გადიოდა დრო და ახმედმა დაკარგა ძალა, თავისი ერთადერთი იმედი. მამინ შეიკვდლა მოხუცი სედა, ნახევრად გივი მოხუცი ბაზრის ქალი და ძაღლის გადაგდებული ლეკვი.

ღამე ძაღლის ლეკვი კარებთან წკმუტუნებდა, მერე გულზე მოსული უყუფდა ლანდებს სიბნელეში. ახმედი იჯდა წელში მოხრილი ცეცხლის პირას, ფიჩხს ქექავდა, უბერავდა ნალევრდალს. დასუსტებულ ძელებზე დამკვნარ ხორცად დაკიდებული ერთდროს ძლიერი ბიციბსები ყანგისფრად მოჩანდა ალზე. ბრუ ეხვეოდა, მაგრამ მიუძღურებულს რატომღაც არ სწყინდა თავისი უმწიფობა, ვეღარცა გრძნობდა.

გარეთ ლეკვი ყუფდა, მერე შეეპარდა ქოხში კუდის ჭიციხით და ისევ გაიქცა. ახმედმა იცოდა, რომ ახლა ბებერი სედა შევიდოდა. ბებერმა სედამ წყლიანი თუნგი დაუდგა გვერდზე ბებერ მეთევზეს; იქვე დაჯდა თითონაც ცეცხლთან. მიმკვნარ მკერდს უნათებდა ალი. ის იჯდა თავდაპირილი, ყვინთავდა; მერე თბილ მიწაზე მიწვა და მიეძინა. ახმედმა ისევ გაქეპა ცეცხლი. სედას მკერდი ჩახსნილი გულისპირიდან თეთრ-წითლად გამოჩნდა. ახმედის ფეხთან ლეკვი წკმუტუნებდა.

ნება, ცხელი ენით ულოკავდა ხელის გულს, ბუნდოვნად იღვიძებდა მიბერებულნი ენება მეთევზის გულში. ის ქალი, ვინც პირველად მას ენება გაუღვიძა, ისე შორს იყო, რომ განხენება აღარ შეეძლო, გრძობა დიდი ხანია ჩაუქრა, დარჩა მხოლოდ ის ინსტინქტი, რომელსაც ოდესღაც იწვევდა ლილის შიშველი სხეულის დანახვა. ეს ახლა თითქმის გაუფერულებული განცდა შეინარჩუნა მისმა გულმა იმ ძველი ამბებიდან სიყვარულის, იმედის გაცრუების და სიკვდილის სიძულვილის ყრუ ტკივილთან ერთად.

სადღაც გაიქეჭა მისი შეგრძნება, მას შემდეგ აღარ ენახა ასე ახლოს ქალის სხეული. ახლა უყურებდა და ოდესღაც განცდილი მკრთალად უფორიაქებდა მიბერებულ სხეულს, ძალი კი ულოკავდა მლაშე ხელისგულს, სასიამოვნოდ უთბობდა. ნელა წამოდგა, ჩოჩვით გადაჯდა მოხუცი ქალის გვერდზე, ისევ გაქეჭა ცეცხლი, დიდხანს უყურა, მერე დამკვნიარი ხელი დაადო ქალის მკერდს, სადღაც გაქრა გაღვიძებული შეგრძნება, მკერდი ცივი, უგრძობელი იყო. გარეთ გავარდნილი ლეკვი ისევ უღრენდა ლანდებს. წელათრევიტად გადმოჯდა თავის ადგილას ახმედი; ახლა სიშიშველეს ველარ ხედავდა; მხოლოდ გრძობდა, რომ წყუროდა წყალი. თუნგი მოიყუდა. სვამდა დიდი, მძიმე ყლუპებით და უფორმო სიციცხლე იპყრობდა მის სხეულს. ცივი წყალი გადადიოდა ყელში, ეღვრებოდა გულზე. სხეული გრძობდა, რომ ის ცოცხალი იყო; ეს სიციცხლე იჯდა დანგრეულ ქოხში, ნახევრად მიმქრალ ცეცხლთან, რომლის პირსაც იწვა ბებერი ქალი, ეს სიციცხლე გრძობდა, რომ ლეკვი, რომელიც გარეთ ყვფდა, შემოვიდოდა და ხელისგულს ბულოკავდა, ცეცხლი რომელიც ქრებოდა ფიჩხის შეკეთებისას, ისევ დიწყებდა თამაშს, ისევ გაანათებდა შიშველ მკერდს, ლეკვის ენას და კედელზე ჩამოკიდებულ ბადეებს.

სალამურა

წამოთოვა.

წინა დღეს ციოდა. მერე მთელი ღამე თოვდა, მეორე დღესაც თოვდა.

ღრუბლების ჩამოწოლასთან ერთად ხეობაში სითბო ჩადგა. მესამე დილას გამოდარება დაიწყო. იალადებზე სიო ფიფქა თოვლს ათამაშებდა. ჩქარა ქარმა საგრძნობლად იმატა, თოვლის ქულები მოაყარა ხეობას.

სალამურა ადგილზე ურტყამდა ფლოქვეებს. ბაკში შეყრილი ცხენები შფოთავდნენ. ქარმა ღრუბლები ისევ გადაყარა. ულაყები ერთმანეთს ახტებოდნენ. იმ ღამეს ისევ აცივდა. სალამურამ განიერი მკერდით გააპო ჯოჯი და ლობესთან შივიდა. ფართო ნესტოებიდან ორთქლის ნაკადს უშვებდა. ყურები დაცქვიტა, მერე კბილები გამოაჩინა, მაღალ აპრეხილ კისერზე გრძელი ფაფარი გადაიყარა და თავისთვის ჩაიხეხინა. კისერი კიდევ უფრო გაიგრძელა, წვრილი, გრძელ ფეხებზე შემდგარი ტანი დაეძაბა. ისევ ჩაიხეხინა: ოღონდ უფრო ჩუმად. მთელი ტანი აუძაგმაგდა.

მხოლოდ დიდი შავი თვალეები ჰქონდა წყლიანი და მოწყენილი.

სამი წლის ულაყს არა სციოდა.

დილას კარები გაიღო და ჯოგმა დამე მოყინულ თოვლზე იწყო გამოსვლა. ახალგაზრდა ულაყებმა შევება იგრძნეს: ყალყზე დგებოდნენ, წიხლებს ისრბდნენ, იკბინებოდნენ. მერე თოვლის ბექობს ოთხით აუყვენენ. ჯოგი ახლადგანდნილ კვიცზე მჯდარმა ბიჭმა შემოაბრუნა. ახლა ხეობისკენ დაეშენენ. სალამურამ დრო იხელთა და მასზე მაღალ, უშნო ულაყს შეახტა. ატყდა წიხლების ცემა. ერთმანეთს წვედნენ კბილებით. ერთმა მთელი ხმით დაივიხვირა.

მზე ამოვიდა.

დათბა.

ფლოკვების ქვეშ თოვლმა ადვილად დაიწყო დნობა. მთელ ფერდობს ჩაუყვა ჯოგისაგან გაქეცილი ატალახებული ზოლი. ქვევით თოვლი გათხებლდა. ცხენები უფრო მორჩილი გახდნენ.

შუა დღეს წყალი დალიეს და უქმელად გააგრძელეს გზა ბარისაკენ. ბილიკი ახლა ხეობის ვიწროებში მოექცა. ხრიოკ კლდეებზე აქა-იქ ჩანდა სიმწვანის ნარჩენები. დროდადრო რომელიმე ჩაპკიდებდა მიმხმარ ბალახს კბილს და მიწიანად აბრობდა.

ისევ მირბოდნენ.

იყო ფრუტუნნი.

მოსალამოვდა.

ღამის სათევად მეორე ხეობის შესართავთან შერეკეს ისინი. ადრე მოსული თოვლი გამდნარიყო, აქა-იქ ბუჩქის ძირებში ჩანდა მხოლოდ თეთრი ლაქები.

დილით უთენია დაიძრნენ. ორ-ორად გაუყვენენ ბილიკს. მოიწყინეს ულაყებმა. ჩუმად მიჰქნაობდნენ. ხანდახან კაცის ხმა ესმოდათ, შედგებოდნენ და ყურებსა ცქვეტავდნენ. მერე ისევ მირბოდნენ.

მთის წვეტრებს მთელი დღე მზე ანათებდა. ხეობაში კი ბნელოდა. გზაზე გაგაყება იწყო; ჩქარა დიდ შარახზე გავიდნენ და დიდ ხეობას ჩაუყვენენ. წყალი ძალიან ხმაურობდა. ახლა მათ მოძმეებზე გადაამჯდარმა კაცებმა მარჯვნიდან მოუარეს და კლდისაკენ მირეკეს.

ისევ მირბოდნენ.

მზე ახლა მხოლოდ მთის წვეტრს ანათებდა, მერე ჩავიდა.

რატომღაც წინ მიმავალი დიდი ულაყი დაფრთხა და კლდისაკენ მღვარს მიაწყდა. ისიც დაფრთხო რალაცა ხმაურმა და ადგილს მოწყდა.

წინ ხიდი გამოჩნდა.

გაქცეული შედგა.

გაჩერდა მთელი ჯოგი: ყურები ცქვიტეს, შემდეგ უწესრიგოდ მიაწყდნენ კლდეებს.

აეტომანქანა გუგუნით შემოგორდა ხილზე. მეჯოგეებმა თავიდან დაუარეს. მანქანა უახლოვდებოდათ.

წინ გაქცეული ისევ მოწყდა ადგილს. მას სალამურაც გამოუდგა. ხეობის კიდესთან მივიარდნენ. ამ დროს მანქანის საყვირმა დაიყვირა და პირველად დამფრთხალი მოსხლეტით გადაეშვა უფსკრულში, სალამურა კი პირდაპირ გავარდა, გაცდა ხიდს: გრძელი ფაფარი ნიაგმა გაუშალა. ტანში გაიშალა, ფართო ნესტოები დაებერა. პატარა თავი წინ გაიშვირა და ისე მირბოდა. მერე უცებ გაჩერდა; უკან მოიხედა, ცხენები ერთმანეთს აწყდებოდნენ. მათ მათარახიანი მხედრები უდგნენ თავთან.

ხმაური მიწყნარდა.

სალამურამ კისერი მოიღერა და კბილები გამოაჩინა. ორთქლთან ერთად დაბერილი ფილტვებიდან ხვიხვინი ამოუშვა. ჯოგიდან ვილაცა გამოეხმაურა.



კაცები ერთ ადგილას იდგნენ და უფსკრულში იხედებოდნენ. სალამურამ ადგილზე დაიწყო ტორტმანი. ბოლოს ჯოგისაკენ წავიდა.

ის ღამე ხიდის ქვევით გაათენეს. შემდეგ დღესაც მშვიდობა იყვნენ.

ეშინოდათ.

მანქანების მოძრაობა გახშირდა. ხშირად ფრთხებოდნენ. მეჯოგეები მარჯვობდნენ მხოლოდ. მობრის გავლის შემდეგ მთელი ზუთი წუთი ვერ ისვენებდნენ ულაყები. ზოგს დაეტყო შიმშილი. სალამურას ფერდები შეუფარდა.

შემდეგ სალამოს გზამ გაივია: ჯერ ხეობა გაიშალა, მთები განზე წავიდნენ და დაბატარადნენ.

ჯოგი შეფთავდა: ისმოდა ჭიხვინი.

შორს გამოჩნდა უსასრულო ტრამალი. მზე მოეფარა: აპრელბული მიდამო ნელ-ნელა ჩაჭრა. ცხენებმა იყნოსეს ველი და თავი აიშვეს. რუხმა ტრამალმა ჩანთქა ყველანი.

დაღამდა.

ერთი თვის შემდეგ, როცა ტრამალებიც თოვლის თხელმა ფენამ დაფარა, კაცები შეეისვენენ ჯოგს. სალამურა ერთს იცნობდა და შედარებით ადვილად მიუშვა ახლოს, მან კი კისერზე თოკი ჩამოაკეცა და ნესტოებში ჩააგლო ხელი. ახლა კი სულ ვაგიყდა სამი წლის ულაყი: წინა ფეხები აიჭნია, კაცი შორს მოისროლა და გაეარდა: აღარავის ენდობოდა ამის შემდეგ. მთელი კვირა სდიეს. ბოლოს მისი ჯოგიდან ამორჩეულ ახალგაზენილ ცხენებზე გადამჯდარმა კაცებმა ქამანდებით დაიქირეს. ვილაკამ ნესტოებში და პირში რკინები ამოსდო; მაშინ კი დააოკეს: ორი დღე დაბმული ჰყავდათ, მერე ტრამალებით ატარეს და რკინიგზასთან საბარგო რთონდაში აიყვანეს. აქ ნესტოებითა და კისრით მიიბეს. თითონ კი იქვე კუთხეში ჩამოსხდნენ.

წასვლისას მატარებელმა დაიყვირა.

სალამურა საშინლად შეაშინა მისმა ხმამ და ყალყზე დადგომა სცადა, მაგრამ ნესტოებიდან სისხლმა იფეთქა. სისხლი პირიდანაც გამოუვიდა. უკანა ფეხებით მისწვდა რთონდის კედელს და გაანგრაია. კაცები ახლოს მივიდნენ: ძლივს დააწყნარეს ვაგიყებულნი. მთელი ღამე თრთოდა. ნესტოები კიდევ უფრო გაუფართოვდა. ლაგამამოდებული მარტო ფრუტუნსა ახერხებდა.

მხოლოდ დიდი შავი თვალები ჰქონდა მოწყენილი და წყლიანი.

მთელი ღამე ესმოდა ორთქლმავლის კივილი, ბორბლების რახრახი...

ძლივს გათენდა.

მესამე დილას რომელიღაც სადგურზე ჩამოიყვანეს. ივრძნო თუ არა მიწა, გახელდა, ისევ დაიწყო ყალყზე დგომა. ოთხ კაცს ძლივს ეპირა გამხეცებული. სხვები აღტაცებულნი უყურებდნენ.

ცოტა მოიწყინა.

ერთი კაცი ხშირად მიდიოდა, ფაფარზე ხელს უსვამდა, ხანაც გავაზე ურტყამდა ნელა. სალამურა ცოტა შეეჩვია მას და ისე აღარ ეშინოდა. ბოლოს ცოტა ქერი მისცეს. ისევ მოუვიდა ღონე, გაიწია ასაწყვეტად. ერთი კვირა მარტო წყალზე გადაიყვანეს.

ძალიან დასუსტდა.

კვირის თავზე ზურგზე უნაგირი დაადგეს და გარსაკრები მოუქვირეს. ის ცოტა გაუძლიანდა. როცა გარეთ გამოიყვანეს, ეუცხოვა, მაგრამ სწრაფად მოიკრიბა ღონე და ყალყზე შედგა. კაცები წაიქცნენ, ხელიდან მაინც არ გაუშვეს თოკი. ბევრი იბორგა საწყალმა.

ბოლოს დაწყნარდა.



მისი ნაცნობი კაცი ახლოს მივიდა, ხელით მოუაღერა, მან ეპვით გადმოხედა.

ჩემად დაიფრუტუნა.
 კაცმა დრო იხელთა და ზურგზე მოექცა. ამას კი აღარ ელოდა სალამურა. გაოცებისაგან გაინაზა. კაცმა სხეებს რალაცა ანიშნა. ყველანი გვერდზე დადგნენ.

უცებ აიწყვიტა:
 ჯერ ყალუზე შედგა, მერე წიხლები აყარა, განზე გახტა, გაეარდა. ღობემ არ გაუშვა, მაინც სცადა გადმოხტომა. იქიდან გამოიქცა მთელი სისწრაფით და უცებ ჯიუტად დაასო წინა ფეხები მოედნის შუაში. მის ზურგზე გადაამჯდარი კაცი, შორს მოედნის ბოლოში დაეცა.

სალამურა ნელი ნაბიჯით წავიდა ღობისკენ.
 კიდევ ორი დღე აშინშვილეს, მერე ისევ ის კაცი მოაჯდა. გაჯიქდა ულავი: ტრიალებდა, მაგრამ ის ძალა აღარა ჰქონდა. კაციც მაგრად იჯდა. ვერაფრით ვერ მოიცილა ზურგიდან. ნაშინშვილარი-ნაწამები მოიქანცა. კაცი კი იჯდა მის ზურგზე და ლაგამის მიწვევ-მოწვევით დაჰყავდა ის. ხანდახან ხტებოდა გვერდზე თავს იქნევდა — არ უნდოდა ლაგამს მიყოლოდა, მაგრამ პირში ჩადებულნი რკინები და ცხვირში ამოჩრილი ჯოხები არ ანებებდნენ თავის მოტაცებას. დიდხანს ატარეს ასე.

ღამიორჩილეს.
 ჩამობნელებდა. იმ ღამეს ქერი მისცეს საჭმელად. დალილს ძალიან მოშივნოდა. მეორე დღეს იგივე გამოვარდა. მან ისევ მოსტაცა თავი. გაეშვა მოედანზე, ღობესაც გადააფრინდა. მაინც არ ჩამოვარდა კაცი. მშფოთვარე ულავი იმ საღამოსაც დამარცხებული დაბრუნდა. დიდი ხანი აწვალუბდნენ ასე; ბოლოს თითქოს შეეჩვია. ახლო მხოლოდ იმ ნაცნობ კაცს იკარებდა. ხანდახან სხვა ცხენებსაც ეჯიბრებოდა. იქ იჩენდა ხოლმე თავს მისი ვაჟკაცობით. წინ არავის უშვებდა. წლის თავზე ისევ რონოლდით მგზავრობა მოუხდა. კაცებმა, რომლებსაც მაგრად ჩაეჭიდათ ხელი აქეთ-იქიდან, ხმაურთან ქალაქში ჩაიყვანეს. განუწყვეტლივ ისმოდა საყვირის ხმები, მანქანების ხმაური, ტრამვაის რახრახი. სალამურა ყალუზე დგებოდა. თითქმის ჰაერში ეკიდნენ მისი დამქერები. ძლივს მიიყვანეს თავლაში, სადაც ბევრი სხვა ცხენიც იყო დაბმული. მეორე დღეს ნაცნობმა კაცმა მრგვალ მოედანზე გამოიყვანა. ერთხელ ისე შემოატარა წრე, მერე მოახტა. დიდხანს იჯირითა ასე, ბოლოს ისევ თავლაში დააბეს. რამოდენიმე ხნის მერე იმავე კაცმა ახალი უნაგირი დაადგა. თითონაც ახალი წითელი ხალათი ეცვა. გარეთ სხვა ცხენები იდლიდნენ. ყველასთან თითო კაცი იდგა. მხედარი სალამურას ზურგზე მოაჯდა და მოედანზე მდგარ სხვა ცხენებთან მიიყვანა. გარეშემო სკამებზე მჯდარი ხალხი გუგუნებდა. გაისმა სასტენის ხმა, დროში ჩამოიქნიეს და სალამურა ადგილიდან მოწყდა:

უნდოდა ყველაზე წინ გაეარდნა, მაგრამ მხედარი არ უშვებდა. სურვილისაგან ოფლში გაიღვარა. სამი წრე ასე ირბინა, მერე კაცმა ლაგამი მიუშვა და სალამურა გაქანდა.

უცებ გაასწრო სხეებს.
 ოთხი წრე ირბინა ასე, მაგრამ სურვილი სულ უფრო ემატებოდა, ოფლიც შეუშრა თითქოს. საცა ის გაიქროლებდა, ტრამვის გრიალი და ყვირილი ისმოდა. სალამურას კისერი წინ ჰქონდა წაწეული, პატარა ლამაზი თავითა ჰკვეთავდა ჰაერს. წვრილი, ღონიერი ფეხებით უზარმაზარ სწრაფ ერთდროულ ნახტომებს აკეთებდა. ხშირი ფაფარი ჰაერში გაეშალა.

მხოლოდ თვალები ჰქონდა ძველებურად წყლიანი და მოწყენილი. მრგვალი

მოედანი ერთ ადგილას წყდებოდა, იქაც ხალხი იდგა. ერთწლის განმავლობაში ულაყს უზომოდ მოუნდა ტრამალებში ნავარდი. კიდევ უფრო სწრაფად მოუნდა ქენება და მთლიანად დაკარგა შეგრძნება. უცებ მოსხლეტით გადახტა გვერდზე. ხალხს თავზე გადაეწლო და გაუჩინარდა.

თავგაჩეხილი მხედარი მოედანზე დარჩა.

ქუჩაში გავარდნილმა მისკენ მომავალი მანქანა დაინახა: შეეშინდა, დაფრთხა.

დაუფიქრებლად გადაეშვა დაბალი ხიდიდან.

ქალაქის გარეუბანში ახმახი წვერებიანი მელინეიკე კოფოდან ჩამოვიდა და არაყი მოთხოვა მედუქნეს. ორასი გრამი გადაკრა, იქვე ჩამოჯდა, გრძელტარხანი ყალიონი გააბოლა. მედუქნემ სხეები გაისტუმრა, მერე ზღურბლზე ვადმოდგა და ჯაბახანა ლინეიკისათვის შეუფერებელი ლამაზი ცხენი შეათვალღერა.

— ივან, კოლას რა უყავი? — ჰკითხა ცხენის პატრონს.

— კოლას? აკი ვითხარი, გავყიდე-მეთქი.

— ეგ რომელიღაა, ჰა? — მედუქნე ახლოს მივიდა და ცხენს გაეაზე დაარტყა ხელი. ულაყი უმოძრაოდ იდგა.

— ესა? ოპო, ჰო, ამაააც კოლას ვეძახი.

— შენ ვინ მოგცა, მერე, ჰა?

— მე? ვიყიდე.

— რათ მოგყიდეს, ჰა?

— ორივე ფეხი გაფუჭებული აქვს.

— ?

— დოდისთვის აღარა ვარგა.

— რამდენი წლისაა ნეტავი, ჰა?

— მგონი ხუთისა, ჰო, ან ექვსისა.

მედუქნემ დახლისაკენ გასწია, ახლად მოსულებს არაყი ჩამოუსხა, მერე ისევ გარეთ გამოიხედა: მელინეიკე იჯდა და ყალიონს აბოლებდა. კოლად შერქმეული სალამურა კი იდგა ფერდებშეცვენილი, დასუსტებული.

მხოლოდ თვალები ჰქონდა ძველებურად მოწყენილი და წყლიანი.

გაანრეა ქონქანრსაყი

იშვიათია ისეთი მთა სამოსახლო, როგორიც ხევსურეთია. თუშეთს, ხევს, სვანეთსაც კი აქვს ვაკე ადგილები გაშლილი ქედების ძირში ან ხეობების გასწვრივ, მხოლოდ ეს კუთხე დაუგდიათ ღმერთებს ციცაბო ფერდობებისა და ბასრი კიოხების ანაბარად.

ვაკის სამყაროდან მოწყვეტილი ცხოვრობდა ეს ხალხი არაგვის ხეობებში, დაყოფილი პირაქეთის ბარისახოსა, ბაცალიგოს და პირიქით არხოტის, შატილის თემებად.

მათ შორის მიმოსვლა ზაფხულშიაც კი ჰქირდა. მხოლოდ ხატობები ან სხვა რაიმე დღესასწაული იყო ერთადერთი, ხეობის მცხოვრებლებს წელიწადში სამოთხვეერ რომ ახვედრებდა ერთმანეთთან. უფრო სწრაფად აგროვებდა ამ ხალხს

ომის ყოყინა, საერთო მტრის წინააღმდეგ დაძაბებული. მათი სხვა დანართენ დრო მიჰქონდა მარტოკაცის ბრძოლას ბუნებასთან და საკუთარ კერპ ხასიათს ბუნებასთან, რომელთა თვითველი წერილობრივი გამოხატულება დანაშაულში „სტეპარ-მროხის გადახდის“ კანონით იყო განსაზღვრული; მთელი იურისპრუდენციული კოდექსებია შექმნილი სისხლის გამოსყიდვის შესახებ უსისხლოდ, რომელიც შეიღობა თაობა გრძელდებოდა ყოველად საზარალო, დამამცირებელი კანონებით მკვლელობის ოჯახისათვის და ქირისუფალთათვის სასარგებლოდ. უცნაური, ნამდვილად ხევესურული ხასიათიდან გამომდინარე სიტყვებით თავდებოდა ეს სქელტანიანი, დაუწერელი კანონთა წიგნი: ყველაფერი ამის შესრულებით (იგულისხმება ცხვარ-მროხით გამოსასყიდის აღება სისხლის აღების მაგიერ) დაკმაყოფილება ხევესურული კაცური ადათებით სირცხვილია. ჯვარპერანგის ვაქები კი სირცხვილს არ სკამენ არასოდეს და ერთ მკვლელობას ხშირად მთელი გვარების ამოწყვეტა მოჰყვებოდა ხოლმე.

აქ პოეზია განუვითხავად ბატონობს პროზაზე, პოეზია თავისი „ულოგიკო“ ვნებებითა და გამოხატვის შეუღარებელი დრამატული სიმშვენიერით. შემთხვევითი არ არის, რომ აქ ხალხური ფოლკლორი, ნაქვედი ხევესურული ლექსი როგორც ფორმის, ისე შინაარსის ღირსებით კლასიკურ სიმაღლეზე აღის. ყველა ხევესური, როგორც წესი პოეტიკა.

ყველაზე კარგს კი იმათგან იგი დასწერს, ვინც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება, ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი.

ასეთი ლექსია თავისთავად ამ მოკლე დროში ლეგენდად ქცეული შატილი.

როცა ამ მოთხრობაში დაწერილი ხალხი ცხოვრობდა, ას ოცი კოშკი იყო ამ სოფელში და უფრო მეტი ოჯახი; ომებითა და მშვიდობით საესე ცხოვრობდა საქართველოს უკიდურეს საზღვართან გაშენებული ეს ქალაქი-სახელმწიფო. ახლაც კი, ნახევრადდაზღვრული შატილის მნახველს ეგონება, რომ ბერძენმა ღმერთებმა ოლიმპოს მიტოვების შემდეგ აქ გადმოინაცვლეს, ამ პოლისში, რომელიც არავის სჭირდებოდა და არასდროს თითონ არ მოაგონებდა თავს სამყაროს.

არ არიან შატილები ძუნწები თავიანთი პიროვნებების გამკლავებაში; ისინი იტაცებენ საქონელს, იღებენ სისხლს, სტეხენ დავას და თითონ ავლიანებენ სხვებს. ომობენ ვაზაფხულზე გზების გახსნისთანავე, არბევენ, უმოყვრდებიან ქისტებს თუ ხევესურებს (ასე ეძახიან ისინი თავის თანამებრძოლებს, თვითონ შატილიონები ჰქვიათ). მთელი ზაფხული, შემოდგომაზე გზების დაკეტვამდე თავს უბამენ, ამთავრებენ სისხლის საქმეებს, ან გულში ჯავრს იღებენ. და უცებ, თოვლის ჩამოყრისთანავე კუტებივით სხდებიან.

ძნელად ეჩვევიან ხევესურის კაცები ოჯახს; ზაფხულის ჯაფით ილაჯაწყვეტილი თუ ჯანზე მოსული ქალები კრიანობენ გრძელი ზამთრის დამებში, წივისა და ვნების სუნით ივსება მთელი სოფელი, ბოლავს, ყინს იკლავს, ღვიღდება, არაყსა ხდის, ლუდსა სვამს და ღრეობს კოშკებში დაზამთრებული სოფელი. თეთრია ყველაფერი შატილის გარშემო, თეთრია კოშკის სახურავებიც, მხოლოდ სიბით ნაშენი კედლები ერთმანეთში ჩახლართული კიბეებითა და ბანებით დგანან შავად, ავი მიუკარებლობით, საომრად, ჰარმონიულად შეზრდილი ტიტველა კლდეში.

ზამთრის დღის უმოქმედობისაგან ილღებიან კაცები, სახლის საქმე მათ არ ეკითხვით, დამრწიან ღამე ნაწოლები ცოლებთან და მთელი დღე ლოთობენ, ბუბუნით არჩევენ შუღლის ამბებს.

ამ დამატებულ ლაბირინთის კიდე-წვეროში ცხოვრობს ბათარეკა ჭინკა-
რაული. თითქმის ცარიელია მისი კოშკის უზარმაზარი ტალანები. გამოუხდელ-
ლად წევს იგი თავის ჯიშთან ცოლთან მთელი დღეები და თივაზე მსგებულ
ქურქზე მორთხმული სვამს ერთნაზადს. რამდენჯერ მოუვიდა მოპატივე მოგვა-
რებიდან, სხეებთან ერთად არყის მისაღებად, სისხლის საქმეების გასარჩევად და
სადრეობოდ. „დიაც გააბლებთ თქვენთან სალასებოდ“, ბუზღუნებს ის ყველა
მოპატივებაზე და აუდგომლად წევს. ვერაფრით ვერ ეგუება დაუდევარი მო-
შულღე ბათარეკ ზამთრის უმოქმედობას. პანკისში მართებთ მისი სისხლი, ომა-
ლოში უნაგირი მოპარეს ვერცხლით ნაყაზში, ათი იმდენი თვითონ დაუშავა
სხეებს, ვერ ისვენებს სახლში გამომწყვდეული. ამ ზამთარში ისეთი ზვაეები
ჩამოწვა, ისეთი მოთოვა, რომ გვერდზე სოფელშიაც კი არ შეიქცება გასვლა;
თავისუფლად დადინა ჭიუხებიდან ქვევით დაწეული ჯიხეები. გმინავს ბათარეკ
და გულმკერდს უჯიჯუნის ცოლს. მოუშვა წვერი და ჩაებურძგნა ხასიათი.

ალარ არიან ქედების ძირში ნაზი იები, ალარ იყრიფება ქედზე შეფენილა
შეეშალა ხილი; იმათ ადგილზე დაუსრულებლივ დევს თოვლი და ათოვს ზევიდან.
ზის კოშკის ზემოთა მუხლში ქურქების შუაში ჩამუჯდარი მზია, — ბათარეკას ცა-
მეტი წლის ქალიშვილი. ვიწრო სარკმლიდან იყურება დღისით, როცა ფიქქები
ჩანან, ღამით, როცა თოვლიც კი შავდება, სწორ, ჩამოთლილ თითებს ისევს დაწ-
ვებზე, დილით უსარკოდ ივარცხნის შუადღემდე თმებს. მისი სახე გაცვირვებულ,
გამბრწყინებულ თვალებადაა ქცეული, არ არის არავინ მის გარშემო; სადღაც გუ-
ლის სიღრმეში ამ სიმარტოვისგან განსაკუთრებით კარგად გრძნობს მზიას სხეუ-
ლი, რომ ის უნაკლოა.

შეყვარებულია ყველაფერი მის გარშემო: სიბისგან დატეხილი კედელი უხ-
მოდ, პირქუშად, გამოუმკლავებლად, დიდი ოთხკუთხედი კიდობანი ეაჭრულად.
მზაკერული იერით ქონებას პირდება გოგოს და მით იბირებს; უხმარი ხმლები
იბრძვიან შეუჩერებლივ, ნაპერწყლის ცვენით — ათას სიყვარულს პირდება მათ
ქალის გული. მხოლოდ უზარმაზარი ცხვრის ქურჭი, რომელშიაც ის გახვეულა,
ვალერსება მის სხეულს, მატყლში ჩარგული ტუჩებით ასუნთქებს მზია მას თა-
ვის სურვილებს და ეკრობა. თავზე იხურავს ზევიდან ტყავსამანს, რომლის ქვე-
შაც მთელი სამყარო ჩანს: კაცები, კოშკები, საქონელი, შულლი და თითონ. მას,
როგორც ყველა ხვესურის ბავშვს, ოთხი სახელი ჰქვია, მზიას შემდეგ მას განსა-
კუთრებით უყვარს თამარი, ქართული სახელი, დანარჩენი ორი, — სანდუა და
ბუბა, ეჯავრება, ისინი პატარას მომავალ, ჭმრთან ჯაფაზე უყვებიან ქვეშეცნეუ-
ლად. უცნაურია, საიდან გამოვიდა ასეთი ქალი შატლის კოშკში; არაფრით არ
შეუძლია იშრომოს, ან თესოს, ან მოჰკას, ან მოზილოს, ან დაგავოს. ის დადის,
დადის უზომოდ შეყვარებული თავის თავზე, კიბებზე, და ისეა ამ გრძნობით
გაბრუებული, რომ სიტყვებით ამ სიყვარულსაც კი ვერ არქმევს სახელს. კიბეზე
ასვლისას ზმირად ეჩვენება, თითქოს წინა საფეხურს უფრო უყვარს, ვიდრე იმას,
რომელზედაც ფეხი უდგას. უდგოდ ნუკრივით ფრთხალი, მშვენიერი და უსუსუ-
რია მისი სიყვარული. ის ისეა შეპყრობილი ამ ხალისით, რომ არ შე-
უძლია იფიქროს რაიმე სხვაზე. ზის ქურქში გამოსხვეული ეს უცნაური არის-
ტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატლში გააჩინა, და ელის... არ არის
გაწბილებული მისი მოლოდინი, ის ყველაფერში ხედავს მას, დიდი ანთებული
თვალეში გრძელი, გაცვირვებული წამწამებით ყველაზე პატარა საგანსაც კი არ
უშვებენ თავის გარშემო შეუყვარებლად.

თითქმის არ იცნობს მზია სოფლის მცხოვრებლებს. თავის დედამაც კი არ
იცის როგორია, უცნაური, მთლიანი სისივსით ხედავს იგი მის გარშემო ყველა-

დერს. როცა ელაპარაკებიან, პასუხობს სრულიად ბუნებრივად, ხალისით, ისევე როგორც ზის ხოლმე მარტოკა კოშკის თავში. არ ანაწევრებს არაფერს მისგანსხვად და გონება. არც ერთი ნაწილი არ იყოფა იმ ლეგენდიდან, რომლის მოყოლითაც ის იძინებს, რომელიც ესიზმრება დაძინებულს და არც ესიზმრება.

ესაა ამბავი ჯიხვებზე მონადირე ვაჟისა, რომელმაც ოჩოპინტრე გაანაწეგნა და დაისაჯა. აღუკვეთა მას ნადირი ამ ღმერთმა. დაბადებით არაფრის კეთება არ შეეძლო მონადირეს, გარდა ნადირის ხოცვისა; დადის ახლა, ეძებს ფსიტს, ნიამორს, ჯიხვს; საკმარისია თვალი მოკრას ჭიუხის ბოლოში, რომ ისინი გაქრნენ; ქედლიდან ქედზე, ღამით, დღისით, თოვლში, მზეში, წვიმაში, მესში დადის და ეძებს. ჩამოხმა ვაჟი, გაუტყდა სხეული, მთელი დღეები ლოცულობს, რომ შეუდონ.

მაშინ ოჩოპინტრემ აპატია დანაშაული, რადგან სხვა არაფრის კეთება არ შეეძლო ამ კაცს. მოუვიდა ისევ ნადირი, აეგხო ზორცი, აუყვავდა სული. ამღერდა მისი ბუნება. პატიების წინ ნადირობის ღმერთმა ერთი პირობა დაუდო — არ მოეკლა ხარ-ირემი, თორემ უარესად დასჯიდა მას. ხინჯად შეეპარა ეს პირობა მონადირეს; ახსოვდა ის ყველა ჯიხვის დანახვისას, ნიამორის დევნისას, ფსიტის მოკვლის დროს. მოუდიოდა ნადირი, ხოცავდა და ეხში დადგმულ ნიშებთან წირავდა ნაწილს მპატიებელს. — აღუქვამდა პირობის შესრულებას, ღია იყო მის წინ ფეხმარდი თხების დევნისას ჭიუხების კარი, ზევეი გზას აღევდა, მდინარე ვიწროვდებოდა და თავის სხეულზე უდებლად ახტუნებდა. უღვეი ჰქონდა ტყვია-წამალი, ხალისი, ვნება და არც ერთი წამით არ ავიწყდებოდა, რომ არ უნდა მოეკლა ხარ-ირემი.

შემე ხეობა მიატოვა საღამო ხანს, ბნელში დარჩა მოკლული ჯიხვი, რომელიც ეხში ჩამქრალი ნაქვერჩხლების წინ დააგდო ვაჟმა. სხივები ქედის გასწვრივ გაწენენ და დააბრმავეს თავისი სიმშვენიერით მონადირე. მთის დატეხილ სერხემალზე ხეობიდან ავარდნილ ხარირემს გამოუდგა, მთელი ღამე სღია ვონებაგაშაგებულმა და დილით დაეწია. ისრის სასროლად მოზიდულ მშვილდს მზის პირველი სხივი დაეცა ოჩოპინტრეს თვალთან ერთად. ხელიდან გაუვარდა პირის გამტეხს სასროლი, მოსახიდად მოხრილი მკლავი გაუშვეშდა, აეყარა ძარღვები წყრთასა და მხარს შუა, არფის სიმებივით გაება და დაიქიმა, ტანი ცხენს შეეზარდა, რომ არ შეჩერებულყო მისი ჭენება ნადირის საძებნელად და მეტა სიმწუხრე მიეყენებინა ნადირობის უნარს მოკლებულისათვის; მხოლოდ საისრე მარჯვენა ხელი დარჩა თავის ნებაზე მოძრავი; ჩამოჰკრავდა იმ ხელს სიმებად ქვეულ ძარღვებს და მღეროდა, რადგან არაფერი არ შეეძლო ნადირობისა და იმ ვნების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა.

ძლივს მიეჩნეოდა ოჯახს ბათარეკა ჭინჭარაული. ავად გაუხდა ცოლი, თითონ შეუდგა სახლის საკმლის კეთებას. დაასუფთავა სახლი, ორი ქურქი გამოიყენა, მერე ხმლები დაპოხა და ლუდი მოხადა მეზობლების დასაძახებლად. ამოაქოთა ჩაწყობილი სკივრი, კრელი პერანგები, ამოარჩია, ისევ ჩააწყო, გახეული ბანდულები დაიკერა და ცოლისგან დაწყებული ბეჭი თითონ გამართა. მთელი ვნება ოჯახის საქმეზე გადაიტანა, ჩათბა სახლში, თითქოს დაიღალა და მოეწონა საქალო საქმე, არ დატოვა არც ერთი კუთხე აუქოთებელ-დაუქოთებელი და ზემო კოშკში ავიდა მესამე დღეს.

ბუნებით ნაზი, ავსაკივით უქმური იყო ხასიათით და ქცევით ბათარეკა-დაშტერებით, გაბრაზებული უყურებდა ის კერში ჩამოკიდებულ აბლაბუდებს,



რომელშიაც თავი გაერქო. მიმოყრილ ნივთებში ფეხი აერია და თავის ქალს და-
აშტერდა ოჯახის საქმეს მოკიდებული კაცი. ბოროტად აედევნა კაცის თვალები,
ისევე, როგორც საქონლის პარვისას ამხანაგის უმოქმედობის დროს, გაბრაზე-
ბულს სჩვეოდა.

თითქოს რაღაც კიდევ მოემატა მზიას პოეზიას და ქუთუთოები უფრო
გაუბრწყინდა მამის დანახვისას. გული მოუღება ბათარეკას და თვალებმა ამ გან-
წყობის არგამომკლანების სურვილით უფრო ავად დაიწყეს ყურება, სულში
შეჭრილ სისუსტესთან ერთად უცებ მოაწეა მთელი ზამთრის უმოქმედობის
სევდა, ბრაზი და მთელი ხმით დაიღრიალა:

— რად არ ეხმარები დედასა! ქალაუ...

მზია ახლო მივიდა გაღიმებული და გერაფრით ვერ შესძლო დამორცხვება
ან თავის მოკატუნება, იმდენად მართალი იყო თავის თავთან, ისე არაფრის
მთქმელი იყო მისთვის ეს ბრალდება. ბათარეკამ თითქოს გაიგო, რომ შეილება
აჯობა სიმართლეში, რომ არაფერი იყო სახლში საკეთებელი, და უცებ დაი-
მორცხვა ოჯახის საქმით ანთებულმა მზიას წინ.

ეს დამორცხვება ასე გამოხატა მან:

— ქალაუ!!

— ა!

— რისი მაქნისი ხარ სახლში ტყუილა მჯდომარე!

— ა! მამაე...

— ათასი ჰირი, ქალო!!! — დაიგრგვინა კაცმა. არ უნდოდა მზიას ამ სიტ-
ყვების გაგება და შეწუხებულმა სარკმლისკენ მიიხედა.

ქალიშვილის თვალების მოშორებამ გონს მოაგო ბათარეკა და იმ ბრაზის
გაღმონთხევის საშუალება მისცა, რომელიც თავისი თავისადმი იგრძნო შვილის
დანახვისთანავე. ეს ბრაზი იმ დანაშაულიდან მოდიოდა, რომელშიაც არც მას
ბრალი არ ჰქონდა და რომლის გამოსწორებაც მას არ შეეძლო. ერთ ვნებად შე-
იკრა ის რაღაცის წინააღმდეგ ამხედრებული, სილის გაცვრით დაანთხია ქალი-
შვილს ყველაფერი და კბეებზე დაეშვა ბუბუნით.

თითონ ვეღარ გაბედა კაცმა ზევით ასვლა და მეორე დღეს სადილობისას
ავადყოფი დედა აუგზავნა საქმლით შვილს. ჭერბოს შუაში გამჭრალი შუა-
ცეცხლის ჯაბუზე ჩამოეხრჩო მზია ბათარეკას ასულს თავი.

ოზია პაჭკორია

გურამ რჩეულიშვიდი

✓ მასზე ბევრს ლაპარაკობენ.
იშეა პირველი მოახრობები, უბრალო, ჩვეუ-
ლებრივი ამბები და მათში ბეკრია მიმოიღვე-
ლი, სადაო, ახალი.

უნივერსიტეტის საექტო დარბაზი საესეა
ხალხით. იგი თვალს აელებს უცნობ და ნაცნობ
სახეებს. სულ რამდენიმე დღის წინათ ეს
მოთხრობები მას ეკუთვნოდა, ახლა კი აღარ,

ისინი წავიდნენ მისგან და გადაიქცენ ყველა
მთაგანის საკუთრებად, უზომოდ გაიზარდა მან-
ძილი შემქმნელსა და შექმნილ შორის.

სახეები კი ათასნაირია, აღფრთოვანებული,
სეპტიკურად უნდობელი. ხშირად გულგრილი,
იგი ნათლად ხედავს ამ გულგრილ სახეებს და
იქნებ ოდნავ ეშინია კიდევ მათი.

მწელი წინასწარობის დაცვა; შენს სახელს ასწენებენ და გუთუღება უცნაური ვრწმობა: ათთქოს სახელი სესისია, მოთხრობებიც სხვადასხვა დაწერა და ზედები, რა დიდი სიმძიმე იტვირთეს, ის, რაც ცრუათი თანაში ვგვონა, რასაც ახალ-გაზაზობის შემოქმედებითს ინსტიტუტს უწოდებენ, თურმე მეტია. შენგან მოთხოვენ და შენ უნდა თქვა. მათ არ ინტერესებთ გამოუთქმული სიტყვის ტივილი, მათ შენს მიერ ნათქვამი გააქვთ სამსჯავროზე და იძაბები. უველაფრის გარდა ეს თავმოყვარეობის საქმეა, დიდი აღამაინური თავმოყვარეობისა.

ორატორი ორატორს ცვლის. შენს არგვლივ ზეზუნია, სიცილი, ზოგჯერ დაცინიაც. მეგობრის ზელი იდაუზე ვიქერს, ეს თანაგზანობაა და მზარის დაქერა. მან იცის — შენს წინაშე დიდი ცდუნებაა და, თუ ვინდა, განსაცდელიც. იქნებ სწორედ დღს უნდა იპოვნო საკუთარი თავი, იპოვნო ის, რასაც დიდი ხანია დაძვებდი.

ჩვენი ნაცნობობა უცნაურად დაიწყო. კაბეტში უოველთვის დღებოდა დაეის სურვილი და ნაცნობობა დაიწყო დაეით. ეს მოხდა სწორედ იმ დღეებში, როდესაც მისი პარტიული მოთხოვნები დაიბეჭდა და იგი ცრუათი ამოვიარდა ყალიბიდან. დაეა დრომ წაიღო, დარჩა კეთილი ნაცნობობა, საუბრები. ჯერ უნდობლობა. შემდეგ კი იშვა პარტიისციმე, ვაგება და დაეეცრა.

ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით და მე მიყვარდა ექვრა, როგორ დაუყვებოდა ბოლშევიკი დღემართს, თავისუფალი, ოდნავ დასწრული ნაბიჯებით. ლაღად ვაწლილი, ფართობეკებით, მზით დამწერარი, გახსნილი საკინძიათა და ბავთთა კუთხეში ჩაწოლილი ოდნავ ირიბი დომილით. დავინახავდა, ამაყი თავაზით ოდნავ მოიდევდა ქაღალს და გამოიწვლიდა უხეშ, ძლიერ მარჯვენას. იგი იმთავანი იყო, ვისაც უოველთვის გრძნობ, წამოიწვრევა ვაზზე და ინახები, თითქოს დეგაზარ ზურგით ზღვისყენ და შენს უკან დახადებულ ტალღის მოსვლას ელო. მოეა, შემოგერტყევა გარს და ზოგჯერ ვალიზიანებით ამჩნევა: ტალღა ვიტაცებს, შენ შენს ფეხებზე კი აღარ დეგაზარ, მის ნებას ემორჩილები, ხანდახან ზღვები უმნიშვნელი კი და ჩვეულებრივი. აღამაინური ეგონებში ვიბეჭდებს ეთიო რაიმე სესტი, რაიმე ვაუმართლებელი მასში. იგი კი ამის საბაბს უხედა იძლევა, ყოველ ნაბიჯზე არღვევს ეთიოს ნორმებს, შტოთავს, ხმატარობს, აღიზანებს შენს სმენას და შედარელი დაციწვით შემოგეკერის თვალბეში, თავისი თაფლისფერი, ზალიანი თვლებით. სეოლდები და მეგყვება ფიქრი — მან იცის რაღაც ისეთი, რაც შენ არ იცი, იცის რაღაც აღამაინების, ფერების, მთების შესახებ, რაც შენთვის დაფაქულია. ოღონდ მან ჯერ არ იცის, როგორ გამოხატოს ყოველივე, ზოგჯერ

შენგანაც ელის სიტყვას, ვერ მოახუნებს და გვიღდება ფართო, თავისუფალი ნაბიჯებით.

მე მიუტყრია — წინათ, უღუგებეთისა და მანელას ხანაში ვინმე ასტროლოგი მისი პერსონის შედგენისას აუცილებლად იტყობდა: იგი აღიზანდა სიცილების ნიშნით. სიცილებე ჩვეულება მის მოძრაობაში, ნაბიჯებში, თითქმის ყოველთვის გადაქერცილი ცხვირის კეხშიც კი. მე არაფერი ვიცი მისი ბავშვობის შესახებ, მაგრამ ფიქრობ — იგი მაშინაც ზედადეა გამკვირვებულ სახლებს და მაშინაც ჰქონდა ცნობისმოყვარე თვალბეი. იგი ვეუთვნოდა იმ სეუბედნიერი აღამაინათა რიცქებს, რომელთაც ძალუბთ შეინახანის გარეგნულად გამოხატულა. ზოგჯერ მეტადაც, ეღრე სეირითა. მასში მძლავრი იყო სული, რომელიც დიდი მასშტაბებისკენ უბიძგებდა. ხან კი გულსტევილით ვამჩნევა — ქაბეტი იდგა ადგილზე და გარბოდა. ეს იყო მომქანეველი სარბილი ადგილზე, მას ყველაზე უფრო მოძრაობა იზიდავდა, იგი უაღრესად დინამიურად იყო მოწყობილი და ჰგავდა სტარტზე ჩამუხვლილ მორბენალს.

ხან უცებ დაიღლებოდა. მე მინახავს იგი დაიღლი, გულგზილი, განაზილი. იგი უხედა ფლანგავდა თავს და ეს იყო შესხეენებათა შეუღლები. მაშინ იგი სდებოდა უნდო და შეეძლო გაუანგარიშებელი ნაბიჯის გადადგმა.

ჩვენ იშვიათად ვხვდებოდით. ზოგჯერ ვაფერბოდი კიდეც, რადგან უფრო და უფრო ხშირად მეუფლებოდა ძღვეულის გრძნობა. და მაინც ზოგჯერ ჩვენ აყვებოდით აღმართს, იყვებოდით ნელი ნაბიჯით და მე თითქოს მესმოდა, როგორ ინახებოდა მოთხრობები, სახეები, ფიქრები. იგი სიტყვაუხევი იყო და ამავე დროს სიტყვაძმწერიც. და, საერთოდ, იგი სიტყვებით არ ცხოვრობდა, ცხოვრობდა მოქმედებით, ამბებით, ოღონდ შეეძლო ამბების მითუბად გადატყევა. ჩვენს საუბარში არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა, იგი მუდამ უტრიალებდა მთავარს და მე ვაფერბოდა, იგი ამ მთავარს იპოვნიდა. იგი მასში იყო — მთავარი: სიყვარული აღამაინების, ჩვენი დიდი ცხოვრების, მელოდებისა და ფერებისა. მე ვეცოდი, მას ბოლო დროს უქირდა წერა. ბეზრს წერდა და უქირდა. ამაში დიდი კანონზომიერებაა. ემოციურ აფეთქებათა დრო დამთავრდა და იგი გაღვივდა ინტელექტუალური ძიებათა ხანაში. უფრო და უფრო ხშირად ქვერდა მის საუბარში ანალიზის, მიზეზთა ძიების ინტონაციები. შემეცნებითი თანდათანობით ერწყმებოდა ემოციურს. მე ვხვდავდი — ჩემს თვალწინ იბადებოდა ნამდვილი მწერალი და ვის შეუძლია არ იგრძნოს მთელი მწვე-

ნიერება ამ დაბადებისა, ყველა დაბადებითა შორის ყველაზე რთულია და ღამის — შემოქმედის დაბადებისა. ოღონდ იგი ხშირად ვერ იკვებდა შექილების, წინააღმდეგობის დაუბრუნების ქარბ ერს. იგი ეთანამშებოდა ბედს და სიცილით ისხლტდა გაფრთხილებას — ბედთან თამაში ხშირად მომავლის შიშითა გამოიწვევლი. მისთვის არ არსებობდა შიში, იგი ყველაფერში ვაჟაკურია ინსტიტუტებით ხელმძღვანელობდა და მე ხშირად მიგრძენია მისი დიდი უშირატესობა, ერთმა ახალგაზრდა პოეტმა, ჩვენმა სიერთო ნაცნობმა, ზინებულად თქვა: მე ოცნებებში ჩავდივარ იმას, რასაც იგი ცხოვრებაში აკეთებდა. — მას არ სურდა ეხელმძღვანელა მისი დიდი დებულებით — ხელოვანი აღწერს სის მიერ განუცდელს. მას ყველაფრის უშუალოდ განცდის სურვილი ამოძრავებდა, მისთვის გამოგონილ ფასი არ ჰქონდა, თუმც იგი ხშირად განცდებს იგონებდა და შეზღვევ სჯეროდა მათი რეალობა იქნებ ამიტომაც იყო მწერალი.

მიზღვავდა მისში დიდი ადამიანური სიამაყე და ერთგობი ზიზღი ნატურალისტური პასაჟებისადა. მისი მოთხოვნების მშვენიერება დიდი ადამიანური გულახდილობა იყო. მას ქარბად ჰქონდა მომადლებელი ადამიანური ღირსების შეგნება, მისთვის არ არსებობდა კერპი და ჰქონდა ყველაფერში უმთავრესის მიგნების უნარი.

მოცუნათა გულსივლის წედობა ბედნიერი თვისებაა, ინტელექტუალისმის უშაღლესი ფორმა, უფსკერო სიღრმეთა და უკადემანო სიერტყეთა ვარტოიანება, და ყოველფე ეს თვით ადამიანთა.

მე დამამსხვრდა ის საღამო. ქერა სუსტი ბერებისა და ნაბიჯების რიტით თრთოდა, ბინდში მასდაკარგული სახლები მოჩვენებას ჰგავდა და გუთვლებოდა არარეალობის შერყევი ვანცდა.

იგი იდგა ანთებელი, დაძაბული, ღამარაკობა და ნურბულით და, როცა უცებ სმამალა გავიციე, უსამოდ შეიკუმბნა; ჩემი სიცილი ფანჯრების მტერევისავით არღვევდა საღამოს ფაქისსა და ფრთხილ მელოდისა.

შემდეგ ნაჩარკეად გამოემშვიდობა, წავიდა და ოდნე აზიდული, ფართო ბეჭებით გაფლეთა საღამოს სიმუდრევე.

წავიდა და დამიტოვა ფიქრი. ჩემს თაობას ჯერ არ გააჩნია ხსოვანების სიბრძნე, მაგრამ მას უკვე აქვს თვითშეგნებისა და ჩაფიქრების სიღრმე.

ფანჯრიდან ჩანს მთის კალთას აყოლილი ნათურათა ვარსკვლავებები, ნეონის რეკლამათა ათინათი, გზები და გამვლულები.

მე კარგად ვიცი — აქ, საღლატ ახლოს, იწერება მოთხრობები, ლექსები? მე შეჯერა — მოკლიან ადამიანები და მოაქეთ დიდი ნასუნის-მგებლობისა და მოვალეობის მაღალი გრძნობა.

ყოველი სუეტუნის ლიტერატურა ქმნიდა საუკუნის ადამიანს. და იმალება ახალი გმირი — სიერტყების დამთრგუნველი გმირი.

როგორი იქნება იგი — ახალი ლიტერატურის კოსმოლოგია და მათობამტყვევლება, იგი — ახალი ადამიანი, რომელმაც სიეტუნეთი სიბრძნე არსებულ ტექნიკურ სრულყოფას მარმონიულად შეურწყა.

მე მინახავს როგორ იმალება მდინარეები მთებში: მყინვარადან მთის კალთებს მოკყვება რამდენიმე ვიქრო, ღალაპა ზოლი, დაბლა კი იყრება მთლიან, მქუზარე ნაკადად და ზევეზს აესებს ფიქრით მოტყინებული ხმერთ. მოთხრობებიც ასე იქმნება, და მათ მოწყურებული ველებს სიეტუნით ეღის ადამიანი.

ვინ იცის, რამდენი პატარა ბიჭი ელოდება ზღაპრების წიგნს, ქალწული — ლექსს, ვაჟი — შემეცნებითსა და მშვენიერს... და საღლატ აქვე, ჩემი სახლიდან სულ რამდენიმე ათეული ნაბიჯის დაშორებით ქაბუცი ებრძვის სიტყვას, ქაბუცი — ვაჩენილი ბრძოლისათვის.

იქნებ ზოგჯერ იმდენად ეძლევი ყოველდღურობას, რომ აღქმები ოდნე გიწლუნგდებო. მაშინ შესს ცხოვრებაში შემოვა ვინმე სხვა, მისი მსგავსი და ეგრანობ, იგრანობა როგორც ტყივალს, რომ დაბრუნე ფარები, სიერტყში მიმობნეული უამრავი ნაცნობი ფერი. თითქოს ფარები ზოდებად იქცა და მათი ხელში აღება შეიძლება. ვაიოცებ მათს სიღვებს, ყოველ მათგანს ექნება შესატყვისი ზგერა და მოისმენ როგორც ჰიმნს, იგრანობ მათს ჰარმონიას და მისვლები — მისი დარღვევა არ შეიძლება, უნდა დაემორჩილო, დასუე მის სიბრძნეს. თუკი შეიედებო დარღვევას, მაშინ ფერები კელავ გაჭრება. არსებობს კონტრასტები, ვამა, შეთანხმება, კონტრამეტრი, ვინ იცის კიდევ რა. არსებობს რწმენა, სიყვარული და იმედი და ყოველი მათგანი ცოცხლობს, როგორც ფერი. შენ უნდა ვანახდე და ვანიფინო, იქცე მიკროსხეულად, ვარსკვლავების მტერად, ზამტაწვერად, ისინად და იყო ყველაფერში. ადამიანს არ ძალუდს იქცეს მოძალადედ, თუკი სურს შეინარჩუნოს ფერები, მელოდია, სიტყვა...

მე ახლა ვფიქრობ — ხომ არ იყო მისში რაღაც საბედისწერო, რაც წინასწარ განსაზღვრავდა მის ტრავიკულ ზედრას; მოვარბებული ენერგია, ქაბუციური სითამავე და ზიზღი ზიფათის და სიღრთიბისა მას ხშირად ბეწვის ხიდზე გაატარებდა.

ერთ-ერთი მისი მოთხრობა ასე მთავრდება:



დაეცი დაილება ზღვაში, მან თავი გასწირა ახლობელთა გადასარჩენად, საღამოთი კი ხალხი ისევ განაგრძობს ცხოვრებას ჩვეული რიტმით. ერთა შეხედვით ამაში თითქოს გულგრილობაა, მაგრამ შთაბეჭდილება მოჩვენებითია — ყველან და ყველაფერში იგრძნობა ხსოვნა დაღუპულისა. რაც შეეხება ადამიანებს, იქნებ ბედნიერებაა, რომ მათ შეუძლიათ არ დაემორჩილონ სიკვდილის შიშსა და სევდას. ასე ყოფილა და ასე იქნება — სიკვდილი შობს სიცოცხლეს, არაა საჭირო ამაში ტრაგიზმის ძიება. ოღონდ მისი დაღუპვა იმდენად მნიშვნელოვანია და ისეთი დანაკლისი, რომ ამ ამბის მიმართ გულგრილობა დანაშაული იქნებოდა.

ზენე ყველას გვეჯეროდა, რომ მისი სახით გვეზარდებოდა დიდი მწერალი, და ამ რწმენას თავისი საფუძველი ჰქონდა.

ხშირად ასე ხდება: მოვა ახალგაზრდა მწერალი, მოვა და მოაქვს პრეტენზია ნიჭისა, შემოქმედებითი პოტენციალისა. შემდეგ აკვირდები და ამჩნევ ერთგვარ ინერტულობას. იგი იწვევს სიუჟეტების ძიებას, ეძებს ამბებს და ჰყვება მათ, მაგრამ აღარ იგრძნობა შინაგანი გარდაქმნები, შემართება, ზრდა. იგი ადრე ხდება ზე-


ლოსანი ზელოვნებისა და ერთგვარად შინა-ტონურად.

მისდამი რწმენას კი ამტკიცებდა მისი შაბი-ეხელი ბუნება, სიუჟარული სიძნელეთა გადალახვისა, მისწრაფება ცოდნისაკენ. იგი სწრაფად მიდიოდა მაღალი ინტელექტუალიზმისაკენ და მისთვის დამახასიათებელი ვაჟაყვირით ენებები მომავალ გამარჯვებათა გარანტია იყო.

შეიძლება ექვი შეგვეპაროს შესწავლად-ლობებში, გაწუხებდეს დაუგეგმიულობის გრძნობა, ცდილობდეს მსმენელის შეზრდილ წარბებში მიხედვით სად იპოვებოდა შენი ქმნილების მელოდია და რიტმი, დაუგეგრო რჩევას, ოღონდ ყოველივე ამის მიღწეა უნდა იფასვს შეგნება, რომ არსებითად შენ მართალი ხარ, და ამ სიმართლის რწმენა მას უარბათ ჰქონდა.

მის მიერ შექმნილ ყოველ სტრიქონს ახლდა პერსპექტივისა და მომავლის გრძნობა, ახალი სიღრმეებისა და ახალი სიგარეების ძიების ეინი.

შე არ მსურდა მისი შემოქმედების განხილვა, შე ადრე დაღუპული შემოქმედლის სახეს ეეძებდი და თვალწინ მდგა იგი — სიცოცხლით, წინააღმდეგობებით, ნათელი, გულლია, პატიოსანი ღიმილითა და სიყვარულით სახეს.



ნიკა აბიაშვილი

კაბუშკები ღარჩნენ მარად!

კარწანისის საყაროვანი

ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?
ღადღე ასათიანი.

I

„აღურობის დრო იყო, მწვანე ხილულობის ეპოქა. ყველაზე ძალიან ეს დრო მომწონს. ახალი გაზაფხული კი არა, გაზაფხულის მდორე ხანი, თითქოს დამლევი“. — უბის წიგნაკში აქვს ჩაწერილი ღადო ასათიანს დიდებული ვასილ ბარნოვის ეს სიტყვები და სწორედ ასეთი დრო და ეპოქა იყო 1939 წლის მაისის ერთ მზიან დღეს, როცა ქუთაისიდან ჩამოვიდა ვიო ნაფეტვარიძე.

ქუთაისური რეიდები გავისხენით და კოლმურნის მოედანზე ვავედით. ბაზარში ხილი უნდა ვეყვიდა და შემდეგ ბოტანიკურ ბაღში ვაპირებდით წასვლას.

იმ ზანებში ახალი მოედნის ირგვლივ მდებარე ვიწრო და ქუჩუიანი ქუჩები გააფართოვს, ძველი დეკორები და სირაჯებანი დაანგრავს და გადააკეთოს. მაგრამ უოფილი „საღდათის ბაზრის“ შესავალთან კიდევ იყო შემორჩენილი ერთი ძველებური „პერსიონული სახარჩოენიკო“. გიორგი ნაფეტვარიძემ აიჩემა — აუცილებლად შემიყვანეთ და მიჩვენეთო.

ზედ შესავალთან, კედელზე ბატიფურტი ასოებით მიკლამნილი იყო: „თახა ფითი ვორ და ფლოვი აჯაფსანდალი ცხერის თაფფები პასჭაბაბი ჩანახი და ბელლამაია გოქს კიდენ გვესტუმრე გენაცვა და ავაშენოს“...

„სახარჩოენიკო“ მხოლოდ ფირნიშზე იყო „პერსიონული“, თორემ დახლში ერთი ჩასტქებული ახალდაბელი ვეფხვაძე ტრაილებდა, „ფითისა“ და „ფლოვის“ გარდა აქ იმერტელ კერძებსაც აშხალებდნენ და ატურტიცი უხეად ჰქონდათ.

როგორ ვავეოცდით და გაეიხარეთ, როცა კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან მიმჯდარი მირზა გელოვანი და მასთან ვაყია ფხოველი დაეინახეთ!

ახალგაზრდა დამწეები პოეტი ვაყია ფხოველი — მიტო ცალხელიშვილი — საყდარიონელი იყო, თიანეთის რაიონიდან. მან ორიოდ ლექსი დაბეჭდა „ჩვენ თობაში“, მალე საბჭოთა არმიის რეგებში გაიწვიეს და სამამული ომის შემდეგ აღარ დაბრუნებულა. მთელი ომი ბრძოლებში გაატარა, ჩვენს გამარჯვებულ ჯარებთან გერმანიაში შევიდა და... ფრანკფურტთან დაკრძალეს.

პატარა ბიჭუკლა იყო. ძალიან შეენოდა კობტად აკვეტილი ულვაშები და ზედამოჭრილიყით უხდებოდა ფსევდონიმი — ვაყია ფხოველი. თეთრ ტილოს ხალათზე მუდამ შალის ფლალი „ტუქერკა“ ჰქონდა მოცმული და კოზიროყიანი შავი რუსული ქუდი ეხურა. გაბრიელ ჯაბუშანურს, მირზა გელოვანსა და სხვა უფროს ამხანაგებს ისე დაჰყუევოდა, თითქოს მათებიდან პატარა მშა ჩამოსვლიათო. ეტყობოდა, თბილისის ქუჩებში უტირდა აღმართ-დაღმართებს შენევილი ნაბიჯებით სიარული და როგორღაც ზერეგლზერეკ დადიოდა თუ „მიცვანცვალობდა“, როგორც იტყვიან იმერეთში.

— ჩემი სტუმრები უოფილბართ, — გვითხრა გახარებულმა მირზამ, როცა ვიო ვაყიანით და კაცის სულზე თითო კოჭობი ის „თახა ფითი“ მოატანინა. ესაა ცალცალკე კოთხეებში ცხერის დემ-ხორციოთა და მუხუდოთი ცხლად შემზადებული წვნიანი, ძალიან გემრიელი და სანდუკარი კერძი. — დღეს „შენახადას“ პონორარი ავიღე. ბაზარში ხილის საყიდლად წამოვედით, შემდეგ ბოტანიკურ ბაღში მივალოთ. ახლა კი მე გიმასპინძლებო.

უფრო გაიხარა, ჩვენც რომ ბაღში მივდიოდით. ამბობდა — იქ ალუკო შენგელია, გაბრიელ ჯაბუშანური და სხვა ამხანაგები დავეხედებიანო, მაგრამ ჩვენი ნაცნობი არავინ დავეხვედრით

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 5, 6, 7, 8, 9.



და არც შემდეგ მოსულა ვინმე. არ ვიცო, შეეშალათ, თუ როგორ იყო საქმე... ამ დღეს მთაწმინდაზე ასულიყვენ და იქ ვებდნენ თურმე მირზას.

II

მირზამ და ლადომ ბაზარში ბალი და აღუჩა იყიდეს და შავთელისა და ჩახრუხაის ქუჩებით გაუყარეთ ანჩისხატისა და სიონის, ავდიო აბანოების თავზე და შივადეკით ბოტანიკური ბაღის შესასვლელს. ვაჭარა მერტების ძველი ხიდის თავში დაგვეშვიდობა და დაგვეშორდა. რამდენიმე დღით სოფელში მიდიოდა.

შევედით შივნიო და შევეყვით სულ ზევით და ზევით, მაღლა, სიმწვანის მხარეში. ცაღაწიდილი ფიჭვები მხრებში შედგომოდნენ ბებერი ნარიყალას ხავსიან კედლებს და გაბარჯდული ტოტებით ჭარავდნენ ნაცობარის ჩამონგრეულ ქონგურებს. ჩვენს მერტი ახლომახლო არავინ ჩანდა (სამშუპო დღე იყო) და გათამაშებული ჩიტები ჭახუახითა და ქრამულით მოღებოდნენ ხეივნებში ნაყაფივით გაწვდილ გზებსა და ბილიკებს, ლადოსა და ვიოს ძლიერ გაუყიარდათ: არ გვეგონა, თუ თბილისთან ახლოს ასეთი დაბურულხეივნიანი ტყე და აყვავებული ბალი რქნებოდაო, — ამბობდნენ. ისინი პირველად იყენენ იმ დღეს ბოტანიკურ ბაღში!

ბილიკებით მიიწვდიო სულ ზევით და მაღლა. და აქ მირზა და ლადო თითქოს ერთმანეთს გაეჯიბრენ გალაკტიონისა და ტიციანის ლექსთა კითხვაში. არც მანამდე და აღარც შემდეგ არ მინახავს ისინი ასე ლექსებით ამღერებელი და მგალობელი ჩიტებივით აჭიჭიკებელი.

გიორგი ნათურეაჩიძე ხმას არ იღებდა და მოკრძალებული სიყვარულით შეპყრებდა ორივეს. ზანდახან ვაილიმებდა, შემომხედავდა თვალზეციციამებულო, შეისწორებდა უჩრქ ქოჩორს და შეერგოდა ბუნქებს.

მერე ერთი შინდის ძირას მერხზე ჩამოეჯექით და ახლა საკუთარ ლექსებს მიპყვეს ხელა. ლადომ წაიკითხა თავი პოემიდან „კოლხიდა“, რომელსაც დიდი გულმოდგინებით წერდა — რამდენიმე ვარიანტად (დაეუღია იმ პოემის ათობით ვადაქრელებული ფერეკელი, ჭალადის ნაყურები, სიტყვათა ამონაწერები, სხვადასხვა მაგალითები). პოემა იმ დღეებში დამთავრა და საბოლოოდ გადაათვარა დასამუქდად გამზადებულა.

მირზა კითხულობდა თავის ლექსს „გალაკტიონ ტაბიძეს“.

ციოდა... ყველა გაფრენილ ისარს
ნათებათვეი სიკედილი ახლდა.
ახლა გაბედე მთაწმინდას, ისანს,
ან მაღათოვი იცანი ახლა!

რატომღაც კუმტი ვამომეტყველებით ამბობდა იგი და ისე ჩაიციებით მისჩერებოდა ზვეს წინ აღმართულ უზარმაზარ ბერძენსას, თითქოს გალაკტიონის ნაცვლად იმ მუხას მიმართავდა და ეუბნებოდა ლექსის სიტყვებს.

III

ღართო გზამ გაგვიყვანა ლელეთაბევის ფრიალოსთან ზღაბრული მშვილდისარჩივით გადამყვდილ-გადაზნევილ და მოზიდულ თეთრ ხილზე. ერთხანს ვიდექით იქ და გადავყურებდით, თუ როგორი ხრიალ-ხრიალით და ვაიშმეღებელით ეშვებოდა ძირს, ჩვენს ქვემოთ, გაგვიბული ჩანჩქერი...

და კარგად მახსოვს, სწორედ ამ ხილზე დგომისას ჯიბიდან ამოიღო ლადომ ჭალადის პატარა ფარატინი.

— იი რა მახტეა ამს წინათ რეზო მარგიაშვი. მის მიერ თარგმნილი ჰაინეს ლექსი. აბა, მომისმინეთ, როგორიაო, — თქვა მან და წაიკითხა:

პიონეზა

უშვენიერეს მისის თვეში,
როცა კვირები გახსნიან თვალებს,
მაშინ ჩემს გულში სხვანაირ ეშხით
სხვა სიყვარული შეაღებს კარებს.
უშვენიერეს მისის თვეში,
როცა ჩიტების ვისმენ ვალობას,
მე მათთანა ვარ და ისევე მესმის
მათი ვალობის იღუმელობა.

— და ზედაც ასე წააწერა, — განაგრძობდა ლადო კითხვას. — „პოეზიის მსხვერპლსა და ზეარაკს — ლადო ასათიანს, ძღვნიად ესე თარგმანი, 1939 წელი, 1 მარტი. თბილისი“.

— მსხვერპლსა და ზეარაკს... — დინჯად ზაილაპარაკა მირზამ. — პოეზიას კი შვენიის მსხვერპლად და ზეარაკად შეგწეროს აღამაინი... ახლა მეც მომისმინეთ.

ეს თქვა და ჯიბიდან მანაც ერთი პატარა ქაღალდი ამოიღო, ვაშალა და, ნელ-ნელა, თითქოს უოველი ასოს ჩათვლითა და დამარცვლით, წაიკითხა შემდეგ:

ნაბზრბ

სარეველა ბალაბი მჭნა,
სათიბებში გარეული;
შენ მონადირედ გაქცეო,
მე ჯიბეი მჭნა გარეული;
წმინდა წყაროს წინწყლები მჭნა,
შენგან ვიყო დაღუული;
ხელში მომცა სალამური,
სიმღერაში გაღუული;
მე მწყემსის გოგოდ მაქცია,
ცხვარი გვევანდეს არეული;
ფანდურად ხომ ივარჯებდა
ჩემი ტანი მთვარეული!

— ეს ხალხურია, ზომი? — შეეკითხა გიორგი, — ეტყობა, ამ სიტყვებს ქალი ამბობს...

— ჩემი დისაა, რუსუდნის, — მიუგო მირზამ და სახეზე სიამე და სიხარული გადაეფინა. ხრდის თავში პატარა წყაროსთან მივიდა, პეშვით შესვა ცივი წყალი და წარმოთქვა:

— შეხედე, როგორი გაზაფხული იცის თბილისში! ცაზე ღრუბლის ნასახიე არ არის, არც საღმე ცაა, მხოლოდ გაზაფხულია და ხის ტოტებში ჰკიდაა მზე. კაცს უხარია ეს მზე, ეს მწიწა, ეს ჩანჩქერი, დაბურთული ხეივანები... და ყველაფერი ისე ვარგია და ღამაზი ჩვენს ქვეყანაში, რომ მეც მიხარია სიცოცხლე და მინდა ვიმღერო, აი ასე...

ხიდის მოაჯირის ხელი ჩაჰკიდა, ტრიბუნაზე ასული ორატორივით გადადგა და მგზნებარებით წარმოთქვა რამდენიმე სტრიქონი. ეს იყო ფიცი „შენაზადას“ ბოლო თავიდან:

ქართლის მიწაე, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწაე,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს აღისფერ დროშას ვფიცავ!
ამ მწვანე ზეს, ძვლებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ზავს და ნაეურს,
კავკასიონს ცამდე აწედილს,
შენაზადას გულდაყინგულს,
ამ ბუჩქებს და ამ ქერა ნისლს,
დილაობით შენ რომ იცვამ,
დაცემულთა დამცეულ სისხლს,
დაღუბულთა ხსოვნას ვფიცავ,
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ეინმე შეგეცილოს...
წმინდა ვალის მისახდელად
უყოყმანოდ შეგეწირო.
მოკვდე ისე ღიმილმჩენი,
ვით კედებოდნენ გმირნი ძველად.
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი,
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ!

ერთბანს ხმადაბლა და თვალდახუტული კითხულობდა და არაფერსაც არ ეუუერებდა. თავის გაგზნებისას სახეზე დასთამაშებდა ქერა წამწამებისა და წარბების ზრდილი და, როცა თანდათან გაფიცდა და ხმას აღმალდა, მხოლოდ მაშინ გახსნა იმ ცისფერ-მომწვანო თვალთა უბეები, ადამიანის სულში ჩამწვდომად რომ იცოდნენ გამოხედვდა...



იყო რაღაც ტყვილი და თბილი მის კითხვაში, თითქოს კი არ კითხულობდა, არამედ გულ-
ნათხრობით მოგვეთხრობდა რაღაც სასიამოვნო ამბავს, რომელიც ეითომ მარტო მან იცოდა და
ახლა ჩვენთვის უნდა გაეზიარებინა.

ლადო და გიო იდგნენ აღტაცებული და გაღიშებით შექუჩებულნი ხილვე ვადამდგარ
პირას.

მისის დამდეგი იყო, უმშვენიერესი დრო თბილისში. ყველაფერს სიბზო და საამო სურ-
ნელმა გასაგდომოდა ძვალ-რბილში. მართლაც „რა ეპი, იყო, რა ვაზაფხული“

IV

ლექსთა თქმით რომ გული შეიჯერეს, ლექსთავეის ლექსს შევეციეთ და საცალფეხო
ხილით გაღმა დოთენში გავედით. სულ ფერად-ფერადი ყვავილებით იყო მოფენილი და გადა-
პეტრულ-მიზიარდლებული ლექსთავეის გაღმა-გამოღმა ნაპირი და მთელი მიდამო ცლავდა
საქმაწვილესავით. წინა დღეები ნაწივიარი იყო და პატარა ღვლე ოდნე აქორჩილი მოჩხრია-
ლებდა სან ქვეზე, აქა-იქ, მოსახვევებში, გზაღებოდა და მომცრო მორევებს აჩენდა. უამრავი
ფუტკარი, პეპელა და ნაირნაირი მწერი მოსდებოდა ყვავილებს, დასკდომანე დაბეროდათ
კლრტები ზემოდან გადმომდგარ ცალებებს, საცა მალე გაშლიდნენ, გააბულდნენ ისინი თვალებს
და ასლა იქ შევსეოდა ეს ურჩიხვი ფუტკარი და მწერი.

ლადოს გული აუფანქვალდა, კანკალმა ატანა და იმპოდა:

— სად იყო ამდენი ყვავილი? რატომ აქამდე არ წამოყვდიო?

უცნობ ყვავილებსა და ბალახებს თვითონ უგონებდა და არქმევდა სახელებს: ზოგს ცისთვლა
შერქვა, ზოგს — კაბაქურა, სავარცხელა და თაქონორა, ნაცნობებს კი, თითქოს მოფერებით
და მისალმებით, ეძახდა:

— ეს ძროხის ენაა, ის ჯორის ძეა, ჩვენში სხვა სახელიც ჰქვია, მაგრამ არც ითქმება და
არც დიფერება; ეს იწნლა ბალახია, მის ფესვებს მუწუქის გამოსარწყავად ხმარობენ. ის კი,
კარგად აღარ მახსოვს, მგონი, დედოფალაა, სახეზე ისეაქნე ქალები — ფერმკამელებს. სპობს.
თი რძია-რძია, ქურჩულელა ანუ ხარისძირა, ამის ფესვიც წამალია; ავერ ღვინაღვინა — ამით ბავ-
შვები წარბებს ეღებავდით; ნახე, ოშონუა, სად ამოსულა! ამ ენდროს ძირი წითელი საღებავია,
სააღდგომო კვერცხებს ღებავდნენ წინათ. შემდეგ ქალშავა, ქინკოს დედუა, ქინკილოჯა, —
ამათ ჰქრეფენ და მხელს ხარშავენ. თი იქ თავეითელა და ტუბტი... ეს კი ჩემი საყვარელი ბაბუა-
წვერია, — წამომიძახა მან, სულ შეუბერა ყვავილის ხმელ ბუშბუბებს, მიმოფანტა, და ისინიც
მომცრო პარამტრებით დაეკიდნენ პაერში...

მირხაც გვერდში მიპყვებოდა ლადოს, გულდინჯად ურევდა ხელს ყვავილებში და ამ-
ბობდა:

— ნამდვილი ცისთვლა თი ესაა. ამას უცენა ჰქვია, მის გვერდით ფერისღვლა, ის ცელის-
პირაა, ეს ღიღილი და უძრახელა. ამ უკანასკნელს ყოველთვის ნამდვილ უღრან ტყეში ნახავთ.
აქ ხომ ხელოვნებაადა გამუნებული ტყე, საიდან განინდა? — კითხულობდა ის. — ნახე, ზი-
ზილა და არჯაველა, სათიელა და მატაკუნა — როგორ ერთად უღვანან ერთმანეთს. ამ ნატე-
რისთვალასა და გარეული ზაფრანის ჯიშს კარგი ადგილი მოენახავთ. ამათი მნახველი ადამიანი
თვეკრძა და გულდასუტული ველარ დარჩება. როგორ დაუხრავს რაღაცას ამ ყოჩიავარდას ბოლ-
ქვები, ამას კიდევ ქორჩიორასაც ეძახიან...

— ჩვენში კვარაყუნისა ჰქვია, — უთხრა ვიორგი ნაფეტვარიძემ. — სამნის მავიკრად
ხმარობენ რაიმეს გარეცხვის დროს.

— ავერ ყავაროც! — აღტაცებით შესძახა ლადომ.

გაღმა კლდეზე ერთი დიდი, ძალიან დიდი უყავარო იყო ამაყად ვადმომდგარი, ლამპარივით
ანთებული და ადრადაეებელი.

— თი ეს ყველაფერს სჯობია, — ამბობდა ლადო. — მეზარება ფანჯარაზე შემოდგმულა
ქოთნებში ჩამწვედელი ყვავილი. პატიმარს ჰგავს. ეს ყვავარო კი... ამა, რა ლალია და თავისუ-
ფალი, თითქოს ცეცხლი ვაიღება. აწვის და ნაკვერჩხლებს ჰყრის.

V

ხეების ქვეშ ახლადგათბული ნაშიანი აღერდი იყო დაზვინული. ლადომ მკლავები მოჰხვია,
ომდენიმე ხორთი ბალახი მოზიდა, ღელის პირას დაყარა და ზედ გაიშხვართა.

— ფიროსმანი ვარ, ფიროსმანი, — გახარებული იმპოდა იგი და ბავშვივით ვორავდა ბა-
ლახზე.

გიომ ფესსაცმელები ვაიხადა, შარვალი დაეკოტავა და ღელეში ჩადგა.

ღელის პირას ერთი ბუნება კენის ეგდო, აღმათ, აღიღებელი წყლის მოტანილი. მირზა იმ კენსე ჩამოვდა, პეშვით წყრალ-წყრილ კენებებსა და ზეინკებს იღებდა, პავრში ერთად ზეისიოდა და წყალნი პერიდა. ზოგი დიდი და მძიმე, ზოგიე პატარა და მშატე, ის კენებები სხვადასხვა დროს რადიანარი ვლუპ-ვლუპით ცვიეოდნენ წყალში და განსაყუთრებულ ძღვრალ სმას გამოსცემდნენ. მირზა კბდეუ და კბდეუ იმეორებდა ამას, იციოდა, უსარიოდა და ამბობდა:

— თორში ეიცოდი ასე. იქ უფრო დრმა იყო წყალი და შესიკასავით ძღვრდნენ კენებები. აქ კი ფონთხელია და არაკეთილმშოვანი გამოდის...

ლადომ გული იკერა აღერდზე წოლით, წამოვდა და დიღინებდა:

შინაბერა ქალი გაცხდი,
ჩემო დედილო,
ხეტაც როდის გამიხოვებ,
ჩემო დედილო?

— ეს ჩვენებური ფოლკლორია, — თქვა და თან ფეხსაცმელების ვახდის შედგა. უცეკ, იმ ბალახებიდან ელესავით გამოსრიალდა ერთი მოზრდილი ქისონი, გულწითელა გველი, ლადოს ფეხებზეა გამოუძვრა და კედლის სხმარტალით ღელისკენ დაეშვა. ლადო გაშეშდა და ცალ ხელში ფეხსაცმელი შეაცუდა.

დაუმიხსნებლად, მავრამ მარჯვედ ნასროლი ქვა შეაწყალში მოხვდა გველს. იგი ერთ აფჯალზე დაკეინწიალდა, აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდა, მავრამ წელი ევლარ წამოიღო. თავით მიწას ეხეთქებოდა და თრბოძალა ენას ასანსალებდა...

ერთ-ერთმა ჩვენგანმა ცოცხალ-მეადარ გველს კედში ხელი დასტაცა და მათარბივით მიმოქინა პავრში. ლადო წამობტა, ერთი შეიცივლა, პირდაპირ ღელეში გადაეშვა და წყალწყალ ზემოთკენ მოქეტრცხა. გზადაგზა ქედი მოიგლიჯა და ეკალბარდებში ისროლა. მერე პოჯაკიე ხედ მიაყოლა, თან სირბილს უშატა.

მირზა არ განძრეულა. გიორგი ლადოს გამოუდგა და ქედი და პოჯაკი აყრბა.

ლადო მომორებით ნაპირზე ამოვიდა. ტილოს შარტელის სველი ჩაგრძელებული ტოტები ტალახში ამოქეტარტნოდა, ერთი ფეხსაცმელი წყლით გაესხებოდა და ფხაფუხი გაუღიოდა, მერე ისევ ხელში ეჭირა.

ბოცა გიომ ქედი და ფეხსაცმელი მიაწოდა, გაოცებით იკითხა:

— ეს ვისია? როდის გაეხადე არ მახსოვს და არც გამოვიკა, — დააყოლა მან, — რამდენი გველი მომიკლავს სოფელში, არ შემშინებია, ახლა არ ვიცი, რა მომივიდა...

— აღბნე ჩემს „შენაბადაში“ სვითოსმსროლელ გველს რომ ეახსენებ, ის წერალწელიანი გველი გვერბა და იმტორ შეგეშინდა, — ვახუშტრა მირზა.

— ისეთია — ცაში ხეითოსმსროლელი გველი რომ ყოფილიყო, შეგებრტოლებოდა, მავრამ ეს რადაე სტენარი იყო და ისე მოულოდნელად გამოსრიალდა, გულზე მდღლარე გადაეხსხა, — ეღბნებოდა ლადო.

VI

იქ აღარ დაედეკით. ღელეს გაღმა ფერდობზე აებობდდით და გზა განეავრტმეთ. ლადოს იმ დღეს შაინდლამანიე რადაე ფლახე ფეხსაცმელი ეცეკ, ახლა რომ წყალში დაუსველდა, სიარულს უწლიდა და აღმართზე ასკლისას წამდაუწუმ უსხლტებოდა ფეხი.

— დაგენახსა იმ წყაულმა გველმა და გუნებაც ვაგვიფუქა, — სიცილით ამბობდა ის და ეპოტინებოდა ბუნქებსა და გვიმრის ძირებს.

გავიარეთ „აღმოსავლეთ საქართველოს ტყე“, „ფიქუნარი“ და იმ შეილდისარა ბიღთან შევკარიით წრე. მერე გზაწერილებითა და მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით დავეშვით თავქვე — ეკალ-მარდებში. მალე სიღვექვე აღმოჩნდით. ის მავარიით მღერეი და დღემორეული ჩანქეტარი ზაოქითა და ღრიალით ახლა თითქოს თავზე გაღმოგვეხსხა, სიდი კი ირმის ნახტომივით იყო გადაფრენილი ერთი ქარაფიდან მეორეზე და რკალდ მოველო კამარა ჩვენს ზემოთ — სიერეკეში.

ცოტა შესვენების შემდეგ გვერდ აეუარეთ მაშინ გაუქმებელი და ამოკეტელი გვირახის შესასვლელს, მუსულმანთა გორხანა გადავქეტრით და თაბორიდან კრწანისისაკენ „ავილეთ გეზი“.

მთელი კრწანისის ყაყაოებით იყო გადაბილილებული და ელვარე ხანძარი მოსდებოდა აკვმარტს. ლადომ გადახედა ყაყაოების მობიბინე ზღვას და თქვა:

— შეხედეთ ამ ბებერ კრწანისს, როგორ აფეთქებულა და ბრდელიალებს. ზეცა გაღმობრტეკეებულა და წყრილ-წყრილი ვარსკვლავები დაუყრია ამ ველზე. ღელს სულ ყაყაოები გვხვდებოდა.



ყაყაიო სიხარულია და ბედნიერების მომასწავებელი. — მეტე ხელი მომხეცა და მომმარო: გახსოვს, ამაჟო კელიძის „სპარსულ ღირიკას“ რომ ვკითხულობდით ქუთაისში? იმ წლებში ერთ პოეტი ამბობს — ახლა მისი გვარი აღარ მაგონდება:

იმ ადგილს წითლად ჰყვავის ყაყაიო,
მებრძოლთა სისხლი რომ დაიღვარა...

მართლაც რამდენი სისხლი დაღვრილა აქ. უნდა დაიჩოქო და ეამბორო ამ დაღუპულ ვაჟაკთა ნაგავლენს, უმღერო მათ დაკარგულ საფლავებს!

— აქ, არაფერი არ მინდა ახლა, მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი! — აღტაცებით წარმოთქვა მირზა გელოვანმა ეს სიტყვები ალიომა საჯაიას ლექსიდან, მეტე ყაყაიოებით ამბიინებულ ერთ ფერდობზე შეიჭრა, ზღას უსობდა ნაკვერჩხალივით აპრიალებულ ყაყაიოებს, ვალერსებოდა და თითქოს მუდარით გვეუბნებოდა:

— თუ მამა იყო, ხელი არ ვახლოთ, არ მოვწყვიტოთ, არ გაეთელოთ, ისე დავბრუნდეთ ჯანა...

VII

...კვლავ თაბორზე ამოვედით. ჩვენს თვალწინ გადაიშალა უღამაზესი სანახაობა და... შემოგვეურება მთელი თბილისი.

— ვისაც პოეტის სახელი ჰქვია, აქ უნდა ამოვიდეს ხშირხშირად, — თქვა ლადომ, — ამ მდლობიდან გადახედოს შეტებს, ნარიყალას, ძველსა და ახალ თბილისს, თვალი შეავლოს მთაწმინდას, მთელ მტკვრის ხეობას და აშაღდება სიციოცხლესავით. ჩვენო თბილისო, — შესძახა მან:

მე შენს ხმაურში სიციოცხლეს ვხედავ,
და სიჩუმეშიც გუგუნო მესმის!

— ყოველ დროს, ყოველ დროს, — უთხრა მირზამ, — ყოველთვის უნდა იარო და ერთი ადგილი არ უნდა ტუკნო, მოიარო მთელი თბილისი — ზამთარ-ზაფხულ. აბა, ნახე, როგორი რწება ეს დიდი ბალი ზამთარში — თოვლით დაბურული, ან შემოდგომაზე ძირსდაცვენილი ფერადფერადი ფოთლებით ამრიალებული..

სანამ ცოცხლები იყვნენ, ასე დადიოდნენ ისინი ყოველთვის და ყოველ დროს თბილისის ქუჩებში და გარს უვლიდნენ „პოეზიის უწმინდესი ადგილის დედას“. მათი ფიჭვი და ოცნება ის იყო, რაც კარგად გამოთქვა ოციოდე წლის მერე ირაკლი აბაშიძემ:

ვერ შეველე თბილისის კარებს,
თბილ შემოდგომის ქარვისფერ დარებს,
კრწანისში ძველთა ტბილ გახსენებას,
ვერაზე ახალ ბალთა შენებას, —
და, როცა ზეცას შუე ჰკრავდა ისრებს,
მივღვედი ქუჩებს ისევ და ისევ!..

VIII

...მავე წლის შემოდგომაზე პედაგოგ ქალთა გადასამზადებელი კურსების მსმენელებს ექსკურსიაზე გაუყვით გორში ლადო, მე და რამდენიმე ჩემი ნათესავი. იმ კურსებს ზღმძღვანელობდა ჩვენი ახლო მეგობარი, კომკავშირის ძველი მუშაკი, რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი (შემდეგ სამამულო ომში დაღუპული) გუგული დაითამაშელი, — მან წავეყვანა. დაეთათაურეთ მთელი ქალაქი, ვნახეთ სტალინის სახლი, ავედით გორის ციხეზე.

— აქ დიდი ხნით უნდა წამოვიდე და ლექსები დაწერო ძველ და ახალ გორზეო, — ამბობდა ლადო.

სტუდენტებითა და ექსკურსანტებით დახუნძლული გორის მატარებელი ტაბრით მიყვებოდა ქართლის გზას და ხშირ-ხშირად ჩერდებოდა სადგურებსა და ბაქნებზე. რკინიგზის ლინდავის გაყოლებით — მარჯვნივ და მარცხნივ — სისხლის მდორე მდინარესავით მიედინებოდა ყაყაიოებისა და ნაირფეროვანი ყვავილების ნიაღვარი და ჩვენც ისე შევდიოდით ყვავილების ამ მენამულ ზოვამში. თითქოს ეს იყო სამოთხისაკენ მიმავალი ვარდყავილებით დაფენილი გზა.

უფლისციხესთან რომ შევჭერდი, ამოდენა ქალ-ვაყები სულ პანტაფენტო გადაცდნენ ვა-
გონებიდან და მოედვენ ყაყაოს. ლადოც ჩაბტა, დაკრიფა და გახარებული ამოიქრა ჩვენი,
გულში ჩაბუტებული ყაყაოებითა და ღორთქო ბალახით. გასაოცარი კი იყო ამდენი ყაყაო
ოქტომბერში!

უკან დაბრუნებისას ლადო ვაგონის ერთ მუხდრო კუნჭულში მოიკუნტა, არავის ყურადღე-
ბას არ აქცევდა და თავის ღურჯ უბის წიგნაკში წერდა ლექსს ნიკოლოზ ბარათაშვილზე.
ჩქარობდა, რადგან ის ლექსი მეორე დღეს გაზეთ „მუშაში“ იბეჭდებოდა და ნომრისთვის უნდა
მოესწოთ. ყაყაოები აღარ გახსენებია.

ხოლო ერთი წლის შემდეგ, როცა სამი მშვენიერი ლექსი დაბეჭდა ყაყაოებზე, სწორედ ის
ყაყაოები მოიხსენია და აქ იყო ყველაფერი, რაც იმ დღეს ჩვენთან ერთად ბოტანიკურ ბაღსა
და კრწანისში წაბა და მეტე ვორის მატარებლიდან განიცადა: კლდეზე პირამუნესავით მარტოდ-
მარტოდ გამოძვარი, აღუჩა-ტყემლის შემოსვლის, გაზაფხულის, ბედნიერებისა და სიხარულის
მარწყვებელ-შახარობელი და სიკეთის დამზედებელი ყაყაო, ბრძოლებში გაუმძლარი სამასი
არაგველის სისხლით მოსწყულ კრწანისის ველზე ლამაზი ქალის შეჭით თვალგაბრწყინებული
ყაყაო...

პეი, ძმობილო, შეხედე —
რამდენი ყაყაო გაშლილა..

მასიხარულო ზარისხმასავით რეკენ ეს სიტყვები ყოველი მკითხველის გულში!

(გაგრძელება იქნება)



გუნდნარა ბუხბაძე

კონკრეტული გეგმები

კონცეპტა, ნიონ — ბაზარჯოვა, იანონია

გზა აზიის ქვეყნებისაკენ ვლადივოსტოკმა დაგვილოცა. შორეული აღმოსავლეთის დედა-ქალაქი იყო ტურისტთა თავშეყრის ადგილი. ვიდრე გემი თადარიგშია, ვლადივოსტოკი უნდა ნაბო. ქართველი კაცი არც თუ ისე ხშირი სტუმარია იქაურებისა და, ვინ იცის, კიდევ მოხვალ ამ სისორებზე?

ამ დღეს შეიველ ზღვაში ბორცვი გამოჩნდა. ეს უკვე იაპონიის პირველი მიწა იყო — ოძიმა. ზღვაში თანდათან დაბეჭდა წყარალ-წყრილი კუნძულები, მომრავლდა გემები, კატარღები. და აღიონზე, მოგზაურების შესაშვ დილას, გემი „მიხვილ კალინინი“ საპატოი ესკორტიო იოკოამის პორტში შევიდა ვიდრე ნაპირზე გადახვიდოდე, უნდა გაიყნო და შეავსო დუკა-რაცია, აილო საზღვარგარეთელი პასპორტა, უჩვენო პოლიციელს: „საბუთა ქვეყნის ვარ მოქალაქე“, ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა ვახვიდე ვარეთ! ჩქარობენ ყურნალისტები, ფოტო და კინომოყვარულები, ავტო, ფოტოს ვირტუოზი — ნაყოლოზ კონზოლესკი, თვალყურის შესანიშნავი ადგილი შეურჩევია — „კაბიტანის ხიდი“, აქედან ხელისგულივით მოჩანს იოკოამის პორტი: ხალხი, ზღვა ხალხი, ანთია დროშების ცეცხლი. უკრავს იაპონელთა ორკესტრი, მღერიათ იაპონელები. ფრიალებს ტრანსპარანტები. „კეთალო იყოს თქვენი მოზარანება“, „შვიდობა ხალხებს“, — ამოუქარავეთ ტრანსპარანტებზე იაპონელებს.

ჩვენს დასახვედრად მოსულან ბავშვები. დედაებს ისინი ზურგზე მოუკიდოთ. დედა მათ ხელში არ იტატებს. ბიუნეა დროშის აფრიალებს და გვეძახის. იაპონელ ქალს თუ კაცს ჩვეულებრივ კიმიანოში წარმოვიდგენან ხოლმე. აქ კი უმრავლესობას ვერომულად აცვია. იაპონური კიმიანო არც თუ ისე იაფია. და მერე, თუ იცეამენ იაპონელები, უმოთვრესად, რიცა რაიმე დღესასწაულია.

შავრამ, აი, რაი ფერია ამოვიდა გემზე. რაივე კიმიანოებში, ქალებშია ლოტოსის სერნელი ამოიტანეს. უველას მათვე გაეცეა თვალი. ისინი აქვე, ტრაპთან მღვთმ გოლიათთან მივიდნენ. ეს გემის შესაქვე — კაბიტანი მიხვილ ბოროდინია. ფერებშია მიხაკის თაივლები მიაროფის მის. რაც უფრო მდიდარია იაპონელი ქალი, მით უფრო სადაა მისი კიმიანო. ნაკლებად ვეიოის, ესენი შეძლებულები უნდა იყვნენ. ლოტოსის ერთა ფურცელი ატყვია ქსოვილს.

— შეძლებულები? — რატომ მილიონები არა აქვთ?

უოველ წელს იაპონიის მრავალ ქალაქში ღამამ ქალთა კონკერსი ეწყობა. კონკერსში ნონაწილეობენ ქალიშვილები 25 წლამდე. ქალი, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს ღამაში, უნდა იყოს კარგი დიასახლისი, იყოდეს სტენოგრაფია, ეხერხებოდეს ჭრა-კერვა, ბეჭდვა, იყოს სპორტსმენი და, რაც მთავარია, იყოდეს ჩაის ცერემონია. ჩაის ცერემონია იმაში მღვთმარტობს, რომ, თანახმად მრავალსაუფროვანი ტრადიციით განსაზღვრული რიტუალისა, ქალმა უნდა გაწმინდოს ჩაის ღამაქები, თეფშები, საქმელი ჩხირები. მთავარია ღამაზად დაახვიო და გამალო წითელი აბრეშუმის საბოკი. ცერემონია მთავრდება მწვანე ჩაის მოშვადებით, რომელსაც ბამბუკის ფუნჯით ურევენ. ამგვარად მიღებულ სასმელს მღვრთე მომწვეანი ფერი აქვს. იაპონელები ამ სითხეს უმაქროდ სვამენ. ქალი კარგი აღზრდილია, თუ იცის ჩაის ცერემონია. თუ ქალი უველა ამ თვისებით არ არის შემკული, რა ნესტანიც უნდა იყოს, მენციტობა-ლიტბი ვერ მიანიჭებს პრანს.

თუ ქალმა საქალაქო შეჯიბრებაში გამარჯვება მისი იგი გადის კონკურსში იაპონიის ლამაზი ქალის სახელის მოსახვედრად. მრავალ ქალთა შორის გამარჯვებულს მის ტოლგანზრდილს ლემა რეკორდსმენს აურაცხელი პონორარი უძლიეა. ლამაზი ქალები სწორად მიუგონებენ, რომ ლემა მისი, ვარლამ ანისა, იაპონიაში დიდ პატივში მყოფი, როდესაც რაიმე ღირსშესანიშნავი დღეებია, — სტუმარია ჩამოსული, დიდი საღამოა, მეჯლისია, — ქალების მერე აქ ხელდასწავნილებელი მოდის — თან ახლავს ლამაზი ქალი, ახლავს სამუთის ტურისტებს შესახებ რად მოსულ ქალაქის მერი მართო არ იყო. მას იყოპამის 1960 წლის „ბედქველები“ ახლდნენ.

— გარეშით, მოვხიბლეს ჩვენმა ქალებმა. მე კი ვფიქრობ, რომ ქართული ქალები მაინც უკეთესები არიან. ივრო! გამაყნობს ქართველები. — გამოვეცინებოდა სათვლიანი იაპონელი, რომელიც ახლახან ამოხვეა „ბედქველები“ და შემოგვეყვებოდა.

— მართლა, გაიყნობს, ეს რიოსოკო პონდაა. იგი გავლენიანი პირია იაპონიაში, დიდი ჯურნალისტი და სახელმწიფო მოღვაწე. მან შემოგვამოხვე იაპონურა სამუთის კაშკაში. აღბათ, გახსოვთ მისი ინტერვიუ ე. ს. სრუშკოვთან. პონდა მამინ საქართველოშიც ჩავიდა და უკან დაბრუნებულმა „თავი მოგვრათ ქართველებს“...

— თქვენ თბილისში იუაიეთ? ქართველებს იცნობთ? — ეწვიდით ყელში პონდას და ლატინებს სიტყვა გვაჩვენებდით (ივრო ლატინები — „პრაოდის“ კორესპონდენტი იაპონიაში).

პონდამ უკბიდან გაეცილი განეთი ამოიღო. გაშალა. იეროგლიფებმა თვალი აფიქრებდა. მათლით რომ გეტყვნა, მაინც რას იპოვიდი, ან როგორ მიხედებოდი, სად რა ეწერა? ჩვენ კი არა, თვითონ იაპონელები ვერ ერკვიან თავიანთ დამწერლობას. საშუალოდ განათლებულმა იაპონელმა 6,000-მდე იეროგლიფი იცის. სწავლულმა — ათი, თხუთმეტი ათასი, იეროგლიფის თვითველი შტრისი განსაზღვრულ ცნებას და მაინც ამბობენ, რომ იაპონური ენა ჩინურზე ადვილიაო. დმერთმა უშველოთ! როგორი ადვილიც უნდა იყოს, ჩვენთვის თრბივე ჩინურია. მაგრამ ახლა მესამე გვერდის სარდაფში ჩაბრლი სურათი მოგვეშველა. ეიცანით ჩვენი „დაკიდებული ბალი“ — ფუნკცილიორი. პონდამ ეს არ გვაქმარა, სიხარული უკერ არ განვლებულყო, რომ კვლავ ცხელ ამბავი გვახარა. უკბიდან სურათი ამოიღო.

— იცნობთ? — გამოვეციოდა გაღიმებულმა.

სურათს დაეწაფეთ: პონდა თრ კაცს შვა ხელისხელგადაცვლელი. ეს ხომ ჩვენი „ნიანვის“ რედაქტორია — ნიკო შეედიე. ეს — „საქდესი“ — დავით მისხურაფე.

— დიახ, ისინი ჩემი მეგობრები არიან, — იღიმება პონდა.

— ქართველებს მეც იცნობ, მე ნოიბო მატსუკა ვარ, უკამან პრეს სერვისიდან, — გამოვეცინებოდა მეორე იაპონელი. — მე თქვენი თანამემამულე მოსკოვში, ყურანდასტოთა ყრილობაზე ვაიციანი. მაღალი, ლამაზი კაცია, აქებენ — ყრგი რედაქტორიაო. უპ, როგორ მღერის, კარგი მომღბნენიაო...

„ბედქველები“ მოიხდნენ ჩვენთან. პონდას რაღაც ჩასჩურჩილეს. გავიძინა.

— მათ ვევი არ ეპარებათ, რომ თქვენ სიღამაზის პრაზიორი ხართ, მაგრამ, აინტერესებთ. რომელი წლისა? — მიმართა მან თამარ ციციშვილს.

თამარმა ბავშვივით დამორცხვა, გაჩითლდა.

— ნო, ნო, — უარი თქვა მან. ქომაგად ჩვენ გამოვეცინდით.

— ვაელო, ვაელო წლისა...

— დიახ, ეს უეშარობებაა. მას შემდეგ, რაც მე ამ ქალზე დაეკორწინდი, სხვა ქალისათვის არ მიინებებია პრაზიორის სახელი, — დამილით დავვიდასტურა დამიტრო გედევანიშვილმა.

— ნატო? ნატო ვანიანე? მე მანქებს მისი სურათი ქართველებმა, — ამბობს პონდა.

— ნატო? — დიახ, ნატო ვანიანეც, ნატოც და თამარიც — თრთავე, — არ დავაყოფენთ პასუხი.

ამსობაში დამთავრდა პოლიციელთა კორიანტელი. ტურისტებს პორტში ათი კეთილმოწყობილი ავტობუსი და მშვენიერი გეიშები მივლოდნენ. მასამინებლმა გემიდან ავტობუსამდე ხმაურით მიგვიცილეს და გზას გავვიყენეს.

რთვა საკუთარ ხანაში

მან რომ ეწვიო იაპონელს, ვაგაოცებს მისი სისადავე, თათბის შვაგულში ერთი სამკუთხა მავლი დვას. ვარწმეო ბალიშები აწყუა, მავიდაზე სურათი, სურათი — სამი მიხაკი. შიშველ ყელზე ერთი მიეიმონა — სურათი ჰეიდა. (მიეიმონა — იაპონური ფერწერის ერთ-ერთი

სახეობა, აბრეშუმის ან ტილოს ფარხაზე. აი მთელი მისი ავლა-დიდება. ასეა მორთული ოთახი ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში თუ შემოდგომაზე. ერთია მხოლოდ. იაპონელი წელიწადის ყველ დროს ცელს მიკომონოს, კედელზე ღრთის შესაფერ სურათს პერსონაჟების ზამთარში, ზაფხურის პეიზაჟს — გამამბარი ფიქვი დათოვლილი, და ფესმოკეთილი წერო (წერო იაბონელთა საყვარელი ფრინველია. მათ სჯერათ, რომ ისინი პატრონის სიცოცხლეს უზანგრძობებენ). იაპონელი ზაფხულში სხვა ნატურმორტს ჩამოკიდებს — ლოტოსის ყვავილი, რომლის ფერცლებზეც ნაში ბრწყინავს. სექტემბერში კი მიკომონომ შეხედვისთანავე უნდა მოგაგონოს შემოდგომის მეწამულ-მონარჩინჯისფრო კოლორირტი.

როდესაც ამ ქვეყნის სიტურფებზე ლაპარაკობენ, უთუოდ გაზაფხულს გულისხმობენ, ამრილის თვის, როცა იაპონელი კედლიდან ზამთრის პეიზაჟს ჩამოხსნიხს და მის ნაცვლად საკერას — აღუბლის აყვავებული ტოტის მიკომონოს დაკიდებს. ეს იმას ნიშნავს, რომ გარბთ გაზაფხულაა, ჰყვავის აღუბალი, ჰყვავის ქლავი. ბაკონეს ტბაზე ლოტოსი იფერტქნება. სანკენის პარკში წითელ-წითელი ყვავილები ჰყვავის.

წელიწადის არც ერთ დროს არ თბება იმდენი ლექსი, იმდენი სიმღერა და ცეკვა, რამდენიც ამრილში. იაპონური პოეზიაც უთუოდ წელიწადის ამ დროს დაიბადა. გამომჩენილი იაპონელი პეიზაჟისტი სესიუტ უთუოდ წელიწადის ამ დროს ქმნიდა თავის შედეგებს.

იაპონელები ამრილში ოდიოთანე და დღესაც გაზაფხულის მოსვლას ზეიმობენ. დიდი და პატარა აღუბლის ხეს ჩასაფრებია. იაპონური გაზეთები იტყობენებთან: შაბათს იმპერატორის სასახლის წინ გაიფირტება საყურა; კვირას — უნოს პარკში, სამშაბათს — ასაკიამას და ინოსაისრის პარკში. ამ დღეს უამრავი ხალხი შოიყრის თავს აქ. იაპონელები ერთმანეთს ხედებთან, აღუბლის ტოტოეთი წელი იღუნებან, ერთმანეთს „აღუბლის ყვავილობას“ ულოკავენ. უსრრებენ გიხსადაც დაესწრონ „აღუბლის ყვავილობას“.

ეს დღესასწაული უნებურად ქრისტიანებს „ბზობას“ მოგაგონებს. რა თქმა უნდა, გარეგნულად. ქრჩაში დიდსა და პატარას მოკვს აღუბლის აყვავებული ტოტი. აღუბლის ტოტი სურამი უღვას იაპონელს. აღუბლის ყვავილებით კახმავენ სურათებს. აღუბლის ტოტებშია ჩაფლული კუნები, შოედნები, პარკები. აღუბლის ყვავილებში ჩაფლლათ იაპონელებს „ბუდა“, განთქმული ბრინჯაოს გიგანტური ქანდაკება „დაიბუსტუ“. ბრინჯაოს ბუდა შიშველი გულმკერდით ღია ბის ქვეშ ფეხმორახმული ღრმა ფიქრებში დათქმულა — ყველა ვნებისა და სურვილის ამოაების გამო. შუბლზე ტრადიციული „სიბრჩის კობა“ ადვებს. დაიბუსტუს სიმაღლე 42 ფუტი და 7 გოჯია. მარტო ურის სიგრძე — 6 ფუტამდე. დაიბუსტუს ოქროს თვალები აქვს. ხელოვნების ეს შესანიშნავი ნიმუში ყველაზე დიდი ბრინჯაოს ქანდაკებაა იაპონიაში და ასაკიც სოლიდური აქვს. იგი დადგმულია 1252 წელს, როგორც ჩანს, ლიოთნის ჩამოსხმის ტექნიკა 800 წლის წინ იაპონიაში უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ევროპაში. ქანდაკება ზღვისპირა, საყრორტო სოფლის პარკში დგას.

ბუდას წინ უზარმაზარი ღარჩაია. ღარჩაყზე ფორთოხლები და შეწირული ფული აწყვია. ფესშიშველი იაპონელი დგას ბუდას წინ და რალაყას ეკედრება. თუ დავუჯერებთ სტატისტიკას, იაპონიაში მორწმუნე მეტია, ვიდრე მსოფრებში. ბუდისტი 40 მილიონია, სინტოიზმის მიშვედარი — 60 მილიონი. იაპონიაში კი სულ 100 მილიონამდე მოსახლეა.

რაზე ლოკულობენ იაპონელები? ქრჩივი იყდო იოამასის მუედლე ამერიკელთა ბედითი თამაშის მსხვერპლია. კოიდო სუბო, ტაყა ხანი — ხოროსიშისა და ნავსაკის ცოცხალი მოწმენი არიან. მათ კარგად ახსოვთ მეთევეზე უბოიამას სოკედლი კუნძულ ბოიანაზე. იაპონელებს არ სურთ გამგორდეს ეს ტრავედი. იყოს შშეიდობა, ნუ იქნება უშეშვერობა — თი რაზე ლოკულობს ქრჩივი იყდო.

„ლოტოსის სახარება“ იაპონელს ასწავლის: „იყოს მომთმენი, ამტანი ყველა ჯურის ტანჯვისა და შწუხარებისა. იყინოს მაშინაც, როცა თავს დიდი უშედურება დასტუდოშია“. შავრამ ახლა ახლა შიშის მოლოდინში ბობოქრობს, ჩივის, საყვედურობს. „სამი დღეა მოსვენება დაყარვა ხალხმა, ახალგაზრდობა აწყდება პარლამენტის კარებს.

— გუშინ მათ არნახული გამბედაობა გამოიჩინეს — ათას ხუთასი სტუდენტი, როკორც ფრთი, კედლად აღიშართა აეროდრომზე და არ მისცა გზა თვითმფრინავს, რომლითაც კისი მიიპარებოდა ამერკაში ჩატიფიკაციის ხელშისაწერად. — გვიამბობს „პრადის“ კორესპონდენტი იაპონიაში იგორ ლტიკოვი.

- საიდანღაც პონდა გაჩნდა.
- მოგწონთ იაპონია? — გვეკითხება იგი.
- ჯერ... ჯერ... — ენა დავბა ყველას, როცა ტელეკამერა აღიშართა ჩვენს წინ.
- რაა სათქმელი? ორი საათია, რაც საბჭოთა ტურისტები იაპონიაში არიან. იოკოსამის



— ამდენიმე ქუჩა და პარკის მეტი არაფერი უნახავთ, — თავი იმართლა ექიმმა გუგული შა-
ნიძემ.

— ჯერ ხომ ტოკიო არ გვიჩვენებ. ვისაც ტოკიო არ უნახავს, იაპონიაც არ უნახავს, —
უნდა ვთქვათ?

— ხალხი თუ მოგწონთ, აქაური მოვები, ნაძვები, გზა იოკოჰამიდან კამაეურამდე არ ვაგო-
ნებთ ბორჯომის ხეობას? უამბეთ ტელეფონურებებს.

— ბუნება? ხალხი?
მასპინძელს სტუმრის მისვლა გაახარებს თუ ეწეწება, ძნელი არ არის ამის შეტყობა.

იაპონელები სიმღერით შეგვეგებებენ. გვიღიმიან. გზაზე გეაჩერებენ, შინ გვეპატიებებიან.
ნანობენ, რომ ასე ხანმოკლე ტურისტთა ვიზიტი მათს ქვეყანაში. კაცი რომ გივყარდეს —
უნდა იცნობდე, ადამიანი რომ გაციწო — დროა სკიპრო.

— ამის წამალი არის ხალხების ხშირი სტუმრობა ერთმანეთში. კერა დამილოცეთ! —
შეგვიპატიეთა კაფანდარა შეათვალა ქალმა.

იაპონელები ბუნების დიდი თაყვანისმცემლები არიან. კაფანდარა ქალს ეზოში ედღვის
ბაღი გაუშენებია. ეს დამახასიათებელია ყველა იაპონელისათვის. ბაღს ღელე ჩუდისს აქვე
პატარა ბილიკია. ჰყვავის ყველა ჯურის ყვავილი.

— ბუნების დიდი სამყარო პატარაით უნდა შეიყნო, — ამბობენ იაპონელები.
— დარჩით, მირათვით ჩაი! — გვემუდარება დიასახლისი. ჩვენ გვეჩვენება.

— თქვენ გზას აღვიხართ, არც ისე იოლი აღსაძლეეია ეს გზა, ხიფათი რამე არ შეგე-
ძახეთ. მე დღეს საღამოს ცეცხლს დაეინთებ, — გეპირდება იგი.

ცეცხლს ამ ზაფხულში? რად უნდა ცეცხლი?
იაპონელი როცა შინიდან ვინმეს ამგზავრებს, ზღურბლთან მიწას ამოთხრის და შიგ
ცეცხლს დააკვესებს. ეს იმას ნიშნავს — მისი გზა შექნათელია. გზას ყველგან გაიკვლევს,
ხიფათს ასცდება. ამ კაფანდარა ქალს ჩვენთვის სიკეთე სურს.

ბუნება?
ეს გზა თავიდანვე ბორჯომის ხეობას მივამგვანეთ, მაგრამ არ გვითქვამს — ტრამპსში არ
ჩამოგვართვინ. ქართული კაცი სადაც აქოჩრილ ბუნქს დაინახავს, ანდა მუხას ტოტებამყე-
რილს, — თავის ქვეყანას ადრის.

— მე ხომ ვიცი, საქართველოში იცნობენ ჩვენს კულტურას, ლიტერატურას. უთხარით ტე-
ლეფონურებებს, — გვემუდარება პონდა.

— დიახ, დიახ, — იცნობენ. ჩვენი პოეტები — ნოდარ დუმბაძე, თამაზ ჩხენკელი თარგმნიან
იაპონურ პოეზიას (ნეტა ისმენდნენ ახლა!). საქართველოში ითარგმნა და წიგნადაც გამოვიდა
ტაკაჟურა ტერუს „ლორის სიმღერა“, — მოგხსენით პირი და აქვე იაპონური პოეზიას
და ტაკაჟურა ტერუს „ლორის სიმღერის“ ქართული თარგმანები ეუსახსოვრეთ პონდას.

მეორე დღით ტოკიოში მივემგზავრებოდით. ჩვენთან მოვიდა ჩვენი გეიშე. იგი მთელი
გზა გეპართობს, იაპონურ სიმღერას „საკურას“ მღერის. ხან რუსულ სიმღერას — „კატიუშას“.
მან გერმანული, ინგლისური, ამერიკელი სიმღერებიც იცის. შეატყო, ტურისტები „საკურას“
რბილმა და ნაზმა პანგებმა მოზობლა და ხშირად იმეორებს. ჩვენ მას „საკურა“ შევარქვით.
„საკურა“ ლამაზი გოგონაა, მან საშუალო დამთავრა, მერე გეიშეს კურსები და ახლა ტე-
რისტთა ბიუროში მუშაობს.

როდესაც იაპონელ გეიშებზე ლამაზაკობენ, უთუოდ გულისხმობენ ქალს კაბარედან, სე-
როსკიპოდან. იაპონიაში დღესაც ბევრია სახალხო სახლი, კაბარე და გეიშები. მაგრამ
არის მეორე, განსხვავებული გეიშე იაპონიაში — ჩვენი „საკურას“ მსგავსი; გეიშები, რომლე-
ბიც მუშაობენ სასტუმროებში, რესტორნებში, „ინტერისტებში“ და სხვა დაწესებულებებში.
მათი ეალია გულისხმეირად მოეშახერონ კლავენტს, ვაართონ, იმღერონ, იცეკვონ. გეიშე
უთუოდ ლამაზი უნდა იყოს და ყველა ამ თვისებით შემკობილი. მათთვის საპეციალური სკო-
ლები და იმსტიტუტებია.

ვიდრე ავტობუსში ჩავსხდებოდით, „საკურამ“ ამბავი მოგვიტანა: ტაკაჟურა ტერუზე და
იაპონურ პოეზიაზე გვიამბობდა გაახარებული. იაპონელებს უკვე მოეწყობთ საბჭოთა ტურისტთა
საპატიეცემოდ მიმღენილი ვადაცემა. ოპერატიულობა ქვეყანაში, სადაც 27 დღეში მზადდება
კინოსურათი, არც ისე ვასაკვირია. სტუდიის ტურისტთა შესრულებით საბჭოთა სიმღერების
კონცერტიც ვადაცეა და რ. ლალიძის „სიმღერა თბილისზე“, რომლის ფირფიტა ტელესტუ-
დიის დირექტორს ეუსახსოვრეთ.



იოკოსამა ძველად შეთევვებით ერთი უბრალო სოფელი ყოფილა. ახლა იოკოსამა განსარდა და ვახტა ერთ-ერთი პირველი პარტი იაპონიაში, მისი მთავარი ქვია, რომელიც გაღატაკის იოკოსამას, ეიჭროა და დასაწყისში წაყლებს ზმავრიათი. მაგრამ შემდეგ, როცა გაიხონდნა მიაღლი რკინაბეტონის სახლები, ტრამვაი, რიქშები, ველოსიპედები, ავტომობილები — ქუჩაში ყურისწამლები მხელიდა. ნუთუ ტოკიო უფრო სწავრიანია? ამბობენ, რომ ტოკიო მსოფლიოში ჯგუფი ქალაქი აქარბებს. აქ ოთხსეუდი მეთეი ზმავრიათ, ვეღრე ნეუ-ოორკში.

და აა. ტოკიოში როგორც ფეტურები სკამი, ისე ირევა ხალხი. დაბზიან ვეღოსიპედები, მორტოცილები და მანქანები. თავზე ხელაღებული მძღოლები, ამათ წინ ქვემოვლეჯილი გაღატაკებს მორტოცილები, სადაც უნდა, იქ ვაღაღებევს, შეუღებევს, მიუღებევს, გაღატაკიან გზას ერთმანეთს. ვრთაღერით ტაქსი დაღის დინჯად. ისიც იმიტომ, რომ იაპონიაში არ ათის ტაქსებს სადგომი და ასინი გზადგავა ეჭებენ ზმავრებს. იაპონიაში მოძრაობის წესები არ არსებობს. მიწრომია ტოკიოში — დღე ერთთა და კატასტროფა ათისი, მიუღებდავად იმისა, რომ ყოველ ფეისი ვაღადმისზე მძღოლს აფრთხილებს მოღციეღის სადგომზე გაკრული აბრა. რომელზეც აღწესხულია ავარიები.

1879 წელს მთავრობამ წესდება დაამტკიცა. 14 აპრილს თბილისის გუბერნატორმა აყნობა დ. ყიფიანს ქ. შ. წ. ჯ. საზოგადოების წესდებას.

ბის დამტკიცება რამაც ქართველ ინტელიგენციას შორის ენათ გამოთქმული საზარელი გამოიწვია. ეს იყო ქართველი ინტელიგენციის გამარჯვება. რომელსაც ქართველი ერის ბედობლობა უნდა გადაეწვიოდა.

ი. ქვექავაძემ და დ. ყიფიანმა მოსაწვევი ბარათის ტექსტი შეადგინეს. სტამბერად დაბეჭდილენს და საზოგადოების ყველა წევრს დაუზავნეს.

1879 წლის 15 მაისს თბილისის საზოგადოების მულო ბანკის შენობაში გაიხსნა საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა, რომელსაც 45 დამფუძნებელი წევრი ესწრებოდა.

რადგანაც გოგებაშვილს სამსახური აკრძალული ჰქონდა, როგორც არა საიმედო პირს, თავმჯდომარად მას ვერ აირჩევდნენ. ის აირჩიეს გამგეობის წევრად.

აირჩიეს გამგეობა, რომელშიაც შედიოდა შეიდი კაკია: თავმჯდომარე დ. ყიფიანი, თავმჯდომარის ამხანაგი ი. ქვექავაძე და წევრები: ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი ნ. ცხევედაძე, ი. შანბელი, აღ. სარაჯიშვილი. 1879 წლის მაისიდან 1880 წლის მაისამდე ირიცხებოდა 245 წევრი. ამ რიცხვიდან 122 დამფუძნებელი იყო, ხოლო 123 — ნამდვილი. სამართო წევრებად ჩაირიცხებოდნენ ხოლმე ის პირები, რომლებიც საზოგადოებას ან დიდ ფულად თანხას, ან ისეთ ძვირფას ძეგლ ზღნაწერებს შესწირავდნენ, რომლებიც ქართული ლიტერატურისათვის მნიშვნელოვან შენახვის წარმოადგენდნენ.

1879 წლის 15 მაისიდან „ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“ ძალაში შევიდა. ეს იყო ედიღესი ეროვნული საქმე. როგორც ქურნალ „ეგვიპის“ „შინაურ შიშობილვაში“ ვკითხულობთ: „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განზარება და მოქმედება შორსა სწავდება... თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამგეობამ მთლად აღასრულეს ყოველივე, რაც კი წესდებაში იქნა მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიღვამს ფეხს: გავრცელება სწავლავანთლება სამშობლო ენაზე და მით შეეცემა ჩვენი ქვეყანას ის ყოვლად უსაქიარესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარ-ტომი და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაკბოეარი სხვა განათლებისა მოჰყვანს ნათულს ყოველ აუთხეს ჩვენი ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა...“ („ეგვიპის“, 1879 წ. გვ. 157).

ასეთ დიდ იმედებს აყარება ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაზე არა მარტო „ეგვიპის“, არამედ მთელი ქართველი ხალხი. „საზოგადოების“ წესდებაში მთავარი საკითხი იყო ქართული სკოლების გახსნა.

იყო ვოგებაშვილი 1879 წლის დეკემბერს „საზოგადოებაში“ წარადგინა „წინადადებები“, პირველ რიგში იგი მოითხოვდა ქართული სკოლების გახსნას თბილისში, ამ „წინადადებებში“ გათვალისწინებული იყო ყოველგვარი წერტილი.

წინადადებათა ხელთ ძირითად საკითხს შეიკავდა:

1. ქართული სკოლების გახსნა თბილისში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

2. სახელმძღვანელოების შედგენა ქართულ ენაზე.

3. სააგენტოების დაარსება.

4. საზოგადოებაში წევრად მიღება.

5. ახლადდაარსებულ ქართულ სკოლებში მასწავლებლებად გასაცხადი ხალხის შერჩევა. მაგრამ ამ წინადადებაზე დიმიტრი ყიფიანს ვრცელი უარყოფითი შენიშვნა მიუწერია, როგორც ჩანს მას არ მოსწონებია ვოგებაშვილის მიერ წინადადებების ასე უოფიციოლურად წარმოდგენა. ეს წინადადებები კრებაზე 1879 წლის დეკემბერს განიხილავთ.

1880 წლის 4 ივნისს თბილისში ქართული სკოლის გახსნის შესახებ კიდევ იქნა საკითხი დაყენებული. „საზოგადოების“ კრების ოქვში იგი პირველ საკითხად არის შეტანილი:

როგორც ვეცნობა იმ კრებას და ყიფიანი არ ეწერებოდა და სხდომას ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა. დადგენილებაში ასეთი შენიშვნის რეზოლუციას ვკითხვლობთ: „თბილისის შკოლა უნდა უსათაოოდ გაიმართოს პირველ სემინარიუმად; ხარჯი დაიღვას შემდეგი 600 (ექვსასი მანეთი) მასწავლებელს, 100 (ასი მანეთი) მოსამსახურეს, ხელი თემინი საქლის ქირა. შკოლისათვის სახლი დაქირავებულ იყოს ანხატის უბანში, ამ სხვა ადგილას. საცა ქართულთა უფრო ჯგუფად მსტავრობას. ვახუშტოთ მოწვეულ იქნას ინსტრუქტორი თუ ციო და მოწადენიყ: მშობლებისათვის გამოცხადებულ იყოს, რომ შკოლაში მსწავლიან ქართულს წერა-კითხვას, საღმთო წერისს, რუსულ ენას, ანგარიშს (არითმეტიკას), ვაღობას და კრავატრას და სხვა. ცნობარს მოხსენებულ იქნან თანახმად 23-ს დეკემბრის პროტოკოლისა. დირექციას მიეცეს ესლავ არზა და შკოლისათვის შევეთილ იქნას ხელმეტი პარტა და სხვა მოწყობილობა შკოლისა, ილია ჭავჭავაძე“.

„საზოგადოებას“ წიგნების გასაყიდად საქართველოს ყველა რაიონში ქქონდა ქსელი.

შემდეგ ეს აგენტების ქსელი გაფართოვდა, მათი მოვალეობა გაიზარდა, ამიტომ „საზოგადოების“ კრების დადგენილებით ი. ვოგებაშვილს დაევალა აგენტთა წესდებისა და ინსტრუქციის შედგენა. 1884 წლის 10 იანვარს ი. ვოგებაშვილს წარუდგენია აგენტების დაარსებისა და მართვის შესახებ წესდება და ინსტრუქცია“.

„საზოგადოება“ აგენტად ასარჩევ ღირსეულ პირს უგზავნიდა წერტილს. რითაც უსათუოდ იყოსა აგენტობა აღნიშნული პირთგნებში თქვენთანამა იქნებოდა ამ დიდი საქმის სამსახურისათვის, თანამობას წერილობითე ატეკონიბედა.

„საზოგადოების“ რიგითი წევრები და აგრეთვე გამგეობის წევრები იგზავნებოდნენ რაიონებში სკოლების გასახსნელად. ამ მხრივ საინტერესოა რ. ერისთავის მიერ წარდგენილი მოხსენება:

„წიგნის ცოდნის გამაყრცელებელს საზოგადოების გამგეობას.

თავადი რაფიელ დავითის-ძე ერისთავის მიერ მოხსენება

თანახმად გამგეობის მონდობილობისა. მე წიველ სიღნაღის მახარაში. შესახებ მასწავლებლების ვაგზავნის თაობაზედ, რათა ამ საგნისათვის მომწვეია სოფლების საზოგადოება და რა მიემართე ადგილობრივს მახარის მუფტოსეს შეეწეების აღმოჩენისათვის. თუმცა მან აღმოთქვა ესე ვარი და ამისათვის გამაჩერა კიდევ უმეტეს კართის ყვირისა, მაგრამ ბოლოს გამომიცხადა, რომელ ის შემდეგ აცნობებს გამგეობასა ჩვენსა თვის აზრს ამ საგანზედ და მე იძულებული, დაებრუნდი თბილისს. ამ მოხელა-მოსელაში დამეხარჯა 25 მანეთი და რა მქონდა მიღებული, თანახმად მოწერილობის 16 ენქენისთვის № 153 საპოცლათი მანეთი, ამისათვის წარმოვადგენ დანაშთენს ორმოცდა ხუთს მანათს. თ. რ. ერისთავი“.

(წერილი პირველად ქვეყნდება).

ამ მოხსენებიდან ირკვევა თუ ადგილობრივი ხელისუფლება როგორ უსტეღულოდ ვეიღებოდა ხალხის განათლების საქმეს და რაძენი შრომა და ბრძოლა სჭირდებოდათ ქართულ მოღვაწეებს ამ მიზნის მისაღწეად.

დ. ყიფიანი „წერა-კითხვის გამაყრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო, მაგრამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ყოფნა ეუბნებოდა ქუთაისში. თუმცა საზოგადოებასთან კავშირს არ წყვეტდა და მუდმივი კონტაქტი ქქონდა ილია ჭავჭავაძესთან თუ გამგეობის სხვა წევრებთან.

დომიტრი ყიფიანი ქუთაისიდან წერდა ილია ჭავჭავაძეს:

„უქვირფასესო კნიაზო ილია ვრავილის-ძე, შორაპნის უენდის და ქუთაისის გუბერნიის მარშლებში გამომიცხადეს, რომ საინერეს აზნაურობას დიდათა მსურს ჩვენმა საზოგადოებამ იზრუნოს იქ ორკლასიანი სასწავლებლის გახსნისათვის, იმ გეარად, როგორც ტფილისში და ქუთაისშია სააზნაურო მოსამზადებელი სკოლები.“

მოწადე იქნება ასზედ უმეტესი, მაგრამ ამ თავით ორმოცდაათის ანგარიში უნდა დაეკვიროთ. თითოზედ შემოიტანენ წელიწადში ოც-



დახტის მანეთს, ახლავ, ამ თავითვე სანდო მასწავლებელს იხოვეს ჩვენი (არა იქ ნამ- ეოღს ახლმელანსეილს და არცა მსგავსსა), რომ საქმეს შეუდგეს და სკოლის გახსნას თა- დარიგი დაეპიროს და დაეპირინოს.

სკოლის გახსნამდის ბინა მიეკუთვნა კნ. ნეს- ტორ წერეთლის სახლში, რომ იქ ითავის ყო- ვილად, რაც გახსნას უნდა წინაუძღვოდეს.

პარტას მხოლოდ ერთს თხოვეს ნიშნულად, ვფირლის სტანიცამდის რკინის გზით წამოი- ლება და იქიდან თითონ გადაიტანენ სახეგრეს— სხევის იქ გააფეთცენ.

უამკველი ჩვენი მმართველობის წევრნი ვუ- ლანი დაფიცურდებიან, რომ კარგი სანდო პირი მოიწვიონ ამ სკოლის დასაარსებლად, და ჯერ იქ გამოგზავნონ ქუთაისს. პირდაპირ ჰქმონ, ან თუ აქ არ ვაქენ კნ. ნესტორ წერეთელთან. მე იქნება თებერვლის ნახევრამდისაც აქ დავრ- ჩე და თქვენგან თხოვნის განმარტებებს სა- კეროდ აღარა ვთვლი, რომ ამ საქმეს თქვენე- ბერად მშურვალეს გულთ მოცივლით ეს თა- ვისთავად იგულისხმება.

თუ პირველი ოსტატი კარგი გამოდგა, მოწა- ფეების რიცხვი მალე გადგატება ასა და ერთი ამისთანავე სკოლის გახსნა კიდევ დატ- კირდება ქვემო იმერეთში.

წლიურ შემოსატანს რომ ვალად იდებენ, ამაზე ყველანი მზად არინ ხელს მისაწერად.

ნება მიბოძეთ ამის პასუხი საჩქაროდ ვით- ხოვ. თქვენი ყოველსგუნით პატვისმცემი და ურთოდესნი დნი. ყოფიანი. 12 იანვარი 1881 წ. ქ. ქუთაისშია.

მინაწერი: ისე მასსოვს, რომ ჩვენში წევრად შემოსვლის სურვილს განცხადების წერილი, რომ ხელს მოწერის მეტა აღარა უნდოდეს რა დაბეჭდილი გვაქვს და იონს უთხარით, რომ ათოთი ოციოდ ეგზემპლარი გამოგიგზავნისა. (ესსა ქ. შ. კ. გ. სახ. ფონდი № 4. (წერილი ქვეყნდება პარველად).

დამტარი ყოფიანს წერილი განხილული იქნა 1881 წლის 17 იანვარს.

გამგეობამ დაადგინა: მიეწეროს წერილი ბ-ნს ყოფიანს, რომ ამ ხანად მთავრად შეუდგეთ ქვემოთ ვერავინ მოი- პოვება თათისუფალი კაცი. ნათავ ხონის ზედა- მხედველს თანამწერი. ილია ჭავჭავაძე.

პარტაც ვაგვზავნოს ღამბაშიძის სახეზე, რომელსაც ეთხოვოს სახეგრეში ვაგვზავნოს. ილია ჭავჭავაძე.

(ესსა ქ. შ. კ. გ. სახ. ფონდი № 4).

ასევე დიდი პასუხისმგებლობით მოქციდებია პეტრე უმიკაშვილი ყაზბეგში სკოლის საქმეს. როგორც წერილიდან ირკვევა მას ეს საქმე დავალებული არ ჰქონია, მაგრამ თავის თავი თვითონ ჩუთვლია ვალდებულად, გულგრლად ვერ ატვლია გვარდი ერთი მტრენული საყო-

ხისათვის და „საზოგადოებისათვის“ უცხოვე- ბიაც.

ქართველთა შორის წერა-კითხვის ცულებელ საზოგადოებას უძღაბლესად მოეხანებებ საზოგადოებას ორს საგანს, რომელიც შეეხება სოფლის სტეფან- წმინდის (ყაზბეგის) შკოლას და წერა-კითხვის მდგომარეობას. გზაზე ყოფნის დროს სოფელ სტეფანწმინდას მომიხდა ჩამდენიმე დღე დად- გომა და მსურს ვაცნობო საზოგადოებას, რაც მოვისმინე ანუ ვნახე.

პირველი სოფლის მოთავე კაცნი სწუხან აქა- მომდე შკოლის გახსნელობასა და სერვილს აცხადებენ, რომ მალე გაეხსნათ შკოლა. „შორც- ხევილინი არ დავრჩით, მეზობლებშიო“, თერ- ვის ბევრი პირველი დაწყობნი შკოლის გა- მართვისანი, სტეფან-წმინდელები არიან და ამის გამო დავიანება ისე ეთარკებათ, თათკოს სრულებით არ გამართვასა ვაგვსო, სოფელში შერობა არის, რომელსაც შეეცება უნდა. საშ- კოლად გამოდგება, ეს შენობა ამ ქანად სასუ- ლიერო უწყების ხელშიაო, როგორც მიიხრტს სოფლელებმა და მღვდელმა: გადაეცემულია სა- ხელმწიფო უწყებისაგან მღვდლის სადგომად და შკოლის სახლათო, ადრე აქ ეახარმა იყოვო, შემდეგ მე ვაგოფე უფროსის პატონის ჩესოვს- კისაგან, რომ ეგ შენობა ეგონებ ზემსკის ნაწილს უნდა ეკეთვნოდეს და სოფელს მიეცე- მული აქვს თავის საპირთ სახმარათო. — შენო- ბას შუაში კარგი მოზრდილი ეხო აქვს, ოთა- ხები ზუთი ექვსია. ზოგი დიდი და ზოგი პატა- რია. საშკოლო ოთახით და მასწავლებლის სად- გომათ ამორჩეულს მოუნდება ყვეტრს სახე- რავის შეკეთება. ფანჯრების ვაგანიერება და ლამფის შეღესვა ბაღდაღით (რადგანაც ფი- ცრის ლამფა სითბოს ვერ დაიჭერსო, მთის ყინ- ვებში).

მეორე. წერა-კითხვა ამჟამად ვრცელდება ერთის მცხოვრებლის შემწეობით. მეორე წე- ლწაფია სოფლის ყმაწვილებს ასწავლას კან- ცელარიის მწერალი პავლე დედენაშვილი, რომელსაც ორი კლასის სწავლა ელადაეკავებო ისების შკოლაში მიუღია ამ თხუთმეტოდე წლის წინათ. ეს ყმაწვილი კაცი სოფლის ყეთი- ლი მშრომელია. ყველასაგან პატოეცემულ- საყვარელი და მოყვარედ ცნობილი. თმცო- ლარისა და შევიწროებულს მდგომარეობაშია (პარტხელი, შემწახველი ხეობის, ექვსის სუ- ლისა) ბევრს დროს ანდომებს სოფელსა, რომ- ლისაგანაც მწერლობისათვის მხოლოდ 120 მა- ნეთს იღებს წელწადში. ამას გარდა ყმაწვი- ლებს ასწავლის თითქმის უფასოდ, რადგანაც დედამამანი პაირდებიან ფულს. შემდეგ ნახე- ვარსაც არ აძლევენ. ამ წელიწად ნასეკარზე მეთა ასწავლის ყმაწვილებს და ჯერ წერა- კითხვის საზოგადოებისათვის არა შეწყვიტა არ

უთხოვნია, როდესაც შეეცდებოდა ვარაუდობა და წინადადება მიეცემა საზოგადოებისათვის ეთხოვნა საკუთარი წიგნები, დიდის სიძნელეთა ვადამწყობა წიგნებისათვის თხოვნა და დასძინა, რომ იქნება საზოგადოების გაუმჯობესება. ესას მოვიარებოდა შემდეგათ. საზოგადოებრივ შენიშვნებზე უნდა და ნაშრომი ველემენტარობა სოფლის საქმეებისა და წერა-კითხვისა. ამასთანავე წარმოადგენ საზოგადოების ყმაწვილების რეკლამებს, რომლიდანაც შეიძლება დანიშნოს ამ კაცის შრომის ნაყოფი, აგრეთვე წარმოადგენ ლექსების თხოვნის წიგნებსა შენახვებზე.

ვსარგებლობ რა ამ მოხსენებას, ვთხოვ საზოგადოების მიერ მხედველობაში ფრთხილ პატივსაცემი შრომა პავლე ლექსებისა წერა-კითხვის საქმისათვის და ნიშნად ამ შრომის წიგნების გადგენის ერთნაირი გეგმით თქმული. რამდენადაც ვიცი და ბეჯითად ვაცნობ ლექსებს, ეს ფული თქმულა საკმარის შესაწავარი იქნება, მაგრამ მომეტებით ხელისადასრულებების მიმდევარი იქნება, თუ არ მიეცეს ხასიათი მადლობის ნიშნისა.

1881 წელს 24-ს წევრი საზოგადოების პეტრე უმიკაშვილი. თბილისი. (წერილი ქვეყნდება პირველად).

უმიკაშვილის რჩევით ლექსებისადაც მიეწერა წერილი „საზოგადოებისათვის“ და უცნობებია სკოლის საქარობანი. პეტრე უმიკაშვილის და ლექსებისადაც წერილები „საზოგადოებისათვის“ ვინაიდან და სათანადო დახმარება აღმოუჩენია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბათუმში სკოლის გახსნის საკითხი, რადგანაც რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აქრა საქართველოს დატარება, საკუთარი იყო ახლად შემოერთებულ ქმეზე ზრუნვა და არა მარტო სატყვეობა, არამედ საქმითაც. ბათუმის სკოლის გახსნის ის მიზანი ჰქონდა, რომ ოსმალთა უკლებლად ყოფნის გამო გადაგვარებული ქართველი მოსახლეობის შვილები ეროვნულ ნიადაგზე აღზარდებოდნენ.

ბათუმში სკოლის გახსნის საკითხი ორჯერ განიხილა „საზოგადოებაში“. დადგენილების ორჯერზე ილია ქაქავაძის რეზოლუცია ადევს. განსაკუთრებით სინტერესისა მეორე დადგენილება, რომელშიაც ყოველი წერალმანია გათვალისწინებული.

1879 წლის 12 დეკემბრის კრების ოქმში პირველ საკითხად არის შეტანილი ბათუმში სკოლის გაშრობა.

ბათუმში სკოლა გახსნას შეტლებისამებრ, 10 იანვარს 1881 წლისას, წელიწადი სკოლის ხარჯისა და მოქმედებისა დანიშნოს სექტემბრისად სექტემბრამდე. პირველადწყობითი სკოლის ხარჯი ამრიგად იყოს: 1) მასწავლებელს

დანიშნოს თბილისი თემანი ჯამაგირი, 2) მასწავლებელი თემანი, 3) სახლის ქირა თვედგავსა, თემანი, 4) მოსამსახურეს თორმეტჯამა თემანი, 5) შემოსავლის ექვსი თემანი და 6) წერალმანი ავეჯეულობისათვის შვიდი თემანი. თუ ენიცილება საზოგადო კრებისაგან მონიჭებული კრედიტი არ გასწავლეს წლის განმავლობაში ხარჯისა, მოხვედრის კრებას მოხსენდეს და ეთხოვოს დამატებითი კრედიტი, რადგანაც მასწავლებელს თავის ოთახის მოწყობილობისათვის ხარჯი მოწოდება, ამიტომაც წინადაც ვადამწყობი ოცდაათი თემანიდან მიეცეს დანარჩენი თორმეტი თემანი და ნახევარი და ვარდა ამისა, რადგანაც მასწავლებელი დანიშნული ოთხ ნოემბრისად, ჯამაგირი ამ დღიდან მიეცეს ოთხ თებერვლამდე 1881 წელს წინადაც დანიშნულ ოცდაათი თემნის უკან დასაბრუნებლად თვეში ერთი თემანი დაეკუროს, რადგანაც სამის თვის ჯამაგირი ესავე ეწოდება სერეტარის მიხედვით, რომ დაეკუთვნებოდა შედგებს სკოლის მეტელის გაგზავნისა და გაგზავნილ იქმნას არაუგვიანეს 15 დეკემბრისა. მასწავლებელს მიეცეს მიწერილობა, რომ ოცდაათი დეკემბრამდე უმაქვალ ბათუმში იყოს დაეკუთნოს შვიდმეტრი შევარდოვის. ილია ქაქავაძე.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მომკიდებიან ბათუმში გასაგზავნი მასწავლებლის შერჩევას, წამოყენებულ მრავალ კანდიდატთან აღუქმანდრე ნაწიშიველი შერჩევით.

ასეთი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა „საზოგადოებაში“ მოხვედრის თხოვნის აღზრდის საქმეს, ამას დასტურებს თანდაც ის ფაქტი, რომ მასწავლებლად შეიარაღდნენ ისეთი დიდი სახელოვანი მწერლები, როგორებიც იყვნენ ე. ნინოშვილი და ქართული პოეზიის სიმაყვე ეკა-ფშაველა, რომლებიც პატრიოტული საქმიანობისათვის, როგორც მთავრობისათვის არასასურველი პირები, შემდგომ გაუნთავისუფლებათ თანამედროვეობით.

სამწებარად ა. ვ. ვ. საზოგადოებას მეტად ძნელ პირობებში უბედობდა მუშაობა, რადგანაც ზოგ შემთხვევაში თითონ ზოგიერთი გადაგვარებული ქართველი ეშლიდა ხელს ქართული სკოლების არსებობას. ეს იყო მიზეზი, რომ თბილისში ახლად გახსნილი ქართული სკოლა ისევ ჩქარა დაიხურა.

თბილისში ქართული სკოლის დახურვა საზოგადოებისათვის დიდად დამალონებელი მოვლენა იყო, მაგრამ „საზოგადოებაში“ იარაღი არ დაეყარა. იგი მაინც თავისი გზით მიდიოდა.

ახლად გახსნილ სკოლებს სჭირდებოდა როგორც მომზადებული პედაგოგები, ისე სახელმწიფოებრივი და საკითხავი წიგნები, კარგ სახელმძღვანელოზე მეტი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ იყო, რომ ასეთი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ წევნი მოღვაწე-

ში სახელმძღვანელოების გამოცემას, ამის საფუძველზე მთავრობის წარმომადგენელ მრავალ რეკონსტრუქციას შორის გოგებაშვილის რეკონსტრუქციის მიხედვით უნდა შეიმუშავებული ისტორიის სახელმძღვანელო შესახებ.

კარგ სახელმძღვანელო წიგნებთან და კარგ პედაგოგებთან ერთად მოზარდ თანაკლასელებს უნდა ჰქონდეთ კარგი საკითხავი წიგნები. ამიტომ რაფიელ ერისთავის საკითხავი დაუნახავს ამ საკითხზე გაემსახურებინა „საზოგადოების“ ყურადღება.

საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების მმართველობაში თავადი რაფიელ ერისთავის მკერ.

ჩვენმა მმართველობამ შეიძინა ნახევარ ფასით სხვადასხვა გვარი ახლათ დაბეჭდილი წიგნები: გრიგოლ ხარჭიანიანსაგან 142 მანეთის 50 კაპიოსა 1650 წიგნი და ზაქარია ტუნიანისაგან 145 მანეთის 1600 წიგნი, გარდა ამისა, ზოგი შემოწირულობით გვაქვს.

ეს წიგნები აწვევს დღეს უკმაოდ მე ვფიქრობ, რომ ამ წიგნების რიცხვიდან გადამდოს ჩვენი ბიბლიოთეკისათვის ორ ორი მათგანი თუ თუ შეიძლება და დანაშინი დაიგზავნოს ორივე დებუნების სასოფლო სასწავლებლებსა და მასწავლებელთათვის და სხვები (რაოდენიც გახვდება) — დასაჯადლოებულად უბიძგვალსა მოწვევით.

ზოლო ამავე წიგნებიდან აირჩეს, რომელნიც უფრო საუბრეობსოდ სახელმძღვანელოთ. ან ზაქარია საკითხავი და სასწავლებლად ჩაითვლებიან და მათგანი გაეგზავნოთ სათხოვრად ყველა მოწვევებს, უფსაოდ.

თუ ამავეთი სასწავლებელი, ან საკითხავი წიგნები ეხლა ხელთ არ დავერჩა საკმაოდ, ამ შემთხვევაში, დანაკლისი შევიძინოთ კადრე სკოლით. ეს ჩვენგანთ გამოცხადებელი აზრი, ვითხოვე იქმნას განხილული მმართველობაში, რათა მან შეადგინოს ამახედ თავისი დანაშინეობა. თ. რაფიელ ერისთავი. 15 დეკემბრისთვის 1880 წ. თბილისი. (წერალი ქვეყნდება პირველად) (ცსსა. ქ. შ. ე. გ. სს. ფონდი № 2).

1880 წლის 4 ნოემბერს სსდომის ოქმში რაფიელ ერისთავის წინადადება მესამე საკითხავი არის განხილული და დადგენილებაში ილია ქვეყნაქვს ზაქარია ანაიდის წიგნებიდან ორ ორი ვეზემპლონი გაეგზავნოს ყოველს შკოლას სოფლისა. შკოლის ბიბლიოთეკისათვის და ადგილობრივ მასწავლებელს მივცინო ბარათი ჩამოერთვას. გარდა ამისა ღარიბს სასწავლებელს გაეგზავნოს სკოლაში სამხარი წიგნები და ნივთები ორმოცდაათის თუმნისა, სად რამდენი გაეგზავნოს და რა წიგნები და ნივთები, ამის ამოჩრევა მიეღოს ბ-ნ ი. გოგებაშვილსა და მეტნარკვისა.

-ილია ქვეყნაქვი.

რა ნაქვებს საინტერესოა ივანე შამაღლის წერილი. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მმართველობას. მმართველობის წევრის ი. შამაღლის მოხსენება.

ერთი საგანი ჩვენი საზოგადოების არტებობისა არის ქართული წიგნების გაავრცელება ხალხში. ამ აზრით ჩვენ უნდა შევედგეთ, რაც შეიძლება მაღე. წიგნების ბეჭდვას, მხოლოდ რომ ეს წიგნები კანცელარიაში არ დავეიბნდეს. უნდა ჩვენს უმთავრეს ქალაქებში ავარჩიოთ სახლო პირნი, რომელთაც მივანდობდეთ რამდენიმე ეგზემპლარის ვაყოფივს და ფულის წარმოდგენას, რასაკვირველია, კომისიით. მე შემოძლიან თითქმის ყველა ქალაქში ვაჩვენო ჩვენს საზოგადოებას ამისთანა სახლო პირნი, რომელნიც. თუ იყოს რებენ ჩვენს მინდობილობას, იმდენი საკმაოდ გაავრცელებენ ხალხში ჩვენს გამოცემებს. ამისთანავე საუბრობა საზოგადოება ეხლავე შეედგეს რომინზონ კრუზოს გამოცემას, რადგან როგორც თარგმანი ისე კლდეები მზათა გვაქვს.

1883 წლის 15 ნოემბერს. ი. შამაღლი. (ცსსა. ქ. შ. ე. გ. ს. ფ. №) (წერილი ქვეყნდება პირველად).

„ქ. შ. ე. გამავრცელებელი საზოგადოება“ მარტო საქართველოს ფარგლებს შიგნით სკოლების გამართით არ დაემყოფილებულა. მან სკოლები ვახსნა აგრეთვე საქართველოს საზღვრებს გარეთ მოსახლე ქართველებისათვისაც. „საზოგადოება“ 1888 წელს სკოლას ხსნის აკეკაში. ახლად ვახსნილ სკოლას უგზავნიან საფუძველს პედაგოგებს, სახელმძღვანელოებს, საკითხავ წიგნებს, სხვა სასწავლო ნივთებს; და აგრეთვე შეთოდურა ხასიათის წერილებს.

გარდა აკეკავისა, მომდევნო წლებში „საზოგადოება“ ქართული სკოლები ვახსნა ბაქოში, ნაღრიტა და სხვა ადგილებში.

„საზოგადოება“ შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა სკოლებისადმი, თუთაღისწინებდა ყოველგვარ წერილმან საკითხებს და სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა მასწავლებლებს. თუ როგორ მოეწყობინებინათ საქმის წარბევა მათდამი რწმუნებულ სკოლებში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება „საზოგადოების“ მიერ სოფ. ხელთბანში შწერლისა და მასწავლებლის ხელთ რაზიკაშვილისადმი ილია ქვეყნაქვის ბეჭდომწერით გაგზავნილი წერილი:

„სოფელი ხელთბანის მასწავლებელს, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამკვებამ თავის სსდომანზე 3 ნოემბერს ამ 1890, № 8 დაადგინა: ყოველი ნივთი თუ წიგნი, რაც სკოლას გაეგზავნება, შეტანილ იქმნას ინვენტარის წიგნში და აგრეთვე ყოველმა ჩვენმა სკოლამ იქონიოს საქმე მიწერ-მოწერისა და ინახებოდეს როგორც შავი პირები სკოლიდამ მოწე-

ჩილ ქალღმერთის ისე სკოლაში მისული ქა-
ლადღები.

გაუწიებთ რა ამას, ვთხოვთ სახეში იქონიოთ
და ყველთვის იხელმძღვანელოთ ამ დადგე-
ნილებით.

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ქავჭა-
ვაძე“ (დომიტრი ყიფიანის დაღუპვის შემდეგ
საზოგადოების თავმჯდომარედ ილია ქავჭა-
ვაძე აირჩიეს).

საქმეთა მწარმოებელი ი. მანგვეტაშვილი. (სა-
ჯარო ბიბლიოთეკაში ხელნაწერთა ფონდი —
37 (113).

პარალელურად სკოლებისა, საზოგადოება
წიგნსაცემებისა და ბიბლიოთეკების დაარსე-
ბისათვის ზრუნავდა. მიუხედავად იმისა, რომ
საზოგადოება მატერიალურ სიღირსოვნეს გა-
ნიცდიდა სახსრების უქონლობის გამო, მაინც
არც ერთი საკითხი არა რჩებოდა უუქრადღე-
ბოდ.

1880 წლის 5 აპრილს სხდომის ოქმში მეორე
საკითხად განიხილეთა ბიბლიოთეკის გახსნის
საკითხი. დადგენილებაში წერია:

„ბიბლიოთეკა გაიშართოს: პირველ ხანში
ბილიოთეკის კანცელარიაში ჰქონდეს ადგილი
და წიგნების შესანახავად ორი დიდი შავი
შეუკეთდეს ღერგალსა. ბიბლიოთეკისათვის
რაც შესაძლებელია ხელნაწერები მოგროვდეს
და ახლად დაბეჭდილებიცა, რომელთა სია
ცალკე უნდა შედგენილ იქმნას. მიენდოს სეკ-
რეტარს წიგნების მოსაგროვებლად შეუკადნიე-
რება იხმაროს და საზოგადოების სახელით მიწე-
რა-მოწერა გაიშართოს ჩვენი ძველის მწიგნობ-
რობის მკოდნებთან და წინადაც ფულის გა-
დაღებაზედ უარი ეთქვას. ილია ქავჭავაძე“.

ოგვე სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ მეუწარ-
გისათვის მიუხედავად ბიბლიოთეკის წესის შე-
დგენა.

ამგვარად პირველ წიგნსაცემ საფუძვალ
ჩაეყარა 1880 წ. აღსანიშნავია ის ვარაუგები,
რომ წიგნსაცემი წიგნების შემომწირველთა
სიაში პირველ რიგში ისევ ისინი ვხვდებით,
ვინც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-
გადოება“ დააარსა: ილ. ქავჭავაძე, ი. გოგება-
შვილი, რ. ერისთავი, შ. აღქსი-მესხიშვილი,
დ. გურიელი, ნ. მიხრაბული, დ. წიბინიშვილი,
ილ. ხახანაშვილი და სხვები.

ამვე წელს დაარსებულ იქნა მეზღვში მატე-
რიალური კვლტურის ძეგლების შესაგროვებ-
ლად და დასაცავად, მართლაც უდიდესი ეროვ-
ნული საქმე გაეკეთა „საზოგადოებამ“. შეგ-
როვია დაიცვა და შემოინახა ქართულ ხალხს
ეროვნული კვლტურის ძეგლები.

„სხვა რომ არა გაეცეთბინოს რა წერა-კითხ-
ვის საზოგადოებას, ისიც დიდ სამსახურად
უნდა ჩითვალდეს, რომ ეკოდენი ნაშთი მწერ-
ლობისა ისტორიის ქარცეცხლში გამოტარებუ-
ლი საშვილიშვილოდ დაიცვა“ (ეფრ. „მოამბე“,
1894 წ. № 3).

ილია ქავჭავაძემ, როგორც გოგებაშვილი
გამწოგვეტმს, თბილისის და ქუთაისის ბან-
კებს „საზოგადოებისათვის“ გადაარიცხინა 11
ათასი მანეთი. „საზოგადოება“ მატერიალურ სი-
ღირსოვლიან რომ გამოეყენა, იაკობ გოგება-
შვილმა შეიტანა წინადადება, რომ თავშესაყრელ
ადგილებში ყულაბები დაეგდათ.

დიად აფასებდნენ იმ პირებს, რომლებიც
ცოდნით თუ მატერიალური საშუალებით ხელს
უწყობდნენ „საზოგადოებას“. ასეთ პირებს
„ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ-
ელი საზოგადოების“ საპატიო წევრად ჩარიცხ-
ავდნენ ხოლმე, ასეთ პართა შორის აღსანიშ-
ნავია ვაზირიელ ემისკომოსი, რომელსაც ილია
ქავჭავაძე მეტად დიდ პატივსა სცემდა ილია
ქავჭავაძემ წერილით აცნობა ვაზირიელ ემის-
კომოსს, რომ მისი დაუფასებელი ღვაწლისათ-
ვის ის „საზოგადოებამ“ ჩარიცხა თავის საპატიო
წევრად.

არა ნაკლებ პატივსა სცემდა ილია დავით
ჩუბინიშვილს.

1891 წ. (ცხსა. ქ. შ. წ. ვ. საზ. ფონდი № 317).
დიდი საქმე გაეკეთა „ქართველთა შორის
წ. კ. გ. საზოგადოებამ“, რომლის დაარსების
ინიციატორიც გოგებაშვილი იყო.

განუზომლად დიდი იაკობ გოგებაშვილის
ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე.

ის მარტო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების დაარ-
სების ინიციატორი კი არ იყო, არამედ უველ-
კარგი საქმის წარმომწეები და მოამავე.

ილია ქავჭავაძესთან, დ. ყიფიანთან, აკაკი წე-
რეთელთან და სხვებთან ერთად შეუპოვარი
პრინციპულბით იბრძოდა ქართველი ხალხის
ეთილდღეობისათვის.

მთელი თავისი ნათელი და შინაარსიანი ცხოვ-
რება შრომაში ვაატარა.

ახლად დაარსებულ ქართული სკოლებისათ-
ვის პროგრამებზე გოგებაშვილმა შეადგინა და
ბრწყინვალე სახელმძღვანელო „დედა ენა“, რომ-
ელსაც დღესაც არ დაუქარავს მნიშვნელობა.

ქართული მწერლობა გაამდიდრა პატრიოტე-
ლი ხასიათის მოთხორობებით და დაგვიტოვა უამ-
რავი პუბლიცისტური და მეთოდური ხასიათის
წერილები.

ეზუარ კვიციანი

წიგნი ნანგრევებსა და მარაღიულ მშვენიებაზე

გრაფიკულ აბაზისის ლექსების ახალი წიგნი „მარაღიულზე“ ძირითადად მოგზაურობის შთაბეჭდილებებითაა შთაგონებული. ეს არ არის ცნობისმოყვარეობათ გამოწვეული უბრალო ტურისტული მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. პოეტს მოუვლია და უნახავს ჩვენს სამშობლოსთან, მის წარსულთან ისტორიულად დაკავშირებული ქვეყნები. აქ ჩანს წინაპრებისადმი შთამომავლის დიდი სიყვარული, ცდა მათი კვლის აღდგენისა.

შეტად ნიშანდობლივია კრებულისათვის წამყვანი პოეტის ეპიგრაფი, რომელიც კარგად გამოხატავს ლექსების სუბტილ ხასიათს, მათს განწყობილებას: „მოგზაურობა ასეთი ზეა, რომ მოშორების მოწყენის მეტს არას მოისხამს და უცხოობა ისეთი ღრუბელია, ნაღველის წვიმის წვეთის მეტი არა ჩამოვლინება რა“.

სხვა ქვეყნებში მოგზაურობა ჩვენს დროში, რა თქმა უნდა, ასეთ ნაღველს არ განაცდევინებს აღამიანს, მაგრამ ურ. აბაშიძე გაისაყუთრებით აღნიშნავს თავის სულერ ნათესაობას წინაპრებთან, ისიარებს მათს ტყივილებს, სამშობლოდან გადახვეწით გამოწვეულს. ამ წიგნში ჩვენი თანამედროვეს თვალთაა დანახული უდიდესი ცივილიზაციის ქვეყნები — ძველი საბერძნეთი და ეგვიპტე.

ურ. აბაშიძეს აქვს უნარი მთელი სისრულით გააოცლოს გარდასული მშვენიერება და სიდიადე. ნანგრევთა და დაქცეულ სვეტთა შემოვრებს, მას იმავე აღვიღზე შეუძლია წარმოიდგინოს მეფეთა ბრწყინვალე სასახლეები, ჩამავალი მშენის შუქში რომ ელავენ. ერთ დროს მტკიცედ ნაშენი ციხე-დარბაზები და მთელი ქალაქებიც ემშობა სულს ლოდების გროვად უძევია. არ შეიძლება, ამან არ აღტას მძიმე და აღამიანური სევდა ყოველივეს წარმავლობისა, მაგრამ პოეტს სიკვდილზე ფიქრის დაძლევაში ისევე და ისევე სიყვარული ეხმარება:

თაღმორღვეული და უთარილო
კედლები გვიცქერს შამშინარ ქვეშიდან,
ახლა ჩემ გვერდით შენ რომ არ იყო,
ალბათ სიკვდილზე ფიქრი შემშლდა.

სწორედ სიციცხლის მარადიულობა და დიდი სიყვარული ათქმვენიებს პოეტს:

ირგვლივ ხავსა და მხოლოდ სურთა;
შენ კი მზათ სუნთქვებ ზნელ ავლდამაზე
და მჯერა — მართლაც უსასრულოა
ქვეყნად სიციცხლე და სილამაზე.

მძაფრი პოეტური ტემპერამენტიითაა დაწერილი ლექსი „როდესაც როდოსს უახლოვდებო“. ამალღვებელი განწყობილება ლექსის დასაწყისში მალე იცვლება ნაღველიანი ტონით, რასაც თანამედროვე როდოსის ახლო გაცნობა იწვევს. პირველად აქ არის ხსენება ბედშივე წინაპრის, უცხო მიწაზე მებრძოლი მამულეკისა:

მინდა ავძახო მბრწყინავს მზესავით,
რვალთ შექურცილ ფრანგთა მავისტროსს:
შე მამულეკთა ვარ ნათესავი
და მათთან ბრძოლა არ დამავისტროს.

ლექსში იგრძნობა კონტრასტი ამ ქალაქზე პოეტის წარმოდგენისა და იმავე ქალაქის დღევანდელ უფერულ ცხოვრებას შორის. საბოლოოდ წასულა ეამი შუა საუკუნეთა, გამჭრელან ჯვაროსანნი რაინდები, უჭველესი ციხე-კოშკების ფონზე ჩანან დაბურჩალებული, ყოველდღიური ზრუნვით და წივრილმანით გართული პატარა აღამიანები:

მათ როგორც მდილებს ფუტკრების სკამი
ციხე-კოშკები ეუცხოვებათ

და ვეღარც გრძნობენ იმ ღრსითან კაცობას, როცა აქ ჩქვეყდა დიდი ცხოვრება.

კრებულში საბერძნეთზე დაწერილი ლექსებიდან შესანიშნავი მუსიკალობითა და თავისუფლად მღინარებით გამოირჩევა ლექსი „ელადა“. ასეთი ამღერება მხოლოდ ქვემოთ მოცონებას შეუძლია:

ელადა! ელადა!
 ოცნებით დავლილი
 სინზრებში ნახულა ელადა!
 უპნობი ვვავილის
 შეჭით რომ ელავდა
 ფიქრსა და ნატურაში...
 ელადა!
 შე ვნახე შენი ზღვის ღელვა და
 შენი ცის კაშკაში!

პოეტა შეტრფის ამ ქვეყნის განუმეორებელ წარსულს, სჯერა მისი მომავლისა, სწამს რომ მართლის გლეჯისას სამშობლოში კვლავ აღდგება „უკვდავი სული თავისუფლებით“.

ჯერ კიდევ ბავშვობაში, ძველი ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოს კითხვისას, ხშირად ვინაბრია საკუთარი თვალთ ვეინახა ღმერთებისა და მითების საოცარი ქვეყანა — ეგვიპტე. ოცნებით, აღმათ, მრავალ ჩვენგანს უმოგზაურა ზღაპრული ნილოსის მიდამოებში, უნახავს საიდუმლოებით მოცული სფინქსი და თვალი შეუღია ხეოფსის უზარმაზარი პირამიდისათვის. მაგრამ სულ სხვაა, როცა ყოველივე ამას ცხადად იხილავ.

ეგვიპტის მიწაზე ფეხდადგმულ პოეტს ველისტაციებით ახსენდება მამულეობა, ძნელი და შწარე იყო ბავშვობაში ტყვედ გაყოფილი ქართველი ვაჟაკების ხეფარი. მათ, ტახტზე მჯდომარეთაც კი, არაფერი ახარებდათ და განუწყვეტლავ ფიქრობდნენ ხსოვნაში ლანდივით ჩარჩენილ სამშობლოზე. ეგვიპტის მიწას თითქოს შემოუნახავს მათი ცხენების ნაფლოქვარები, მათი სუნთქვა თითქოს უდაბნოს ქარივით აწყდება პირამიდების კედლებზე.

მამულეობა ქარიშხლიანი,
 მიწას გაკრული ბედაურები,
 მე მესმის მათი ჯაჭვის ჩხრიალი
 და ქართლის ოხვრას ვეხმეურები.

კლდეში ნაკვეთი სფინქსის გოგანტური ქანდაკება მუდამ იწვევდა მხსველთა გაოცებას. მრავალ მოგზაურს გადმოუცია მისი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება. ცნობილ მოგზაურსა და მწერალს არტურ გივის ასე აქვს აღწერილი სფინქსის გამოხედვა საღამო ეამს:

„მისი თვალები არ უმზერდნენ წილით დაბლობს, როგორც მე ეს პირველად. მომგონებოდა, ისინი იყურებოდნენ მის იქითა... მისზე მალა, შორეული არაბეთის უდაბნოს უსახურთ სივრცეებში, ყველა ქვეყნის, ყველა ღრის იქით — საით?“

დროდადრო მეჩვენებოდა, რომ ეს ბაგეები იღიმებოდნენ ღიმილით. იგი ხან დამეცინავი იყო, გამოუთქმელი, გულგრილი ზიზღით სავსე, ხან მოწყენილი, სვედის შემოცელი, ნაღვლიანი, შემდეგ ისევ მკაცრი, უხეში და უციებ მშვიდი და რბილი, თანაგრძნობით, სიბრძნით და სიკეთით სავსე. ყოველივე. რაც ადამიანის გულში ხდება და მის სახეზე აბრეკდება მთელი სისრულით გამოვლინდა ამ ბაგეების ღიმილში, ამ თვალების გამოხედვაში, მარადელობას რომ მისჩერებია“.

გრ. აბაშიძეს ჩვეული ოსტატობით გადმოუცია მსაგავსი განიდა პოეტური თორმეტი. ლექსი „სფინქსი“ აღნიშნულ კრებულში ერთ-ერთი უძლიერესია.

თვალს ვერ ვუხსწორებ შენს სიდიოთს,
 შინდა შენს თხზილ წოთით დავემხო,
 შენ, ქადაცხულო ეკლესიასტვე,
 მწუხარე სიბრძნევ გულის ვამტებო.

ღრმა ფილოსოფიური აზრის გადმოსაცემად გრ. აბაშიძეს დიდი ტაქტით აუღია ეკლესიასტვის წიგნის მკაცრი ტონი. რაც საკესებით ეგუება თვით ლექსის ბუნებას:

ეამი გეშობს,
 სულსაც ეამი ამოგვხდის,
 სიხარულს შეეცლის საშინელებით...
 ეამი დამარხვის,
 ეამი ამოთხრის,
 ეამი ნგრევის და
 ეამი შენების.

თნორე ბალზაკი „შეგრენის ტყავენი“ (სადაც ახალგაზრდა რათაელი ანტიკვარული მალახიხის საწყობებს ათვალიერებს და ხალხებისა და სახელმწიფოების ბედს ეცნობა) წერს: „თავისი უდაბნოების ქვიშიდან გაქვევებული, შვეტი, იღუმალი ეგვიპტე აღსდგა; იგი წარმოდგენილი იყო შეე არტახებში გახვეული მუმისის მიერ. შემდეგ მოდიოდნენ ფარაონები, რომელნიც მთელ ხალხს ასაფლავებდნენ, რათა თავიანთი სასაფლაო ეგოთ“. ფარაონთა სამარხების სახით ძველმა ეგვიპტემ არქიტექტურის უძველესი და უმშვენიერესი ძეგლები შექმნა.

გრ. აბაშიძის ლექსი „პირამიდებზე“ ჩვენს

ოქტომბრის აქციების შემდეგ იმდენი სტრუქტურისაა, აქ ვხედავთ აქტიური ტერიტორიების წყარო მონაწილე მონების ათასობებს, რამდენიმე პირამიდის კედლები აქვდა. მათი სახელები უკვლავ გამოჩნდა, რათა ისტორიის მხოლოდ ერთს სახელი შემორჩენოდა. ნაწარმოებში ვპირობა და მათი პოეტური მდგომარეობა ერთმანეთს ერწყმის და ლექსში არა ერთი და ორი ძლიერი პოეტური სახეა, რაც წარმოადგენს გვიქმნის პირამიდების სიღრმეზე. აქვეყნებ და მალაქობებშია პირველივე ოქმი:

უკვე ამაღლდნენ მზისფერ აფრებად ქვიშის ტალღებზე პირამიდები, და შემდეგ: კიბედ შედგამა ცა და ქვეყნებს პირამიდები — ოქროს ზარები.

ყველი ეგვიპტელების რწმენით პირამიდა მართლაც წარმოადგენდა კიბეს, რომელია სავსეა ფარაონის სული ზეცაში გადავიდა და ვარსკვლავად იქცეოდა. რაც შეეხება მზის სხივებით შეფერილი პირამიდების ოქროს ზარებთან შედარებას, იგი იშვიათ პოეტურ სურათს ქმნის.

ამვე ლექსიდან ვგახსენებთ კიდევ ასეთი შედარება:

დაბლა გართხმული ვეება ჩრდილით ღვას პირამიდა, როგორც მუნჯარბი...

აქ სავანი ზემოქანაა დანახული, და მისი კონსტრუქციის ფორმა ბუნებრივად იწვევს რწმენის ასოციაციას. დამატებითელია აგრეთვე პირამიდების შედარება წარღვნიღვრილი კედლებთან, რაც სიძველესა და ზღაპრულ სილამის განცდას ბადებს:

ცაბატყორცნილი პირამიდები კედლებებს ჰგვანან წარღვნის მოტივით.

მოყვანილი პოეტური სახეებიდან არც ერთი არაა ზედმეტი. ისინი, ერთად თავმოყრილი, სხვადასხვა კუთხიდან გვიჩვენებენ ერთ სავანს და მასზე დასრულებულ წარმოადგენს გვიქმნის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამვე ლექსში პოეტი ზედმეტადაა გატაცებული ისტორიზმებით. დიდ ადგილს უთმობს განსჯას, რაც უშუალო შთაბეჭდილებას ჩრდილავს, ანუ ღვას ემოციას. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება პოეტის ვრდული ბრალი იყოს, მაგრამ ვრდული ფარაონი გამოიყვანება ხანდახან სიბოძის ტყარავის პოეტური ნაწარმოებს. არის შემთხვევები, როცა

სავანი ზედმეტადაა გატაცებული ისტორიზმით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზედმეტადაა გატაცებული ისტორიზმით.

მე ერთდროულად ვეძებთ ახლა ამაოებს და უაღრესებს.

ან იქვე: და ერთმანეთს მტრობაში სდუმან უაღრესებს და ამაოება.

საერთოდ, აღნიშნული ლექსი ფორმისა და შინაარსის მთლიანობით ხასიათდება. აღნიშნულ ლექსში რწმენა, ქვეყნად სიციცხლისა და სიყვარულის მარადიულობა აქვეყნებს პოეტს:

ათასწლებთან და ქართან ნაომარს, კრძალვით შევეუბრებ ამ ქვეყნის კოლოსს — არა, არ არის არარაობა და უაღრესებს არა აქვს ბოლო!

ყველი ეგვიპტელებს მიცვალებულს სიციცხლად ვხედავთ. ამიტომაცაა, რომ ფარაონთა აკლამები ძირითადად მათი სასახლეების მოდელს წარმოადგენს. გარდაცვლილი ფარაონებს, საკმელებისა და ნივთების ჩათვლით, ევლადეობს თან ატანდნენ. სამწუხაროდ, მდგრადი სამარხების ძარცვა ავაზაკებს ყველ დროშავე დაუწყაოთ და დღემდე ცნობილი ფარაონების სარკოფაგებიდან ბუნებრივ შემთხვევით გაუძარცვავე აღმოჩნდა მხოლოდ XVIII დინასტიის (1357—1349 წლებს წელთაღრიცხვაში) ფარაონის ტუტანხამონის სარკოფაგი. აკლამში ამ ორმოციოდე წლის წინ აღმოაჩინეს არქეოლოგებმა და იგი, არჩვეულებრივად მდიდარი შორბელობით, მსახველთა გაცემას იწვევს. გრ, ამაშიც ლექსი ტუტანხამონის აკლამში საესეა ცოცხალი შთაბეჭდილებებით და მალაქობებრივი სახეებით. აქ თითქოს რეალობა იყარება, პოეტი თავს გრძობს ზღაპრში, ხედავს ზღაპრად სმენილ სამყარებს.

მოვეც ცნობილებს, სულ თითო-თითოდ, თითქოს სამზვოს გამოვსალავ, ერთ ოქროს ყუთში მეთრე იღო და მეორეში კიდევ — მესამე.

ასე წერს პოეტი, ვიდრე მეთრე ყუთიდან ევლადეული ფარაონის გაყინული ღმინი არ შემოაჩინებინებს. ყველა ნივთი უკლებლადაა თავის ადგილას, თითქოს მეფეს სამი ათასი წლის წინათ სიციცხლად არ შეეწყვიტოს და ნივთი და ეტლით ხანგრძლივ განსაწყვეტელ მოგზაურობას ამბობდეს ჩილოსის გაულით. მაგრამ

ყოველივე უძრავად ძევს და ფარაონიც არა-
რაობის მყოფდრი გამხდარა:

გაბაეებულა ბედთან თამაში,
სდუმს სარკოფაგი წენი პირლია...
გრძელ გზაზე დამდგარს, ბნელ აკლდამაში,
წვიც და ეტლიც თან წავილია.

სულ სხეანაობა აღმოჩნდა ბედი მისი მეორე-
ფსის სარკოფაგისა. იგი ყველა მნახველის
თვალს და გონებას აოცებს, ეგვიპტის დიადი
წარსულის მოწმეა. ევრაფერს გრძობს მხო-
ლოდ ამ სარკოფაგში მღებარე ფარაონის გა-
მოფიტული სხეული:

აღარ ხარ შენ და აქვეყნიად შენთვის
აღარ არსებობს აღარაფერი.

გრ. ამაშიც, როგორც პოეტის, მუდამ სიყ-
ვარულით ეკიდებოდა და ეკიდება საქართვე-
ლის წარსულს. განსაკუთრებით მის ყურად-
ღებამ იპყრობს ეროვნული ტრადიციებით აღ-
ბეჭდილი ეპოქა, რაც თამარის მეფობის და-
სასრულიდან იწყება და ხეაზაზმელთა და მონ-
ღოლთა შემოსევებით ხასიათდება. კრებულში
ორიგინალურადაა გააზრებული და დაწერილი
ყოფი „თრქმან თორელის ლექსებიდან“, ავ-
ტორი XII საუკუნის სინამდვილეს ვეისატავს
იმ ეპოქის თანამედროვე კარის მგოსნის თერ-
მან თორელის ვნით. პოეტური მღვლეარებითაა
დაწერილი პირველივე ლექსი „ყარაყორუში“,
რომელშიც მშაფრი სურათებით წაჩვენებია
სახე ბოროტების სათავის — ყარაყორუმისა,
და ისმის მონგოლთა ურდოების სმარტი:

ყარაყორუში,
ზოცვა და გვემა,

ცხენის ფლოქებზევემ ბავშვის აფრთხილავ
ველზე უბნლო კვიციების რემო მანაღმრთველსა
და გატყორცნილი ცამი არკაბი.

მეტად საინტერესოა ამავე რვალის სხვა
ლექსებიც: „თამა“ და „ვეულს აღარა სერს“.
კრებული იბეჭდება ლექსების ციკლით „სახა-
პირაზე სამი ფანჯარა“, რომელშიც თავიდან
ბოლომდე იგრძნობა სიცოცხლის დამამკვიდ-
რებელი ბათოსი და აღამიანების გულწრფელი
სიყვარული. ამ ლექსების მეტი წილი პოეტს
შედარებით ადრე აქვს დაწერილი და გამო-
ქვეყნებული, ამიტომ აქ მათ განხილვას არ
შევედგებით. შევეხოთ მხოლოდ ერთ მათგანს
— „მთები და კლდეები“, რომელიც თემატე-
რად და ხასიათითაც ორგანულია ამ კრებულის-
სათვის. აქ ჩანს იღვწილი კლდეანი ქვაბებისა
და მაღალი მწვერვალების ბავშვობიდანვე თან-
დაყოლილი სიყვარული. პოეტს დიდი ხნიდან
აწვადებდა სურვილი ეთქვა „სიმღერა მთების
სამადლოდლო“, ეტყენებინა, თუ რამდენად
საყვარელი იყო მისთვის მთები, რომლებსაც
ჩვენი სამშობლო ბევრჯერ დაუფარავთ მტერ-
თა შემოსევებისაგან:

დე, სხვას უყვარდეს უსაზღვრო ველი,
მე მათ სიყვარულს არ ვეცილები,
მე მიუფარს ჩემი კლდეები ბნელი,
ღრუბლებში კალთებაყვიცილები.

ყმაყვილი კაცი მათგან იღებდა შთაგონება,
მათგან შეეჩვია სიმაღლეებზე ასვლის და დი-
დი ხნის მერე, ეგვიპტის პირამიდებზე ასკლი-
სას, აღბათ ეს მთები და კლდეები აფრთხილავდა.
გრ. ამაშიცინ ლექსების კრებული „პარამი-
დებზე“ მისი მაღალი პოეტური ოსტატობა
კიდევ ერთი დადასტურებაა.



გიორგი კაჭახიძე

ბავშვების გულითარი მოზღვრალი

ბავშვი პატარა მოქალაქეა, საზოგადოების უმცროსი და შეტად საყვარელი წევრი. მას თავისი გუნება-განწყობილება აქვს, თავისი მესწრაფება, ოცნება, სიხარული, წუხილი... იგი მეტრსმეტად ცნობისმოყვარეა და შეკითხვების ჭირვეული მომცემი. ეს შეკითხვები თავისებურია და პასუხებიც თავისებურად შესაფერი უნდა გაეცეს. ასევე ბავშვს თავისებური საკითხავი წიგნი, თავისებური ლიტერატურა სჭირდება. როგორც შეკითხვებზე გაცემული პასუხების ავტორიანობას განსაზღვრავს ბავშვთან მოსაუბრის აღმზრდელითი უნარი, ასევე მწერლის ტალანტზეა დამოკიდებული ბავშვის სულის გამხარებელი და მორგანიზებელი ნაწარმოების შექმნა.

ქვეშაობიტი საბავშვო ნაწარმოების შემქმნელ მწერალს დახვეწილი გემოვნება, ტაქტი და აღლო უნდა ჰქონდეს. ჩასაყვირეელია, არა ამიტომ, რომ თითქოს მისი მკითხველი დახვეწილი გემოვნებისა და კრიტიკული აღღის მქონეა. არა. ეს აღზრდებები ბავშვში ჯერ ნაკლებად არის მოცემული და ამიტომ ადვილია, ბავშვს ისეთი რამე მოეახეოთ თავზე, რაც არასასურველია და, ბევრ შემთხვევაში, ბავშვის ბუნების დამამახინჯებელი. ბავშვის სული წამოსაყალიბებელია და ამ საქმეს დაოსტატებელი მწერწივე სჭირდება. სწორედ ამიტომ მართებს მწერალს კეთილსინდისიანება, სწორედ ამიტომ უნდა იქმნებოდეს საბავშვო ნაწარმოები დახვეწილი გემოვნებით, დიდი ტაქტითა და აღლოთი.

ძნელია საბავშვო ნაწარმოების შექმნა. მწერალი ბავშვი არ არის, მაგრამ ბავშვის ბუნებამდე უნდა დაეიდეს და მისი ხასიათის ხიუანსები თავისად აქციოს. პირადა სულის მღელვარება უნდა დაიოკოს, რომ ბავშვის სულის ხორცსმსმა და ორგანიზაცია შეიღოს. არ არის პარადოქსი ვეა-ფშაველას სიტყვები, როცა დიდი მგოსანი საბავშვო ნაწარმოების შექმნის სიძნელეზე ლაბარაკობს. საბავშვო

მწერლობამ უნდა შეერას საძირკველი იმ შენობისა, რომელშიც დამკვიდრებას იწყებს მეცნიერებისა და კულტურის მრავალი დარგით გამდიდრებული ადამიანის სულიერი ცხოვრება.

ბევრი ნიქიერი მწერალი მოღვაწეობს დღეს ჭართულ საბავშვო ლიტერატურაში. ყველა თავისებურად ავსებს და ავითარებს მას. საბავშვო მწერლობის ამ ზრდა-განვითარებას ერთ საინტერესო, სიკოტსლის უნარის მქონე ნაკადად ერთვის ილია სიხარულიძის შემოქმედება. ამ ნაკადს სათავე ორმოცდაათიოდე წლის წინათ მიეტა, როცა ილია სიხარულიძე ჯერ კიდევ ზონის სამსწავლებლო სემინარიის მოსწავლე იყო.



ბავშვობა თითქმის თექვსმეტი წლის ასაკამდე გრძელდება. ამ წლების მანძილზე, ფიზიკურ ზრდასთან ერთად, იცვლება და იზრდება ბავშვის სულიერი შესაძლებლობაც. ყველა ასაკში ერთი ენით ვერ ვესაუბრებოთ მას, ვერც ერთნაირ საკითხავ წიგნს მივაწვდით. ამ გარემოებას ინგარიში ვწევა და ნაწარმოებები ბავშვების ასაკის მიხედვით იქმნება. ილია სიხარულიძე მცირე ასაკის, უკეთ, სკოლამდელთა და სკოლის უმცროსი ასაკის ბავშვთა ლიტერატურის უბანზე მოღვაწეობს.

ილია სიხარულიძის ლექსებში ბავშვი ჯერ კიდევ მამის შემოდის, როცა ის ავანში წეეს; როცა ქვეყნად ამ ახლავოსულ საოცოლესა ძილის წინ ნანას ფშღერიან ან „აღ-აღოთ“ მიმართავენ, რომ გაამზარელონ და გააციონო იგი. აყნიდან ბავშვის გაღმოსევა და ფუხის აღგმა ზომ ოჯახის სიხარული და აღტაცებაა. ამ გრძნობით არის გამთზარი ილია სიხარულიძის ლექსი „ღვა-ღვა“

ღვა-ღვა, ღვა-ღვანა,
გოგი ფუხზე დამღვარა;



ფეხზე დგომა ისწავლა,
ახლა უნდა მას ვაეღა,
ავერ, წადგა ნაბიჯი,
რა ბიჭია, რა ბიჭი!

დოლი მღერის:
ეთამაშეშე
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!

ლაპარაკს ბავშვი შედარებით გვიან იწყებს. გამოცდილებით ყველამ კარგად ვიცით, ვინს აღვძვის მომდევნო თვეებში როგორ უქირს მას აზრის გამოთქმა. აი, ამ დროს არის საჭირო ისეთი ლექსები და გამოთქმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბავშვს მეტყველების დაუფლებაში. ილია სიხარულიძემ შექმნა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის პაწაწინა ლექსებს ციკლი. ეს ლექსები ოთხ-რვა სტრიქონს არ აღემატება, ხალისიანია და ადვილი წარმოსთქმელი. აი ნიმუშად მთელი ლექსი:

მიყვარს ჩემი ქორთა,
კუერტს რომ დადებს, კაყაუნებს;
მისკენ ქორს და მელაის
როგორ გაეაქაუნებ!

ვერ წარმოგვიდგენია ბავშვი, რომელსაც თამაში არ უყვარდეს, ილია სიხარულიძემ ბევრი ლექსით გაგვაქონ ბავშვები თამაშსა და ვართობასში. აი, ორი მათგანი:

ავერ ჯირკი, ზედ — ფიფარი,
აქეთ — ვანო, იქით — ნონა;
დასკუბდნენ და ააქანეს,
იწონა-დაიწონა!

ერთი-ორი, ერთი-ორი,
აღმა ვანო, დაღმა ნონა;
აღიან და ჩამოღიან,
იწონა-დაიწონა!

ყველადათვის ცნობილი სურათია, ჩვენს ეზოებსა თუ გასართობ მოედნებზე დანახული, პოეტის მიერ კი ლექსში მოხერხებულად დაქვრილი და დახატული. მხატვრული სიტყვის ძალით ეს თამაში ამაღლებულია და კიდევ უფრო მიზიდულად გამოიყურება.

ბავშვთა მასობრივი გათრობა-თამაში ქვეშეარტი პოეტური ხატოვანი ფერებითა და მელოდიურობით არის ასახული ილია სიხარულიძის ლექსში „ამ პატარას, იმ პატარას“. ამ ნაწარმოებში ტამის ხმაც გვესმის, დოლის ხმაც. ვხედავთ ბავშვების მიერ შეკრულ წრეს და წრეში მოცუვავე გოგონებსა და ბიჭუნებს; ვხედავთ ცეცხის სახეებსაც და ყოველი ცეცხისათვის დამახასიათებელ მოზარდთა ტანის რხევასაც. დოლის ხმას მუსიკალურად ვხატავთა ლექსის რედირენი:

თამაშს ბავშვის ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია. განსაკუთრებით შვირე ასაკის ბავშვებში თითქმის მხოლოდ თამაშით სულდგმულბენ. გოგონები თოჯინებს უფლიან, კაბებს უყვარენ, საქველს უშაბდებენ, სუფრასთან ჯდომასა და კამის წესებს ასწავლიან... ბიჭუნები ჯობის ცხენებზე გადამჯდარნი დაქრიან, ბურთს თამაშობენ, ხიდეხსა და სახლებს აგებენ...

როცა ბავშვებზე ასე ვლაპარაკობთ — თოჯინებს კაბებს უყვარენ, საქველს უშაბდებენ ან ხიდეხსა და სახლებს აგებენ-თქო, ეს, რასაკვირველია, თამაშია, მაგრამ თამაშით გატაცებდნ ხშირად ისე ძლიერია, რომ იგი თითქმის შრომის სახეს ღებულობს, ბავშვები კიდევ იღლებიან. აი, ასეთი თამაშის პროცესში უშეშავლებათ მათ შრომითი ჩვევები. ლექსებსა და მოთხრობებში ცხოვლად ასახული შრომა-თამაში, თავისი ფარული ტენდენციით, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ბავშვების ცხოვრებაზე, მათს ფსიქიკას სასურველი მხრით წარმართავს. ილია სიხარულიძის ამ ტამის ლექსებიც მხოლოდ იმას ისახავენ მიზნად, რომ შრომა-თამაშით ვართული ბავშვის ასახეა ნორჩ მკითხველს ხელს უწყობდეს შრომითი ჩვევების გამომუშავებაში, რაც საბოლოოდ ნამდვილ შრომად და შრომისმოყვარეობად უნდა იქცეს.

ჩვენ ვახსენეთ ფართული ტენდენცია. ყოველი ქვეშეარტი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მხატვრული ნაწარმოები ვიცავლთვის აღმზრდელობითი მნიშვნელობის მატარებელია ამა თუ იმ ძალით. აღმზრდელობა თავისთავად ტენდენციას, მკითხველის შეგნებაში წინასწარგანზრახულის, სასურველი აზრის შეტანასა და განმტკიცებას გულისხმობს. ტენდენცია ნაწარმოების იმდენად ბუნებრივი სისხლ-ხორცი უნდა იყოს, რომ მას მკითხველი ვერ უნდა გარძნობდეს. თუ ტენდენცია თვალში გეჩხირებათ, ეს ნაწარმოების ნაკლია.

თამაშში ვლინდება ბავშვის ხასიათი. მისაზრებულობა, მისი მიზანსწრაფვის შორეული ნიუანსები. თამაში აახლოებს და აშეობრებს ბავშვებს ერთმანეთთან. ამით თამაში ბავშვებს საზოგადოებრივ გრძნობებს უშეშავებს. ცხოვრება აღამიანების ინტერესთა დღილია. თამაშში კი ბავშვების ინტერესთა დღილი მელაუნდება. თამაში კალევილობას საჭი

როებს, მაგრამ ინტერესთა კიდილის ნიადაგზე ზოგჯერ ბავშვთა შორის თავს იჩენს პატრუ-ზოყვარეობა, სიამაყის გრძნობა. ასეთ შემთხვე-ვაში ირვევთა კოლეგიალურად, უკეთ რომ ეთქვას, ეს არის ბავშვობა, რომელიც, რასაკვირველია, დიდი დღე არა აქვს თვით ბავშვების შეერ-ყვებული და ხალხიანი ბუნების წყალობით.

ილია სიხარულიძის პოეზიაშიც გვეხვდება ბავშვთა ბუნებობის სურათები. ლექსში „ზა-ზამ გამაბარა“ პატარა ზაზას საქციელით დიდად ნაწყენი გოგონა დედას აღწყოებით აცხობს თავის გულსტყვიას. თამაშის დროს ზაზას უთქვამს გოგონასათვის, შენი დედოფა-ლები მკვდარიო. ამა როგორ მოთმენდა გოგო-ნა დედოფალების ასეთ დამკვირბებს! ეს თვით გოგონას შეურაცხყოფაც იყო. ბავშვის გულ-ეძებელი თავმოყვარეობა დამოძაბზე არ მიიღის, პირიქით, შემტვეი ხდება:

მკვდარი მისი ცხენი არის,
ჯობს დაარქვა ცხენი!
წვედებო და თვითონ დარბის
კიხენით და ქმენით...

იუმორი ნაწარმოებს სიხალისეს მატებს, მკობველს იზიდავს და კითხვას. უადვილებს. იუმორის წყალობით ზოგჯერ ასეც კი ჰგონია აღამაზნს, მით უფრო ბავშვს, რომ ესა თუ ის ოსტატურად დაწერილი ნაწარმოები გასარ-თობად არის შექმნილიო. და ასე, ვართობის მიზნით ხელში აღებული წიგნი რამდენ სასარ-გებლო აზრს რა ადვილად ახვევს თავზე მკით-ხველს!

ილია სიხარულიძის ნაწარმოებთა ერთ-ერთი დამამშვენებელი თვისება იუმორიც არის. ბევრ ლექსში იგი ბოლომდე გასდევს პოეტის სათქ-მელს. ავიღოთ თუნდაც მოზარდული ლექსი „შნოი, ბუზი და წიწილა“. ეს ნაწარმოება სწორედ იუმორის წყალობით იკითხება შედარებით ხალხით. ლექსში ზვეულებრივი ამბავია ასა-ხული. ვის არ უნახავს, ბავშვი რძეს რომ შეეცევა, ახეზარა ბუზი თავს რომ დაბზუის და ცდილობს გახდეს მისი საუზნის მოზარდ-ს. ასეთ მდგომარეობაშია შნოიც. არ იქნა და არა, ევრ მოიშორა ბუზი. აგერ შევიდის რძე დე-წვეთა, ბუზი წვეთს დაეცრა და გაძღა... იო, ახლო იწყებს პოეტური სიტყვა განსხვავებულა სურათის ხატვას. რძით გამძღარ ბუზს პირის მოქმენდა და სხეულის წესრიგში მოყვანა მოუწია. რა სისაცილოა მისი საქციელი:

მოიქმენდა ბუზმა პირი,
გაიხება ბუზმა ცხვირი,
და იმდენი ხეხა, ხეხა,
რომ კინალამ მოიტეხა.

ბოლოს კმაყოფილი მწერი სუფრიდან იატე-

ზე დაფრინდა. აქ საიდანაც წიწილა გაიქცა,
დაკრა ბუზს ნისკარტი და გადასახსლა... ახლა
წიწილას საქციელია სისაცილო. მხედრ საქციე-
ლი რომ ბავშვობა, წიწილა გაიხდინდა!

გაიწია, იწია,
თავი კოსტად ზე ასწია,
დაიძაბა „წია-წია“
და ამაყად შინ გასწია!

გარდა იმისა, რომ ეს ლექსი ბავშვის გუნება-
ვახწყობილების გამახალისებელია, მას ქვე
ცხოვრების ზოგიერთ მხარეში ჩახველისა და
გარკვევის დანიშნულება.

ილია სიხარულიძის, როგორც მისწივლებელა,
საშეალება პქონდა წლების განმავლობაში
ახლოს უფილიყო ბავშვებთან. მას საკუთარი
შვილებიც აღუზარდა, ნაცნობთა და ახლობელ-
თა ოჯახებში თუ საზოგადოებრივი შეკრების
ადგილებშიც დაკვირვებია ბავშვებს. ამ დაკ-
ვირვებისა და გამოკვლევების წყალობით პოეტის
ემპათიუბა ასახოს ბავშვის ბუნებისა და ზა-
სათის, ღირსებისა და ნაკლის სხვადასხვა
მხარე. მის ლექსებში სათანადო პოეტური სა-
შეალებებით არის დახატული ბავშვის გულ-
უბრყვილობა, სიმამაცე, დიდგულობა, შრომის-
მოყვარეობა, თავაზიანობა, მშობლების სიყვარ-
ული, უფროსების მიმართ პატივისცემის
გრძნობა...

სწავლა და ცოდნის შეძენა ბავშვის უპირ-
ველესი მრავალეობაა. პოეტები ხშირად წერენ
ლექსებს და შთაფრებენ ბავშვებს სწავლის
საქიროებასა და სიყვარულს. ილია სიხარული-
ძე, როგორც პროფესიონალი საბავშვო პოეტი,
დროდადრო ხალხით გხმარება ბავშვის ცხოვ-
რების ამ მხარეს. სწავლის სიყვარულით გამო-
ზარი მისი ნაწარმოებებიდან გამოირჩევა ლექ-
სი „გარამიყოს დარღო“. ამ ნაწარმოებში მოხ-
დნილად არის ასახული სკოლაშიდელი ასაკის
სწავლასმოუწერებელი ბავშვის ახტარა და
საქციელი. გურამიყო უოველდღე ხედავს, რო-
გორ მუშაობით ბავშვებს სკოლისაკენ. თავის-
თავს მათზე ნაკლებად არ თვლის და ყოველ
ღილით „სულ ჩინთაში აწყობს წიგნებს“. უკვირს,
რატომ სკოლაში ისიც არ მიაბარებს. პოეტის
მოსწავლე ბავშვებიც ირანაკლები გუ-
ლისმხიერებით ჰყავს დახატული. მით ხან სკო-
ლისაკენ მიმავალი ვხედავთ, ხან სკოლის შერ-
ხზე მსხდომთ.

დღესევნება და ბუნებაში გასვლა ბავშვის ენერ-
გიას მატებს, წარმოდგენას უფართოებს. ბავშ-
ვთა ცხოვრების ეს სილადე და სიღამაზე
ილია სიხარულიძის შემოქმედებაში ფართოდ
არის ასახული. ამ თემაზე პოეტმა შექმნა ლექ-
სების დიდი ციკლი „პატარები აგარაგე“.

ბუნებას ბერი პოეტი შემოქმედებითად აღიქვამს, ბუნება მათს პოეზიაში შედის, როგორც შემოქმედების ცხოველმყოფელი ძალა. ბუნებას ილია სიხარულით არ ეუფრებას გულგრილად. მას ლექსებში ეხედავთ იის გამოღვიძლებას და ამ ყვაილით მოხიბლულ გოგონას, რომელსაც ვერ გაუმეტებია ია მოსაწყვეტად; ეხედავთ ნაძვის ძირში ამოღულ პაწაწინა მოხარდ ნაძვს; თოვლს და თოვლის მოსვლით გახარებულ ბავშვებს; ვხედავთ სახურავებზე ჩუბჩუბლებივით დაყოფებულ ყინულის ლოდებს, მათი ხილით გაკვირვებულ პატარებს. ამ მოხიბლული სურათის ხატვის დროს პოეტი არ ეჩილება ახსნას ლოდების წარმოშობა, მაგრამ ეს შემცენებითი მხარე ისე ბუნებრივად არის ლექსში შერთული, რომ არ იგრძნობა ზეფხეტობა.


ილია სიხარულითს პოეზიაში თავისებურა ხალისი შეაქვს ფოლკლორული ხასიათის ლექსებს. მსხველპლობაში გვაქვს „აზრ, აზრ, ცხენო“, „ყვავო, ყვავო, ყვანიალა“, „ბეკეკა“, „ღარი-ღირი-ღირალა“, „ნანი, ფისო, ნანინა“ და მსგავსი ნაწარმოებები. ეს ლექსები ადვილი

დასამასსოვრებელია და ბავშვებში გადკონცეპტულად იზიარებენ მათ.

იგაეები წინათ პატარებელი იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ეს საინტერესო იყრა ნაყლებად არის გამოყენებელი. ილია სიხარულით დროდადრო მიმართავს ამ თანას. არ შეიძლება კმაყოფილებით არ წაიყთბოთ „ქათამი და ახვი“, „თბა და კატა“, „თითების დევა“. სამივე იგაეი სხვადასხვა შინაარსის შქონვა და კარგად გამოხატავს პოეტის მიზანდასახულებას.

ილია სიხარულითს ლექსები უმთავრესად სიუჟეტური. თითქმის ყველა ნაწარმოები აგებულია რაიმე პატარა ამბავზე. ენა პოეტოთა ნათელია და ბავშვის შეტყულების ხასიათთან მიახლოებელი.

ილია სიხარულითს სამშობლოსა და ხალხის, საცოცხლისა და ბავშვების მოყვარული შემოქმედია. მისი ლექსები ადვილად იკვლევან გზას ნორჩ მკითხველებში და იმსახურებენ მათა სიყვარულს. ამ ღირსების ბუნებრივი შედეგია პოეტის პოპულარობა.



ჯემალ შარაშიძე

საინტერესო ნარკვევები

ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების გავების აუცილებელი პირობა, მისი მხატვრული ანალიზის გარდა, მთელი იმ სოციალური და პირადი ხასიათის მოვლენათა ერთობლიობის შესწავლაა, რამელიც მას უკავშირდება.

ასეთია ერეშია ქარელიშვილის ერთეული ნაშრომის მეთოდოლოგიური ამოსავალი, კრიტიკოსი არ იფიქრებს მის მიერ განხილულ სამი ავტორის: ნიკო ლომოურის, ეკატერინე გაბაშვილისა და იროდიონ ვედლოშვილის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებულ არც ერთს, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო მოვლენას. მათი ცხოვრების ფაქტობრივი დეტალი სივარულით აქვს აღწერილი.

რადგან ნიკო ლომოური და ეკატერინე გაბაშვილი ერთ ლიტერატურულ თაობას ეკუთვნის, ერთ სოციალურ ტენდენციებს გამოხატავენ და მხატვრული მეთოდებითაც ერთმანეთს ერთმანეთს, რადგან საერთოა ისტორიული გარემო, მართებული იქნება თუ XIX საუკუნის ამ ორ თვალსაჩინო მწერალს ერთ იდეურ პლანში განვიხილავთ. რა თქმა უნდა, იროდიონ ვედლოშვილი მათგან პრინციპულადღია განსხვავებული და მისი პოეტური და მოქალაქეობრივი ფიგურაც დამოუკიდებელ შესწავლას თხოვლობს.

ჩვენი აზრით, ერეშია ქარელიშვილი საესეებით სწორად იღებს იმდროინდელი საზოგადოების სხვადასხვა მხარეს ნ. ლომოურისა და ეკ. გაბაშვილის შემოქმედების ამოსავალ ბუნქტად. რთული, წინააღმდეგობით სავსე და ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივი ურთიერთობანი აირეკლა მათს შემოქმედებაში. ნ. ლომოურისა და ეკ. გაბაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში სხვადასხვა ტენდენცია, ხშირად პრინციპულად განსხვავებული, ერთმანეთში

გადახლართული ტენდენციებია, მაგრამ ეს კი, რომ ყველა ისინი ერთიანდება პროტესტად არსებული ცხოვრების წინააღმდეგ.

„ლიტერატურული ნარკვევების“ ავტორით შემთავსებულ ძაფს ახამს ნ. ლომოურის და ეკ. გაბაშვილის შემოქმედების სოციალურ შინაარსსა და მათ პირად ბიოგრაფიებს შორის.

ავტორი, როგორც ნ. ლომოურის, ისევე ეკ. გაბაშვილის ცხოვრებაში ცალკე თავებზედ გამოყოფს მათ პედაგოგიურ მოღვაწეობას, იგი აგრეთვე ვრცლად ჩერდება იმდროინდელი ზოგიერთი პროგრესული ქართველი პედაგოგის, განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ პედაგოგების როლს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოებაში, აგრეთვე— მწერალ-ხალხოსნების უაღრესად აქტიურ დამოკიდებულებას პედაგოგიკაში, ბავშვთა აღზრდის საქმისადმი, დაერწმუნდებით რამდენად სწორად წამოსწია წინ ავტორმა ამ საკითხის მნიშვნელობა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ბავშვთა აღზრდის პრობლემა იქცა ერთერთ უპირითადეს ერთნულ პრობლემად.

ერ. ქარელიშვილი დამაჯერებლად, მღელვარედ აგვიწერს ჩვენი პედაგოგების ერთუზაბამს. არ შეიძლება ერთნულ სიამაყის გრძობა არ დაეუფლოთ, როცა ეცნობთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების იაკობ გოგებაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ნ. ცხედაძის და სხვათა შეურთვებულ ბრძოლას სტრუქტურებისა და ჩუდეკებისთანა. ბუნელის მოციქულთა წინააღმდეგ.

ნ. ლომოური და ეკ. გაბაშვილი ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ. ორივე მწერლის პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობა თითქმის მხოლოდ მასწავლებლობით განისაზღვრა. კრიტიკოსი მრავალრიცხოვანი ფაქტებით გვიჩვენებს მათ შემოქ-

ერეშია ქარელიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, „საბჭოთა მწერალი“, 1959 წ.

მედებით წარმატებას პედაგოგიურ სარბიელ-
ზე, კერძოდ, ე.კ. გაბაშვილის თოსნობით გრო-
ში შეიქმნა პირველი ქალთა სკოლა, ხოლო
ნ. ლომოურმა თვალსაჩინო როლი ითამაშა
გოგებაშვილის შესანიშნავი საბავშვო წიგნის—
„ბუხების კარი“ — საბოლოო დათვაკებაში.

წიგნის ავტორის მიერ ნ. ლომოურის და
ე.კ. გაბაშვილის პრაქტიკული პედაგოგიური
მოღვაწეობის დაწვრილებით ანალიზი კარგ
საბუდეებს იძლევა მათი საბავშვო შემოქმე-
დების ვსაათვალისწინებლად. ორივე მწერალმა
იღივ წყალში შეიტანა ქართული საბავშვო
მწერლობის შექმნისა და განვითარების საქმე-
ში.

ერ. ქარელიშვილი სწორ შეფასებას აძლევს
ნ. ლომოურის და ე.კ. გაბაშვილის მოქალა-
ქეობრივ თვალსაზრისს. ორივე მწერლის შე-
ნობისგანსხვავებით მოტენვია შობაობაში მოთავსა
შეშობილური სასოვადოების მიმე მდგომარეო-
ბამ და ამიტომ მათ შემოქმედებაში აღბუდე-
ლია იმდროინდელი ქართული სასოვადოების
ინტერესები. ნ. ლომოური და ე.კ. გაბაშვილი
არა მხოლოდ კრიტიკული რეალისმის პრინ-
ციპებით აღიქვამდნენ სინამდვილეს, მათი ნა-
წარმოებები არა მხოლოდ ძველის უარყოფის
პათოსითაა გამთბარი, ისინი აყენებენ საკეთარ
სოციალურ იდეალებს, მაგრამ ეს თვალსაჩინო
მწერლები ყველაზე დიდ როლს მანც საბავშვო
ლიტერატურის ანიკებენ.

ნ. ლომოურის და ე.კ. გაბაშვილის საბავშვო
ლიტერატურა მოთქმებულია „მსივე ცხოვრე-
ბასათვის მომზადებული თაობის აღზრდისათ-
ვის“ (გვ. 175). ცხოვრებაში უამრავი გუთ-
ვალისწინებელი, სახიფათო შემთხვევაა მოსა-
ლოდნელი და არ იჭნებოდა სწორი თუ ბავშვის
ცნობიერებისათვის უცნობს დავტოვებდით
მათი არსებობის ფაქტს. იმისათვის რათა ბავ-
შვი აღზარდოთ ძლიერ ადამიანად, საქირთა
იგი მიიყვანოთ „სამში ბნელ კუთხედთან“
(გვ. 174). გავაცნოთ ცხოვრების წინააღმდეგო-
ბანი. ოღონდ ყველა ბოროტების ჩვენებას თან
უნდა სდევდეს მისი აუცილებელი დამლევა ან
ავტოლუბელი დამლევის შესაძლებლობის რწმე-
ნა.

კრიტიკოსს თავის მოსაზრებათა საილუსტრა-
ციოდ მოპყვას ნ. ლომოურის და ე.კ. გაბა-
შვილის საბავშვო მოთხრობები და დაწვრი-
ლებით არჩევს მათ.

მოთხრობები „ილი“, „ქაჯანა“, მიუხედავად
მათი მძიმე შინაარსისა, ისე ძლიერადაა გავ-
ლენთილი კაცობრივობის მაღალი გრძნო-
ბით, რომ საბოლოოდ პატარა მკითხველი
იშუკვალება არა შიშის, არამედ ბრძოლის,
საკუთარი ძალის რწმენისა და უცნობი თანა-
ტოლისადმი თანაგრძნობის სელისკვეთებით.
ასევე მოთხრობაში „პაწია მეგობრები“ სოფ-

ლელი გოგონას მართლ დაბრმავების შედეგად
გამოწვეული ფართი ძრწოლვის სიმძიმე კარ-
ბადაა სიცილელისადმი, მეცნიერებისადმი
რწმენის სხარულით ანახლარებული. ხოლო
ლექსში — „ყინვა და პატარა მოწაფე“ —
ზამთრის სუსხი ბავშვის ნებისყოფითაა დამლე-
ული.

ეს საკითხი განსაკუთრებული კუთხითაა გა-
შუქებული ე.კ. გაბაშვილის შემოქმედებაში.
მისი მოთხრობების ფინალი ზმირად მარცხის
იმპრტანია დადებითი პერსონაჟისათვის. მაგრამ
თვით მოთხრობის მსვლელობაში ესოდენ სი-
ბუდელითაა დაზატული ერთი მხარე, ხოლო
მეორე, დამირისპირებული მხარე, იმდენად
გამორჩევა კეთილშობილებით, რომ ბავშვის
წარმოსახვაში დამარცხებული ვმირი ყველა
ღირსებათა სიმბოლოდ ზოგადდება.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკოსი ე.კ. გა-
ბაშვილის მოთხრობებში სრულიად სამართლა-
ნად უფრო ფართო აღმზრდელობით იდეებს
ხედავს, ვიდრე ნ. ლომოურის მოთხრობებში.
ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „თინას
ლექარი“, „ჩენი კაცის ხე“, „ზატარი
ჩემის“ და სხვ. ე.კ. გაბაშვილი მზნად ისახავს
ბავშვს შეაყაროს ქველმოქმედება, სიყვარუ-
ლი და სიბრატული დამარული ადამიანისა-
დმი. ავტორის ეს ტენდენცია სხვადასხვა ვა-
რიანტითაა მის შემოქმედებაში ასახული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ლომო-
ურის და ე.კ. გაბაშვილის საბავშვო მოთხრობე-
ბის განხილვას პირთობით ხასიათი აქვს. ორი-
ვე მწერლის იტყვის აღმზრდელობითი საკით-
ხები და მათ შემოქმედებაში ძლიერ ზმირად
ვეხვდება დიდატიკური სენტენციები.

ერ. ქარელიშვილის კრიტიკული გამოკლე-
ვის მსხვედით შეგვიძლია ნ. ლომოურის და
ე.კ. გაბაშვილის შემოქმედების თემატიკურ
მრავალფეროვნებაში გამოვყოთ რამდენიმე ძი-
რითადი მკვლერალური თემა, რომლებში
უშუალოდ არის დაკავშირებული მათი თანა-
შედროვე საქართველოს ყოველდღიურ, საქირ-
ბოროტო საკითხებთან.

ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში დღე-
მდე ნ. ლომოური და ე.კ. გაბაშვილი სამართ-
ლიანად ითვლებიან ხალხოსან მწერლებად.
კრიტიკოსი არ ეთიშება ამ აღიარებულ მზრს,
მაგრამ მასში შეიქვს არსებითი ხასიათის კო-
რექტურა.

ნ. ლომოური და ე.კ. გაბაშვილი, როგორც
ხალხოსანი მწერლები, დიდ ურთაღდეგას აქ-
ყვენ ქართული სოფლის მშრომელთა ყოფას,
მათი ცხოვრების სიმწლეებს, უსამართლობის
მათ მიმართ. იგეგობას ხალხოსან და თერგ-
დალულ მწერლების სოციალოგიურ შეხე-
დულებებში ვერ დაადატურებს მათ მიერ
შექმნილი პასაჟების და ფსიქოლოგიური ხა-

სიათების ზოგიერთი თანხვედრა: ის რაც გა-
მონაკლასი იყო თერგდალეულებისათვის —
ტიპიურს წარმოადგენდა ხალხისთვის.

ამ მოსახრების ემპირულ საფუძველზე და-
ყენების მიზნით კრიტიკოსი განიხილავს ორი-
ვე ხალხსანი მწერლის მრავალ მოთხრობას.

მოთხრობაში „ქრისტინი ლეკვი“ ნ. ლო-
მოურმა დაგვიხატა მეფის მოხელეთა სამინე-
ლო, აღამიანობის უაზროდამდე მისული დამ-
ცირება და ძალადობა გლეხი სეიშონა ლეკ-
შვილის მიმართ. სოფლის მამასახლისმა ჯერ
სცემა, შემდეგ გაძარცვა, ხოლო შემდეგ ისევ
სცემა და სამთრის სუსში ხეზე შეაჯრა უმწეო
გლეხი. მოთხრობის დასასრულს პირდაპირ
მოსიშის საბრძოლო მოწოდება არსებული
ცხოვრების წინააღმდეგ.

ანალოგიური ხასიათის მოთხრობებია „ბედი
უბედურთა“. „გიგო ღრუბელაშვილი“ და
სხვა.

ეკ. გაბაშვილის პატარა მოთხრობაში „სერა-
თი“ აღწერილია ღარიბი გლეხის პავლიკას
ოჯახური ტრაგედია. მეფის მოხელეთა შიშით
ის იძულებულია თავისივე ვენახის ყურძენი
იქურდოს; ფიქრობს ამ გზით გადაურჩეს შე-
ვადეებს, მაგრამ საბრძოლო გლეხს „დანაშაუ-
ლზე“ წაუსწრებენ და იგი კარგავს ცოლშვი-
ლის გამოკვებისათვის აუცილებელ ღრეპა-
ურს.

ნ. ლომოურის და ეკ. გაბაშვილის შემოქმე-
დებაში თავი იჩინა აგრეთვე ხალხისან მწერ-
ლებისათვის დამახასიათებელმა სიძულვილმა
ვაკრებისადმი. როგორც კრიტიკოსი აღნიშ-
ნავს, ხალხისწევს არ ესმოდათ ბერევაზიული
წარმოების წესის პროგრესულობა ამ დროი-
სათვის და ისინი გადაბრით ილაშქრებდნენ
ბერევაზიულ საზოგადოებრივ წყობილებას-
თან დაკავშირებულ ყველა მოვლენის წინააღ-
მდეგ. ეს იყო მათი ძირითადი შეცდომა. რო-
გორც წესი ხალხისანი მწერლები იღებდნენ
ბერევაზიანთან დაკავშირებულ მოვლენის
რომელიმე ნაყოფან მხარეს და მისი გაზვია-
დებით ცდილობდნენ ბერევაზიის არსებობის
კანონიერების მორალურ უაზროფას. ასეთივე
იყო ნ. ლომოურის და ეკ. გაბაშვილის პოზი-
ცია ვაკრთა მიმართ.

ნ. ლომოურის მოთხრობებში „ალი“, „ყო-
ველის მხრიდან“, ხოლო ეკ. გაბაშვილის „უსი-
ნალო ლეკსო“, „ღვინია გადაიჩეხა...“ განსა-
კუთრებული სიძლიერითაა დაბატული მარ-
ვაკრების ვერავი, მყუდღევი ბუნება, მათ
მიერ გლეხების ბარბაროსული ექსპლოატა-
ცია.

დასასრულს კრიტიკოსი საფუძვლიანად გა-
ნიხილავს ხალხისანი მწერლებისათვის ერთ-

ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ თე-
სებს: საზოგადოების გარდაქმნის საფუძველზე
მეთოდებს, სოციალურ უტოპიას.

მოთხრობაში „გიგო ღრუბელაშვილი“ ნ. ლო-
მოურმა დახატა სოფლის უბრალო აღამიანე-
ბის ბედით შეწუხებული, ხალხისური მოვლ-
მხედველობის შატარებული ინტელიგენტი. გი-
გო ღრუბელაშვილის გატაცება გულწრფელი,
მას სურს დაეხმაროს შიმშილით და ავადმყო-
ფობით გატანჯულ გლეხობას, მაგრამ იგი
ცდება დახმარების საშუალებათა არჩევანი:
გიგოს ცდა ხალხთან ახლოს მისვლით შეეშუ-
ბუქებინა მისთვის დუბლირი ხედილი, არ
შეიძლებოდა ნაყოფიერი ყოფილიყო: ხალხის
ღონეზე დასული მოღვაწე თავი კარგავს ამ
მორალურ უპირატესობას, რომლითაც იგი
ხალხისთვის დახმარების ვაწევას აპირებდა.

კრიტიკოსი საჭირო განსხვავებას ახდენს
ნ. ლომოურის და ეკ. გაბაშვილის სოციალურ
უტოპიას შორის: ნ. ლომოური არ იყო თან-
მიმდევრული თავის უტოპიაში. ამიტომაც ავ-
ტორმა გიგო ღრუბელაშვილის ეთიკალიზმი-
ლური, მაგრამ უნიადგო თაოსნობა მარცხით
დაამთავრა.

სხვანაირად გადაწყვიტა ეს საკითხი ეკ. გა-
ბაშვილმა. მოთხრობაში „გამარჯვებული ნიკო“
შწერალმა შექმნა თავისი ეთიკური და
სოციალური იდეალების შესაბამისი გმირი —
ნიკო ბერიშვილი. ხანგრძლივ ბრძოლას, სს-
რუმატური ხელმოცარულობის შემდეგ ნიკომ
შეაღწია გამარჯვებას, როგორც პირადს, ისე
საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. მან ცოლად
შეირთო თავისი გრძნობის საგანი — ლიზა
კოშკაძე და არიგემ ერთად შესამჩნევად ვარ-
დაქმნეს მათ მიერ სამოღვაწეოდ არჩეული
სოფელი.

ასე განსაზღვრავს ერ. ქარელიშვილი ნ. ლო-
მოურის და ეკ. გაბაშვილისათვის დამახასია-
თებელ ხალხისურ მოტივებს, მაგრამ კრიტი-
კოსი გაყოფებით უფრო ორიგინალურია წიგ-
ნის ამ ნაწილში, სადაც იგი ცდილობს ქართ-
ველი ხალხისწები დააყენოს ეროვნულ ნა-
დაგზე, მათი შემოქმედება დაწინდოს რუსი
ხალხისწების გაველენისაგან, დაამტკიცოს ის
ფაქტი, რომ საბოლოოდ ქართველი ხალხის-
წები „თერგდალეულთა“ იდეურ ბანაკში მოხ-
ედნენ, და ახსნას ამის მიზეზი.

როგორც უკვე მივთითებდით, თერგდალეუ-
ლებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი
ეროვნული საკითხი იყო. ისინი აქედან ამოღ-
ოდნენ: მათი დამოკიდებულება სხვადასხვა
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კლასე-
ბისადმი ამ ძირითადი საკითხით იყო განსაზღ-
ვრული; ხოლო ხალხისწებისათვის მთავარ სა-

კახაბდ სოციალური ჩაგვრის საკითხი რჩებოდა, აქ იყო მათი შემოქმედების ამოსავალი. მაგრამ ხალხისთვის კლასობრივი თვალსაზრისი ვერ გაავრცელეს სხვა საკითხებზე. იმ ფაქტმა, რომ მე-19 საუკუნის ქართველი ხალხი განიცდიდა ორმაგ ჩაგვრას (კლასობრივსა და ეროვნულს) მათში იდეური რღვევა შეიტანა: ეროვნული ჩაგვრა უფრო ფართო მოცულობისაა, ვიდრე კლასობრივი. ხალხისთვის არ შეეძლოთ ეროვნულის და კლასობრივი დამოკიდებულების შეცნაურული ანალიზის წინაშეა, მათ ვერ შეძლეს ეროვნული საკითხის მეორადობის გაგება კლასობრივი საკითხის მიმართ და მათ შემოქმედებაში კლასობრივი მოტივები თანდათან განდევნა ეროვნულმა მოტივებმა. ამიტომ ისინი დაუშვენიერად ნიადაგს თვალსაზრისამდე, სხვადასხვა კლასებს შორის თანამშრომლობის იდეამდე, შეიარაღებული ძალის გამოყენების პირდაპირულ უარყოფამდე.

ნ. ლომოურის და ე.ვ. გაბაშვილის მოთხოვნებში, განსაკუთრებით მათ გვიანდელ ნაწარმოებებში, მკვეთრად მრავლობენ მძალადი წრის კეთილშობილი, ღარიბთა ხელის გაშართვი, მათი შემწყნარებელი აღმზიანები, მათი მიზანი თითქმის მხოლოდ ისაა, რომ ვლენებს გაჭირება გაეიოლონ.

ნ. ლომოურის შემოქმედებაში ანალოგიური სენტენციებიან ხასიათდება მოთხოვნები: „პაწია მეგობრები“, „ბედო უბედურთა“, „წუთისოფელი“ და სხვა. მსგავსი ხასიათისაა ე.ვ. გაბაშვილის შემდეგი ნაწარმოებები: „თამარის ნეგემი“, „საბაძლლო სარეჟარი“ და ა. შ.

ამრიგად, ნ. ლომოურის და ე.ვ. გაბაშვილის შემოქმედებაში უარყოფილია საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნის იდეა.

თუმცა ნ. ლომოური და ე.ვ. გაბაშვილი წინააღმდეგ იყვნენ შეიარაღებულ ბრძოლის, მაგრამ მათი მხატვრული შემოქმედების მეთაბეულზე ზეგავლენის ობიექტური შედეგები არ ემთხვეოდა მწერლების განზრახვას. ე.ვ. გაბაშვილის და ნ. ლომოურის ნაწარმოებები ობიექტურად ესმაურებოდნენ საზოგადოებაში იმ ამაფეთქებელ ნიუთიკრებათა დაგროვებას, რომელსაც ძველი სამყარო უნდა აღემხო (გვ. 240).

მაგრამ ერ. ჭარელიშვილის მტკიცებით თანმიმდევრობა ზოგჯერ დარღვეული ცალკეული შედისამო შეხედულებით ან განმარტებით. მგავლობისათვის დაეასახლოთ ნ. ლომოურის ვრცელი მოთხოვნა „წუთისოფელის“ ავტორისეული განხილვა.

ერ. ჭარელიშვილი თავის წიგნში აყენებს „ჩატეხილი ხილის“ საკითხს ხალხისთვის შე-

მოქმედებაში. ავტორის მტკიცებით, ნ. ლომოურმა დასვა ეს საკითხი და იგი გადწყვიტა ილიასთან სრულიად განსხვავებული კრიტიკის თავის მისაზრების დასაბუთებლად მოთხოვნებიდან მოაქვს ზოგიერთი ლტოლი და საკმაოდ ვრცელი ამონაწერი.

მდიდარი თავლის ვაეი გვლევან ბადრიძე და კალატონის ობოლი ქალიშვილი — სულიკო ერთმანეთს შეიყვარებენ. გვლევანი უშვილო და დაუღალაეი სიყვარულის მტკიცებაში, ხილბ სულიკო გვეით შეუერთებს მომავალს. იგი ფრკობს, რომ წოდებრივი უთანასწორობა არ გახდის შესაძლებელ მათ ქორწინებას. მართლაც საზოგადოებ გვლევანი თავისევე კლასის მდიდარ ქალიშვილს შეირთავს.

სამწუხაროდ კრიტიკოსმა არ მისცა შეკობეულს სწორი წარმოდგენა მოთხოვნაზე. „წუთისოფელში“ მართლაც დასმულია საკითხი წოდებათა ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ავტორი (ნ. ლომოური) ივიწყებს მის მიერ დასმული საკითხს და მოთხოვნის მოქმედებას სრულიად სხვა პლანში ანეთარებს. მან გაიმეორა შატოურიანის მიერ მოთხოვნა „რენეში“ დასმული საკითხი ნეთესაობის, როგორც ვადაუღაზავი დაბრკოლების შესახებ სტესობრივი სიყვარულისათვის. გვლევანი იმიტომ კი არ ჩამოშორდა სულიკოს, რომ ეს უთანასწოელი უქონელთა კლასის შეილი იყო, ის იძულებული გახდა ეს გაეფეთებინა, რადგან მომავლდევამ მამამ გაანდო მძიმე საიდუმლოება: სულიკო გვლევანის მამის უკონო შვილი იყო და იგი გვლევანს დად ეუთუნოდა რა თქმა უნდა, შეიძლება ნ. ლომოურის გაკრიტიკება, რომ მან მოთხოვნა უსწორის მიმართულებით განიეთარა, მაგრამ დაუშვებელია მისი მოთხოვნის ასე შესწორება.

ი.ვ. ევლოშვილის შემოქმედების პირველი პერიოდი ნ. ლომოურის და ე.ვ. გაბაშვილის შემოქმედების სოციალური მოტივების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი პერიოდი, შემდეგში, როგორც თავისი იდეური აღმავლობის, ისევე იდეური დაქვეითების პერიოდში ი. ევლოშვილმა ისეთი მსოფლმხედველობითი მტკაშორღოზები განიოდა, რომ იგი ვადაპრით გაემიჯნა თავის წინაშობებს.

ნ. ლომოურის და ე.ვ. გაბაშვილის მსგავსად არც ი.ვ. ევლოშვილი დარბო მოჭალაქობრივ ვალში ბეშეების მიმართ. პოეტმა მისთვის დამახასიათებელი უბრალოებით და სისადავით მოიტანა პატარებთან ყოველდღიურობის სიდუსპირე, ჩიუნერგა მათ ცხოვრების სიმწელებებთან ბრძოლის პათოსი.

ი.ვ. ევლოშვილის საბავშვო პოეზია და ბრო-



ზა მკვეთრად გამოკვეთილი ტენდენციური ხასიათისაა. ირ. ევდოშვილის დიდაქტიკა კლასობრივი თვალსაზრისის დიდაქტიკაა. ავტორი ცდილობს ბავშვი შეაჩვიოს მშრომელი ხალხის მოჩალს, პატრონების, უბრალოებს, შრომის სიყვარულს. აღვიქვს მასში თანაგარანობას და სიბრალულს დაჩაგრულისადმი.

მაგრამ ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში მაინც სოციალურია მოტივებია ძირითადი. ზვენი აზრით კრიტიკოსი ირჩევს ერთ-ერთ სწორ გზას ირ. ევდოშვილის წინააღმდეგობრივი და რთული შემოქმედების საინალიზოდ. მის, პოეტის პირადი ბიოგრაფია მკიდროდ დაუკავშირება მისი შემოქმედების ცვალებად მოტივებს. ირ. ევდოშვილის ზოგჯერ მშვიდი, შემარბიებლური, პესნიმისტური სენტენციები და ზოგჯერაც შემტევი, მღელვარე ოპტიმისტური სულისკეთება ასწავს პოეტს პირად და მაშინველ საზოგადოებრივ ვითარებაში.

პოეტი გრძნობიერი იყო კლასობრივი მოძრაობისადმი: სარეკლამიოდ ამდგარი მასები მასში ამდევნებდნენ პოეტ-მეამბოხეს, ხალხის რევოლუციური ენერჯია, როგორც პოეტისტისაბრტულად შეხატვდა პოეტის მხოლოდ-შეგრძნებას. მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ პოეტი ჩამოშორდა მის მიერ საქვეყნოდ აღიქმულ იდეალს: მას უკვე აღარ ჰქონდა შთაგონების საგანი.

ირ. ევდოშვილმა თავისი პირველი პოეტური ტანსაცმელი მიუძღვნა გაპირებულისათვის დახმარების იდეას. ლექსი აღვივრითელი ხასიათისაა. ვარდი ნებავიფლობით დატოვებს ბაღს და ჩახაზლდება კინკარში, რათა მათ მოეტანოს სიღამაზე და სიმშვიდე. ეს ლექსი ერთგვარი გამოქანბლია ხალხისწინა უტოპიური მრწამსისა; ცალკეული ინტელიგენტების მიერ სოფელში გაწეული სავაწმანათლებლო მუშაობით თითქოს შესაძლებელი იყოს გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება.

მაგრამ თუ აქ მხოლოდ ნაგარანობია გლეხობის ცხოვრების ბედურეულმართობა, მომდევნო ნაწარმოებში პოეტი აშკარად ეწევა მწაგერელთა კრიტიკას („განაფხუთა“, „ზოგიერთი მგომარს“ და სხვა).

ურ. ქარელიშვილი მეთოდურად მიჰყვება პოეტის მოქალაქეობრივ ზრდას: თუ ირ. ევდოშვილი შემოქმედების პირველ პერიოდში უარყოფს ძალადობის გზით საზოგადოების გათავისუფლებას („ჩემს ზანჯალს“), მოახლოებულ 1905 წლის რევოლუციის უფრო და უფრო ნეტ გახედულებას აძლევს პოეტს მას.

ლექსში „ჩვენება“, „გაერხმდე“, „სიმღერა“ ასმის პროლეტარული პოეტის სრულიად გარკვეული მოწოდება, მოწოდება ძველი საწყობის დანაშობად. განსაკუთრებით საინტერესოა

ლექსი „მეგობრებს“. თავის დროზე დიდი შთაბეჭდილ ელვადობა ჰქონდა პოეტს.

„წინ, წინ, მედგრად შევებრძოლო ჩარხუელმართ ამ ჩვენ დროსა, ჭიბის ოფელში გაეატარათ სიმართლის და ძმობის დროშა!“

რევოლუციური პათოსის უმაღლესი გამოხატულება ირ. ევდოშვილის მიერ 1905—1906 წლებში შექმნილ ლექსებში. პოეტი ამ დროს თავის საქმიანად (იარაგით ამარაგებდა რევოლუციონერებს) და პოეტური სიტყვიანად თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში იყო. საყურადღებოა ამ პერიოდის ლექსები „ღუბნიშუკას შაკიერ“, „საერთაშორისო სიმღერა“ და სხვა. მაგრამ რევოლუციის დამარცხებასთან ერთად ირ. ევდოშვილის პოეზიის თანდათან ეფუძვლა მისი შემოქმედებისათვის აქამდე უცხო ნოტივები.

ირ. ევდოშვილის პოეზიის იდეური დაქვეითება ნელი, შტკინეული პროცესით წარმოიშობა: რეაქციის პირველ წლებში პოეტის დეკლარაციულ ტონი შესუსტდა, მაგრამ ის კვლავ ბრძოლისაკენ მოწოდებელია („მოძღვროს“, „გასწი იარე ეკლანი გზით“ და სხვა). მალე ევდოშვილი ეწეება მისტიციზმის და კავშირის მოტოვებაზე („ღამე წველიაღში“, „ღრუბლები“), ხოლო რეაქციის ბოლო წლებში უკვე ხანდაზმული პოეტი საბოლოოდ ეთიშება პროლეტარიატის რიგებს.

ურ. ქარელიშვილი კარგად გრძნობს ირ. ევდოშვილის შემოქმედების თვითიული მხარეს, ის ხელშეისახება კონკრეტულობით აძლევს ირ. ევდოშვილის შემოქმედების პერიოდისათვის პოეტის იდეური მრწამსის საფუძველზე. წიგნში ამომწურავადაა განხილული პოეტის იდეური დაქვეითება, მაგრამ კრიტიკოსი ყველგან ინარჩუნებს ტაქტს: ირ. ევდოშვილის შეცდომებს მკითხველი აღიქვამს, როგორც პოეტის პირად უხედურებას და არა, როგორც მის მიერ პროლეტარიატის საქმის დაღვრა.

ურ. ქარელიშვილი ისე დამაჯერებლად წარმოადგენს ირ. ევდოშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ პირითად მოტივებს, რომ შეუძლებელია, ავტორის პოლემიკაში იმ. ვაჩაბავასთან, გადაჭრით ირ. ევდოშვილი ურ. ქარელიშვილის მხარეზე.

ურ. ქარელიშვილის კარგ თაოსნობად შეიძლება ჩავთვალოთ ირ. ევდოშვილის მხატვრული პროზის მნიშვნელობის სწორი განსაზღვრა. მე-20 საუკუნის ათიან წლებში საქართველოში იწყება ფსიქოლოგიური ნოველის ეპოქის აღორძინება, აღზნათ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებულ ვითარებაში.

რებასაც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა ამ პროცესისათვის.

რევოლუციური გრძნობებისა და დამარცხებით გამოწვეული მწუხარების მხატვრულ ფაქტად გარდასაქმნელად საუცხოო ფორმა იყო ფსიქოლოგიური ნოველის ეანრი. ირ. ევდოშვილის მოთხრობები დაწერილია მშრომელი ხალხის ცხოვრებაზე, პატიმართა ყოფაზე და სხვა. ისინი ხასიათდება ჩანაფიქრის გამოკვეთილობით და ჰუმანიზმით, თუმცა ფორმის თვალსაზრისით ზოგიერთი მათგანი გაჭიანურებულია და დეტალებით გადატვირთული.

ირ. ევდოშვილის შემოქმედების თავისებურებების გასათვალისწინებლად აუცილებელია შევხებით მის მხატვრულ მხარეს. ერ. ქარელიშვილი იძლევა უაღრესად საკბარო მინიმუმებს ამ საკითხზე. ირ. ევდოშვილი ემოციურ ზემოქმედებას მკითხველზე ახდენდა „არა რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ფერების გამოყენებით“, არამედ „მოვლენების მართალი ასახვით“ (გვ. 502). ირ. ევდოშვილი მხატვრული ფერების სიმდიდრით არ გამოირჩეოდა და თუ მას თანამედროვე მკითხველზე

უკმაველად დიდი ზეგავლენა ჰქონდა, ეს იყო დროის გრძნობით, შემტყევი მოქალაქეობრივი ინტონაციით გამოწვეული.

ერ. ქარელიშვილის წიგნის „ლიტერატურული ნარკვევების“ მნიშვნელობის დასაბამითებლად აუცილებელია მის მთლიან სასიათზე მივუთითოთ. თუმცა წიგნში სამი დამოუკიდებელი თემაა შეტანილი, იგი მაინც არ წარმოადგენს ამ სამი ნაშრომის კრებულს. „ლიტერატურული ნარკვევების“ შემადგენელი ნაწილები გამთლიანებულია ერთი ეპოქის ხასიათით.

ერ. ქარელიშვილის წიგნი „ლიტერატურული ნარკვევები“ დახმარებას გაუწევს ყველა მკითხველს ვინც დაინტერესდება ერთის მხრივ ნ. ლომოურის, გვ. გაბაშვილის და ირ. ევდოშვილის შემოქმედებით, ხოლო მეორეს მხრივ მას, ვისაც სურს შეისწავლოს ქართული საზოგადოებისა და მხატვრულ ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემები მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღემდე.



შადრე გოზადიშვილი

იაკობ გოგებაშვილის წერილები

დიდი ქართველი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი, ილიასა და აკაკისთან ერთად, ნახევარი საუკუნის მანძილზე მფარველად ედგა მშობლიური ხალხის სწავლა-განათლების საქმეს, იცავდა ქართული ენის სწავლებას და მის სიწმინდეს. დიდი პატრიოტული შემართებით იგი მრავალჯერ ამხედრებულა თავისი ნათელი, მებრძოლი პედაგოგის სწავლა-განათლების სტატიებით და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ვაჟმართავს მეფის მთავრობის ზინოვნიკ-მოხელეებისათვის.

ილიასთან და აკაკისთან ერთად იაკობ გოგებაშვილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შეუპოვარი ძალით იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებებს.

ქართველი ხალხისა და ახალი თაობის საცდარეო წიგნები „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და „არსყოფი სლოგი“ ავტორთან ერთად განიცდიდა დევნასა და შევიწროებას ცარიზმის განათლების სისტემაში მოკლათებულ ბიუროკრატ-მეარსებელ მოხელეებისაგან. ამის შესახებ თვით იაკობ გოგებაშვილი თავის ერთ-ერთ წერილში „უწვერი ცილისწამება“, — წერდა: „რაც მე დრო და შრომა მივანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთესობას, ათი იმოდენა დრო და შრომა მომიანდა მათი დაცივისათვის სხვადასხვა ცილისწამებისაგან“.

ასეთი შემთხვევების დროს იაკობ გოგებაშვილი მუდამ მიმართავდა ხოლმე ქართველი ერის დიდ მოძღვარს — ილიას და ისიც, კალმით თუ სიტყვით, საქვეყნოდ ხმას იმაღლებდა. „ივერიის“ ფურცლებიდან ცხარე ბრძოლა იმართებოდა ქართველი ხალხის ინტერესების დაცვადად.

რაც უნდა ცხარე პოლემიკა ყოფილიყო. ა. გოგებაშვილი არასოდეს არ კარგავდა წონისწილობას, ყოველთვის პრინციპულობის სიმაღლეზე იდგა და მისთვის ჩვეული დიდსულოვნებით ცდილობდა მოწინააღმდეგის შთავონე-

ბას. ჩოგოც სოდ. მგალობლიშვილისადმი 1884 13 სექტემბერს მიწერილი წერილიდან ჩანს, ი. გოგებაშვილი დ. კეზელთან კათოლიკოსინანულს გამოთქვამს: „სამწუხარო აქ ის არის, რომ კეზელი ნიჭიერი უმწიფელია და ასე ჭვენთვის მჯნებლად ხმარობს თავის ნიჭსა. მე იმედს არ ვყარავ, რომ მას როგორმე მოვაქრის სტიკანებით“.

ქართველ თაობათა სწავლა-განათლების საქმეს ზიარდანიებით წინ მიუძღოდა „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“. მიუხედავად მრავალი დამბროტებისა, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა ღრმად გაიდგეს ფესვები ქართველი ხალხის გულში.

ოფიციალურ პრესაში დაბეჭდილი და გამოქვეყნებული სხვადასხვა ავტორების რეცენზიებისა და შეფასების გარდა, ქართველ მოღვაწეთა პირად წერილებში არსებობს აგრეთვე მეტად საფურთხელო შეფასებები იაკობის სახელმძღვანელოების შესახებ. ამ წერილებიდან ჩანს უსაზღვრო სიყვარული „დედა-ენის“ „ბუნების კარისა“ და „არსყოფი სლოგის“.

საქმიან შენიშვნებსა და მითითებებს იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის დიდს ინგარიშს უწყევდა. მის, შემდეგ, ახალ გამოცემებში შექონდა ცვლილებები სახელმძღვანელოების ვასა-უშუაგობისგულად.

„ბუნების კარის“ ახალი გამოცემით აღფრთოვანებული ნიკო ლომოური 1905 წელს იაკობს წერდა: — „ეს არის ახლა მომივიდა ეს წიგნი თბილისიდან. მხოლოდ ვადავშიწვე და ამ ვადავშიწვევამაც კი აღტაცებაში მომიყვანა. მწვენიერი, საუბროლო რამ არის! რაკი ქართველი ქაბუკისათვის აუცილებლად საჭიროა, ყველაფერი ამ წიგნშია მოქცეული. ამ წიგნს „ბუნებისა“ კი არა, სამშობლო ქვეყნის კარი უნდა ერქვას... სამშობლო ქვეყნის ყოველ მხარეს ვაიცნობს უმწიფელი ამ საკვირველი წიგნის მეუბნებით“.

დიდ პედაგოგს, სამშობლოსათვის თავდად-

ბულ საზოგადო მოღვაწეს ახსიათებდა სტუკო-
თესო აღმართი თვისებები. იშვიათი სპეციალ
გულით, მოსიყვარულე, გულწრფელი თანამგრობ
ნობელი, მეგობარი, დიდი აზრუნველი და
მოკირანსულე აღამაინ იყო იაკობი ყველა
იწით მიმართ, ენსაც გული უყვებდა სამშობლო-
სა და ხალხის სამსახურისათვის.

იაკობ გოგებაშვილის პირადი მიმოწერაც უხვ
მასალას იძლევა. მასში მოჩანს იაკობ გოგება-
შვილის ნათელმოსილი მოღვაწეობით განვლი-
ლი ცხოვრება. თვალწინ გვიშლის მის მკაველ-
მხროვ ნაყოფიერ საქმიანობას, რომელსაც იგი
იწვეოდა თავისი ქვეყნის ეკონომიური და კულ-
ტურული აღორძინებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი აკაცის თქმით, — ქართ-
ველი ხალხისათვის იყო წარსულის შეილი,
მოძველის მამა და მყობადის ვადა.

იაკობს და აკაცის ერთმანეთთან დიდი მეგობ-
რული სიყვარული აკავშირებდათ. მათ აერთებ-
და ძლიერი სიყვარული თავისი ქვეყნის —
ღამიჯრელი სამშობლოსადმი, რომლის თავის-
უფალი მომავლისათვის დაუღალავად იბრძო-
დნენ. მათ მთელი სიცოცხლე სამშობლოსა და
ხალხის ამ სიყვარულს შესწირეს.

1890 წლის 16 მაისს ნიკო ლომოური იაკობს
სწერდა:

„იაკობ! ამ ზაფხულს ხომ მანდ არ დარჩე-
ვით და მოდი რავედენსავე დღით ამოგვისიერნე
გორელებს. შენა და ილია როგორღაც მძიმე
კაცები ხართ. პროფანციას არ ეწვევით ხოლ-
მე... აკაცი ამ მხრზე დიდი მადლობის ღიბსია
ჩვენგან. მოვა ხოლმე... გავაცოცხლებს თავის
სასამოიფრო ცოცხალი ბაასით და წავა. გულს
ჟანგი ვეღება და სული ძიღროფს მატულობს,
როდესაც ზედაე შენზედ მაღლა მდგომარე
საქართველოსთვის გულშემატკივარს აღამაინ-
სა“.

იაკობის ავადმყოფობით შეწუხებული ნიკო
ლომოური დიდი მოკრძალებით წერდა მას:
„დიდით, დიდით გაფრთხილი იაკობ, თქვენი

რომ რაიმე უხედურება გეწიოთ, უხედ...
ქართველოს უფრო დიდი შეუხარება დატყ-
დება თავს ვიდრე რუსეთს დადებულა. რადს-
ტობს დავარგეთა, უჯრ ვართი — რუსეთის სხვა
მდგომარეობაშია ვიდრე საქართველო, და მერ-
მე ისა, რომ რუსეთს ბლომათა მყავს ჩინებუ-
ლად მომზადებული, ერთგული და მასთვის
თავდადებული შეილები. საქართველო?

„საქართველო მამულისათვის თქვენი ხანგრძლი-
ვი სიცოცხლე და ენატრია, რომ ვართი ოციო-
დე წელიწადი მინე იმოქმედოს დაობლებუ-
ლი ქვეყნის საწუღეშობა თქვენმა ნაჭირნახე-
ლებმა გრანობა-გონებამ“.

ამ დიდმა აღამაინმა სიცოცხლეშივე ღრმად
გაიდგა ფესვი ქართველი ხალხის გულში. ხალხ-
მა იგი შეიყვარა და შეიტკბო. მაშინდელა
მოული მოწინავე ქართული საზოგადოება გო-
გებაშვილის გარშემო იყო დარამბული. იგი
ყო ტონის მიმცემი ცარიზმის ფეხქვეშ გათ-
ლილ-ღამიჯრელი ქართველი ხალხისა. ამის
ნათელსაყოფად საქმარისა მეთხველი გაცე-
ნოს იმ რამდენიმე წერაილს, რომლებსაც
ქვემოთ ვაქვეყნებთ.

1889 წლის 29 ნოემბერს იაკობს მიერ
ილიასადმი გაზავნილი წერილიდან ნათლად
ჩანს, თუ როგორ შეთანხმებულად ედგა იგი
გერმანიის XIX საუკუნის მეორე ნახევრის სა-
ქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის დიდ მედროშეს ილია ქვეყნაძეს
სახალხო განათლების, მშობლიური და რუსუ-
ლი ენების სწავლებისა და საეკთოდ ახალი
თათრის აღზრდის საღ ეროვნულ ნიადაგზე და-
ყენების საქმეში.

იაკობ გოგებაშვილის მიერ წერილის ბოლო-
ში მიწაწერა: — იმედი მიქვს, რომ ამ ცნობებს
შენებურად, კარგად გამოიყენებო. — ილიასაც,
როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, წე-
რილში აღძრული საგულისხმო გარემოებანი
მობერებებულად გამოიყენა და ილიაშენა „ივე-
რიის“ ფუძელებზე.

I

წერილი ილია შავთავაძესთან

29. XI. 1889 წ.

მამო ილია! გარდმოგვემ ოთხს ცნობას თქვენი გაზეთის ქრონიკისათვის.
1. იმ მოწაფეთაგან, რომელთაც წლებურს ჟურსი შესარტლეს წინამძღვაროვის სამეურნეო-
სკოლაში, სამი წასულა წარსულს ოკტომბერში იალტაში იქაურს სახალოსნო სკოლაში შესა-
სჯელად. სამივეს მშვენივრად დამტკიცებოთ დაბტკიცება შესაბამისა (нале соответным) ამ სკო-
ლის სამოსწავლო პლანისა, რომლის ძალითაც სწავლება საგნებისა ექვსსავე წელს მიღის ქარ-
თულს ენაზედ; მაგრამ ამასთან რუსული ენა ფართოდ (широко) არის დაყენებული, როგორც
საგანი სწავლებისა. 2. ესევე სკოლა ამას წინედ გაუშინჯავს ბატონს გრენს (Грен), სახალხო
სკოლების ინსპექტორს, და სკოლის ჟურნალში ჩაუწერა მებრად საქმებრი (весьма лестную)
ატესტაცია.²
3. წარსულის შებათს სამოსწავლო ოკრუტის მზრუნველის რწევას სხდომა ჰქონია და გა-

დაუწყებია ჩემი წიგნების შესახებ: „Русское Слово для грузинских школ“, одобрилъ, а методическое руководство к нему рекомендовать. „Русское Слово“ - ზედაც დროულ საჭებური აზრი წარუდგენიათ რეცენზენტებს, დატრქმევით: „клад в педагогическую литературу, единственное Кавказское руководство по русскому языку“, მაგრამ სტამბის ნაკლებდევანებებს (რომელთაც მეორე გამოცემაში გვაქრობ) დაუშლია მასაც მიეღო უმაღლესი ხარისხი მოწონებისა — რეკომენდაცია ².

ეს ოფიციალური მოწონება არის სანაცვო იმ მოწონებისა, რომელიც „Русское Слово“-ს მიუხაჯა საზოგადოებამ და სკოლამ და რომელიც გამოიხატა იმ ნამდიელს ფაქტში, რომ ჩემი სახელმძღვანელო მოკლე ხნის განმავლობაში, ოფიციალურად მოწონებამდის, მალაზიოდგან გაიყვია 7000 ეგზემპლარი. რადენი გაიყიდება ახლა, მოწონების შემდეგ აღვილი წარმო-სადგენია.

ყველა ეს რომ ქრანთაში მოიხსენიო, კარგი იქნება სხვათაშორის აი რად: ამას წინედ გა-ზეთვის კავჯახის რედაქციას დატვალბია თავისი თანამშრომელის გოროდუნესისათვის, რომ ერთი კარგად მიამსხერიე გოგებაშეილის რუსული სახელმძღვანელოე. იმას წაუკითხავს ჩემი წიგნი და რედაქციამი უთქვამს: წიგნი ძლიერ მომეწონა და ქების მეტს ვერას ვიტყვიო. მაშინ უთქვამთ, მამ ნერაფერს დასწერო. გოროდუნესი არის მასწავლებელი საოსტატო ინსტრუქტისა და წმინდა ნინოს ზავედენიისა. ეს ამბავი თვითონვე აღუარებია მასწავლებელთა შორის ნი-ნოს ზავედენიამი ამ ერთი კვირის წინედ.

ერთი სიტყვით, გავიმარჯვე და ისიც რა უშველებელს ბაიუშთა-ბაიუშზედა მე და ჩემმა ღმერთმა ტრამბაში მეკეთენის.

შენი იაკობ გოგებაშვილი

მეოთხე ცნობა აი რაში მდგომარეობს: სინოდს უწმინდესმა სინოდმა შარშან ყველა ჩემი ქართული სახელმძღვანელო წიგნები (руководства и пособия по грузинскому языку) თავის ხარჯით ბლომად მოიპოვა და სასულიერო სასწავლებელში გაგზავნა ღარიბ მოსწავლეთა დასარიგებლად. ამ დღებშიაც გრიქტროვს მოუვიდა პეტერბურგიდან ქალაქდი, ამდენი და ამდენი წიგნი ი. გოგებაშვილისა გადაეცი სასულიერო მთარგობას, ფულის ანგარიში გამოგვი-გზავნე და დაუყოვნებლივ მიიღებ პეტროვანსაო. ჩემი სახელმძღვანელოების ვარდა ზოგიერთა სიყვარულია წიგნებიც არის მოხსენებულა.

ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რომ ამტკიცებს ზრუნვას უწმინდესი სინოდისას ქართულის ენის წარმატებზედ. წინედ მაგალითი არა ყოფილა, რომ სინოდს თავისი ხარჯით ქართულ წიგნები ეყიდნოს ღარიბ მოსწავლეთა დასარიგებლად ⁴

შენი ი. გოგებაშვილი

P. S. იმედი მაქვს, რომ ამ ცნობებს შენებურად, კარგად გამოიყენებ...

II

წერილზეი სოფ. მგალთაღლიშვილთან ¹

13 სექტემბერს, 1884 წ.

პეტრეცემლო სოფტონს

მე ამჟამად თბილისში ვარ დაბინავებული და სოფლად გამოსვლა ჩემი ძალიან ძნელია, თუმცა კი ჩემი სიზრთელისათვის ეს ფრიად სასარგებლო იქმნებოდა. თქვენი წერილი რომ აღრე მომსლოდა, ვიძარე ამ საზღს დავიჭირავებდი, ეეცდებოდი და ერთს თვეს მაინც ვეწვეოდო თქვენს ბიდილათას. მაგრამ ახლა გვიანდა არის.

ზოგიერთა წერილმანი იეზუიტები, ერთგვარ ბოზოლებთან ერთად, აქაც კი მოქმედობენ დე დ ნ ი ს წინააღმდეგ; მაგრამ, მათ სამწუხაროდ, იგი ისყიდება ისე სწრაფად, რომ შეეკრას ვერ ასწრობენ. გუშინ შავერდოვისაგან და ცენტრალური მალაზიოდგან საზიგარი მომოვიდა, გრიქტროვი დიდნებს არ გვაძლევსო. მე მაშინვე გავეტკარე გრიქტროვთან, რომ საყვედური მიმეცა: მაგრამ იმან მითხრა, რა ვქნა, ჩემს მალაზიასაც ვერ ასდის შემეკრელიო. თუმცა ასე სწრაფად ვრცელდება დე დ ნ ი და თუმცა ჩვენი ეროვნობის მტრებს ორთავ თვალები უდგე-ბათ; მაგრამ მე კი ძალიან უმყოფილო ვარ დე დ ნ ი ს ა ზ. იგი მეოთხედად არ გამოვიდა ამისთანა, როგორც უნდა გამოსულიყო. ვნუტეშობ მხოლოდ იმედით, რომ შემდეგი გამოცემა აიცილებს ნაკლებდევანებებსა.

კეზელის ² ბრიყენმა და სტულუტრმა გამოწავარდებამ ძალიან ცუდი ჩაბეჭდილება მოაბ-დინა აქ: უფრო უარესი თვალთ შეუხედენით პროინციებში, როგორც სჩანს იჭაური წერი-ლებიოდგან და ამბეზიოდგან. მაგრამ ყველა ამაზედ კეზელისათვის ის არის ცუდი და საგრძნობე-ლი რომ რედაქციის თვალშიაც შერცხვა. გაზეთის ხელმძღვანელებს ჩემი სტატია მაკარძის

სიკვდილის შესახებ არ წყვიტონათ და კეზელს მოეტყუებინა ისინი, როცა გაიციენ, დაწმენდნენ, რომ ეს უსარცხო ბაშბუზუქი რაღაც საშარკებინო და უსენილის განძარბავს გუბაქუნელ და ცოცხალი სიკრუე დაქროშავს. ამასთან რაღაც შხადლი, ლსიარი ყოფილა. მე იმგვარადვე როდესაც მისი წერილი გამოვიდა, პასუხი წივარბევიე რედაქციაში. როდესაც მე შემეხდა ის გზახუე და პასუხის მიტანა ვაიყო, გახუნზლულს ქათამს დაემკვებულა და ეწმეკობაზედ დაქვრიული შოკოლინი აიკვავით შეარწყუნდა. „მე სრულიად არ მოველოდი, რომ თქვენ, მაგდენს უკრადლებას მიექცეოდით ჩემს წერილსა და პასუხს გამეცმდიითა“, მიიხრა. ტყუილად გიფიქრნია. დამნაშავეს ყოველთვის გაროზგა მოუხდება, ზოგს ფიზიკური და ზოგს ზნეობრივი მეთქი, ეუბთარი. უფრო უმეტესი სიღარბე გამოიჩინა პასუხის ბუკდვის დროსა. რაკველი ღრეკინასავით ეხეწებოდა იზმალოეს, პასუხიდან ოთხი ადგილი ამოშალე და აღარაფერს დაესწერა. პოლემიკას მოესპობო. სამწუხაროდ, იზმალოემა ნახევრობით შეიწყენარა მისი ბეწენს და ორი ადგილი ამოშალა ჩემი პასუხიდან. ამ ადგილებზედ კეზელს გამოყვანილი იყო, როგორც სულელი ჩინიყოვი, რომებზედ არც გელში და არც თავში არაფერი განსახლერული გრათობა და ახრი არ უწყავის და რომელს რედაქციაშიაც მიღის, იქაერს ქედს იხერავს და ამას უქახის „Закон приспособления“. მეორე ნახევაწში ჩემს პასუხს ამკარად ეტყობა გავრეკა.

მაკრამ სირცხვილი მაშინ იყო კეზელისა, როდესაც რედაქციაში ენახათ ჩემი დედანი და განბრედასა, ვიდრე ამიტომაც თავის პატარა ნახევაწ-პასუხში კრინტიე აღარ დასძრა დედნების შესახებ. სამწუხარო აქ ის არის, რომ კეზელი ნიქიერი ყმაწვილია და ასე ჩვენთვის მადუნზლად ხმარობს თავის ნიქსა. მე იმედს არ ვკარგავ, რომ მას როგორმე მოეაქრისტიანებთ. სხვანი კი ამბობენ, რომ მისი გასწორება მხოლოდ საშარკს შეუძლიანო.

თერზე არანაყლებს სახადლობას ჩადის კერძოდ, ჩემრეზად მანდაერი განთქმული გმირი ბატონისებისა. სიყა კი ენა მიუწედება, ყველგან იმასა ცდილობს, რომ როგორმე შეიწოს და დაიმეოროს ყოველი ჩემი გაყთებული სიტყუე. ეტყობა შავსა ნამცეკვადაც არა ჰქონია ის ყუთი-დამობილება, რომელმაც იძულებული გახადა ორი ენციკლოპედისტკი გამოეხადებინათ სავიეკროდ: ჩვენ წყენახებენით და პებლიკამ აღარაფერი უნდა დაგვიჯეროს ერთმანეთის შესახებ, თუ სულმზამლობამ დაგვქლია და ერთმანეთის კიყცეა დაიწყეთო. განსხეევა აქ მხოლოდ ის არის, რომ მე შავსა არ წყენხებებიყარ, მოუშალე შეგობრობა, როდესაც შევიტყე მავის ორპირობა და მტრული მოქმედება და აღარ აღმოუჩინე ის შემწეობა, რომლისაც იმედი ჰქონდა. ეგ კი იქცეოდა და იქცევა ჩემს შესახებ, როგორც სულმზამალი კაცი, გულდვარძლიანი არსება.

თქვენი ერთგული იაკობ გოგებაშვილი

ბატონო სოფრომ! ბევრს ხალხს აქლია ერთი ყოველწლიური გამოცემა. მე ეამბობ სახალხო კალენდარზე. რიგინად შედგენილი კალენდარი დიდს საყთოს შესქმენის ხალხსაც და შემაღდენლსაც ვეროვნად დააჯილდოვებს, რადგანაც ათასობით გაიყიდება. წერა-კითხვის საზოგადოების მავალითმა გული არ უნდა აგვიცეროს ამ საქმეზე. მისი გამოცემული კალენდრეში უფრო ხალიტერატურო კრებულები იყო, ვიდრე კალენდარები. ტანი ამბახი ჰქონდა და ფხიცი ბელმოეწედეწელი, იყოღებოდა თოთხმეტე შურტადან დაწყებული მანეთამდე. ისიც უშლიდა ხელსა, რომ კალენდრის გამოცემას მეტად აგვიანებდნენ, თებერვალში ძლივს გაათავებდნენ ხოლმე ბუკდვას. ქართული კალენდარი, რომელშიაც ყველა საკალენდრო ცნება მოკლედ და წმინდა ქართული ენით იქმნება მიქცეული და თავის დროზე გამოცემული, ხალხში უსაოთოდ ფართოდ გხას გაიყიდვს, და ორი-სამის წლის შემდეგ ხუთი ათას-ექვსი ათასზე მეტი გავა ყოველწლივ. მეტად კარგს იზამთ, თუ ამ გამოცემას თქვენ თვითონ იყისრებთ და ნამეწტერი სისტემატიერობით აწარმოებთ ყოველს წელსა. მხოლოდ საჭიროა, რომ ახლაც, დაეყუენებოდე. შეუდგეთ ამ საქმესა, რომ მომავლის წლის კალენდარი მზამზარეული იყოს ამ წლის პირველი დეკემბრიდან. უპირველესად ყოელისა აეცილებელია ზედგამოჭრილის პროგრანის შედგენა. ეს პროგრამა უნდა შეიცავდეს ყოველს გვარს საკალენდრო ცნობას: მეტრნეობის შესახებ, მრეწველობისა, მეკრნალობისა, საშარტლისა, საჯლებო ბანეკებისა, მამდლების შექენისა და სხვანი. შავ უნდა იყოს მოქცეული მოკლედ, ძლიერ მოკლედ იმისთანა შინაარსის წერილებიე, როგორიც არის ფარალოვის წერილი თემის უკანასკნელ ნომერში. პროგრამის შედგენისათვის საჭიროა ძალიან გაიციოთ საუეთესო კალენდრები რუსულს ენახე. სხვათა შორის კალენდარი გორბუნოე-პოსადოვისა, რომელიც მიმდევარი იყო და არის განსხეენებულის ტოლსტოისა. გარეშე გამოცემული თქვენი მომავლის კალენდრისათვის საჭირო არ არის, გაერკელებას უფრო აენებს, ვიდრე არგებს. ხელის მოწერიტ, კვიტანციების საშეილებით, პროეინციაში აგეტებზს შოენით საყმარისი ფული უნდა შემოვიდეს ბუკდვის დროსაც. და ეს საქმეს ძლიერ გაადვილებს, როგორც უადვილებს ხლაც იმასთანა წიგნების გამოცემას, რომელნიც

ნაკლებად არიან საქორთონი საზოგადოებისა და მეტადრე ზალსისათვის ყოველშენთხვევაში მედიდო სიამოვნებით დადიგებით თაღებად ქაღალდის ფასში ყველგან, სადაც კი უფროსად დასაშვან მოგვემენ ქაღალდსა. მე პირადად დათიყო მქაფარიანს ვამჯობინებ. ქაღალდი კარგი ღრმსენსა და აქვს და უფრო ნაკლებ დასეგში პყიდის. მობარული ვიქნები, თუ ამ ჩემს წინადადებას მიიღებთ და განხორციელებას შეუდგებით დაუყოვნებლივ.

თქვენი ყოველი სიყვითის მონატიური იაკობ გოგებაშვილი

ამ ოხერმა ზამთრის ციქქამი თაღი არ დამანება და ეს შესამე თევა, რაც ტულსა-სავით ვარ დამწყვედველი საღვურში და კარში ვერ გამოცდიდვარ. თორემ პირადად განახადით ამ საქმზე მოსალაპარაკებლად.

• •

1 თებერვალს
1911 წელსა.

III

წარიღები ალმახანდარი უიფოხიანთან (ფრონელი) 1

1

ბატონო ილქსანდრე! თქვენ წადილი გქონდათ დაგვეჩიათ სტატია რუსულს ენაზედ და კეფასში, ან ნოეოე ობობრენიეში დაგებუქლად შესახებ ქართული გლეხობის დიდი შევიწროვებისა ადგილ-მამულის სიყოტაგის, სიეწროვის გამო განახორციელეთ ეს წადილი, თუ არა? თუ ჯერედ არ განხორციელებიათ, უნდა დაჩქაროთ საქმე, დასწეროთ სტატია და ამ დღეებშივე დასტამბოთ. საქმეს აღარ ვგვიანება, რადგანაც დღეს-სეიდ მეურნეობის მინისტრი ჩამოვა თბილისში. მოსალაღწელია, რომ თქვენი სტატია, დამყარებული მკერ-მეტყველურს და მლაღადებელს სიტყვებზედ, კეთილს ნაყოფს გამოიღებს და კარგს სამსახურს გაუწევს გლეხობასაც და ქვეყანასაც. შემდეგში კი ამისთანა სტატიის მაგდენი მნიშვნელობა აღარ ექმნება.

მეორე საგანზედ გსურდათ გეზრუნათ და იმედი მაქვს არ დაიფიყებდით. მე ვამბობ სამრეცლო სკოლების სამოსწავლო გეგმის შეცვლის შესახებ, რომელიც სამწესბაროდ ჩვენდა და სავალად, აღძრა თერმე წარსულს შემოდგომიზედ საეპარქიო საბჭოში ჩვენმა ისტორიკოსმა ჟორდანიამ 2, როგორც ეს მე ვიცი ნამდვილად სრულიად სანდო პირების მოწმობით. როგორც ვითხარით თბილისში ამ შეცვლისათვის დანიშნული კომისია ექსპარბოსის დამტკიცებით, რომელშიც წევრად არის ამორჩეული ჟორდანია მახათაყსთან 3 ერთად და ორი რუსი. თქვენ, თქვენმა ძმამ 4 და ქრელაშვილმა 5 ამ დიდს საქმეში უნდა მსურავლე მონაწილეობა მიიღოთ და ჩაავლიათ ჟორდანიასა, რომ იგი ვალდებულია გამოესარჩლოს სინოდისაგან დადგენილ ვეგმასა, არ დაეთანხმოს მის ცედილებას, ქართულის ენის შევიწროვებასა და თუ კომისიამ აშკარა ვარდაწყვეტილება მოსდოს წერილობით, დამაცხადოს თავისი უთანხმოება და დასასუსთოს იგი. შემდეგი მოსაზრებითა: 1) სინოდისაგან დამტკიცებული ვეგმა მოქმედობს სულ ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში და ეს ხანი ძლიერ პატარაა და მოკლე, რომ ვეგმის აე-კარგაინობა გამოინდელიყო 2) ქართულის ენის შევიწროება სამრეცლო სკოლებში წინააღმდეგი იქმნება ზალხის სურვილისა, რადგანაც მას სურს რომ სკოლამ იმდენად ასწავლოს ქართული წიგნი, რომ ვამწიელებს შეგძლოთ შემდეგში თავისუფალი და გონიერი კითხვა სისარგებლო წიგნებისა, სასულეობის, თუ საეროსი, და როცა ზალხს დაანახავს რომ ამ იმედს სკოლა არ უსრულებს, გულს იფრის მისზედ და არამე თუ ახალს სკოლებს იდარ დაარსებს, არამედ ძველებსაც დამკეტავს, რის შედეგად იქმნება გაუქმება ყველა სამრეცლო სკოლებისა; 3) სხვა სააწმუნოების სამრეცლო სკოლები ფაქტიურად მარტო დედა-ენას ასწავლიან, რუსული ენა სულ გამოდგენილია; და ქართულს სკოლებში რომ დედაენას არა პქონდეს ის უფლება, რომელიც მას მიანიჭა სინოდმა, ამას ყველა ჩასთულის დიდ უსამართლობად. შეიძლება სხვა საბუთებზედ მოიყვანოს ერთი იესუიტური ხორეკ არის აქ ძლიერ საშიში. ეს ინიოვისკის რ აზრის გაატარება კომისიის პროგრამაში, რომ ქართული საბელმწიფანელონი რუსული პარადელური ტექსტით უნდა იბეუდებოდნენო. ეს სწორედ იესუიტური გაუქმება იქნება ქართულის საენისა, ავილოთ, მაგალითად, ლექსი „საბარალო დედაბრისასა“ 7. ქართულად იგი ერთს გაკვეთილზედ შეისწავლება, მაგრამ რუსულად გაზეპირებისთვის თუნდა ზეითი გაკვეთილი მოუნდება..

თუ ქართულის ენისათვის დადებული იქნება ექვსი გაკვეთილი, ამ წესის ძალით ფაქტიურად მას დარჩება მხოლოდ ერთი გაკვეთილი ან ეს სრულს გაუქმებას უდრის ენისას პირველ დასაწყისს სკოლაში, რადგანაც ბავშვი, თუ მეორე-მესამე დღეს არ იმეორებს ძველსა ახალთანა, სრულიად იფიყებს ნასწავლსა, ზოლო კარგად ვიცით ყველამ, რომ პროცესი წერა-კითხვისა

ქლიერ ძნელია და თხოვლობს ვოველდღიურს ვარჯიშობას დაბალს სკოლებში. თქვენ უნდა
ხაზგაზღვრით ეორდინიას, რომ თუ ნახსენები ცვლილებანი მოხდა სამრევლო სკოლების გვერდში,
ხალხის განათლება გაუქმდება და მაშინ ვიღისათვის იქნება საჭირო ან ქრონიკები, ან კრებულები
როები, ან გაზეთი ეურნალები და ან მთელი ქართული მწიგნობრობა. თუ მან ამ ფრთხილად
საქმეშია ცვლილება ქართულობას და სამსხალე გამოიხინა, მაშინ იგი არამც თუ თავის თავს
დაამარხავს სამუდამოდ, არამედ იმათაც ცუდს ჩრდილს მიავსებს, რომელნიც მას მეგობრულს
მეგობრობას უწყვედნენ აქამდის სხვადასხვა საზოგადო საქმეებში.

იმედი მაქვს, რომ მხურვალედ მოეციდებით ამ ფრთხილ დღემნიშვნელოვან საქმესა და ვო-
ველ ღონისძიებას იმ გაგებით, რომ წაღმა და არა უკლებს იმოქმედოს ეორდინიამ. მხოლოდ
ჩემს საქმეს სრულიადაც წუ ახსენებით არამც თუ ეორდინიასთან, არამედ თქვენს ძმასა [და]
ქრელიაშვილთანაც. თქვენ იტყვი, გავიგეოქო და გაათავებთ.

თქვენი იაკობ გოგებაშვილი.

1894 წელსა
19 აგვისტოსა
სურამი.

2

ბატონო ალექსანდრე! დიდი სიამოვნებით დავუმატე თქვენგან დაბარებულს წიგნებს 8 ჩე-
ბის მხრივ შეზღვევი სახელმწიფოანელონი და შინაღ საკითხავი წიგნაკება: 15 ცალი „რედა ვნა“,
10 — „ბუნების კარა“, 20 — „Русское слово“ პირველი ნაწილი, 5 ცალი მეორე ნაწილი
(ამხუდ მერტი აღარა მქონდა) და ორ ორ ცალად: Руководство для учащихся, очерк
сравнительной грамматики грузинского и русского языков, нормальное письмо, о грузинском
и русском алфавитах с педагогической точки зрения разбор учебных руководств, კონა, აკადო და თავდადებულნი ქართულნი. ამ დღეებში მოავრეებ ხე-
ლი ერთს ანდერშს მოხუცი ღარიბი ქართველისას, რომელიც თავისი ასი თემნიდგან, მრავ-
ალის წლის ყაჩაღობით მონარჩუნებულს, შეხუთედს ესე იგი ოცს თემანს თქვენის სკო-
ლის სასარგებლოდ სტოეებს, ოთხმოც თუმანს კი თავის ღარიბს ნათესაებს უანდერშებს.
ხიცო ღლიომერქმესაც 9 ვადევეარი ამ წინაზე სიტყვა შესახებ თქვენის სკოლას მოქცევის
მის ანდერქში და ამასთან გაავსენე, რომ ეგ სკოლა დაარსებულია მისი დის ანეტას 10 მიერ:
მეორედაც მოვაგონებ, და იმედი მაქვს მეორე ნაწილი თავისი ქონებისა მაინც დაუტოვოს
თქვენს სკოლასა. საზოგადოდ გრიგოლ დადიანის ანდერქმა მშვენიერი მავალითი მისცა ქარ-
თელობას და ამ მავალითი იგი სარგებლობს ახლაც და შემდეგში ხომ უფრო მეტად ისარგებ-
ლებს.

სამწინელი ჩაბეჭდილება მოახდინა აქ „სიტყვის“ წერილმა „ცნობის ფურცელში“ 12.
დღე[დ] გამარჯებულია ყველა, მით უმეტეს, რომ თვითონ შეუთხუზავს ეს წერილი, რომელ-
შიც ჭადაგებს სიძულელი ქართულის ენისას, ქართულის ლიტერატურისას და კულტურისას.
ქუთაისში საჯაროდ დაუწყავთ ის ნომერი გაზეთისა, რომელშიაც იყო მოქცეული ეს ილი-
რტერი წერილი.

რატომ „იყვრიის“ არ ეშველები? მართალია, ძალიან კოკლობს, მაგრამ ეს ერთად ერთი
განხეთია, რომლის სწორე ვაზე დაყენება ადვილად შეიძლება შემდეგში, თუ უფრო მომე-
ტებულის თანაგრძნობას და დახმარებას აღმოვეჩენთ 13. „ცნობის ფურცელი“ — კომერციულს
ვას ადგია და ვერ ვადაღებევეს, „კალი“ ეიწრო სექტანტების ორგანოა და ფართო ეროვ-
ნულს პროგრამას თავის დღეში ვერ დაადგება. „იყვრიის“ აქვს სრული პოლიტიკური და
ლიტერატურული ორგანოს პროგრამა. მშვენიერი ეროვნული სახელი ჭჭვიან, და შეიძლება
სრულ და ქლიერ ნაციონალურ გაზეთად გარდაიქცეს. საჭიროა მხოლოდ ყველა განათლებუ-
ლის ქართველის მხრივ დახმარება და აქტიური თანაგრძნობა.

დღესასწაულებში ხომ გვეწყვიტი?

თქვენი ყოველის სიკეთის მონატური

იაკობ გოგებაშვილი.

1902 წელსა,
დეკემბრის 2 დღესა...

IV

წერილი თეოდო სარკიანთან

29. XI. 1896 წ.

ბატონო თეოდო!

თქვენი ორივე წერილი მივიღე თავის დროზედ 2. პირველ წერილთან მომივიდა ორ-
სული წიგნი ვასარჩევად. ეს წიგნები მე კარგი ხანია მოპოებული მქონდა; მაგრამ არ გა-

ვარში, რადგანაც ცხადზედ უტყუარია, რომ წიგნი, შედგენილი რუსის ბავშვებისათვის, არ გამოდგება აბაზებისა და მეგრელებისათვის. მე იმ აზრისა ვარ, რომ საქმით უნდა ებრძოლოთ მანდ უკუღმართობასა და არა მარტო წერით. ერთი დიდი და უდიდესა საქმე კერძო სკოლის გახსნა მანდ, ამისთანა სკოლისა, როგორც არის ბათუმში. წერა-კითხვის საზოგადოებამ არ მისცემენ ნებასა მანდ ქართული სკოლა გახსნას, სხვაგანაც კი გზები შეუკრეს, — კერძო პირს კი უარს ვერ ეტყვიან, რადგანაც კერძო სკოლის გახსნის უფლება აქვს ყველას, ვისაც კი განათლების ცენზი მოუბოვებია. ამისთანა კერძო სკოლა (частное училище третьего разряда) შეიძლება გახსნას ან ერთმა პირმა, ან ორმა, ფასი დააწესოს სწავლისა და დაიხმაროს მან-დაური საზოგადოება, მტკადრე მეგრელობა, როგორც ეს ბათუმშია. წერა-კითხვის საზოგადოება შეეწყება წიგნებითაც და ფულითაც. ხარჯის შესამცირებლად სკოლა გერჯერობით იქნება ერთ კლასიანი, ოთხი წლის კურსით. მხოლოდ, რათა ორი განყოფილების მტეტი არა ჰყავდეს ერთ მასწავლებელსა, ბავშვები უნდა მიიღებოდნენ ორ წელიწადში ერთხელ. ამისთანა სკოლა უმანათილოდ წელიწადში დაჯდება ოთხმოცი თუმანიდან ას თუმნამდე. მასში უნდა იარებოდნენ როგორც ვაგები, ისე ქალები ერთად. იგი იქნება რუსულ ქართული სკოლა, სწორედ ისეთი, როგორც ბათუმში. ამის უფლება კერძო სკოლის დამაარსებელს უფლები აქვს. მას შეუძლიან საღებ უნდა დაარსოს თუნდ კემენტური, ან ფრანციუსული სკოლა, მხოლოდ რუსული ენა საუბარებელი უნდა იყოს. ანთიმოზ გუდელმა² ეს საქმე კარგად უნდა იცოდეს და მას მოელამარაკეთ. მასვე შეუძლიან თავისი სახელზედ გახსნას კერძო სკოლა. უნდა ეცადოთ ეს სკოლა სამთავლითი სკოლად გავხადო[თ] და ქართლის ენის დახმარებით და წიგნი სახელმძღვანელოებით ისეთი წარმატება ვაჩვენოთ ყველას რუსულ ენაში, რომ კბალი მოუკრას ყველა უკუღმართსა. მოფიქრეთ კარგად ამზედ. შეადგინეთ პროექტი და გამოვეცხადებოთ ვასაწინააღმდეგ. ძალიან კარგს იხამთ, თუ კორესპონდენციას ვამოჯავებით რომელსამე რუსულს გაზეთში შესახებ იმისა, თუ რამდენად აბრკოლებს მანდაურს სკოლებში რუსულის ენის წარმატებას, შესწავლას პაპოვიუს წიგნი, რომელიც შედგენილია არა აბაზების ბავშვებისათვის, არამედ რუსებისათვის. მოკლებულია ასამაღლებელს ნიშნებსა (высшим), შენაარსით სრულიად არ შეეფერება, დედანი არა აქვს, რის გამოც ცალკე დედნის ყოფნა მიუტანებელს ხარჯს შეადგენს, მოკლებულია სერათებს, ლოცვებს და სხვანი. მოილაშარაკეთ ჯუღელთან და ისე შეადგინეთ კორესპონდენცია. კორესპონდენცია შეიძლება კარიკაშვილის⁴ გაეცხადებოთ და მას დააეყოლოთ, რომ დაბავშვიანოს ან „კავკასიის“ რედაქციასა ან „ნოვოე ობოზრენიისს“. ასე სჯობიან. კარიკაშვილთან წერილში საჭირო არ არის მოიხსენიოთ. რომ ეს რჩევა მე მოგვიკით. უფრო გულიანად ვიარჯებამ.

იმედო გვაქვს, რომ თქვენ მანდ ძლიერ დახმარებით ვაძლიერებას იმ წილმართი მიმართულებისა სუბემის საზოგადოებაში, რომელსაც ისეთი მტრული თვლით უუფრებენ უკუღმართისა და აღამიანის მოქმედ პირნი⁵.

ვისურვებ თქვენს სიცოცხლეს და ნაყოფიერს მოქმედებას საზოგადო ასპარეზზედ ჩვეულებრივ მშენებლობით.

თქვენი ერთგული იაკობ გოგებაშვილი.

